

ISSN 0182-500X



გეოგრაფია



2

1988



გნათოპი

1976 წლის
20 იანვარი

ქველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წილიანი 64-ე

№ 2

თბილისი, 1988 წ.

საქართველოს საბოთა მხარეების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ რ ს ი

პროზა, პოეზია

ობია იოსელიანი — შავი და ცისფერი მდინარე, რომანი, წიგნი IV, ვფრქველა	3
თაღო ბაქიშვილი — ლექსები	61
გუგუშვილი — ლექსები	65
ჯემალ კარახაძე — ივანიშვილის სინაული	69
მთარ ბინუარაძე — ლექსები	107
გუგუშვილი — ლექსები	110

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

გუგუშვილი — მხარის ანატი და კეთილშობილი სილუბტი	112
თაღო ბინუარაძე — „ნაბჭარის ხე“ — რომანი	127
მთარ კრიტიკისტიკა — ანატი მთარა	142

მეხნიარება

მთარ ბინუარაძე — ანატი საბითონათვის	153
ნ. ხაზარაძე, თ. ცაგარაძე — ხეთარ-კარათული მითოლოგიური პარალელები	169

წიგნების მიმოხილვა

ამოლონ ცანაძე — „განგებამ გამოაინა დიდი ესე მუშაი“	175
--	-----



მთავარი რედაქტორი არჩილ სულაველი

სარედაქციო კოლეგია:

პრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. აბაშვილი, მ. ბარბაქაძე, ალ. გომიზაშვილი, ბ. დონაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასური, მ. მუხამბე, ე. მალაქაძე, მ. მრავალშვილი, ბ. ნატროშვილი, რ. პატარია, ჯ. ჩაკვიანი, ნ. წულუკიანი, თ. შიშკაძე, ბ. ხარაძე (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

შავი და ცისფერი მდინარე

რომანი

წიგნი IV

თავი მეორე

|

მატარებლის გაჩერებისთანავე ვაგონის კარები ყურთამდე მოაღეს და უცებ შევარდნილმა ძაღლების გნისამა, ცივმა, ნოტიო ჰაერმა და სინათლემ ტყვეებს, აქამდე რომ უჰაერობასობნულე ხუთავდათ, თავბრუ დაახვია, დააბრმავა.

შელონიდან კეტებით ჩამორეკილებს შიმშილით, წყურვილით თუ ათასნაირი სენით დახოცილები მხარზე გაუდვეს და წინ გაირეკეს. დატილიანებული, ძონძებში გახვეული მყრალი მიცვალებულები — თავიანთი მკვდრები თვითონ უნდა ეტირათ და კრემატორიუმებამდე მიეთრიათ.

ბანაკი რკინიგზის სადგურთან ახლოს გაემართათ და ასეთი საჭიროებისათვის, წინდახედულად, ჩიხში საგანგებო ლიანდაგიც შეეყვანათ.

— ბაქურ, ვაი, დაგენაცვლე, მაგ ცხედარს შენ რავე დაგანებებ, ბანაკის კარებში რომ „შაინძელი“ დამხვდება, ხელცარიელს თვალებში რომ ჩამხე-

დოს და ჩემი ვინაობა იკითხოს, რა პასუხი მივცე?

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს... — გადაულოცა ისაკას მიცვალებულის ფეხები, ისედაც ჩიტის წონას, თავში ჩაბლაუჭებულ ორ ტყვესთან ერთად რომ მიაბორძიკებდა.

ტყუილად აწყდებოდნენ ჯაჭვებს ნაგაზები და ამაოდ პოტნიდნენ მიწას. დამხვდურთ ზედმეტი თადარიგიანობა გამოეჩინათ. ამ უცხო ქვეყანაში ათას კილომეტრზე ნათრევი და ნაკვეში ტუსალები უმწყემსურიც რომ გაეშვათ, სად გაქცეულიყვნენ და კარზე რომელ დეიდაშვილ-მამიდაშვილს მისდგომოდნენ.

ერთმანეთს ჩაბლაუჭებული მკვდრები და ცოცხლები კი არ მიდიოდნენ — კოლონას მიჰქონდა და ამ მობოგინე ერთ დიდ სულთმობრძავ სხეულს ბადრაგები ისე ურბენდნენ, როგორც წუმპის მყრალ ტბორს, რომ დაგუბების საშუალება არ მიეცათ.

უთუოდ იმისთანა ორგანიზებული ბანაკიდან გადმოგზავნეს, იქაურ გაწუ-



რულსა და გაფილტრულს აქ თვალდა-
ხუჭული ენდობოდნენ. ჭიშკარი მაშინ-
ვე მოაღეს, ისაკას თვალში ჩასახედად
და მისი ვინაობის დასადგენად არავის
მოუცლია. ტყუილად შერჩა ცხედრის
ორვეა, მის ზურგზე დაბეჭდილ ნო-
მერს დასჯერდნენ.

მკვდრებს რომ უჭირისუფლეს, ცო-
ცხლებისთვის მოიკალეს და ვეებერ-
თელა ოთხკუთხა მოედანზე — აქლ-
პლაცზე თავი მოუყარეს. ბლოკფიუ-
რერებმა გერმანული მუყაითობითა და
ხელკეტებით ამოდნა მასა ოთხკუთხე-
დებდა დაანაწევრეს.

— პორიადკა, შვან, პორიადკა! —
ავად ქაქანებდნენ, რომ ჭოგი კვადრა-
ტებად დაყოფასა და შემჭიდროებას
ჩქარა მორჩენოდა. დათვლადანგარი-
შება იყო საჭირო, სიების დაზუსტება:
ვინ საიქოს იყო და ვინ სააქაოს, ან
რაიმე სასწაულოთ გზაში ზომ არავინ
გაქრა.

რაპორტფიურერი ბლოკების წინ
ისე დააბიჯებდა, ერთხელ რაა, ტყვეე-
ბისკენ არ მოუხედავს. თითქოს ყრუ
კედლის მიღმა დასეირნობსო და თუ
შაინც მისი ხედვის არეალში რომელი-
მე ბლოკფიურერს დალანდავდა, თავ-
მოუბრუნებლად დაუტატანებდა:

— შნელლ, შნელლ!.. — რაღაცა თა-
ვისაზე ფიქრობდა აზრგაუწყებელივ
და ამ „შნელლ, შნელლ“-ითაც, თით-
ქოს, თავის თავს აქებებდა.

დაბალი ჩინის ესესელები ყველა-
ფერს გულმოდგინედ აწესრიგებდნენ:
ითვლიდნენ ნომრებს, ინშნავდნენ, თუ
ტყვეს რაიმე ზედმეტსა და საექვოს
შენიშნავდნენ — ჩხრეკდნენ, რომ ამ,
სათის მექანიზმივით აწყობილ სიკვ-
დილის ბანაკში ახალ მსხვერპლს ისე-
თი არაფერი შემოეტანა, რომელიც
სიცოცხლეს გაახსენებდა, უკან მიახე-
დებდა ან დღევანდელზე დააფიქრებ-
და.

— ბაკურ, რა უნდა ამ შობელძალს!
— დაეცხლა ისაკა შამელაშვილს,
როცა ბლოკფიურერი მწკრივს ჩამოპ-
ყვა და ტყვეებს ჭიბეები გადმოაბრუ-
ნებინა, ანვისაც გაქექილი ნაჩანთარი

და ჩერების ნაგლეჯები ჰქონდა, მიწა-
ზე დააფერთხინა.

— რა უნდა... თუ ხმამაღლა ჩანდა
არა გაქვს, ნუ გეშინია...

— ვაი, სარა! ხანჯლის წერა გენახოს
მაგიც და შენი ისაკაც... — მიაკრულა
დახატრულმა ესესელსაც და დედა-
მისსაც. — ბაკურ, დაგენაცვლე, ლურ-
სმნის დანა მაქვს, კბილებში რომ კონ-
დახი ჩამარტყევს და მომერყვა, მოსაკ-
ბეჩი რომ რაიმე ვიშოვო, ამით ვსაშვე-
ლობ...

— კრემატორიუმში არ შეგყვეს!..
როცა ჩვენ ფერფლს ყანაში მოაბნე-
ვენ, თანგაინი ლურსმანი ვინმეს რომ
შეესოს და სისხლი მოეწამლოს, ამაზე
თუ გიფიქრია?

— ვაი, მაგათი სისხლი დალია შაე-
მა ძალღმა!

— შავი ძალღი სოფელში ჩვენ
გყავს — ბახულა.

— ვაი, დაგენაცვლე! ახლა შენ ესო-
ში გვქნა და... მე რომ არ მცნობს, თუ
მებდღენას, არ გაუწყრე, აცალე ისი-
ამოვნოს და მასიამოვნოს...

შარფიურერი დაბალი ბიჭი იყო,
ბაკურს წარბებამდე ძლივს სწვდებო-
და. კრინტს არ სძრავდა. ხელკეტაც
ილღიაში ჰქონდა ამოჩრდილი. ტყვეებს
გულზე ხელს აბჯენდა იმის კვალობა-
ზე, უკან რამდენზე უნდა დაეხიათ. ბა-
კურის ჩანთიდან წიგნი რომ გადმოგა-
რდა, მაშინ გაეხსნა მაგრად მოკუმული
პირი და გაკვირვებულმა იკითხა:

— დერ ბუბ?

— ია, ბუბ... — დაეთანხმა ბაკური.

— დოიჩენ ბუბ?!

— იავოლ, დოიჩენ-რუსიშ...

— შოონ, შოონ! — მოუწონა ტყვეს
წინდახედულობა — შოონლიტერა-
ტურა?! — გერმანულ-რუსული ლექსი-
კონის გარდა მხატვრულ ლიტერატუ-
რას კითხულობო? დაინტერესდა.

— ნაინ, აინ ბუბ. — მხრები აიჩეჩა
ტყვემ: ამ ერთი წიგნის მეტი არაფერი
გამაჩნია, რა ლიტერატურა უნდა ვი-
კითხოო!

— ჭოომ! — თავი დააქნია და უკან
დაიხია.



— რა უნდა, ბიჭო, ამ არდასაცლელს, არაფერ უბედურებას გადაგიდოს! — ავეწესდა ისაკა.

— ქომ შნელ! — გაუმეორა და როცა ბაყურმა ნაბიჯი წინ წადგა, ბლოკფიურერი მათვენ დაძრულ რაპორტფიურერს დაელოდა, მოახლოებულს გამოევიძო და მოახსენა: ამით შორის ტყვეა, გერმანული იცის, მამასახლისად ხომ არ ამეყვანაო? — ყური არავის უთხოვებია, ისე გაცდა და თითქოს ცვლავ თავის თავს შეუძახა:

— შნელ, შნელ!

ბლოკფიურერი მობრუნდა და თავი დააქნია, უფროსი მონახაო.

ბაყურის მადლობამ და უარმა ერთბაშად გააოცა, თუმცა არაფერი შეიმჩნია. აქ გრძნობების გამჟღავნება და ემოციების აყოლა არ არსებობდა, ორი უკიდურესი სამყარო იდგა პირისპირ — დამსჯელი და დასჯილი, მკვლეელი და განწირული. ამით თუ ჰკითხე, იქნებ არც კრემატორიუმი მოინდომონ, დღედაღამე ჩაუშქრალად რომ გიზგიზებს და აჭაურობას მზიანშიც კუპრის ქულად ახურავს.

ისაკამ, როცა მის მწკრივს ჩამოჰყვინენ, ლურსმნის დანა ბაყურს შეაჩეჩა.

— რა კითხა, ბაყურის ჰირიმე, ამ ძალმა იმ მამაძალს?

— ბლოკის მამასახლისად მამწესებს.

— ვაიმე, მაგენი ჩვენთვის სასიკეთოს არაფერს გამოიმეტებენ! სარა! მაგ ქონიან მუცელში ჩემს ჩასახვას — უხსენებელი ჩავესახა!

ყველაფერმა, თითქოს, მშვიდობიანად ჩაიარა და პატიმრები ბადრაგებს გადააბარეს. ქიშკარში ლაგერფიურერი გამოჩნდა. რაპორტფიურერმა მხოლოდ ახლა ცქვიტა ყურები, გეზი იცვალა, გაეშურა და პატაკი ჩააბარა.

— ბაყურ, შენ მოგეცა ჩემი ცოდვა, რამდენი „ფიურერი“ ჰყავთ ამ უჯილაგობს! — შეიცხადა ისაკამ სიხარულით, რომ მისი ვინაობისა „ფიურერებს“, ამკვარდაც, არაფერი გაუტიათ.

ტყვეები ტყვე დალაქებს გადააპარსენეს, ძონძები აბანოსთან დააყრე-

ვინეს და დედიშობილა კარგად ხანს კარგებთან აძიგძიგეს. თუმცა, ქიშკარისათ და ის ჩერები ფარავდათ, ერთმანეთზე თვალი ჰქონიათ შეჩვეული. ახლა, ძვლებზე გადაკრული გამჟვანარი ტყავის ამარა რომ დარჩნენ, ამობურცული ნეკნების ქვეშ ჰიპო ხერხემალზე მიკვროდათ და ლაჭებში ბურთი გაუძვრებოდათ. უკანალი თუ ასე მიმხმარი ჰქონდათ, გასავათებულები რომ დაცვიფდებოდნენ, ჯდომას რითი ახერხებდნენ — თვითონაც ვერაფერი გაეგნათ.

აბანოში შერეკილები აქოუბულ როფებში ჩაყენებულ სადენინფექციო ტუტეში აყურყუმალეს. წყლის გადავლებისთანავე თავლაში — ოცი კაცი რომ დაეტეოდა — ასამდე გაძვალტყავებული შეყარეს და ერთმანეთზე მიჭუჭკულ სამსაწოლიან ნარებზე ბინა მიუჩინეს.

II

ახალ ბანაკში ტყვეები, ძონძებისაგან რომ განძარცვეს, ზოლებიან სამოსელში ერთმანეთს ისე ტყუპისცალებივით დახამგვანეს, უკვე ნომრებიც აღარაფერს შველოდათ. გვერდში ვინ გიწვა, თუ ხმას არ გაიღებდა, ვერ გამოარჩევდი. საუბედუროდ, ბევრი ხმასაც არ იღებდა, რა ჰქონდათ სათქმელი და სალაპარაკო. თქმას მიზეზი სჭირდებოდა, ძალა და ენერჯია. რაკი სორო მიიჩნიეს და ძვლები ნარებზე დაჰყარეს, სალაყბოდ და წყლის სანაყავად თავს ვინ გაიმეტებდა, ღონე უნდა მოეკრიბათ, როცა დაასაქმებდნენ თუ ახალი წამებისთვის უხმობდნენ, თავი გამოეჩინათ.

ბაყურ ამადლობელს რომ ეგონა, ზამთარში გაყინულ მიწას წერაჭვიც აღარ მიეკარება, რაღას გვათხრევინებენ, მუხლამდე თოვლში მინდვრად რა უნდა გვაკეთებინონო, აჭაურობა ასე გულუბრყვილოდ მოწყობილი არ აღმოჩნდა. — „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“, მალლიდან თურმე უკეთესად ჩანს და

ასეთ ამინდშიც ბევრი „საზრუნავი“ ჰქონიათ, რაკი ბანაყის ტერიტორია ტყვეთა ხის ქოშებით იყო აჩირხალე-ბული. დილაუთენია ბლოკები ჩვეუ-ლებრივი რიგითა და წესით ნაწილდებოდა და იგზავნებოდა ისეთივე გულისყურით, როგორც ეს დაზამთრებამდე — დარში და აედარში ხდებოდა. ეტყობოდა ყველაფერი გაეთვალისწინებიათ და დიდთოვლობისას შესაფერისი მინდვრები და ნაყანევი გამოყუთ (გაზაფხულ-ზაფხულ-შემოდგომაზე, ალბათ, სხვა დანიშნულებისთვის იყენებდნენ).

მიაყენებდნენ დაწყობილ რაზმებს თავთავიანთ ფართობებს და იცემოდა ბრძანება:

— დაყვინთეთ!

ჩვეულებრივ, გულუბრყვილო ადამიანს ჰგონია, რომ დაყვინთოს, წყალია საჭირო. ზღვა და მდინარე თუ არა — ტბა, გუბურა ან წუშვე მინც. წინ კი გაყინული მიწაა და ზედ ნახევარი მეტრი თოვლი დევს, მაგრამ აქ არაფერ ხუმრობს. უნდა გადახტე, დაიყურე უმალო და, რაც შეიძლება ღრმად, შორს უნდა „გაცურო“. თუ ითაღლითებ, ისიმულანტებ, „ფსკერამდე“ არ დახვალ და სირაქლემასავით მარტო თავს ჩამალავ, ის გელის, რაც იმ სულელ ფრინველს ემართება, როცა მონადირეები მოსდევენ. ზურგი, წელი, ან უკანალი გიჩანს? აი, იქ მოგხვდება. ამისთვის დათარევენ თადარიგაინი ბადრაგები ჯოხს, კეტს, რეზინის მილს და სხვა რამ მარჯვე და მოხერხებულ „ინსტრუმენტს“. უფრო ზერელე და უგულისყურონი თოფისავე კონდახს იყენებენ, რაც უყარათობაზე და იარაღის უბატოცემულობაზე მეტყველებს. თუმცა, თავიანთ საქმეს ნაკლები გულმოდგინებით არ აკეთებენ.

— დაყვინთეთ! — გაისმის შეუვალი განკარგულება და ამდენი ზეზეურად ჩამომხმარი, სიცივისაგან გახევებული, აკანკალებული და აძიგძიგებული „ცოცხლებდა“. ხელებს წინ იწვდიან, შეხტებიან და გადაეშვებიან ფუმფულა, თეთრ „ტბორში“. იწყება „ფსკერზე“

ხოხვა და ამ ქათქათა საბნის კვეყდან ამოიბურცება მტკაველსა და მტკაველსა და ანდაგვიით ზოლები. მტკაველსა და მტკაველსა და ასახიჩრებს ამ, დაუწერელი ქალღღვივით გადაშლილ ველს, თუ ვინმე დაუდევრობით ან ორგულობით ზევით „ამოტივტივდება“ და ამ თავისი ქუჭყიანი, ჰრელი ძონებებით წმინდა სითეთრეს შერყვის. ამისთვის რომ მოხვდეს კიდეც, გასაკვირი არაა.

ისაკამ ძალიან გამოიჩინა თავი. გადახტომისთანავე ორივე ხელს წინ ატყუებდა წყალქვეშა ნავის ცხვირით და რიონში თეთრი ხიდიდან გადამხტარივით, „მორევს“ ისე ღრმად და შორს მიარღვევდა, ბადრაგები ალტაცეში მოჰყავდა. არც ჰებას იშურებდნენ, რაკი ბანაყის შესასვლელში გარკვევით ეწერა: „ყველას თავის წილ“.

— გუტ შოონ, შოონ!

ისაკა იმას ეღიროსა, „შრომა“ დაუფასდა და იმის ბიჭი იყო ვინმეს ვალში დარჩენოდა? საზრიანობა-გამოგონებაში პატრონსაც კი გადააჭარბა და არხებზე გადებული, გაყინული ბოგირების ქვეშაც ყვინთვით გადიოდა. ხილქვეშ ერთხანს კი შეუყოვნებოდა, მაგრამ მეორე მხარეზე რომ გაუტევედა და განარავდა, ზედამხედველებს კი არა, ტყვეებსაც აოცებდა. ასეთ დროს, რა თქმა უნდა, შავ სათვალეს იხსნიდა, მაგრამ სახეზე შელესილ თოვლს არასოდეს იცილებდა. თმის ღერებიდან ფეხსაცმლის ჰეინტებამდე გაბუმბლული ისევ შვაეში და მიწაში ჩასაძრომს ეძებდა.

— ეს ბოგირებში ძრომა რაღას და იმატო?! — ბაყურმა რომ ჰკითხა, ისაკამ მასაც ურჩია:

— ვაიმე, დაგენაცვლე, შენც ქენი, რა ჯობია! ხილქვეშ სულს ხომ მოითქვამ და, თუ გამოძრომას დააგვიანებ, წელში ვერაინ დაგკრავს! ცოდვა მაშინ ვიყავი, დაზამთრებამდე, სამართებელივით პირბასრ ღორღზე რომ გვახოხებდნენ.

გაზაფხულის პირზე, ჭერ კიდეე გაყინულ მიწაზე რომ ორმოების თხრა



დაიწყეს, ეს ნამდვილ ბედნიერებას უდრდა. ორმოს თბრი, ბარავ, თოხნი, რგავ, აშენებ... — კაცი ხარ. როგორადაც არ უნდა გიჭირდეს, როგორმე გაუძლებ, რაკი ადამიანურ შრომას ეწევი. ღორღზე კი არ დახოხავ ქვეწარმავალივით და თოვლში კი არ „ყვინთავ“ და „ცურავ“.

ადამიანი ბუნებით გლეხია, მუშა თუ ინტელიგენტი — ყველა მიწის შვილია, მიწასთან ჭიდლი — არსებობის ნიშანია. და ამდენად, ამ სულთმობრძავ მკვდრებში, შორეულ წინაპართა საქმემ სიცოცხლის ნაპერწკალიც კი დააბრუნა. სხვებისთვის ტოლი არც ისაკას დაუგდია. დაიკაიწა ძვალზე კან-შემპყნარი მკლავები, დაადგა ორმოს და პირჩლუნგი ბარი ურტყა და ურტყა. გულგაყინული მიწა ვითომ არაფერს ანებებდა, მაგრამ შამელაშვილის მუყაითობამ და თავგანწირვამ თავისი ქნა. ორმო ორმოა, ვერც სიგანეს დააყლებ, ვერც სიმაღლეს. ამან ისაკას ფანტაზიას ფრთები დააკვეცა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო უბედურება. ცოდვა მაშინ დატრიალდა და ნამდვილად შეიშალა, როცა მთელი დღის ფრჩხილითა და კბილით ნათხარ-ამოკაწრული ორმო საღამოს პირწმინდად შეავსებინეს. მის გამოშრალ ძვლებიდან ამდენი ოფლი ადინეს და, ადამიანს ღორისთვის რომ არ უქნია, თავისი ნათხარ-ნაჩუჩქნი ხელკეტებით მოასწორებინეს.

— სარა! ვაიმე, მმარბავენი დანიელა, ცოცხლად მმარბავენ... — გოდებდა ტანჯული, თუ თვალს წუთით წადებდა. დღამდე ვერც თვითონ დადო თავი და ბაკურსაც თეთრად გაათენებინა. ხერხემალგადატეხილი ძაღლივით ყუფდა და წკაქწკაქებდა.

იღამესვე შეიცვალა ისაკა, ჩაიკეტა, ბოლმად იქცა და გამოლენჩდა. ისიც კი გადაწყვიტა, „აპელპლაცზე“, ამოკითხვის დროს, გავალ და ვიყვირებ, რომ ებრაელი ვარ და ბარემ ერთხელ და სამუდამოდ ჩემს გათახსირებას ბოლო მოეღოსო. ბაკურმა დაუშალა: არ გაინტერესებს კიდევ რა იქნება, სადამდე

მიდის ადამიანის მოსიერი უკლება და რა სასწაულებს ახდენს? *КОНУСУЛИ* — ვაიმე, ბაკურ, *შეშეგნევიმიქნე* „გენიოსი“ სჭირდებათ, ჩემი მოკლე ჰკუა ამდენს სად გაწვდება! — კი არ ლაპარაკობდა, კვნესოდა, ხახხავებდა, ყუფდა.

— როცა თავი გაანძრიე, შენი „აღმომჩენით“ ესენიც კი გააკვირვე. ნუ იჩქარებ, იქნებ შენი დროც დადგეს...

— ვაიმე, სარა! გათავდა ჩემი დრო და წუთისოფელი... — აღრავითარი რჩევა და შეგონება ისაკამ ყურად არ იღო. „აპელპლაცზე“, ბაკურის ხათრით, თავი არ გაუცია, მაგრამ მეორე დღეს ორმო არ მოთხარა. არაფერმა მუქარამ და გვემამ არ გაჭრა. საღამომდე გვერდები ისე ჩაუმტვრიეს, ტყვეებს რომ ბანაკამდე არ მიეთრიათ, იქვე, მინდორში დახვრეტდნენ. სიის ამოკითხვისას მის მაგივრად ბაკურმა უბასუხა და იღამესვე, ნეკნებჩამტვრეული, ლაზარეთში გადაიყვანეს.

მეორე საღამოს ბაკურს ვილაც ფრანგმა პატომარმა მოაკითხა. ჯერ გერმანულის რა მცოდნე იყო და, ახლა, ფრანგულისა რა გაეგო.

— ლაზარეთის სანიტარი ვარო. — მგონი ამას „უმტკიცებდა“ და ისაკამ წერილი გამომატანაო. ნამლევა ხეშეში ჭალადიც ხელში ეჭირა.

„ბაკურ, დაგენაცვლე, გადააბრუნე ეს წერილი და მეორე გვერდზე იმ შენი თარჯიშანი გერმანელის გვარი, სახელი და მისამართი დამიწერე, რომ მიყვებოდო, „ფილოსოფოსიო“...

— გერპარდტ მაიერი?! — წამოცდა ბაკურს და ფრანგს შეაჩერდა.

ფრანგმა მხრები აიწურა და აწრიალდა: დროზე ქენი, აქ, თქვენს ბარაკში რომ ნაცისტებმა მომისწრონ, ჩემს ცოდვაში ფეხს რატომ იღვამო.

— მე ვერ ვნახავ? — რატომღაც ქართულად ჰკითხა. ვითომ, რაკი ფრანგი ხარ, რუსული და გერმანული არ იცი, „გაუგებარი, ბარემ, ჩემი მშობლიური იყოს, იქნებ სიტყვას მეტი დამაჯერებლობა მიეცე და მიგახვედრო რა მინდაო. მაგრამ სანიტარმა თავი გა-

დაქნია და ქალაღდზე ანიშნა — ჩქარა უნდა წავიდეთ.

ბაკურმა მაიერის მისამართი, რა თქმა უნდა, იცოდა. იმოდენა ქვეყანაში ერთი „მოკეთე“ ჰყავდა და ვისში უნდა არეოდა, ან ვისი დაემახსოვრებინა, რომ დავეიწყა. ქართულად დაუწერა და ფრანგს შეეხვეწა:

— მე, მე — იხ. იქ, ლაზარეთში, ჰოსპიტალ, შენთან — დუ, დუ... შემიძლია მოვიდე? და ამის დამწერი ვნახო?

— ია, ია! — დაეთანხმა ფრანგი. — კარანტინ... ია, ია!

— აჰა, ჯერ კარანტინშია?

— ია, კარანტინ... — ქალაღდი ქუდში ჩაიდო, ხელი აწია და ოდნავ დაუქნია — „მუსიე“!

— მუსიე, მუსიე!.. — დაემშვიდობა ბაკური. ეს ერთი სიტყვა ხომ ვიცოდი და რატომ მაშინვე ამით არ მივმართე, კაცმა ამდენი ვააკეთა, ამ ბარაკების ჯოჯოხეთში მეძებო.

ვის რად უნდოდა გერპარდტ მაიერის მისამართი? თუ ისაკასთვის იმ კაცის თაობაზე უთქვამს, იმიტომ, რომ ბანაყის არაადამიანურმა რეჟიმმა რომ გერმანელები კაციკამიებად აქცია, მთელ ქვეყანას არ უნდა დაბრალებსო. ამით, ვითომ, შეგობარსაც იმედს უჩენდა და თავის თავსაც... მაგრამ რა იმედზე შეიძლება ოღონდ ლაპარაკი ან რა აზრი ჰქონდა — საღლაკ იქნებოდა ადამიანი და მოაზროვნე თუ არა, როცა ეს ჯოჯოხეთის მანქანა ყველას და ყველაფერს ერთმანეთს ამგვანებს და ერთნაირად ასწორებს მიწასთან. პირიქით, იქნებ ასეთ დროს ჯალათად დაბადებული სკობს: გვემს, აწამებს თუ ხოცავს, ბარემ მოწოდებით აკეთოს, რომ თვითონაც სინდისის ქენჯნამ არ ტანჯოს — ქვეყანას ერთი უბედურით ნაკლები მაინც ეყოლება.

ისაკას იქაურობისა არაფერი სჯეროდა. მისი ეროვნება ამ ქვეყანაში ყველას შიშის ზარს სცემდა, და ეგონა, მაშინვე ყველა მზად იყო იქვე მოესპო. ამიტომ იყო, ალბათ, ბაკური რომ უჩიჩინებდა: — შე უბედურო, ბანა-

ყების მეტი არაფერი გინდავს, მე ამით შორისაც შემხვედრია ვინაღაცა, საერთო რომ მომეყცა. იმისთახებინთვის ქრისტიანი, ებრაელი და მაჰმადიანი ერთია, იგი შენზეც ისევე იზრუნებდა, როგორც ჩემზე. კიდევ მეტს გეტყვი, თავისიანებისგან არ გამოგარჩევს.

— ვაიმე, ბაკურ, ძალიდან ნუ გამომარჩევს და ჩემს ბედს ძალი არ დაჰყვებს!.. ყველა ერთნაირად რამ გააცოფა, აზრიანი არავინა ჰყავთ, რაღაცა რომ ჰკითხოვნი!

— თუ გერმანელს მოაზროვნე არ ჰყოლია, მაშინ ჰყუა აღარავის მოეკითხება! — უხსნიდა, არიგებდა ბაკური, მაგრამ „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“, ქუთაისის ფართლელის ფარდულის დახლიდარი ბიჭი გერმანულ ხელოვნებასა და ფილოსოფიას რა თავში იხლიდა, როცა საკუთარი თვლით ხედავდა, მის რჯულს გონიერიც და რეგვენიც მუსრს ავლებდა.

იქნებ ბაკურმა ისაკას გულისთვის იმაზე მეტი თქვა, ვინემ გერპარდტ მაიერმა მართლა გაუკეთა, მაგრამ, როცა გინდა სასოწარკვეთილი ამ ქვეყნისკენ მოახედო, თუ რაიმე წამალი გეგულეება, შეიძლება იმაზე დიდი დოზითაც მისცე, ვინემ საჭიროა და, ისიც შეიძლება, რითაც მის ხსნას აპირებ, იმიოთვე დალუპო.

III

ვაგონის დერეფნის კედლებზე მისრესილი ხნიერი, ნაავადმყოფარი და ხეიბარი ტყვეები ვაგონის საფერფლეებს ხელისგულზე იპირქვავებდნენ და პაპიროსის ჩასრესილ ნაშფავებს ტამბურში ინაწილებდნენ. თამბაქოს ნარჩენებს იქვე, გაზეთის ნაგლეჯში ახვევდნენ, ეწეოდნენ და ნაფაზის ფილტვებიდან გამოშვება ენაშობოდათ.

მატარებელმა თითქოს სვლას უკლო, რომ კუბიდან ფელდფებელმა გამოყო ნამძინარევი, გაბურქმული თავი და ცხვირზე აფარებულ ქალაღდებში ბაკურის ნომერთან ერთად გვარის ამო-



კობეაც სცადა, მაგრამ დერეფნის უღიმამო სინათლეზე ვერაფერს ვახდა.

— გაეშადა, ღორო, პატარა სადგურია... შენთვის არავის ცალია... თუმცა რატომ... ვილაც მაიერს მოუცლია... როგორ აირია ყველაფერი... რატომ შენც იქ არა, სადაც სხვა?... —

— არ ვიცი, ბატონო ფელდფებელო.

— აბა, ვინ იცის, ღორო!

— ვინც იცის... მე კი არა, თქვენც... — „თვალი არ მიგიწვდებო“ უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამდენი გერმანულის ცოდნა მეტისმეტი იყო და ვაგონის ჰერს უიმედოდ შეაჩერდა.

— რაო, იქ... მალა... კომუნისტი ვინმე გეგულებო?

ტყვემ მხრები აიწურა. გერმანულად ვერც იმის თქმას შეძლებდა: კეთილისმსურველი არავინ, მაგრამ ვინც სადაც მგზავნის და ახალ სეირს მომზადებს, მასეთი ვინმე კიო.

— ყეყეჩი... თუმცა, რა შენი საქმეა. ვინმე უნდა დაგხვდეს და ვინც იქნება, კისერმოლრეცილო, ეს დაიტოვოს... ამას კი ხელი მოაწეროს და ამომაწოდე!

— დიახ, ბატონო...

— აქ ჩავდივართ? — დაინტერესდა დერეფნის კედელს აწებებული, გამსლელი კოჭლი ტყვე.

— სხვა ჯერ არა, ღორებო, მანდ დაეტეით!

პატარა, ბნელი სადგურის ბაქანი ცარიელი ჩანდა. დამხედური, ალბათ, ის ქურქში გახვეული არსება უნდა ყოფილიყო, რომელიც ზუსტად იმ ვაგონის კიბესთან იდგა, საიდანაც ბაკური ბეტონის ქვაფენილზე ჩაფხობილდა.

— მაიერ! — გადმოსძახა ტამბურიდან ფელდფებელმა.

— მაიერ, მაიერ! — გაეპასუხა ქვევიდან დამხედური ხლიჩინა, დაბოხებული ქალის ხმით და ბაქანზე წაბორძიკებულ ბაკურს მხარში წაეტანა, ფეხზე მარჯვედ დააყენა.

— ხელი მოაწერეთ, მაიერ, ხელი, ხელი! — ფელდფებელმა ზევიდან ფარანი ჩამოანათა და სანამ ბაკურის მი-

წოდებულ ქალადებზე დაძმულებდა, დამხედურს სახეში დატრუნუნდა.

— ეშმაკმა დალაგებდა მისი მჭრელი თმები თბილ ბეწვის ქულში შუბლთან ცერით შეიტენა. გაჯავრდა: — თუ თვალეები დამთხარეთ, რა უნდა მოვაწერო!

ფელდფებელს, ისედაც ძილ-მღვიძარეს, ქალის ფართოყვრილობებიანმა, დაჭორფლილმა სახემ და კროლა თვალეების შუა ჩაგოზილმა ცხვირმა ყოველგვარი ინტერესი გაუქრო და ჩაიღრინა:

— მოაწერე, მოაწერე! — და მერე ცალყბად დაუმატა, — კაცი გაწყდა?!

— ვინაა ეს რეკვენი,... რომ გაწყდა, არაფერი გაუგია? — და ქალადი თავს ზევით უკმეხად ორი თითით ააწოდა.

მატარებელი დაძრული არ იყო. „სტუმარს“ ისევ მხარში დაავლო ხელი, ქვაფენილიდან გადაიყვანა, სადგურის გვერდზე, მთვარის მერთალი შუქით ძლივს განათებულ სილიან წყალ-ტალახში წააჩიჭიქა ფელდფებელზე დაბოღმილმა:

— ვინაა ეს დამთხვეული, სალახანა!.. (ბაკურმა „დამთხვეული“ და „სალახანა“ გერმანულად ვერ გაიგო, მაგრამ გუმანით იგრძნო, რაღაც ამდაგვარს რომ გულისხმობდა) კაცი რომ არ გაეწყვიტათ, ეს სიკვდილის მოციქული ვის რაში სჭირდებოდა...

ტოტებდაღვერილი ნაძვის ძირში ორთვალა იდგა, რომელსაც დასაკეცი სახურავი ჰქონდა გადმონურული. ქალმა ტყვე ზედ საფეხურთან მიაყენა:

— ახვალ და მე უნდა აგსვია!

ბაკურმა მხრები აიჩინა.

— გამიჩინა საქმე... სულელი მამაჩემი!..

— ფროილიან გრეტა?! — მისდა უნებურად, უფრო ამ ახალი „სანახაობით“ გაოცებულს წამოსცდა, ვინემ რაიმეს თქმას ან გაცნობას აპირებდა.

— გრეტა, გრეტა!.. თქვენს ხელში გაწამებული და ჯვარცმული... ბაკურს ეგონა, ან მე ვერ გავიგე, ან

თვითონ შეეშალაო, რაკი ორივე ხელა-
გდა, ვინ ვის ხელში იყო.

— აღო, აღო! — შეუძახა და სანამ
ბაკური საფეხურს იმოვიდა და ზედ
აყოღვილდებოდა, გრეტამ იღლებში
ხელები ამოსდო და ორთვალას მონჯლ-
რეულ სავარძელში ისე აღმოჩნდა, მა-
შინვე ირწმუნა: ასე გაძვალტყავებუ-
ლის კი არა, ამ ფროილიანს ომამდეც
არ გაუჭირდებოდა ჩემი ხელში აყვა-
ნაო.

ქალმა ნაძვის ძირზე გამობმული აღ-
ვირი ახსნა, გრძელი ღვედები ცხენს
ზურგზე შეაყარა და იქითა მხრიდან,
თითქოს მთლად უსაფეხუროდ ამოხ-
ტა. ისედაც ძვალმსხვილმა, ქურქში გა-
ხვეულმა ქალმა ორკაციანი სავარძელი
თვითონ დაიჭირა და კოფოზე ჩაიკდე-
ბული მათრახი თასმით ხელზე ჩამოი-
ცვა.

— ნუ, ნუ! — შეუღრინა და ნაძვის
ტოტებში თავგაყოფილ ცხენს უკან
დაახვეინა, აღვირით ცალ მხარეზე მი-
ხედა და ძალუმაღ გადაუჭირა, აკოჭ-
ლებული ბრგე პირუტყვი ადგილიდან
მოწყურტა. ნოტიო, ცივ-ბურუსიანმა
ქარმა მოუბერა და ბაკურს დაშაშრული
სახე აუწვია.

გრეტამ საზურგის იქიდან ცალი ხე-
ლით ტყაუტყვი გადმოათრია, გაშლილ
მუხლებზე გადაიღო და ნაწილი აძიგ-
ძიგებულ თანამგზავს ფეხებზე წააფა-
რა. მერე ჯიბიდან მუქით ქაღალდში
შეხვეული რალაც ამოგლიჯა და ხელე-
ბში მიაჩეჩა.

— მაშაჩემმა გამოგიგზავნა, ქამე...
იქნებ სახლამდე მაინც სული არ გაა-
ცხო!

ბუტერბროდი იყო — პურისა და
მსუბუქი ღორის შაშხის ნაჭერი.

ცხენი ძლავუნით გარბოდა და კოჭ-
ლობისა თანდათან აღარაფერი ეტყო-
ბოდა. გზას გზა აღარ ეთქმოდა, რაკი
რეზინის ბორბლებსაც კი ბრიგინი გა-
უდიოდა და რესორები ძარას უხეშად
ანჯღრევდა. შიშხათი ქარი თანდათან
ძვლებში ატანდა.

ქალმა მუხლებში თავისი ქურქის კა-

ლოები ჩაიტენა და ტყაუტყვი ქვევით
დაუშვა.

— ჰა, კარგად წაიჭმე, ჩემო...
სამხრეთი ხომ არ გგონია...

ბაკურმა ხელი ტყაუტყვის ქვეშ შეაძ-
ვრინა, რომ თავისკენ მოეწია, კოჭებსა
და წვივებს არ დაეძებდა, მუხლებს
ზევით მაინც არ გათოშლიყო. ამ
დროს ბორბალი ზედიზედ ორმოებში
ჩაეხეთქა და ორთვალა გადაიფერდა.
ტყვე ქალს მიასკდა და იდაყვით მის
მენჯს დაეყრდნო.

— მწე! ვერ არ გამიცენია და ხე-
ლის ფათური კი დამიწყო... ვითომ
სული არ უდგას და ეს რომ გაძლება,
რას იზამს!

ბაკურს თავი როგორ ემართლებინა,
როცა ორივემ იცოდა, ქურქში გახვე-
ული ქალის მენჯისთვის მკლავით „ფა-
თური“ გულშიც არ გაუვლია, მაგრამ
ამის თქმა ისევე არ შეიძლებოდა, რო-
გორც იმის მტკიცება, რომ ახლა ლა-
მეა.

— როგორ გააფუტა და გააოხრა ომ-
მა აღამანი! — გულისტკივილით „გა-
ამართლა“ ქალების მოყვარული სტუ-
მარი თუ ცილისწამებისტვის მოიბო-
დიშა, უდანაშაულო ცხენს გადაუჭირა.
— და ჩვენ, ქალებმა, ისე დაეკარგეთ
თავმოყვარეობა, ხელს რომ წაგვავლე-
ბენ, სახეში კი არ ვთბლიშავთ... მაშა-
ჩემისა და შენი „ფილოსოფია“ კი არა,
ომი ესაა! დამახინჯდით და დაგვამახინ-
ჯეთ... დაკარგეთ რაინდული, ამაღლე-
ბული... დამდაბლდით და დაგვამდაბ-
ლეთ... შენ რა, მართლა გესმის გერმა-
ნული თუ მე ტყუილად ვუბელობ?

ახლა დაშენჯება არაფრით არ იქნე-
ბოდა. ბაკურს ასეთი კეთილგანწყობი-
ლება ხელოდან არ უნდა გაეშვა, მაგ-
რამ ამ ჭანღონით საესე ქალს რომ
ისევე „ხელისფათური“ მოეთხოვა და
რაიმე მოესურვებინა, ცალი მკლავის
მოხვევითაც სულს წიწილივით ამოხ-
დიდა. არადა, კარგი სათავლესიერო კი
იქნებოდა, ბაბალასავით რომ გაიწყლი-
ტებოდა ამ გახვითქინებული ფროი-
ლიანის ხელში.

— შენ რა, იმ საკონცენტრაციო ბა-



ნაკში ენაც ამოგაჭრეს? — კიდეც რის ამოჭრას გულისხმობდა, ვინ იცის, მაგრამ ამის ცოდნას, რა თქმა უნდა, არცოდნა ბევრად სჯობდა.

— მე ისე კარგად ვერ ვლაპარაკობ.

— აბა, იმ ჩერჩეტმა მამაჩემმა!

— მესმის რას მეუბნებით, მესმის...

მაგრამ მამათქვენმა რუსული კარგად იცის.

— ეჰ, რაღა იცის... — უმცრად გული ჩაწყდა. ასეთი მგრძობიარობა და სენტიმენტალობა, თითქოს, ისევე მოულოდნელი იყო, როგორც ბაქურისთვის „ხელისფათურის“ დაბრალება.

— კარგად იყო!..

— მერე ხომ ფრონტზე უკრეს თავი და ფეხი დაკარგა... თითქმის ხელიც...

— ფეხიც და ხელიც!..

— პო. ორი თითი შერჩა და ამ ზამთარში მკლავიც მოიტეხა, ყავარჯნებზე დგომაც აღარ შეუძლია.

— ხელი მოურჩება.

— დრო უნდა...

რაღაცა თანაგრძობა უნდა გამოეთქვა, მაგრამ სიტყვები ხომ უნდოდა. ამასობაში ორმოციდან მოკირწყლულ გზიდანაც მოულოდნელად გადაუხვიეს. ბაქური თანამგზავრს ზედისზედ მიაწყდა და რომ ეგონა, ახლა ჩახუტებას დასაბრალებლს, გრეტას ამჯერად აინუნში არ ჩაუგდია.

— კარგი კაცია გერპარდტ მიერი...

— ვითომ, ვწუხვარ და მებრალებაო, თუ რაღაც ამგვარის თქმა მოინდომა, რომ კეთილგანწყობილება არ გაეფუჭებინა, თორემ ომში ფეხისა და თითების დაკარგვა ვილას უკვირდა, ან ამისთვის რა სამშობლო უნდა ეთქვა.

— კარგი კაცი იცით თქვენ?! — ცხენი წყალ-ტალახიან გზაზე ნაბიჯზე გადავიდა და აღარც პატრონს მოუნდომებია მისი გამათრახება.

— ჩვენ?! — ესლა ჰკითხა, ვითომ მე რომელი „არამცოდნე“ და „მცოდნე“ მნახო.

— თქვენ, თქვენ, ჯარისკაცებმა. აიღებთ ხელში თოფს და ისვრით. არც კარგი იცით და არც ცუდი, არც ქალი და არც ბავშვი!..

— ქალი კი, მაგრამ...

— „კი, მაგრამ“, პისტოლეტით მოიყვანთ ტყეში და ახლთ ნაშენს!.. — გრეტა ისევე აღშფოთდა და ბაქური დაიზაფრა, ღმერთი არ გაუწურეს, შური ჩემზე არ იძიოსო და მამამისისადმი გულისხმიერება მოიშველია.

— მამათქვენმა ქალიც იცის, კაციც, ავიცა და კარგიც... — ნოო! — აღვირს დაქაჩა და ცხენმა სვლას უკლო. — ხილია გაოხრებული... ნოო, შე უბედურო, ნოო!..

„პირუტყვზეც გული შესტკივა, ეტყობა, ისე გაბოროტებული არაა, არ დამინდოს. თითქოს საჭმეც იცის... მშვენივრად მართავს... თუ, მე რომ ცხენისა არაფერი გამეგება...“

— თქვენ სამედიცინო დაამთავრეთ?.. თუ ექიმიც ასეთი კარგი ხართ, როგორც მეურნე, დაუჯერებელია. — ვითომ, რაღაც უპბილო ქათინაური მოინდომა.

— არა, არა და არა! გამომრიცხეს, როგორც არაკეთილსაიმედო და „გერმანელ ქალთა კავშირიდანაც“ გამომაძევეს... რომ დამემთავრებინა, აქ, შენს გვერდით დამსვამდნენ?!. სადაც მამაჩემის ხელ-ფეხი დარჩა, იქ ვეგდებოდი... მიმიფურთხებია თქვენი ომისთვის, თქვენ რად გინდათ მედიცინა და გადარჩენა... მედიცინა ადამიანებისთვისაა და არა მხეცებისთვის. მკვლეელი უნდა განკურნო, რომ კიდეც მოკლას?!. მკურნალი ავადმყოფისთვისაა... ერთმანეთს ტყვიას უშენთ და მერე წამლობთ? არც ერთს არ გჭირდებათ თქვენ ექიმი... „გერმანელ ქალიშვილთა კავშირშიც“ ასე ვთქვი: იქნებ ქალებმა მაინც ამოვიღოთ ხმა-მეთქი და ისევე ჩვენი კავშირის წევრებმა დამასმინეს: სამშობლოს, ფიურერისა და იმპერიის ლალატი და ძირის გამოთხრა დასაბრალეს... მე ექიმი ვარ, ჩემი მოვალეობა სიცოცხლის გადარჩენაა და არა კაცისკვლა-მეთქი. თურმე, სამშობლოსა და ფიურერის ერთგულება ყოფილა ადამიანების ზოცვა და არა ადამიანის სიყვარული... მიმიფურთხებია მაგისტანა

სამშობლოსათვის, ფიურერისა და იმპერიისათვის...

— ამისათვის, ფროილიან, ხომ შეიძლება ისევ გისაყვედურონ?

— რა უნდა მიქნან, საპატიმროებში და ბანაკებში ადგილი აღარა აქვთ. აგერ, ტყვეების დახოცვისა და დაწვას რომ ვერ აღდიან, გაპარტახებულ, დანგრეულ მეურნეობებში გვიგზავნიან, რომ შიმშილით სული არ გაგვეძვრეს... შენ გგონია ჩვენზე ან თქვენზე ზრუნავენ ან გულჩვილი გახდნენ? მართლა ქვეყანას, სამშობლოს რა ეშველება, თორემ, მაგათ რაც დაემართებათ... ნოო! — ცხენი შეაჩერა და ორთვალიდან ხელის ერთი დაკვრით გადაბტა, ხელნის და ცალულის გასაჭერი თასმა ისე მაგრად გამოკრა, ორთვალი ზედიზედ შეატოკა. ისევ მაღლა ამოხტა და სანამ დაქდებოდა, მათრახი მანამდე უშხვილდა. — ვითომ, ჩემი არაფრის მაქნისი დაია მომეხმარა, რომ არ დამიჭირეს. ნეტავ ვინ ნახა მისი გაყვებულნი...

— თქვენი დაია სწავლობს?

— სულელი, ვითომ სწავლობს და ისევ იმედი აქვს, რომ გავიმარჯვებთ.

— თქვენ არა?

— ღმერთმა დამიფაროს, თორემ ომებს ბოლო არ მოელება. გერმანიაში კაცი კი არა, ქალიც გადაშენდება...

IV

გერპარდტ მაიერი შავად შეღებილ კედლის ღუმელს ღია კართან უქდა. ხამგადარულ სავარძელს ლაკი ატკეჩია, რომელსაც, ერთ დროს, უსათუოდ ხვევრდის საპირე ამშვენებდა. ცალ მუხლზე საქსოვი დახლი თუ ჯემპარი ედო და ცალფეხას, არტაშანიში ხელგაკრულს, რაკი წამოდგომა არ შეეძლო, კალთიდან არც საქსოვი მოუცილებია.

ფრანუ მაიერი მრგვალ, ღინღლით გატენილ პუფზე დაკუნცებულიყო. გრძელი, თალხი კაბიდან ხმელი მუხლები ამოეჩარა და ზედ გადაცმულ შალის ძაფის შულოს შორგვად ახვევდა.

ფანჯრები, რალა თქმა უნდა, როგორც მთელ გერმანიაში, დაგულოდ დაეგმანათ. უმსხუნველეს მოსულს თუ მოეჩვენებოდა ოთახი განათებული, თორემ ელექტროენერგია სამყოფი არ უნდა ყოფილიყო, რაკი გერპარდტს ფეხიანი ლამპა ღუმელის გვერდით, კედელზე მიემავრებია, რომ ხელსაქმე უკეთესად დაენახა.

შალითაგადაკრულ დივანზე მოხუცი თვლემდა, წვერი ბრტყლადწათლილ სოლს უგავდა, მოოქროვილი პენსნე გულზე ეკიდა. გრეტასა და ბაკურის შესვლა არ გაუგია თუ მისთვის „ფიზიკური გაგება“ არ არსებობდა, თვლები არ გაუხელია. ისე ღრმა მოხუცი არ ჩანდა, სიბერით დაყრუებულყო და დაბრმავებულყო. არც ფრანუ მაიერს შეუებერტყავს ყური, ძაფის გორგალს გულისყურით ახვევდა და ჩაცვინილი ლოყებიდან წინ წამოჩრილი ნიკაპის ქვეშ მჭლე ღაბაბი უთრთოდა.

გერპარდტ მაიერს, ღუმელის ღია კარიდან ნაკვევრცხლის ათინათით თუ სიხარულით, ცისფერი თვალები აუღვარდა და „სტუმრის“ შესახველად სალი მარცხენა ხელი აღმართა.

— აი, როგორ ყველაფერი იწინასწარმეტყველე, ჩემო... — სახელი და გვარი ვეღარ თქვა. თავის სახლში ბაკურის ასე, ყოვლად დაუჯერებელ ხიზნობას იმდენად შეუძლებლად თვლიდა, საამისოდ ენა აღარ მოუბრუნდა.

ბაკურმა მაღლა აღმართულ მკლავში ორივე ხელი წაავლო და, კისერმოღრეცილი, თავის კანტურს მოკვეჭა. ფრანუ მაიერსაც თავი დაუქრა, რომელსაც პასუხად, მორგვიანი ხელები მუხლებზე, გადაჭიმულ შულოზე დაუცვივდა და გულგრილად მიაშტერდა. ისღა თუ უკვირდა, ზოლებიანი ტანსაცმელი და ხის ქოშები რატომ არ აცვიოა. ბაკურის დათხვრილი ბათინკები, მუხლზე გაკერილი გალიფე და ისაკას მიერ თეთრი ძაფით დაღამბული მახარა უფრო საყურადღებოდ მიაჩნდა, ვინემ ასე ჩამომხმარი „სტუმრის“ მკედრის ღიმილი. თვითონაც კათანდარამ, ალბათ, საკონცენტრაციო ბანაკი-



დან მოვლენილის გაძვალტყავება შეუძლებლად არ მიიჩნია.

— ამა, შე არამზადა ჭარისკაცო, შენი „ფილოსოფოსი“ მტერ-მოყვარე! — გრეტა ქურქს იხდიდა და წარდგინება დაუგვიანდა.

— გრეტა, ანნა?.. — იკითხა დედამ და მორგვის გადახვევა განაგრძო, თითქოს, რა პასუხსაც მიიღებდა, სულ ერთი იყო.

— გავაცილე, რა თქმა უნდა, ამა, თქვენს „განათლებულ“ ქალიშვილს ღამით სადგურზე ჭარისკაცების საჯიჯგნად ხომ არ დაეტოვებდი.

— შვილო, ხომ იცი, მატარებლები... და ყველაფერი არეულ-ღარეულია, აღარც წესია და აღარც გრაფიკი. — გერპარდტმა, ალბათ, უფრო „სტუმრისთვის“ ახსნა საერთო ვითარება. ქალიშვილმა კი ეს უმისოდაც იცოდა და გაანჩხლდა:

— ეს ჩემთვის აირია, თორემ „მშვენიერი არსებისათვის“ ყველაფერი ისეა, როგორც იყო!.. ნერვები ამიშალა, კარგადაც წავუთაქე. ძირს უნდა გადაამგდო... გავაცილე და მერე ამ შენს „ფილოსოფოსს“ ველოდე და ვატარე ახუტებული! — „სტუმარს“ სკამი გადმოუდგა, ზედ დასვა და მამას თვალეში ჩააჩერდა. — ახლა ეს შენი „მეგობარი“ ცხენის გამოსახსნელად და თავლაში დასაბმელად მომეხმარება? — ჩააკითხა ბრანზიანი ჭიბრით და დაუმატა. — თუ, დილაზე ველარ გააღწევს და ჩემი დასამარხავი გახდება? — გატრიალდა და დაბალყელიანი, მამაკაცის ჩექმებით იჭაურობა კინალამ ყაზარმად აქცია. კარი გამოგლიჯა და დაიტატანა: — ვინძლო, ლაპარაკით ერთმანეთს სული არ ამოჰხადოთ!

— „წინასწარმეტყველმა“ უკეთესად იცის რა ელოდება... — გერპარდტმა, გრეტა რომ გაიგულა, მხნეობა დაიბრუნა და ბაკურს ხელით ანიშნა მიახლოებოდა. — მაგრამ, რაც გვირს, ამაზე უარესი... აჰ, ჰერ ბაკურ, იქნება?

— მაგრამ, სხვანიარად რომ არ შეიძლება?.. — ბაკურმა რუსულად უპა-

სუხა, თითქოს ერთ დროს დაწყებულ საუბარს აგრძელებდნენ.

— უარესი უარესი... — უარესი თუ „უკეთესი“... გაგრძელება, განვითარება...

— თუმცა ჰო, აი, მე, რაც მაშინ მჭირდა, დღეს სანატრელი მაქვს. — რუსულადვე უპასუხა, რაკი გაახსენდა, რომ შეეძლოთ ისე ესაუბრაოთ, სხვებისვის გაუგებარი ყოფილიყო. ალბათ, გრეტას გულისხმობდა, თორემ ფრაუ მაიერი მშობლიურ ენაზეც არაფრის მომსმენი და, მით უმეტეს, არაფრის გამგები ჩანდა. ის ძაფის გორგალი მთელ გერმანულ ფილოსოფიას ერჩია...

დღევანზე მთელმარე მოხუცი უცხო ენაზე ნათქამმა უფრო „დააინტერესა“, დაღლილი ხელით სათვალე ცხვირზე წამოიკცა, მინებს ზევით გადმოიხედა და ესლა იკითხა:

— მოხდა სასწაული?.. ყველაფერი რიგზეა?..

— ყველაფერი, ბიძია პაულ, ყველაფერი... — კმაყოფილი მასპინძელი თავს აკანტურებდა და თვალეში ნაკვერცხლების ათინათი ისევ უბრწყინავდა.

— მაღლობა ღმერთს... — ჩაიბუტბუტა მოხუცმა და სათვალე ისევ გულზე დაეკიდა.

ღმერთის გაგონებაზე ფრაუ მაიერი ჩიფჩიფით ლოცვას მოჰყვა. ისე, რომ ძაფის ამოხვევა არ შეუწყვეტია.

— ფრაუ ლიზა... — მიუბრუნდა ცოლს გერპარდტი, მაგრამ მაშინვე თავი სინანულით გაიქნია, ბაკურს აუხსნა: — სანამ არ ამოახვევს, არაფერს დამიჯერებს. ეს კარგა ხანია ასე სჭირს. ბალტიის ზღვის საპორტო ქალაქში უშვილძირო ბიძა ჰყავდა; მე რომ იქ, „თქვენთან“ ვიყავი, ინგლისელებმა დაბომბეს, მეგვიდრეობაც დაკარგა, ბიძაც და ჰეჟაუც... როგორ იტყვი, კიდე უარესი ელოდება?

ბაკურმა მხრები აიჩნია, „ისე, სანატრესო არ იქნებაო“, ველარ თქვა და ვითომ იმედი მისცა:

— ვინც ყველაფერი დაკარგა... — ჩვენ ხომ ვიცით... და, მგონი,

ალარც ალარაფერი გვიყვარს. — შეახსენა მაიერმა.

— დიახ, მაგრამ... თუ ჰკუა...

— დაკარგა, დაკარგა!.. — გაათამამა მასპინძელმა; ამით, თითქოს, თავსაც კი იმშვიდებდა, რომ მის ოჯახს სხვა უბედურება აღარ უნდა სწვეოდა.

— ჩვენც რომ ასე დაგვემართოდა...

— დიახ, ჩვენც რომ შევშლილიყავით, ახლა, ალბათ, დიდი ნუგეში იქნებოდა...

— ახლაც და ყოველთვის... მაშინ რაიმეს ჩვენც დავიჭერებდით და რაიმეს რწმენა ჩვენც გვექნებოდა.

გრეტამ კარები შემოგლიჯა.

— ...ცეცხლა, ცეცხლი! — ხმამაღლა ჩაილაპარაკა მაიერმა გერმანულად, თითქოს მანამდეც გრეტაზე საუბრობდნენ.

ერთადერთი, გააკეხული ქალიშვილის ბელებს შეჩერებულ ხეობარ მამას ესლა რჩებოდა — შვილისთვის გუნდრუკი ეკმია, რომ ისედაც დაქცეული ოჯახი თავზე არ დაშობოდა. ამჯერად ბაკურიც გრეტას ტყვე იყო და ხარკი მასაც უნდა გაეღო, მაგრამ ისეთი რა მოესაზრებინა და გერმანულად როგორ ეთქვა, რომ არც ჰქვიანი მამის წინაშე ყოფილიყო უხერხული და არც ქალიშვილისთვის საჩოთირო. გუგუტას თარგზე მოჭრილი ბაკურისათვის იდეალი-ქალი ყოველად საპირისპირო საწყაროს გულისხმობდა და, ამდენად, გრეტა ამაზრუნეიც კი ჩანდა. საქაპანო ცხენივით ძლიერი, უხეში და მათრახივით მკაცრი — მტკიცეული. ალბათ, ასევე შიშველენებიანი და დღევანდელიობასავით ტლანჭი და ურჯუკი, თუმცა თამარივით ცხოვრების მკოდნე, მაგრამ ხმალივით შემართული, უბედურის განკითხვა შეეძლო და არა შებრალებდა.

— არამზადებო, არაფერს ჩაბეთქავთ? — იკითხა მაინც ქალის ხმით, როცა ჩექმები კართან გაიძრო და აივანში გაყარა. ჭუსლჩათელილ, მამისეულ ქლანებში ღონიერი, ფართე ტერფები რომ ვერ შეატიო, კედელს სათი-

თოდ, დაბეგვილი ჰქვინათ შიარტყა და მოიზგო.

— ყველაფერს, ჩემს მშენებელს, ლაფერს, ჩემო სულის ჩამდგმელო... — რალაც ქათინაური ბაკურსაც უნდოდა დაემატებინა, მაგრამ წელან რომ ენა არ მოუბრუნდა, შვილის მაჭებარ მამას სიტყვა ვერც ახლა დააწია, ამან მაიერიც შებოჭა.

— ღმერთს, თითქოს, მთლიანად მაინც არ გაუმეტებინართ... — ესლა მოახერხა „სტუმარმა“ ისე, რომ არც ტყუილი ეთქვა და არც წყალწაღებულ მასპინძლისთვის წაერთმია ხავსზე ჩაჭიდების უფლება.

— ბედნიერი ვარ, რომ ქალიშვილების მამა ვარ...

— ჰო, ჩვენთან ამბობენ, ზოგი ჭირი მარგებელიაო.

— კარგად უთქვამთ. ხალხი ყველგან ხალხია... მადლობელი ვარ ღმერთის!.. — წამოიძახა გერპარდტმა, როცა გრეტამ, მართლაც წარმოუდგენლად ჩქარა, სამზარეულოდან ხუთი ფინჯანი ცხელი ყავა ერთად შემოიტანა. ასე უცებ, მოდულეებული რომ დაეხვედრებოდა, სხვა დასხმასა და გამოტანას ვერ მოასწრებდა.

ღმერთის ხსენებაზე ფრაუ ლიზა ისევ ლოცვას მოჰყვა; მაგრამ პერ პაული ყავის სუნმა ერთბაშად გამოათხიზლა და სათვალეს ზემოდან მაკჭერალი, სარქენად წამოსული ბებერი ვაცივით, პირდაპირ მაგიდისაკენ წაბაკუნდა.

ბაკურს ალარაფერი უნდოდა, ყველაფერი ნატერაზე მეტი იყო და შეეშინდა: ვაითუ, ამათი მასპინძლობა რომ მართლა შევიშნო, ხვალ თავი ისევ საკონცენტრაციო ბანაკში ამომავიფინონო! უარესის უარესი მაშინ უნდა გენახა. აგერ, სახლში, თბილ ღუმელთან, ადამიანებთან... და დაბრუნდე იქ, სადაც ყველა გზა კრემატორიუმისაკენ მიდის. სასწაული მოხდა, მაგრამ შეიძლება სასწაულმოქმედს გულბელდაკრეფილი მიენდო — ახლა ცხელი ყავა დალიო?

— მე ხომ გეახელით... — იუარა ბაკურმა, როცა ცალყავარჩინან გერ-



პარდტს მეორე მხარში შეუღლა და სუფრამდე მოაცილა.

— ყავა როდის მკახელი, რეგვენო ჯარისკაცო! გზაში ყავას ვინ მოგამაყვებდა...

„ბუტერბროდი რომ მომცა, ამით არ იციან. მამამისს, კიდეც კარგო, მადლობა არ ვუთხარი“.

— ღვინო ჩვენში — გერმანიაში — სამხრეთში მოდის. — კი არ მოიბოდიშა, იქაური მდგომარეობა ახსენა გერპარდტმა.

— ღვინო!.. — აღმოხდა პაულს და ბრტყელი სოლივით წვერი წინ წამოისროლა. — როგორ ტკაცუნებს სხეულში და მზის სხივებს აფრქვევს! სულ იქ მინდოდა მეცხოვრა, სადაც ღვინოს იწვევენ და კენკვსბერგში კი დავბერდრი. კანტის „ბარალია“ ყელაფერი, სულიერად ის მათობბდა, მაგრამ ახლა ღვინო უფრო მჭირდება. ღვინო ახალგაზრდობაა. ქალივით ცხელი და კოცონივით მტუხნეარე.

— ჩერჩეტო, ქალების მეტი რაა, შენ კაცი თქვი, თორემ... — თითქოს, რაღაც სათნოდ გაუჩავარდა მოხუცს გრეტა, რაც ერთსა და იმავე დროს მისგან შეუძლებელიც კი ჩანდა, მაგრამ ეს მკვრივი ცოშივით მოხედილი გოგო როგორღაც ახერხებდა.

— მაგრამ ღვინო?.. ჩემო ფარშავანგო, ჩემო იადონო?.. — ცმუკავდა მოხუცი.

— ჯანდაბას თქვენი თავი, არამზადებო!.. — მაგიდას ხელი ისე დაჰკრა, ყავის ფინჯნები შეხტა, მაგრამ არც ერთი არ წაქცეულა. ჯღანები კართან წაჰყარა, კვლავ ჩექმები მოირგო და კიბეზე ისე დაეშვა, სახლს ზრიალი აუტეხა.

— ყველაფერი იქნება... — გაიხარა გერპარდტმა და ბაქუსს კიდეც უფრო აცისფერებული თვალი ჩაუტკრა.

პაული ხელებს მსუნჯავი მზაკვარივით ასავსაევებდა და ისევ საბუხკაოდ შუბლ-მოღერილო, სათვალის ზემოთ „სტუმარს“ მოსჩერებოდა. მხოლოდ ახლავა მოინდომა მისი ხილვა, ვინც ეს „ბედნიერება“ აღირსა და ახალგაზრ-

დობა „დაუბრუნა“.

„ნუთუ მართლა ჩემთვის უნდა ღვინო?!" — შეკრთა მკვრივი.

ფრთხ ღვინო თავისი ფინჯანი წაიღო, გერპარდტის სავარძელი მიიჩოჩა, ზედ დაიდგა და ძვლები პუფზე დაჰყარა.

V

ნაშუალამევს უკვე სხვენის ოთახში იწვა. ნაკში, ნასვამი (ორი თლაშო წითელი ღვინო ეყო), დაბანილი, გერპარდტის ნაქონი, მაგრამ სუფთა საცვლებით შემოსილი. იქაურობა ქვევიდან ამომავალი ცხელი ღუმელის მსხვილი მილით კარგად იყო გამთბარი და ბაკერი — ღვინოსა და საბანში შეფუთვნილი. რა თქმა უნდა, ამის დაჭერება იმდენად შეიძლებოდა, რამდენადაც ცხვირპირიდან ძმრად და სისხლად უნდა წასდენოდა, მაგრამ ეს ერთი ღამე თუნდაც დილადაც რომ გაგრძელებულიყო, რამედ ღირდა.

ტყვეებსა და მონებს, ალბათ, მხოლოდ იმიტომ კი არ ამომიშლებდნენ და სტანჯავდნენ, რომ დამპყრობლებს სარჩო ყოველთვის უჭირდათ, ტუსალებს ხომ საქმისთვის იყენებდნენ და შავი პურის ნატეხი თითქოს ამიტომაც არ უნდა დანანებოდათ. ყოველი ლტოლვის საფასური ხომ ათჯერ და ასჯერ გაზრდიდა მათ შრომისუნარიანობას?

დამპყრობელი რომ სულელი იყოს და თავისი საქმე კარგად არ იცოდეს, ვერც ქვეყნების დარბევასა და დამონებას შესძლებდა. მან უკეთ იცის, რას აკეთებს და კაპიკის გამო მანეთს არ დაჰკარგავს. მით უმეტეს, ორმოს თუ გაათხრევიანებს — ნერგს დარგავს; ქვას და აგურს თუ გადააზიდვიანებს — ააშენებს; თუ დააბარევიანებს — დათესავს; მაგრამ, ეტყობა, დატყვევება და დამპყრობება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ძლეულის საბოლოოდ, სულიერად და თრგუნვას და დამპყრობლის ნებისად მართვას. მისი მორჩილება თვალთმაქცურია და, ამდენად, მასზე ბატონობაც მოჩვენებითი.

სულით უნდა დაიმონო და მერე ტყვეს მწყემსგავც არ უნდა, შენს ხელშია, ვერსად წავა. ეს კი თოფითა და ზარბაზნით არ ზერხდება. არც როზგითა და მათრახით. რამდენად გაუჭირვებ, იმდენად აიბხედრებ. სულის მოკვლა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ შეუძლებელი უნდა შეძლო და სულიერად გატეხო თუ გამოაშრო, გამოფიტო... სული უნდა ამოართვა, შინაგანად დაცალო და იმდენად ვააპირუტყვო, ჯაჭვი რომ ახსნა და გაუშვა, პატრონი არ გაახსენდეს და თავისი სახლი არ მოიძიოს. მწყემსგავც არ უნდა დასჭირდეს, მკლე ღორივით სამშობლოდ ის უნდა ექცეს, სადაც სალაფავს კი არა, ნებეს იშოვის.

ესაა, ალბათ, სრულფასოვანი დამონების, დაკაბალების რთული მეცნიერება და ბაკურსა და ისაკასავით ხეპრე მონებისათვის გაუგებარი. მტერმა ხე რომ თავის ეზოში დაგარგვევისოს და ამით ბედნიერებას გწიოს, ეს სანატრელ-საოცნებოდ უნდა გაგობადოს.

ტყვეები ბანაკებიდან ფაბრიკა-ქარხნებში და მამულებში სამუშაოდ თავიდან კი არ მიჰყავთ. ჯერ მათი „დამუშავება“ საჭირო და ვინც ამ საკონცენტრაციო „დამუშავებას“ არ ექვემდებარება ან ჭან-ლონე არ შესწევს, თანდათან იფილტრებიან, და ჩაუქრობლად ლულუნებს კრემატორიუმები. ეს თვეობით და წლობით გრძელდება, სანამ „მასალა“ ცხვრის ტყავივით მოქნილი და „ნაზი“ არ გახდება, სანამ, რა კალაპოტზეც არ გადააკვამ, იმის საპირედ არ იქცევა. ამის შემდეგ იგზავნიებიან მალაროებში და სწორედ იმ მადანს იღებენ, ადნობენ და იმ იარაღს ჰედავენ, რომელიც მათ წინააღმდეგ იყო და არის მიმართული. სანამ სული, გონი და აზრი გააჩნიათ, ამას არ ჩაიდენენ და, ეს სული და გონი რომ წაგერთმია, ამას სჭირდებოდა დრო, ისეთნაირი შიმშილობის და წყურვილის გამოგონება, ისეთი უძილობის, გვემისა და წამების მოფიქრება, რომ ხორცი შემოაცალოს და ძვლიდან და ტყავიდან ტვინის უჭრედებში შეიღწიოს,

დაავქეთოს, დააქცოს, დააქვინოს... როგორც თვითონაა, ტანბლინითა და უკის ტოლად გადაუტყვიოს. აზროვნება იმდენად გამოწვავლოს — ინსტინქტების ამარაღა დარჩეს.

ამის შემდეგ ხდება სასწაული! კაცი როცა თავისუფალია და ადამიანი ჰქვია, თუ დაფიქრდება, ცხოვრება მაშინაც არააობაა და ყოფა ყურგახვერტილ გროშად არა ღირს. იმის შემდეგ, როცა აზრს აცლიან, ტვინს უხმობენ და სულს ხდიან, იწყება ინსტინქტების გაცხოველება (რომელსაც მანამდე ჰქვია თრგუნაედა) და, რამდენად გაჭირვებული და გატანჯულია, იმდენადაა ჩაფრენილი სიციცხლეს. ლაფში ამოსვრალი შავი პურის ლექმისათვის სულს, რომ ჰქონდეს, არც დაფიქრდება, ისე მოგცემს.

ბაკურს ეს აღარ აყვირებდა, როგორც ამ „ვეოლუციის“ მკოდნესა და თავის ტყავზე და თავზე გადამტანს. მას, რომლის სულშიც გუგუტა ჩასახლდა და თამარისთვის სამოწყალოდაც ვერაფერი გაიმეტა, საკონცენტრაციო ბანაკის შემდეგ, ალბათ, ვრეტასთან წოლაც აღარ გაუჭირდებოდა. ამ ქალის მხრებზე იდგა ოჯახი: დედა, მამა, და, ბიძა, მტერი და მოყვარე. ტყვეც დააპურა, დაბანა, ჩააცვა, დააწვინა და დაათბუნა. საკაპანო ცხენივით ეწევა უღელს: იწევს ქერს, შერას, სარჩოს, და ჰკაცივით რომ დაგრილება მოინდომოს, თუ ამის ძალა შეგწევს, შენს თანხმობას არ დაუცდის. მით უმეტეს, თუ ყანას დაგახენეინებს, ხეს დაგარგვეკინებს ან კალოს გაგალეწინებს — ერთ დროს ეს ხომ შენი სურვილიც იყო — და თუ იმას გაზიარა, რაც გეწადა, შენც უნდა ეცადო — ისიც საწადელს სწიო.

შენ უკვე აღარც ღალატი შეგიძლია და აღარც ერთგულება. წავიდა ის დრო, ბანაკმა დაიტოვა, ვინც გიყვარდა ან გაძულდა. სიყვარულს, მტრობას, ერთგულებას უნარი, ძალა, ენერგია სჭირდება; ჰქვია, აზრი და გრძნობების ქონა. შენ უკვე ყოველწვე ამისაგან თავისუფალი ხარ და ვერც კი გაგიხსენე-



ბია, ამათი მქონებელი თვითონ იყავი თუ ვილაკის მონაყოლი ან წაყიბული გახსოვს. სხვისი გრძნობები და განცდები სხვისია და შენს ახლანდელ, მხოლოდ ცხოველურ ვნებებს სხვისი ზნეობით ვერ შებოჭავ. ახლა ისლა იცი, რომ გაძლომამდე გშია და ისე ხარ დაშინებული, დაპურებულსაც გშია. თუ ხელკეტებით არ გირტყამენ, ბედნიერი ხარ და ყოველნაირად ცდილობ ისეთი ნაბიჯი არ გადადგა, ეს ბედნიერება დაკარგო. ენა ისე არ მოატრიალო — ამოგჭრან. ცხელ ლოგინში, გახარზალებულს ქალს კი არა, ჯოჯოხეთის მამხალას დანებდები, ოღონდ თოვლში არ ჩაგაყვინთვიონ და ხილქვეშ ყინულზე ზოხვით ჰაერი არ იპარო, რაკი თოვლქვეშ ეს არ ხერხდება.

კრემატორიუმები, რაც ტყვეს სჭირს, იმაზე უარესი არაა. არაა, მაგრამ იმ მტუქსიტოლა გამომხმარი ჰკუთით იმას მაინც, რაც გჭირს, ეს გირჩევენია. ამას კი არ ასაბუთებ ან სჯი და ამიტომ კი არ მიდიხარ ამ დასკვნამდე. არა, ამის უნარი დაკარგული გაქვს და როგორც დანაგაყრილი ღორი გარბის თავის საშველად, ვითომ დღეს თუ გადაჩჩა, ხვალ ყელს არ გამოჭრიან, ან ოდესმე სხვანაირი დასასრული ელოდება — შენც ისევე ცდილობ დღეს გადაჩჩე, დღეს, დღეს, დღეს... ვითომ ხვალ არ ჩაძლდები და ხვალ დღევანდელზე უკეთესი დღე გათენდება.

„ღმერთსა შევედრებ, ნუთუ კვლად ამხნას სოფლისა შრომისა, ცაცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა შრომისა...“

VI

ბაკურისთვის, ალბათ, უარესის უარესიც ეს იყო და „მოსეირისთვისაც“ სათვალსეირო. იგი მტრის პურს ჰკამდა და ისევ ფროილიან გრეტას ხელებს იყო შეჩერებული. ქერის ყავას სვამდა, ალუბლის ნაყენს წრუპავდა და ნეყნებზე ხელებს ისვამდა, ხორცი რომ ებმე-

ბოდა, გამჭკნარი ბარძაყები ეცხვებოდა: რბილ სკამზე იჯდა, მიმხვრეულხელი ალარ უწყლულდებოდა. მისი მთელი საროდის დადგებოდა დრო, ამ პატრიკის საფასური გადაეხადა...

— აჰა, ეშმაკმა დალაზგროს, აიღებთ სიკვდილის იარაღს და ისვრით! — დანახაოდა თავზე გრეტა, როცა კისერგაღრეცილი ტყვე თავლაში თივას მიანიჭიჭებდა თუ ბოსლიდან ნაკელს მოათრევდა. კეტს, ლატანს, ფიცარს ხელს წამოავლებდა, თოფივით მოიმარჯვებდა, ბაკურს მიუღერებდა, ათუხთუხებოდა:

— ტრახ-ტახ-ტა-ტა!.. ვის ესვრით? თქვე უბედურო მონებო და საზარბაზნე ღორებო. ისევ თქვენისთანა ცხოველებს. მერე ზიხართ შენ და მამაჩემი და ფილოსოფოსობთ?.. უკვე დაგავრწყდათ, რომ კაცი გერქვათ? მამაკაცი! თქვენ, ჩვენი — ქალების ნახევარი ხართ და მეტი არაფერი.

— რა თქმა უნდა, ფროილიან გრეტა. — ტყვე ცხელი სალაფავით გრძელ გეჯას ავსებს. ღორები ესევიან და თქველუფენ. ბაკური თავზე ადგას. — დაგვავრწყდა, ფროილიან, ყველაფერი დაგვავრწყდა. — საწინააღმდეგო ახ სხვანაირი აზრი ალარ არსებობს, ყველაფერი მართალია, რასაც ეს ქალი ამბობს.

— რა მიწებსა და მამულებს ეძებთ, ღორი ღორს რაიმეს წაგლეჯს?! — და მართლაც, იქვე, ფეხებთან სარჩოს დახარბებული პირუტყვები დრუნჩითა და ეშვით ცდილობენ ერთმანეთს. პირიდან ლუკმა გამოგლიჯონ. არადა, აქ საკმეული ყველას სამყოფადაა.. საკლავი უნდა გასუქდეს და მის დამწვევასა და დამქლევებას პატრონი არ აპირებს.

— მართლაც, სულ ეს ყოფილა ცხოვრების ფილოსოფია. ჩვენ კიდევ სადღაც... — ბაკურმა აყემატებულ, მთქორავ ცას ახედა, — ღრუბლებში დავეძებდით.

— მე ეს სამედიცინო ინსტიტუტში ვისწავლე, როცა სხვადასხვა ეროვნების „ტიპთა“ ჩონჩხები შემოგვჩინდა და გვიხსნიდნენ, როგორ განსხვავდნენ...

საქმის წესი
განსხვავდნენ
სან, სან, რესპუბლიკა
გალიონთა

ბოდა მაღალი რასა დაბალისაგან. ამ დროს მე ყველას ვგავდი, გარდა ჩემი მაღალი რასისა.

— ვინ იყო ეს, თქვენი რასის თეორია რომ შექმნა, მერე თვითონვე აღარ მოერგო თავისივე მოგონილ სიგრძესიგანეს და თავი მოიკლა?..

— მაგისტანები ცოტა გყავს, გგონია? მაგრამ ფიურერმა — რალაუ-რალაუ ფილოსოფიებით რომ ვინიღბო, ყველა ღორი მაინც ვერ გაიგებსო და პირდაპირ, ურცხვად თქვა: გერმანელი ყველაზე უკეთესია და ამიტომ მსოფლიო ბატონობაც თქვენ გეკუთვნითო! რატომ? იქნება თქვენში იციან ამის პასუხი?

— მე ამაზე, ჯერ კიდევ, უკრაინაში ვეკითხებოდი მამათქვენს!

— მამაჩემი რას გეტყუდა... აგერ, სალაფავს მისეულ ღორებს ჰკითხე, ეგენი გეტყვიან... დაჰკარი მაგ ტახს! ხომ ხედავ, ნეზეს ახლოს არ უშვებს. თვალს ვერ მოაშორებ, ასე იციან!

— ასსა, ღორო, იქით! — ბაკურმა ჭატოთი ნიჩემოსვრილ კერატს წიხლი ამოჰკრა.

— ნეზე კიდევ იმ ბურჯავს არ აყარებს, შველი კია მაგ უბედურის... ასე ვართ, ახლა, მე და მამაჩემი. ვითომ ვაძლევ ლუქმას, მაგრამ არ იქნება, რომ დინგი არ ამოვკრა, ორივე კიდევ ბიძას ვაყვედრით... ესენი ყველაფერი იცის ფიურერმა. გამორეკა ეს პირუტყვები და ჰქვეყნებს მიუსია: აქ ერთმანეთი არ დაჰამონ და მეც ზედ არ მიმავოლონო. მიდით, გამოფაშვეთ (გრეტამ „წელების გამოყრა“ ახსენა) ერთმეორე და მათი მამულები — სალაფავი თქვენი იყოსო... ესენიც... — ტახს, ბაკურის ცემამ რომ ვერაფერი შეასმინა, თვითონ გრეტამ იმისთანა უთავაზა, უკანა ფეხებზე ჩაეკა. — ესენიც „რწმენით“ და „სამშობლოს სიყვარულით“ წამოვიდნენ. თქვენც, თქვენს სალაფავს ვის დაანებებდით, პირიქით, ალბათ, თვალი სხვისაზე გიჭირავთ, როგორც ამ ნეზეს სკირს, ტახი ამ ოხერს გობს არ აყარებს და ის კიდევ, იმ ბურჯავს აგდებს... ეყოფა,

ეყოფა ამ გაუმადლარს, ესენი მშობრივ დარჩებიან! — გეყავს მიგანათლებული ფერდში ისევე წიხლი ჩაეხლა. — თქვენს მუდგნული ტახი გვერდზე დადგა და იქიდან, წვრილი თვალებით, პატრონს ჩაუსაფრდა: იქნებ ყურადღება მოუღუნდეს და სალაფავს მივეპაროო, როცა ნეზე გობს დაეპატრონა, მის უკანა ფეხებში დინგი შეჰყო და ვენებიანდ ახროტინდა.

— ფროილან, თქვენ უფრო კარგად ახსენით, ვინემ, ეს სამი წელიწადია, თვითონ ომმა და ამოდენა „განათლებულმა“ საზოგადოებამ გამაგებინა.

— მე რა გაგაგებინე, აგერ „ამხსენელიც“ და „ფილოსოფოსიც“... — ნეზესა და ბურჯავს შორის ხელახლა შემომძვრალ კერატს წინიდან მოუარა, ფეხსაცმლის ქვინტი ცხვირში ამოჰკრა. — მე თვითონ არ მიმიშვეს „სალაფავთან“,... როცა ჩვენი „გერმანულ ქალთა კავშირის“ გოგოები ესესელებზე გაანაწილეს, ამოწყვეტილი გერმანია რომ ისევე მოამრავლონ... სანამ ფრონტებზე დაიხოცებინ, მანამ ნეზეები დაამაკონო... მე არც მაგისტრის გამოვლექი. ასეთი მაღალი რასის სანაშენოდ დამიწუნეს. თქვენ გგონიათ, მართო არაგერმანელს ეხება რასისტული კანონი?.. ჩვენთან „რასიტანდარტულ“ გერმანელებს კოდავენ.

— როგორ?! მამათქვენმა...

— მამა ამის თაობაზე არ გეტყუდა. იგი უბედურია, რაკი სინდისი ხელფეხთან ერთად ვერ დაკარგა... ასაჭურისებენ... ხეიბრებსა და შეშლილებს ხოცავენ, ჩემისთანა ულამაზოებს კი სანაშენოდ კერატებთან არ უშვებენ... ჩვენც ასე ვიქცევით: ტახი ხომ აგერ გყავს. მაგრამ თუ ჩვენმა მეზობელმა უკეთესი ჯიში მოიყვანა, მთელ ორსამ კლომეტრზე მივდებით, ფულს ვუხდით და ვამაკებინებთ. იმ ნეზეს კი, რომელიც სქელ ჭონს არ იღებს და ათზე ნაკლებ გოჭს დაყრის, სახორცედ ვასუქებთ... ჩემი დაია უკვე სრულწლოვანია და მალე გაანაწილებენ... სამ-ოთხ-ხუთ „ნეზეს“ ვერ წვდება ერთი ორფეხა „კერატი“, მაგრამ დაღლი-



ლი, სამშობლოს ერთგული „ტახი“, ჩვენ ოჯახს ერთ წელიწადში გოჭს მანც მოუტელენს, რომელიც მე უნდა გავუსუქო „სამშობლოს“, რომლის შვილად არ ვარგვივარ, მაგრამ „ჭერჭერობით“ საჭაპანე, ბერქუ ქაკად ვკირდები, მადლობა ღმერთს, ქალი ვარ, თორემ ახლა საფორნე ცხენივით დაკოდლი იქნებოდი... აი ჩვენი მედიცინა და პიპოკატეს ფიცო... ჩერჩეტი მამაჩემი კი, უხელფებო, „რანდის“ ორდენით რომ ჩამოიტანეს, გაუკვირდა: ინსტიტუტს და განათლებას ხელი რატომ ჰკაროი! რა უნდა ელაპარაკო ამისთანა განათლებულ არაშინადს...

— მამათქვენი ამ მიზნით არ იტყოდა... — ბაკური თითქოს ასე, ზერულედ თქმას არ აპირებდა, მაგრამ გერპარდტის დასაცავი მტკიცება და „ფილოსოფოსობა“ გერმანულად არ შეეძლო.

— რა მიზნით?! — გრეტამ ხელები განიერ თქმებზე შემოიწყო. — რა მიზანი და აზრი აქვს ლაპარაკს, თუ ძირს არ დაიხედავ... — და ღორების შარდითა და ნეხვით აჩირხალბულ წუწუწებს ჩაჩერდა. — აი, რას დაამსგავსეთ ევროპა... და მარტო ევროპა? აფრიკა და აზია არა? — ლაფში ჩაჭიხნილ ცარიელ, გრძელ გეჯას დაწვდა და მისი ჯან-ღონის პატრონსაც კი ამოგლეჯა გაუჭირდა, სანამ ბაკური მეორე მხარეზე არ ეცა და ორივემ ტლაპოდან ამოათრიეს. — ახლაც იკრინებიან საღამოობას მამაჩემისთანა დახეიბებულ-დასაჭურისებული მეზობელ-მეგობრები და ისევ დაღუპული გერმანიისა და მსოფლიოს ბედზე მსჯელობენ... იმდენად არაფრის მაქნისია მაგათი ჭკუის ჭყლეტა, გესტაპოც კი ყურს იყრუებს — მეტი რაღა უნდა უქნან, რაც არ ღირთ, და ვისთვის რა საშიშია მაგათი „გერმანია“. ეს ორი მტკაველი მწირი მიწა რომ არ ჰქონდეთ, შიმშილით სულს გასცებდნენ... ვითომ ტყვეების შრომასაც არ იყენებენ... „მორალური“ ხალხია!.. მამაჩემმა კი შენ მოგწერია, როგორც „მეგო-

ბარი“, რაკი თვითონვე მოწერე და შენი სურვილიც იყო.

— მე მოვწერე?! — ბაკურის გეგმაცებისაგან წამოსცდა, თორემ გერპარდტის „მაღალი მორალის“ უარყოფას სულ არ აპირებდა.

— საკონცენტრაციო ბანაკიდან ხომ წერილი მიიღო.

— ჰო, რა თქმა უნდა... მაგრამ სულ არ მეგონა თუ თქვენამდე მოაღწევდა. ვიფიქრე, მამაშენმა დაპირებისამებრ მომბებნა. ასე შევთანხმდით ჩვენ უკრაინაში.

გეჯა ფლიგელში შეათრიეს და გრეტამ რეზინის მილით წყალი მიუშვა.

ბაკურს ელდისაგან პირიც კი ამოუხმა და წყლის ჭავსს ჰეშვი შეუშვირა.

— ღორი, არ დალიო! — გაუწყრა გრეტა. — ქვეყანა ეს? ჩვენებური წყალიც არ დაიღევა. წამოდი, ყავას ჩაგაცეცხლებ!..

ახლა თითქოს ყველაფერი ნათელი იყო. აბა ისაკა შამელაშვილს გერპარდტ მაიერის მისამართი რაში უნდა ენდომებოდა. ამის თქმა უნდოდა, ჩატეხილი ნეკნით ფილტვჩახეული, სიცხით გათანგული რომ ბოდავდა: „დაგენაცვლე, მგონი შენ ქე გაგიჩინე პატრონი და თუ გადაარჩი, სარას და დანიელას ეს კრემატორიუმი მაინც მოასწავლე, თქვენი ცოდვისშეილი ისაკას საფლავი ესაათქო“.

სულთმობრძავის გვერდით მგმინავი გერმანელი პატიმარი კი ლულულდებდა რაღაცას, მაგრამ ბაკურს იჭაური გერმანული კი არა, შობობლიურიც არაფერი ეყურებოდა და ფრანგი სანიტარიც კარს მიშტკრებოდა: აქ ზედამხედველმა არ მოგისწროს, თავი ხელახლა საერთო ბარაკში არ მიყრანო.

„ისაკა! ერთადერთი კაცი გყავდი იქ, ვისაც ქართულად ელაპარაკებოდი, ვისთვისაც სული უნდა ჩაგებარებინა და როგორ გამოიმეტე და შემელიე. ამდენ ნაწამებსა და ნაგვემს რამ შეგარჩინა ამოდენა კაცთმოყვარეობა და სულგრძელობა...“

— დამტოვეთ, ფროილან, ცოტა ხანი ამ ფლიგელში, თუ შეიძლება? —

შეხვეწა გრეტას, როცა გარეცხილი გეჯა ააყუდა და წინ გამოუძღვა.

— აქ მე საქმეს მოვრჩი! შენ რას აკეთებ?

— არაფერს, თუ შეიძლება ვიტყვებ.

— სადაც აქამდე ეგდე, ტირილის ნებასაც არ გაძლევენ?! — უკან არ მოუხედავს, ისე ჩაილაპარაკა.

— ტირილის ნებას? ალბათ ჩემად შეიძლებოდა, მაგრამ მე არ ვტიროდი. დამტოვეთ ცოტა ხანს...

— ჯანდაბას შენი თავი, ამ „ფილოსოფოსებისას“ ვერაფერს გაიგებ...

„ახსნ მოვყარე მოვყრისათვის
თავი ქარსა არ დამრიდალ“...

VII

შაბათ საღამოს მართლა მოიყარეს თავი „მეზობელ-მეგობრებმა“. ორი „ძალიან ჰუმანისტი“, გერპარდტ მიიერი და ბიძია — პაულ მიიერი, ადგილზე იყვნენ. უთუოდ მასპინძლის უმწეობა იყო მიზეზი, რომ გრეტას ქოთქოთისა და დამადლებული ფინჯანი ყავის მიუხედავად მაინც აქ „ერჩიათ“.

გადამდგარ პოლკოვნიკს, რომელსაც თვალი მესამე რაიხისთვის შეეწირა, მთელი ნახევარი თავიც და ყურიც ისე დასწვოდა და დაბრუკვოდა, დავსებულ თვალთან ერთად გადაყვლეფლი გოგრააც შავი ატლასის ქსოვილით ჰქონდა ახვეული. სრულ ჭედს იმ დასახიჩრებული თავის მხარეზე იქცევდა და უფრო ბალ-მასკარადის დარდიმანდს ჰგავდა, ვინემ გერმანიისა და ფიურერის ნაერთგულევს. უფრო ჩინით მიმართავდნენ, ვინემ გვართა და სახელით. როგორც მოსალოდნელი იყო, თავდაპირველი ერთგულება, შემართება და რიბი აღარ ახლდა, მისი თავგანწირვაც და დასახიჩრებაც ახლა უფრო სინანულს იწვევდა, ვინემ სიამაყესა და ქედმაღლობას.

ყოფილ სატანკო ნაწილის უფროსს, ჭოკივით მაღალ ობერლეიტენანტს, ორივე ფეხი მოყინული ჰქონდა. მარჯ-

ვენა, გაყრალებულ ჩექმას რომ მხოლოდ ჰეინტი ჰქონდა ახვეული, მარცხენა — შუაზე შემწვარი მთელი ნახევარი ტერფი აკლდა. დასახიჩრებულ ტერფებს ერთობ უმძიმდა ამ, თითქმის კაც-ნახევარის ტარება, მაგრამ მისი მშფოთვარე ხასიათის პატრონს ჯდომა უფრო უჭირდა, ვინემ ფეხებს — მისი ზიდვა.

ყოფილ სამხედრო მღვდელს და ახლანდელ მათი ეკლესიის „მამას“ მარცხენა ხელზე ოთხი თითი აკლდა, მაგრამ ცერსა და ხელისგულს ისე მარჯვედ ხმარობდა, საღ მარჯვენას არაფრით ჩამოუყარდებოდა. უთუოდ ქალები მომეტებულად უნდა ჰყვარებოდა, გრეტას გამოჩენაზეც კი უსბივო თვალეში ნაპერწყლებს ჩაინთებდა. მაინც ნატიფი გემოვნების კაცი ჩანდა, რაკი სინამდვილე ნაპერწყლებზე მაშინვე წყალს უსხამდა.

ფრაუ ლიზას დისშვილი, შტაბსპაუპტმანი, სტალინგრადთან ცალი ყურით მთლიანად დაყრუებულყო, ჩვეულებრივი მუსიკის გაგონება არც მეორეთი შეეძლო, მაგრამ მოსაუბრეს თვალეში ისე მიგებებული „უსმენდა“, ნათქვამი ძნელად გამოეპარებოდა. იმ ტონიან ბოძს, რომელიც მის ბლინდაქს დასცემოდა, ეტყობოდა თავშიც ძველწია და გაუგებარზე და გაუცნობირებელზე ცახცახი იტანდა, თუმცა იქ ამას ყურადღებას არავინ აქცევდა და მალე, თვალზე კურცხალმომდგარი თვითონვე მშვიდდებოდა. ისევე ჯამუშვიით უსაფრდებოდა მოსაუბრეს, რომ გაგებულიდან გაგებულს შორის „გამოტოვებული“ როგორმე აღედგინა, როგორმე მთლიანი „თავისი“ აზრი ჰქონოდა.

ნაჯარისკაცული კურტი, თავის დროზე, კავკასიის მწვერვალებისათვის აღპინისტად გაუწვრთნათ. თურმე, შავდლიანს, სიმაღლის შიში დედის უბიდან ჰქონია თანდაყოლილი და ამის გამხელა ვერ გაებდა თუ მაღალი რასის შვილს არავინ დაუჭერებდა, მწვერვალების მისადგომებთან, თოფის გავარდნამდე კლდიდან ჩამოვარდნილი-



ყო. წვივის ძვალი და მუხლის კვირის-ტავი ისე დაეფშენა, მისი გამრთლება უსახსროდ ძლივს მოებერებინათ და ახლა უკვირისტავო, გაშეშებულ ფეხს ომბობივით დაათრევდა. ამ „სიკეთესთან“ ერთად რევმატიზმებიც დართოვდა და ყოველი დაჯდომა-ადგომა იმდენად ძვირად უჯდებოდა, წინ წამოკეცილი კბილებს ახრჭიალებდა და ისედაც მოკლტუჩას, წითელი ღრძილები უჩანდა — გეგონებოდა ტალახში დაფლული ზარბაზნის ცხენივით, საცაა, სასოწარკვეთილი დაიჭიხინებსო. ქალზე ისიც გულწაფყვები უნდა ყოფილიყო, რაჟი გრეტას ოთახში შემოგრილება ყურებს ულავივით დააკევეტინებდა, მაგრამ დიასახლისის ქაქანი და ქოთქოთი აფრთხოვდა, როგორც ყოველგვარი „სიმაღლის“ შიში და ასეთ ბრგე არსებებს საბოლოოდ თვალს მაინც ვერ უსწორებდა.

— ახლა ჩვენი თათბირი სრულდასოვანია. — დააქნია თავი შტაბსაუპტკმანმა, როცა მასპინძელმა ტყვე „სათათბიროს“ წარუდგინა, მუხლზე დაკერებულ რუსულ გალიფეში და მაიერის ძველ მუნდირში გამოწყობილი.

— აბა, რას ჰგავდა ჩვენი აქამდელი საქციელი? „მსოფლიოს“ ბედს ცალმხროვად ისე ვწყვეტდით, რომ მოწინააღმდეგის აზრი არ ვიცოდით... — გაუღიმა თავისი „აღმოჩენით“ კმაყოფილ მასპინძელს: ვითომ, თქვენზე მეტად ხეიბარს ტყვის შრომის გამოყენების უფლება მქონდა, მაგრამ საქმე არც ასეა, ჩემი „კუმანიზმისათვის“ არ მიღალატია, ხომ ხედავთ, იგი სრულუფლებიანი ხმის უფლებით მოვიწვიეო.

ცალთვალა პოლკოვნიკი მაინც ამბობდა, როცა „მოწინააღმდეგეს“ მხერა ქვევიდან ამოაყოლა, მაგრამ გერმანულმა მუნდირმა სანახევროდ მაინც დაამოშონა და რალაც, „აბა, ჰე“-სავით წამოიძახა: ვნახოთ, დაღუპულ ქვეყანას ახლა თუ მაინც ეშველებათ.

— რატომ, რუსები უკვე ამტკიცებენ, რომ ჰკუა მოეკითხებათ! — ხმა მალლა, გამოკვეთილად აღიარა ტანკისტმა. თავის რკინის ურჩხულში იყო

მიჩვეული ასეთ როხროხს თუ მტრებით როყიო ბრძანდებოდა.

— როდის აქეთ? შენსაწინააღმდეგეთაგზე დაგამტვრიეს და იქიდან გამომდგრაღმა კაობში ჩაყვინთე? სანამ შიგ არ ჩაყვინეს, თავი არ წამოგაწვივინეს... ღმერთი სამართლიანია!.. — ალაღაღდა ხუცესი.

ღმერთის ხსენებაზე ბაკურმა თვალით ფრატ ღიზა მოძებნა, მაგრამ არც ის და არც მისი „პუფი“ იქ აღარ ჩანდა.

— ღმერთი კი... მაგრამ ფიურერმა ხომ ყველა ჩვენი ცოდვები იკისრა. — ცინიკურად ჩაიკინება სცადა აღპონისტხეობარმა და ცხენივით ზეიხინი კი გამოუვიდა.

— იმას თავისი ცოდვებიც ეყოფა... — უთითებო ხელი აღმართა მღვდელმა, ვითომ მარტო ესეც საკმარისია, მეტი რომ არაფერი დაეშავებინაო.

— კი, შენ ყოველთვის ამბობდი... — უფრო, ალბათ, ბაკურის გასაგონად თქვა მაიერმა. — მაგ თითების წაწყვეტამ გიშველა, შენც საკონცენტრაციო გამოსასწორებელ ბანაკში რომ თავი არ გაკრეს.

— მე ვერაფერი „გამასწორებს“. — არ გატყდა ღვთის მსახური. — აი, თუ არ არის ღმერთი და რა შეიძლება მოგვივლინოს... — და ბაკურს ორივე ხელი მიაშვირა, — არც ახლა დაიჭერებთ?

— მამაო, მე კავკასიონის მწვერვალებზე კი არა, ყოველ შემადლებზე რომ შევდგებოდი, ღმერთს ვხედავდი. — თავი იმართლა ნალპინისტარმა.

— სიმაღლიდან ხედავდი, მაგრამ ძირს რომ ჩამოხვიდოდი, გავწყვდებოდა. — არ დაინდო ღვთის მგობელი ზეციერის ერთგულმა მამამ.

— ჩვენში კი პირიქითაა, კაცი ცხენზე რომ შეჭდება, ღმერთი მაშინ დაეიწყებოდა. — ბაკურს მასპინძლის საპატრუცემლოდ მაინც უნდა ეთქვა რალაც და ასეთი მარჯვე შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა, თან არც მშველი დაიწვებოდა და არც შამფური.

— აი! — ნიშნისგებით წამოენთო

ლეთის მსახური. — მართალი ესაა, ცხენზე შეჯექით და ღმერთი დაგაფრუცდათ.

— მაგათ სულ არ სწამთ, არც ამხედრებულთ და არც ქვეითთ. — იწყინა პოლკოვნიკმა. — თავიანთი ეკლესიები, თვითონვე, უჩვენოდ დაანგრეს.

— ურწმუნო სჯობს ჩვენნიარ მორწმუნეთ... გწამდეს და აგრესიას, ადამიანთა მასობრივი განადგურების გეგმებს მხარს უჭერდე და მონაწილეობდე?!

— თქვენი, კათოლიკური ეკლესიის გაზეთი ასე წერდა.

— ოჰამდე?

— ოჰამდეც და ომის დროსაც.

— „მადლობა ღმერთს, ხალხთა შორის მშვიდობის შენარჩუნებისათვის“...

— მაგრამ, მამაო, იქვე არ ეწერა: „ახალ ხელისუფლებას პატივისცემით და მორჩილებით უნდა მოეკიდოთო?“

— ეს წმიდა მოციქულს პავლეს სიტყვებია: „ყოველი ხელმწიფებასა მას უმთავრესისა დაემორჩილონ“.

წმიდა პავლეს ხსენებაზე პაულ მაიერმა სათვალე ცხვირზე აიტანა და მაგდას კვლავ საბუნკაოდ მადამლილ ბებერი თხასავით გადმოხედა.

— ა, ბატონებო, ავერ თეოლოგიის დოქტორი! — წარმოადგინა ბიძა მასპინძელმა, ალბათ, ბაკურს რომ უკეთ გაეცნო, რაკი უფროსი მაიერის მეცნიერული ხარისხი ოქახში აქამდე არ გახსენებიათ. ეს თეოლოგიის დოქტორმა გამომწვევად ჩათვალა და „სტუმრის“ გაოცება მოინდომა, სათვალე ცხვირიდან ისევ ჩამოუვარდა და თვალდახუჭულმა. უშეცდომოდ და სულმოუთქმელად ჩაიკიანა საეკლესიო გაზეთის მოწოდება:

— „თუ არა ომის დროს, როდისღა უნდა ატაროს ხალხმა მხრებით უდიდესი ტვირთი, თუ ომის დროს არა, როდისღა შეიტანოს თავისი წვლილი? ამიტომაც სავალდებულოა არა როგორც გერმანელებმა, არამედ ვითარც ქრისტიანებმა რწმუნის თანახმად ხალხის სამსახურში ჩავაყენოთ ჩვენი ფიზიკური და სულიერი ენერჯია, ვალდებული

ვართ გავილოთ ყოველნაირი მსხვერპლი, რასაც კი მოითხოვს ენერჯიული მოთმინებით ვატაროთ ჩვენი სარწმუნოებო ჩვენთვის არს განკუთვნილი!...“ — სხაპასხუბით კი ჩაათავა, მაგრამ ბაკურმა ვერაფერი გაიგო, დოქტორი ემბრობოდა ამ დებულებას თუ პირიქით, დასცინოდა. განხეთქილების ვაშლივით კი გადმოაგდო და ისევ თვალდახუჭული გაიღურსა.

— აჰა! სიტყვასიტყვით. — ნიშნისგებით აღიმართა ცალთვალა-ცალყურა პოლკოვნიკი.

— ეროვნული თვალსაზრისით და არა ქვეყნის დაქცევისა და ქლეტისთვის. ყველა ეროვნებისა და ქვეყნის შვილს აქვთ თავისი მძიმე ჯვარი სატარებლად...

— მოთმინებითა შენითა, მამაო, მოთმინებითა!... — ისევ იქვეა ტანკისტმა.

— პატერ, ეს მას შემდეგ ავიკვიცი ამნაირად, როცა მგლად მისეულები რუსებმა საზღვრებიდან უკვე ცხვრებით გამოგვრეკეს?..

— ეგ არაფერი, ავერ, აქაც მოგვადგენენ... — და ზუცესმა ხელები ისევ ბაკურს მოაშვირა. — მაგრამ მე ახლა რომ დამეწყო „კვიკვი“, ორი წლის წინ ჩემს თითებს ბეტონსახელი მანქანის კბილები არ წამაწყვეტდა. — გაეცებლდა ლეთისმსახური და „მოთმინებითა შენითას“ ლაღადისი ვეღარ გაიზიარა.

— ვგონებ, აქ პირადული არაფერი შუაშა. პირადული და კერძო ქვეყნისათვის არ განზოგადდება.

— ეკლესია, ბატონებო, ეკლესია!... — ქუხდა ტანკისტი. — რას წერდა, დოქტორ პაულ, ფიურერზე თავდასხმის შემდეგ?

უფროს მაიერს არც სათვალე გახსენებია და არც თვალის გახელა, ისე ჩააბულბულა:

— მიუხეხენის, კათოლიკური გაზეთი: „...მადლიერებით აღვსილმა თემის მრევლმა ერთსულოვნად შეასრულა მადლიერებისა და ზეიმის საგალობელი“...

— „ერთსულოვნადო!“... — ისევ დაიქუხა ტანკისტმა, რაზეც თეოლოგმა



სათვალე გაიკეთა და ნაწყენმა, რომ კარგად გაზუთხული „გაკვეთილი“ ვა-
აწყვეტინეს, ახლა, მგონი, მართლაც
სარქვენად გადმოხვდა. მაგრამ, რაკი
ტანკისტი ჩაჩუმდა, განაგრძო:

— ჩვენ, კათოლიკე ქრისტიანები,
მთელ გერმანულ ხალხთან ერთად სუ-
ლითა და გულით ვნატრობთ ერთად-
ერთ რაიმეს: დაე! ჰფარავდეს უფალი
ფიურერს და ხალხს!

— ფიურერს და ხალხს! გესმით! —
ისევ აქუზდა ტანკისტი. — „ფიურერს
და ხალხს!“ ხალხი და ფიურერი მაინც
დაეწერათ. მთელი გერმანია და გერმა-
ნელი ხალხი, თუ ცალ-ცალკე არა, ყვე-
ლა ერთად მაინც არ დგას ერთ ეფ-
რეტორზე წინ? და ამას თუ ნაციო-
ნალ-სოციალისტები გაჰყვირიან, ეკ-
ლესიამ, ეკლესიამ ეს მაინც ვერ შეძ-
ლო, რომ ერთი სიტყვით გადაეადგი-
ლებინა?

— რა ამბავია აქ! — კიბის საფე-
ხურებზე მობრავუნე ვრეტას ხმა გარე-
დანვე მჭახედ მოისმა.

— აბა, ჩააქრე შენი „ტ-2“, პოზიციაზე
ფროილიან „ფერდინანდი“ გამოჩნდა! —
უკან დაახვირა „შეტევაზე“ გადასულ
ტანკისტს პოზიციური ბრძოლების ვე-
ტრანმა პოლკოვნიკმა. ფროილიან
„ფერდინანდმა“ კარები რომ შემოი-
ტანა, დევანზე დაშვავდა და დაღლილი
მკლავები სახურგეზე გადაშხვლართა,
მკერდი ნახუქებოვით ამოუცვივდა. პა-
ტერს თვალეში წყალი მერცე ედგა,
როცა ნაპერწკლები ჩაუჭრა.

— თქვენ დაქცეულ ქვეყანას ხომ მე
მამენებნებთ... სანამდე ფეხზე დგო-
მა შეგძლოთ, ანგრევდით, ახლა შორს
რომ ხელი არ მიგაწვდებთ, ერთმანეთს
დაეროეთ!.. თქვენი „შარბაზნებით“ შე-
შინებელი ძროხა რძეს აღარ მიძლევს.
ნეტავ რაღა გაყვირებთ, იმის მაგიერ,
მორცხვად მაინც ისხდეთ და ცოდვებს
ინანიებდეთ...

— ოღონდაც, ფროილიან, ოღონ-
დაც! — კვირი დატყრა ხუცესმა, მაგ-
რამ მის წისქვილზე დასხმული წყალით
ქალი მაინც ვერ გადაიბირა.

— ახლა „დაბრძენდით“, როცა ბუ-

ნაგში შემოგდენეს და გარედან ცეცხ-
ლი წაგიკიდეს?..

— გრეტა, შეილო, გრეტა... — ეყ-
ვაგებდა მამა და ამ დაყვავებაში მარ-
ტო მის დაშოშმინებას არ გულისხმობ-
და, ცარიელა სუფრის ყურადღებასაც
სთხოვდა, რაკი ქალიშვილი ისევ მძიმე
არტილერიასავით გრუხუნებდა:

— აი, მაგ შენ „ღვთის მოშიშ“ პა-
ტერს ომამდელი ღვინითა აქვს სარდა-
ფი გატენილი...

— ღმერთია მოწამე! — დაეთანხმა
ხუცესი და ფეხებიდან ორი დაკუთხუ-
ლი, თეთრი ბოთლი ისე ამოაძვრინა,
თითქოს აქამდე ჩექმის ყელში დებო-
დეს.

— მაგ ცალთვალა ტარტაროზს კი!..
— პოლკოვნიკს ეკალივით შეესო „ტა-
რტაროზი“ და წამოახტუნა. კარებთან,
საკილზე ჩამოწვართულ თავის მწვენზე
სამხედრო ფარაჯას ეცა და ჯიბიდან
„შნაპსი“ ორივე ხელით მალა ამოშ-
ვლიბა: „გუნებდებითო“ და ვრეტასაც
მისი „შექება“ აღარ გაუგრძელებია.

— ეგ წუწურაქი ობერლეიტენანტი
კი, უწინამც თავის სისხლს დაგალევი-
ნებთ, ენემ იმ ალუბლოს ნაყენს...
ალუბლები ჩვენ საზღვარზე ტყედ უდ-
გას და ნაყოფი რომ მდინარეში ჩაყა-
როს, გაგუბავს.

ობერლეიტენანტმა გახსნილი მუნდი-
რის შიდა გულისჯიბეში ხელი მართლაც
მომჭირნედ შეიყო და თითქოს ჩაწე-
ბებული ყოფილიყოს, მომცრო ყელწ-
ვირილი ბოთლი ძალისძალათი ამოაძვ-
რინა.

— მაგ შტაბის ვირთხა პაუტმანს,
თვითონ რომ კუჭის წყლული ჰკლავს,
ჰგონია ჩვენც მუცლის გვრემა გვჭირს?
საფრანგეთიდან სიფილისი და კონიაკი
რომ ჩამოიტანა, სიფილისი თავისთვის
დაიტოვოს და ნაალაფარი კონიაკი „თა-
ვისუფალი გერმანიის“ ჯარისკაცებს
შესწიროს. ასე უნდა მაგას სამშობლო-
სა და ფიურერის ერთგულება, რომ
„სისხლი“ არ დაღვაროს?

პაუტმანმა ხელი შარვლის უკანა ჯი-
ბისკენ იმის მერე წაიღო, როცა ეს
„ქება-დიდება“ გულდასმით მოისმინა

და ძლივს გაიმეტა ბრტყელი, კრიალა ფრანგული კონიაკიანი შუშა.

— ვინ დარჩა?.. — იკითხა გრეტამ და ფეხგამეშებულმა „მთამსვლელმა“ კბილები, ლაფში ჩაწოლილი ცხენივით დაკრიჭა... — მაგ დაფეხვილს არც არაფრის გაძარცვა მოუხსრია და აქაც, სანამ ჩამოვიდოდა, სახლიც დამწვარი დახვდა. მაღე, რუსებიც რომ მოვლენ, მაგისაგან ისინიც კი ვეერაფერს წაიღებენ. ჭანდაბას, მაგის ომი დამთავრებულია...

სუფრა გაიწყო და ამდენ „ნადავლს“ რომ ცხელი ყავაც მოჰყვა, მთელმარე თეოლოგიის დოქტორსაც თვალები აუფეხუნდა.

VIII

გრეტა რომ დამოწიფულდა, გერმანიაში, ალბათ, ქალისთვის არავის ეცალა. ალბანას ჩალბანა არ დაეღვეაო, მაგრამ მესამე რაიხის „ჩალბანები“ გრეტასთანებისათვის მოიცილიდნენ კი არა, მზეთუნახავი „ალბანები“ უმამაკაცოდ ბალიშებს ღეჭავდნენ. უთუოდ ამიტომაც მოიგონეს „გერმანელ ქალთა კავშირები“, რომ ლოგინში დასახარჩველი ენერგია იმპერიის სამსახურში ჩაეყენებინათ. გრეტა არც იმისთანა „სამსახურისთვის“ გამოდგა. კალთას სედაც არავინ აგლეჯდა და საეპკორეპუტაციის ფროილანისთვის თავს ვინ გაიციხელებდა. მამამისს, რომ სულზე არ მოეწონო და „აღმოსავლეთის გმირი“ ინვალიდის „ფიურერისა და საშობლოს“ წინაშე „დამსახურებისათვის“ არ ეპატიებინათ, ვინ იცის, გრეტას ლორების სალაფავი და დედისეულ, პატარა მამულში საფორნე ცხენივით ტვირთის ქვეშ გმინვაც სანატრელი გახდომოდა.

გრეტა, ბოლოს და ბოლოს, თავგამეტებულ მამაკაცურ შრომას გაეუხეშებინა და მარტოობასა და ფიქრს პრაქტიკული ჰკუთ დაესაჯა. ღმერთს მისთვის, გარდა ქალური სინანხისა და სილამაზისა, ყველაფერი მომეტებულად

მიეცა. ვითომ, რაკი აუცილებელი წაერთმია, სხვაში გულგრილად წაიშინა და ამ შეედომის გამოაპროვოცირებულაში ერთი უბედურებისათვის შეორე დაემატებინა. სანავთეში ჩასხმულ მაგარ ლეინოსავით, სასულე დაუტოვებელი მაჰარივით დულდა და რკინის კედლებს გასახეთქად ასკდებოდა.

— ჯარისკაცო! — გრეტა ხორციან ტუჩებზე შერჩენილ ყავის ნალექს ენით ილოკავდა, ისედაც ენებით დაბერილ ბაგეებს ს-სველე ცეცხლს უჩენდა. — ეს შენი კოლეგები, ომამდე... ყოველ შემთხვევაში სანამ მამაჩემს ფიურერის საერთაგულოდ გაიწვევდნენ, გგონია ასე ეღუბებოდნენ?..

ბაკურმა ბოლო სიტყვა „ეღუბებოდნენ“ თარგმნა, მაგრამ ყრუ შტაბსპაუტმანმა რად, კაცმა არ იცის, რომ თვალეზე კურცხალი მოადგა.

— სიმათლეს ის ლაპარაკობს, ვიცისაე ტყუილში არავინ არაფერს უხდის... — ვითომ უდაგილოდ თქვა ბაკურმა, მაგრამ ამით შვილის „დასმენით“ ნაწყენი მაიერი „სტუმარმა“ მაინც შეაგულანა.

გერპარდტმა თავი დააკანტურა, ვითომ ფრონტზე ტყუილად არ დავებობრებულვარ, ასეთი „ფილოსოფოსი“ მტერი აღმოვაჩინეო. თქმით კი ეს თქვა:

— ამ ომმა რუსეთი ოკეანეში დაკარგული კონტინენტივით აღმოაჩინა.

— აესტრალია? — იკითხა მასპინძლის პირში „ჩამძვრალმა“ პაუტმანმა.

— ჩვენ ჩვენი ხომალდიანად ზღვის ფსკერზე მივდივართ. — დაიბოღმა პოლკოვნიკი.

— პორტუგალიელებმა, ესპანელებმა და ინგლისელებმა აღმოაჩინეს აღმოსაჩენი, ჩვენ გვიან დაეწყეთ კოლონიების ძებნა... ისიც უღმერთოდ... — დაუდასტურა გრეტას სახეში უცნებოდ შეჩერებულმა პატერმა.

— მერე, რას ფიქრობს ეს ახალი „კონტინენტი“, აღმოჩენს მერეჩზე მაინც არ გარიყავს? მხოლოდ ოკეანის ფსკერზე მიუჩენს ადგილს? — ცალი



ყური და თვალი „მტერს“ მიაპყრო პო-
ლკოენკმა.

— შავი თვირანში „სამი სახელმწი-
ფოს შეთაურებს“ მასპინძელი ირანე-
ლუბისთვისაც არ გაუმხელიათ... —
ჩემმა სტუმარმა საიდან უნდა იცოდე-
სო? გაოცდა მასპინძელი.

ბაკურიც დაიბნა.

— ამ ოხერ ინგლისს მაინც არ დაე-
ტაკებოდით! — სინანულით აცრემლდა
შტაბსკაუბტმანი. ინგლისთან ავსტრა-
ლიის ასოციაციით მივიდა თუ, ბოლოს
და ბოლოს, ყველაფერს მიხვდა.

— ძალზე მადააშლილები გამოვდე-
ქით! — მსოფლიო ბატონობის მოსუ-
რნე ნაჯარისკაცალთ კრიჭაში ჩამდგარი
გრეტა უფროს მაიერს შეაჩერდა, ამით
შორის ერთადერთ მამაკაცს, რომელ-
საც თოფი არ გაუსვრია. მოხუცს ღვი-
ნით სავსე ჭიქა მალლა აეწია, ნათურის
ყვითელ შუჭზე შესციცივებდა.

— „ღვინო ახალისებს გონებას კა-
ცისას!“ — თავისი კმაყოფილება სა-
ხარებით დაადასტურა და სასმელი მო-
წირუბა, „აშლილმა უძლომმა მადამ“
მუცლის გვრემა იცისო... თუ რაღაც
ასეთი „სიბრძნე“ იგულისხმა.

— შეილო, ჩვენ გერმანიაზე ისე
არასოდეს გვიფიქრია, არაგერმანულე-
ბი დაგვეციყებოდა... — თავი იმართლა
მამამ უფრო იმ თავდაპირველი ბრალ-
დების გამო, გრეტამ — „...ასე ეღუბ-
რულელებდნენ“ —ო რომ წაუყენათ.

— მსოფლიო ხალხების „განთავისუ-
ფლებისათვის“ იღვწოდნენ!“ — ისევ
და ისევ დაგესლა ქალიშვილმა დაჩაჩა-
ნაკებული „რაინდები“.

— არა, რა თქმა უნდა!.. — წამოი-
მართა ტანკისტი მოყინულ ფეხებზე.
— არც უშავისობა იყო. გუნებაში ვის
რა ედო, ეგ არ ვიცი და, ჩვენ... აჰ, ამ
მაგიდასთან, იჭნება სენ-სიმონის, ფუ-
რეისა და სხვათა მსგავსად...

— ტანკით დადიოდა მზის ქვეყნის
საძებნად... — ისევ უფროს მაიერს მი-
უბრუნდა ტყავში დაუტევარი ძმის
შვილიშვილი.

თეოლოგიის დოქტორი განახვე-

რებულ ჭიქას ხელის კანკალოდ ავსებ-
და.

გარკუნულნი

— „და აღმოხდებიან მზღმნი მნი ქმ
ჭიქას რომ ავავსებო, თუ ტანკისტი
ამისთვის იბრძოდაო, თეოლოგმა რა
იგულისხმა, ბაკურმა ვერაფერი გაიგო.

— ეს ასე უნდა ყოფილიყო და მა-
შინ მართლაც ღირდა ჩვენი... — და-
ხეიბრებო, არ უთქვამს. — და, თუნ-
დაც, ჩვენი სიცოცხლის ფასად... კა-
ცობრიობის ამდენ ტანჯვასა და მონო-
ბას თუ ბოლო მოეღებოდა... მე, ჩემდა
თავად, ეს მამოძრავებდა... — უფრო
კრიჭაში ჩამდგარი ქალიშვილისა და
„სტუმრის“ წინაშე თავის მართლებას-
ვით ამოღერდა გერპარდტმა. „შნაპსი“
უამურად მოწირუბა.

— თქვენისთანა ბრყევებია, რომ
ქვეყანას ღუპავენ და ფიურერიცა და
ჰებელსიც „ფილოსოფიის“ იმ ძელებს
ჰყრიან, ყველა ძალდი და მამაძალი
რომ თავის საზრავს პოულობს. თქვენ-
ზე ჭკვიანი მაინც ეს მტრის ჯარისკა-
ცია — როცა კოჭლ ცხენზე ორივე ვი-
სხედით, ამიხსნა: „ჩვენც ამ საცოდავი
ცხოველივითა ვართ, საკუთარი თავის
თრევა გვიჭირს და ზურგზე „სამშობ-
ლო“ და „კაცობრიობა“ გვაზისო“.

— ბრავო, რუსო, ბრავო! — წამოი-
ძახა ყურ ჰაუბტმანმა. მართლა ბოლომ-
დე გაიგო, რაც გრეტამ თქვა, თუ იმით
დაინახა, ამ „დაბალი რასის“ ტყვეს
რომ „აზრი“ აღმოაჩნდა და ყველას ყუ-
რადლება მიიქცია. თვით ღვინის „მზით
დაბრმავებულმა“ წვერცანცარამაც სა-
თვალეს ზემოთ გადმოხედა.

— დახ... — ბაკურმა მასპინძელს
შეხედა. — ყველაფერი ისე ხდება, რო-
გორც უნდა მოხდეს და ჩვენ კი არა,
ვისაც ეკითხება, ჰგონია, ისიც არაფერ
შუაშია.

პატერმა „ცას“ ახედა, მაგრამ თით-
ქოს იქ არ დაეთანხმენო, თავი გაიჭნია
— არ გაიზიარა.

— მაშინ არც ჩვენ ვყოფილვართ და-
მნაშავე და თვით დამნაშავეც მამა აბ-
რამის ბატკანია?! — წამოიკიკინა თე-
ოლოგმა, მაგრამ ისევ ვერაფერ გაიგო,

თავისივე ნათქვამს ეთანხმებოდა თუ დასცინოდა.

— ამდენად, არც სალაპარაკო გვექონია არაფერი! — გაჯავრდა პოლკოვნიკი, ფრონტზე წამხდარ საქმეს რომ აქ, მიერის მაგიდასთან, ალბათ, გამოსწორებას უპირებდა.

— ახლა სათქმელს ის იტყვის, ვინც ჩვენგან დაწყებულ უღმერთო საქმეს უღმერთოდვე დააგვირგვინებს!.. — თევზის თვალები ისევ ჭერს მიაპყრო კათოლიკე ხუცესმა.

— ასე იწყება და თავდება ამათი სამშობლოს „გადარჩენა“. — თავი გადააქნია გრეტამ და შუბლში ხელი შემოიკრა. სამზარეულოში შეგლიჯინდა, ფინჯანი ყავა გამოიტანა, დედას ოთახში შეუბრუნინა, კარი ძალუმიად მიიჯახუნა.

„შე ვკადრე: ღმერთი ვინათგან
შუნდობს შეკოდებულსა,
უხაფთ თქვენცა წყალობა
მას ღონე-გაყუდებულსა“.

IX

ადამიანს თავგერძობა მართავს. გოგუცანა ჩალისღეროსაგან რომ თოჯინას გააკეთებს, ნახშირით თვალებსა და ცხვირ-პირს დაუხატავს, სახელს დაარქმევს, კაბებს უკერავს, აკვანში აწვევს და ფუთნის, ასევე, თავისი ქალური ვნებისაგან თავდაუხსნელი გრეტა ამ უცხო „მიწის თიხისაგან“, თუ გერმანელს არა, ზოგადად კაცის თოჯინას მაინც თითხნიდა, ისეთსავე ბოლომდე დაუხვეწავსა და დაუმთავრებელს, როგორც თავად იყო. მხარში იყენებდა: ხნავდნენ, თესავდნენ; ღორებს, ძროხებსა და ცხენს უვლიდნენ; ხერხავდნენ, ჭედავდნენ; ასმევდა, აპურებდა, ურეცხავდა და თავისი ხელით თუ არ ბანდა და ამწრალებდა, ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ მისგან საკუთარ მამაკაც „თოჯინას“ იკეთებდა.

ეს არ იყო ადამიანზე ზრუნვის მოთხოვნილება ან „ზოგადსაკაცობრიო

ჰუმანიზმი“. ეს ქალის მუცელი, ქალის შინაგანი ინსტიქტების ერთგული ლტოლვა იყო, რომელსაც მისი მუცელი თონვე გაუჭირდებოდა ისევე, როგორც ბაქურს არ შეეძლო ამის „თეორიული“ ახსნა-განმარტება ვინმესთვის ჩაებარებინა. ეს სხვა იყო, ვინემ სიხვე-სათნობა, მტრის მოყვრობა თუ განაწყენებულის მიმართ თანაღმობა და სინანულის გამოხატვა. არც დევილის შევრდომება: თავს სხვის სახლს რომ შეაფარებს, როცა ყველა გზა მოჭრილი აქვს; როცა დიდთოვლობისას მგლებს ხროვას გამოქცეული ნადირი ადამიანს მოაშურებს მტაცებლისაგან თავის დასალწვეად და მონადირეს ხელში უვარდება.

არ შეიძლებოდა გრეტას ჭკუის პატრონს არ სცოდნოდა, ომი როცა მათ ეზოში გადაივიდა, მერე, დამარცხებულს გამარჯვებული ნატყვევარს კალთაში არ ჩაუსვამდა. ამას კი, დიდი დიდი, ერთი წელიწადი დასჭირდებოდა. დღე-დღეზე ინგლის-ამერიკის თავდასხმასაც ელოდნენ. გერმანია რახანია ერთს ველარ უმკლავდებოდა, სამ ქვეყანას ვილა შეაკავებდა. ამას მიერის „ჰუმანიტა კლუბი“ კი არა, რახინის ბრმა ერთგულნიც ხედავდნენ.

გრეტას რა ექნა, გამარჯვებულმა გერმანიამ რა მისცა, დამარცხებულისაგან რას ელოდა. ცხოვრება ხელიდან ისე ეცლებოდა, რომ რისთვისაც ამქვეყნად გაჩნდა, ერთი ღამეც ვერ ეზიარა. იქნებ არც ის იყო აღთქმული ქვეყანა, მაგრამ სამოთხეს, მორწმუნეც რომ ყოფილიყო, პატერი საიქიომიც ვერ ჰპირდებოდა. საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, თუ რაიმეს გაუხერხებდა, ისიც აქ, ამ ცოდვილ მიწაზე. პატერს გულო ჰქონდა ხარბი, თორემ აქაური „სამოთხის“ ბოძება თუ შეეძლო, „მრევლი“ ბლომად ჰყავდა და ისეთებიც მოიძებნებოდნენ, მის „ფაქიზ“ გრძნობებს რომ მიესადაგებოდა.

გონიერი ქალიშვილს ჭკუის ძალდაუტანებლადაც უნდა სცოდნოდა, ბაკური არ იყო ის, ვინც თავდავიწყების ზღვარში ჩაგითრევს, ბობოქარ ტალ-



ლებში გაბურთავენს და სანამ ვნების-
გან დაკლილს ნაპირზე გამოგრიავენს,
გამოფხიზლების უნარს წაგართმევენს.
მაგრამ მორევში ცურვის მოწადინე
ჩანჩქერს არ შედგომია? ან დასიცხუ-
ლი — ნაკადულის მუხლამდე ტბორში
არ ჩაწოლილა და არ აუმღვრევია?
მშვიერი ნადირი, თუ მსხვილფეხა საკბი-
ლო ვერ მოიხელთა, წვრილფეხა ნადი-
რზე უარს იტყვის? კურდღელმა ეს კი-
დეც რომ იცოდეს, რა შეღავათია, რო-
მელ ბატყანს უნდა თავი ტარიგად, მა-
გრამ თუ მსხვერპლთშეწირვა გარდუ-
ვალია, რომ აპეტელდეს, უფრო ადრე
გამოჭრიან ყელს, რომ მისმა ბლავილმა
ძირს კაცი არ შეაწუხოს და მალა
ღმერთი.

ბაქურს ამას არავენ ჰკითხავდა, უბ-
რალოდ უნდა დალოდებოდა „აღსას-
რულს“ და „დანისთვის“ ყელი მიეშ-
ვორა ან ისეთი წინააღმდეგობა გაეწია,
როგორსაც ანეკლოტი ჰყვებოდა: გამარჯ-
ვებულ გენერალს რომ ნაალაფარი ქა-
ლი მიჰგვარეს და გაშვილებულს უბ-
რძანა: ჩაიცი და წინააღმდეგობა გა-
მიწიე, მე მეომარი ვარ და ბრძოლით
აღებულ ციხესიმაგრეს ვთვლი გამარჯ-
ვებულად, იარაღაყრილ მტერთან შეგმა
არ გამიგონიაო.

გერპარდტ მაიერის აგრარულ მეუ-
რნეობას ერთი კოჭლი ცხენი შემოი-
ჩენოდა, მაგრამ კოჭლობა უფრო მტრის
თვალის ასახვევად თუ სჭირდა. ასე
რომ არა, მასაც ფრონტზე, ზარბაზნის
საწევაარაში შეგმულს, დამშეული მტრი-
სა თუ მოყვრის ჯარისკაცები დიდი
ხნის წინ დაინაწილებდნენ. ჰაკს, რო-
გორც კი ორთვალაში ან ოთხთვალაში
შეაბამდნენ — გუთნან ეწეოდა თუ მა-
რხილს, — რაც უფრო მძიმე ტვირთის
ქვეშ იყო, მით უფრო ავიწყდებოდა
თავის გასაჭირი. ეს ერთგულებით სჭი-
რდა თუ ერთ დროს მართლა ფეხნატ-
კენს კოჭლობა ჩვეულებად ექცა თუ
დამაშვრალს საკუთარი ჰირი ეცოტავე-
ბოდა, ასე კი იყოდა.

მამულის შემოსავლელად, საყანებში
და ნაყანევი, ტყესა და ძეძვებში, მით
უმეტეს, მდინარეზე გადასასვლელად,

ისედაც შონჯღრეული ორთვალას ტა-
რება შეუძლებელი იყო, მაგრამ და-
ვტილიც რომ გაგემეტებინათ, ირწინებ-
სა და ეკალ-ბარდებში, უფრო ძვირად
ღირებული — დრო დაგეკარგებოდა.

მამის გალიფგამოცმული გრეტა უბე-
ლო ფაშატზე ამხედრდებოდა, ბაქურს
ფეხს ავეანდივით მიაწვდიდა, მკლავში
ხელს დაავლებდა და აიტაცებდა. „ბე-
დაურს“ რომ ქუსლს ჰკრავდა, ბაქური
მხედრის მკვრივ, სრულ სხეულს უნდა
ჩაფრენოდა, თორემ ისედაც მოღრეცილ
კისერს კიდევ ერთხელ და საბოლოოდ
მოიტებდა.

ქალიშვილი, ჩვეულებრივ, თითქმის
არასოდეს იცინოდა, მაგრამ, როგორც
კი ეს მძიმე საჭაპანო ცხენი დაოთხდე-
ბოდა: ნახანაზე, თხრილებზე, ხრამებზე
და ღრანტეებზე გადაბოდა, მხედრებს
სადღვებელსავე ანჯღრევდა და გრე-
ტას მოჭირქილუ ნიავევით სიცილს
აუტებდა, ჰარს აყოლილს ამჩატებდა,
ამსუბუქებდა და იმდენად ჭალურ-ვენე-
ბიან-მოკეკლუტე არსებად აქცევდა,
ვერც კი დაიჯერებდო, ამოდენა ძლიერ,
მკვრივ სხეულზე მოხვეულს საიდან
მოგველინა ეს ალტყინებული, აფოფი-
ნებული ჰმნილება, რომელიც განდგო-
მილ ბერსაც ცდუნებდას ჩაუსახლებდა.
ასეთ დროს, როცა უბელო ცხენის ზუ-
რგი ორი მხედრისთვის ვიწრო იყო, შე-
ნი „ფილოსოფიისა“ და „ზნეობისათ-
ვის“ ადგილი აღარ რჩებოდა. ფაშატს,
ძირითადად, გამწევე ძალად იყენებდნენ
და ახლა, ასე უსაწეგროდ გაქენებულს,
„ავიწყდებოდა“, რომ უკან არაფერი
ექაჩებოდა, წინ „აწევბოდა“, და წი-
ფორხილებდა — „გახსენებას“ ძლივს
ასწრებდა, რომ ამჯერად საჯდომად და-
სჭირდათ და არა საჭაპანოდ, თავს რო-
გორღაც იკავებდა, რომ მხედრებიანად
მიწას არ დანარცხებოდა, გრეტა კი ჩე-
ქმების ქუსლებს სცემდა, აჩქარებდა,
ერეკებოდა, თითქოს ერთ ხიფათს გა-
დარჩენილი მეორეს ესწრაფვის და სო-
ცოცხლეს ჰარისა და ნიავის გასატანე-
ბლად იმეტებსო; ფერდებში ქუსლებს
უშენდა, ამათრახებდა, აჭროლებდა,
აველებდა ისეთი გახელებით, თითქოს

არც თავი ენანება, არც პირუტყვი და არც ამქვეყნად ტოვებს რაიმეს, რაც უკან მოსახებდავად ღირდეს!

მოკირითე ცხენის განიერ ჯიდაოზე ლაჩებგადათლაშულს თითქოს ასე მთელი სიცოცხლე უნდოდა ეჯირითა და გონებიდან ყოველგვარ აზრგამობერტყილი დაბრუნებოდა თავდაპირველს, როცა ადამიანი მხოლოდ ვნებებით ცხოვრობდა, როცა, როგორც იბადებოდა, ისეთი რჩებოდა და არ ერცხვინებოდა თავისი ბუნებრივობა; როგორც იქმნა — მშვენიერებაც ის იყო. რაც ბუნებამ მისცა, ის სიმდიდრე ჰყოფინდა ზნეობისა და ფილოსოფიის ტყვეობიდან თავისუფალს. როცა არც მონა ჰყავდა და არც არავის ჰმონებდა. „უაზრო“ იყო, „უკეთუ“, რომ არ ფარავდა სიშიშვლეს და სილამაზეს უშუალოდ გთავაზობდა, სანამ გონიერებას და სიბრძნეს მოიგონებდა თავისივე ვნებისა და თავისუფლების დასათრგუნავად.

უგზოობაში ცხენის ჯაყჯაყს, ხტომას, ფორხილას და ყოველ წამში მოსალოდნელ ხიფათს გადაჰყავდა თავდავიწყებაში; აზროვნებიდან უბერტყავდა ნასწავლს, შენაძენს, თავსმოხვეულს და უბრუნებდა მას, როგორცაა... როგორც იშვა, რისთვისაც მოწოდებულია და აძლევა უფლებას, ზურგში მოესვა კაცი — მასავით ბუნების, მიწის, წყლის, ცის, ბალახის შვილი და არა გერმანელი ან რუსი, კავკასიელი ან გადამთიელი, რაკი ტყე და მინდორი, ეზო-ბაღი, ღეღამიწა ისევე ბრტყელი იყო, მზე ამოდოდა და ჩადოდა, გამოქვამული იყო სახლი და ზარბაზნებითა და ფილოსოფოსებით არ იყო მიწა გადაღობილ-გადმოღობილი. ყველა ერთ—ვნების ენაზე ლაპარაკობდა, ნანადირევს ყველა მშვიერი იყოფდა. არც ცხენები იყო მაშინ „განათლებული“ — წმიდა სისხლისა, შეკაზმული ან დარახტული, არც გზა-სავალი მოკირწყლული, ქუჩები დანაშრული და დამისამართებული. იქით ისწრაფვოდი და მიჰქენებდი, საითაც წყალი იყო, საითაც სანადირო გვეულებოდა და სა-

დაც ვნებას დაიცბობდი. მიწა იყო ლეიბი და ზეცა — სხვაფერად და, ვისაც შენი ნდომა ჰქონდას, სხვადასხვადა და ვისაც შენი წყურვილი ჰკლავდა, იმას იქით არ იყო არც ლობე, არც კედელი, არც გვარი და არც სახელი; არც სხვა ენა და სხვა ღმერთი. ღეღამი იყო მიწა, რომელიც გარჩენდა, მზე — რომელიც გათბობდა, მთვარე — რომელიც ბნელს გინათებდა და მამაკაცი — მეორე ნახევარი, რომელიც გამთლიანებდა. რის გარეშე არ შეგეძლო გეარსება და რითაც არსებობდი, იმაზევე ლოცულობდი. ადამიანი ახლაც იმითივე ცხოვრობს, მაგრამ დასცილის და თრგუნავს თავისავე არსს. რცხენია იმის, რაცაა და იგონებს იმას, რაც არასოდეს ყოფილა.

აღზნებული ქალი აწვევითი ეინით აცოფებდა ცხენს და უბრუნდებოდა იმას, რაც თავდაპირველად იყო. თითქოს სურდა, რაც შეიძლება სწრაფად, სულსწრაფად მისულყო ახლოს, ზედ მიტმასნოდა იმას, რისგანაც მოწყვიტეს. „მშვენიერების“ გამონაგონითა და სიცრუით წაართვეს მშვენიერება, წაჰგვარეს ის, რისთვისაც მოავლინეს...

მიჰქროდა და მიჰქროლებდა თავისივე ნახევარს და არა სხვისას ან მტრისას; არა უზნეობისა და გარყვნილებისაკენ, არამედ სრულყოფისა და სრულქმნისაკენ, გამთლიანებისაკენ... რისთვისაც მიწამ ისინი თავის სხვადასხვა წიაღიდან ამოსროლა, რომ თავისად ექცია...

მათი ვნებები — ცალ-ცალკე დაუტევარი, შებოჭილი — შფოთავდა, დულდა, ჩანასახში ბობოქრობდა და ითხოვდა საშოს. წუბდა, წვალობდა მუცელმტკივანი, მზის ცხელი ვნებისაგან ორსული ღეღამიწა და ვაებთ იშორებდა ნაყოფს ნაყოფისათვის, ერთმანეთის წყურვილისა და ნდომის წესად, კანონად და არა დათრგუნვისა და სიბერწისათვის, არა ზნეობის ბორკილებში უბიწო ხრწნად, არა სოციალურ ფენებად და ჯოგებად დაყოფა-დანაწევრებად, არა დათიშვად მდედრისა და

მამრისად, ყოფად და არა არყოფად.

დაწყველოს ღმერთმა, ადამიანი მაინც გარემოს საყვირი ყოფილა. შენს რწმენასა და ურწმუნოებას, შენს შემართებასა და აპათიას შენივე „მიწა“ უნდა ჰკვებავდეს. შიმშილი პურს ითხოვს, წყურვილი — წყალს, ბრძოლა — იარაღს, გაჭროლება — „მატარებელს“, და ის „გარემოება“, რაზეც ზიხარ, — შენ მოწადინებული ხარ თუ ხელჩაქნეული უნდილი, — „ცხენი“, საითაც პირი აქვს მიქცეული, მაინც იქით მიგაჭენებს, მიგაჭროლებს, იქნებ იმ უმნიშვნელო განსხვავებით, რომ ვინც ძალიან ისწრაფვის, იმ გზის დასასრულთან ერთად ნაბიჯით მიგასწრებს. ამ სბოლის მოსურნეს, რომელმაც ზურგზე მოგიგდო, შენ კი საპირისპირო მიმართულებით აპირებდი გაქცევას, მაინც თავისკენ მიჰყავხარ და შენი სურვილის წინააღმდეგ უფრო მაგრად ეკვრი, ეტმასნები, რაკი უმიზნობა გბოჭავს, ლტოლვის სიმძაფრე, ენერგია გაკლია და შენი ჩამოვარდნა-დაღუპვა უფრო ადვილია. ატორლიალებული, უგზო-უყვლო, ფრჩხილითა და კბილითა ხარ ჩაფრენილი იმის ლტოლვას, ვინც იცის საით ისწრაფვის, რაკი, ვინც იცის სად მიდის — მან გზაც იცის, სავალიც და მხედრობაც. შენ ბრმა ხარ, უსახური, მხოლოდ სიციოტხლის ინსტინქტებით შეპყრობილი; ბნელში ვარსკვლავს ვერ ხედავ, დღისით — მზეს.

გრეტა, იქნებ, არც პირველი იყო და არც უკანასკნელი, რომელმაც იმ მეცნიერებაზე და მწიგნობრობაზე უარი თქვა, რომლის ძალმომრეობამ თავის ინტერესებს დაუმორჩილა და თავდაპირველი, ზოგადსაკაცობრიო, ადამიანური მოწოდება წაართვა. მაგრამ უმიზნო „მეამბოხეებივით“ გზა-შარაზე არ დარჩენილა. თავდაპირველს, მართალს, ჰემმარტს, რასაც ინტელიგენცია გაეპტა — მიწას დაუბრუნდა. თუ მედიცინის გაყალბებულ, ადამიანის მტრად ქცეულ მეცნიერებას ხელი ჰკრა, „პური ჩვენი არსობისას“ მარტივ, მაგრამ რთულ მცნებას ეზიარა. შიმშილით „და-

ავადებული“ ოჯახის „განკურნება“ არჩია. თუ ფონენდოსკობზე უარს თქვა, პალატაზე და კათედრაზე უარი თქვა — გუთანს, სახნისს, ბელელს და ხარძროხას უვლის. თუ მანქანიდან ჩამოხტა — ცხენზე შეჭდა, დეზებს გვერდებში სცემს და სიცილ-კისკისით ერეკება, რომ ომით გაჩანაგებულ და გაპარტახებულ, დარბეულ გზებზე გაქცეულ ცხოვრებას როგორმე წამოეწიოს. იგი უხეშია, როგორც სინამდვილე, მაგრამ არა პირმოთნე. იგი ავია, როგორც ყოფა, მაგრამ არა ყალბი და ფარისეული. ხესავით კანდაკორძილია, ხეშეში, მკერივი და არა ლერწამივით ნაზი, ალერსიანი და ქარის ცელქობას აყოლილი. იგი თავის ვნებებს დანებდება, მაგრამ შენ ვერ დაიმორჩილებ. თუ არ დათესავ, ვერაფერს მოიმიკი. გრეტა სხვისი პურს არ შექამს და ვერც თავისას დასტყუებ ფლიდობითა და თვალის ახვევით. იგი იმ ცხენს გამოკვებავს, რომელიც გუთანს გაუწევს; იმ ძროხას აბალახებს, რომელიც ქწველება და იმ ღორს გაასუქებს, რომელიც ქონს მისცემს; იმ კაცს შეიჯენს თავის ნაპატიებ ფაშატზე, რომელიც მის შიმშილს დააპურებს. ელემენტარული ფილოსოფიაა, მაგრამ მართალი, ცხოვრებისეული. მაკარი, მაგრამ ჰემმარტი.

მოუხვენელი და დაუმუშავებელი მწიბრი, ყვითელმიწა ნიადაგიანი კი არა, შავმიწა საყანეები არაფერს იძლევა. მის, მკერდსაკრავის არტახებში დაუტევარ, მკერდს მწკლარტე სუნი ასდის, მის თემოებს — ცხენის ოფლისა, მაგრამ ამიტომ არ უნდა მიგვიდეს გული, რაკი ჰაკი მიწას ხნავს და გრეტა პურს მკის? თვით ვნებას არ უდის ცხენის, ოფლის, მძორისა და თბილი სისხლის სუნი? მუშკითა და ამბრით რომ კაზმავ და აყალბებ? ცხვირს უზბუებ იმას, რაკა ხარ და საკუთარ გულს გირევს? უცოდველ მეცნარეს, ბალახებსა და ყვავილებს ჰპარავ სინაზეს, კდემამოსილებას, სურნელს და საკუთარ სიმყრალეს შენსავე ცხვირს არიდებ? რა „თაფლსა“ მიირთმევ, იმისივე გემო

არ გინდა? კაცს ჰკლავ და ჰუმანიზმს გაჰკვივ? ადამიანის სიცოცხლეს ხელ-ჰყოფ და თავისუფლებისა და კაცთ-მოყვარეობის დროშას აფრიალებ? როსკიპი პატროსნებაზე და უბიწობაზე ქადაგებ? უარჰყავ მიწა, ბალახი, ხე, ცხენი... და ჰეშმარიტებას რამდენი გავმიჯნე, დამორდი და ადამიანის ტყავის ხელთათმანები ჩაიკვი, იმდენად აძალდდი და უპირველეს რასად იქეცი?

ადამიანი რაცაა; იმის უკეთესის „შექმნა“ არავის შეუძლია და არც საჭიროა, თუმცა მუდამ სხვას აკოწიწებს და, ამდენად, ტყუის და ფლიდობს. რაკი ნამდვილს მალავს და უარყოფს, თავს იმბინჯებს და ირყენის. ვითომ, კი არ კახბობს — „უყვარს“, ოფლისა და მძუნაობის სუნი კი არ ასდის — ნელსაცხებლის; ლოგინში სხვას კი არ უწვება — „სულიერ სატრფოსთან“ გორაობს; ფულს კი არ იღებს და სხეულს კი არ ჰყიდის — შეყვარებული უტოვებს და უარი რომ უთხრას — „გულს ატყენს“...

გრეტას დაიკო ესესელ ოფიცერს მიაშვარეს, რომ დაღუპული, მიწასთან გასწორებული გერმანია იხსნან, და კი არ მრუშობენ — „პატრიოტულ“ ვალს იხდიან... ახლა, თურმე, შეუყვარდა კიდევ და ანნას „სინდისი“ განთავისუფლდა ქენჯნისაგან, რაკი — „სადაც სიყვარულია, იქ ყველაფერი მართებულია“. ესაა ერთადერთი, რაც გრეტას არ შეუძლია დედ-მამას გაუმხილოს და თავისი ბუნების წინააღმდეგ პირზე ბოქლომი დაიდოს. მერეც ეყოფათ უბედურება, როცა ამ „პატრიოტიზმისა“ და „სიყვარულის“ ნაყოფს მოუგდებენ და ანნა ახალ „პატრიოტულ“ საქმეს მოჰკიდებს ხელს, ახალ „სიყვარულს“ დაუწყებს ძებნას.

— თუ სიყვარული არსებობს, იგი მაშინ პლატონური უნდა იყოს! — წყრება გრეტა.

— ალბათ... — ეთანხმება ბაკური, როცა მისპინძელს ორი ფინჯანი ყავა სხვენიში ამოაქვს და დადლილი, გაქეჩილ სავარძელზე დაშვავდება.

— შენ რა, მართლა გასულუღლდი და გიყვარდა ვინმე? *ერქიუნუსში*

— რა ვიცი, მარტულს... *მარტულს* ვეყვარებ... ერთს ან მეორეს...

— ერთი და მეორე რას ნიშნავს, თქვენ მაჰმადიანები ხართ?

— არა, და მაინც...

— აჰა, ორი ქალი... ერთსა და იმავე დროს, თუ სხვადასხვა დროს?

— თითქმის... ერთი ბავშვობიდან, მეორე — ჯარში...

— ორივე გიყვარდა და გვერდში გეწვა?

— არა, წოლა კი არა...

— დაწეკი. დაწეკი და საბანი წაიფარე. მაგ ძელებს რომ ვუყურებ, თავი სამედიცინო ინსტიტუტში მგონია, გული მერევა.

ბაკური უსახელო პერანგისა და მოკლე ნიფხვის ამარა წვება, გრეტა იქვება და არ ებუება. ალბათ, ყველაფერი უნდა დამართნოდა, მაგრამ ქალი, ვითომ, მაინც ქალად უნდა დარჩენილიყო. თითქოს ეს აღარ შეიძლებოდა, ყველაფრის დამკარგავს, ეს საშინელება თავზე დატეხოდა.

— მეც მომწონდა ერთი თანაკურსელი. ხომ მქონდა უფლება ჩემთვის, ჩემს გუნებაში... მაგრამ მიყვარდა თუ არა, ვერ გეტყვი... მერე, როცა ის დაიღუპა, არ მიდარდია. რატომ, ვერ გეტყვი. იმიტომ, რომ ის ჩემსკენ არ იბედებოდა? თუ მიყვარდა, იმისთვის ხომ არ უნდა მყვარებოდა, რომ ის ჩემი უნდა ყოფილიყო.

— არა, არ გყვარებიან... მე კი ამიტომ მგონია მიყვარს, რომ ვიცოდი, „ჩემი“ არასოდეს იქნებოდა.

— მეორეც?..

— ვერ გეტყვი, გრეტა. ახლა, მით უმეტეს, ბანაკებისა და კრემატორიუმების შემდეგ, ველარც ვაზროვნებ... ისინი იყვნენ, ვიზუც ვფიქრობდი... ერთი, თითქოს, სიყვარულზე მეტი იყო, რალაც თანდაყოლილი რწენასავით, თანაარსივით... მეორე — ომში ომივით მახლდა... არ ვიცი, უკვე სიზმრად ნანახივით მაგონდება.

— აჰა, ყავა ჩაიციხლე! თუმცა სუ-

ლიერად ვერაფერს გარგებს... — ოთხ-
ხში თბილა, გრეტა ფეხებს გადაშლის
და გულისპირს იღვლავს. ქალის, ცხე-
ნის, ძროხის, რძისა და ყავის თბილი,
მძაფრი, მკავე მათრობელა სუნი „სუ-
ლიერს“ ერეკება. ნატიფს, ნაზსა და
კრძალულს საჩოთიროსა და საუბერბუ-
ლოს ხდის, მაგრამ ვერც სიშიშველესა
და ავზორცულს ანებიერებს... რალაცა
რალაცას თრგუნავს... წარსული აწმ-
ყოს, თუ აწმყო — წარსულს...

„ყმამან ასრე წაიკითხა,
და ვინმეა, ანუ თვისი“...

X

გუთანში შებმული ცხენი ეწევა, მი-
სთვის სულ ერთია: თავისას ხნავს, მე-
ზობლისას, გადამთიელისას თუ მტრი-
სას და, თუ შრომით მონიჭებული ბედ-
ნიერების ნიჭი აქვს — ბედნიერია. კა-
ციც ჰკიდია გუთანს, ეწევა კვაპანს,
ხნავს, თესავს, მაგრამ იგი დასჯილია
და პირუტყვზე დაბლა დგას იმით, რომ
თუ თავის ეზოს არ ხნავს, თუ თავის
მამულში არ შრომობს, იმის მაგიერ,
რომ თავისი შექმნილისაგან კმაყოფილი
იყოს — უბედურზე უბედურია. პი-
რუტყვი და მეტყველი ამითაც განსხ-
ვავდება ერთმანეთისაგან და ცხოველს,
ამდენად, ბედის სამღურავიც ნაკლები
აქვს.

მაიერმა იცოდა, თუ საკონცენტრა-
ციო ბანაყის ჯალათები მონებს ხელ-
კეტით ორმოს ათბრევიანებდნენ და
უნერგოდ ავსებინებდნენ (რაც ისაკამ
ვერ შეძლო), გერპარდტის ეზოში
დარგული ხეც და მოწეული პურიც,
რომელშიც ტყვეს წილი ედო, იმაზე
უკეთესი არაფრით იყო. თუ მტრის
ეზოს ხნავ და თესავ — შენსას ავე-
ლურებ და აპარტახებ; თუ მტრის
სახლს აშენებ — საკუთარს საძირკ-
ველს უთბრი და ანგრევი; თუ დღეშმა-
ნის მამულს აყვავებ — საშობლოს
არბევ და აჩანავებ.

ომი, მხოლოდ ტყვიით მოწინააღმ-
დევის განადგურება არაა, შენ საპირის-

პირო ბანაყის ერთი საბრძოლო ერთე-
ული ხარ, მეორე ბანაყის მტრის მტრ-
თეულთან დაპირისპირებულს. მტრის
მტრის პოზიციას ზვერავე, იმას ანგა-
რიშობ, რა ძალა ჰყავს მას და რა უნდა
შეაბა. რამდენი ტანკი ჰყავს, რამდენი
თვითმფრინავი, ზარბაზანი, თოფი და
ჯარისკაცი; რა და რამდენი დაგვირ-
დება შენ, რომ გაუმკლავდე ან მიწას-
თან გაასწორო და წინ წაიწიო. შენ
თუ მისი სანგარი თხარე, მისი ყანა ხა-
ნი და ხე ახარე, ის შენი ძმა ყოფილა
და არა მტერი და დღეშმანი. შენ მათი
კაცის მოსასპობად, ყანის დასაწვავად,
ხისა და ტყის მოსათხრელად ხარ მოზ-
მობილი. აღამიანი რომ მოყვასია, პუ-
რი მოსაწევი და ხე დასარგავი, ეს
„ცხენის ფილოსოფიაა“, რაკი ის არ აზ-
როვნებს (რითაც კეშმარიტად ბედნი-
ერია). შენ ჰკუთა იმიტომა გაქვს, თუ
ხელთ ტყვია არა გაქვს — ყურში მა-
რილი უნდა ჩააყარო. ყანას თესავ კი
არა, დათესილი უნდა მოსრა და ხეს
თუ ვერ მოჭრი და მოთბრი, მდულარე
უნდა მიუხსა.

ბანაყის უგუნური ზედამხედველი თუ
ორმოს გათბრევიანებს — არ გარგვე-
ვინებს, რომ ტყვე უზარო შრომით ფი-
ზიკურად დაქანცოს და ზნეობრივად
აწმოს. ერთი შეხედვით, თითქოს, სა-
ტანჯველის ახალი და უმძიმესი მიგნე-
ბაა, მაგრამ უბედურმა არ იცის, რომ
მტრის ხელით თავისი ბალი უნდა ააყ-
ვავოს. მან პირუტყვივით იცის შრო-
მისაგან მონიჭებული სიამოვნება, ამას
ართმევს და ამით სულს ხდის, მაგრამ
თავისსავე თავს ვნებს, რაკი ეზოში
ვაშლი არ დაარგვევინა და ამით მტრის
მსხალი არ გააბმო... როგორც თეო-
ლოგი, მოხუცი მაიერი, თვალდახუჭუ-
ლი კითხულობს მათეს სახარებას: „რო-
მელი არა არს ჩემ თანა, იგი მტერი
ჩემი არს; და რომელი არა შეკრებს
ჩემ თანა, იგი განაბნევს“.

მაიერს მოტეხილი მკლავი იმდენად
არ შეხორცებია, ყაისნაღის მაგიერ,
ხელში ყავარჯენი აილოს და ბარძაყში
წატაკვეული ფეხით ნახნავებში, იბორ-
ძიკოს. მაგრამ მზიან-დაბიან ამინდშიც

ოთახში ჯდომა და პუფზე დაკრებულ ჯოჯოხის გამოცარიელებულ თვლებში ძვირნი (როცა თანამეცხედრეს ჭკუა მოეკითხებოდა, მაშინაც არ უყვარდა) ისე აღშფოთებს, შეუძლებელს ინდომებს: ყავარჯენს ილიით მტკაველ-მტკაველ აჩოჩებს და მეორეზე სალი ხელით დანდობილი, ოთახიდან მაინც გამოკოჩიალდება.

მისიშვილს დოქტორი ბიძაც მოაცილებს და თუ ფიზიკურად ვერაფერს ეხმარება, სულიერად ამაგრებს თუ დასცინის:

— „და უკეთეს მარჯუნე პელი შენი გატუნებდეს შენ, მოიკუთვით იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობესს არს შენდა, რათა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, და არა ყოველი გუამი შენი შთავარდეს გუკენისა“.

გერპარდტი თავს ისევე ორჭოფულად უქნევს, როგორც ბიძა მოძღვრავს. კიბესთან ცალ ყავარჯენს აჩივებს, რომ სალით სამკლავურს ჩამოჰყვეს და როგორმე ყანის კიდემდე მიადწიოს. იქ მორზე ჩამომჯდარმა თვალი მაინც გაახაროს. აღვირს ჩაფრენილი ქალიშვილი გუთნანს ცხენზე ნაკლებ როდი უძღვება და ექაჩება. ერქვანის სახელურებს კი მთელი სიმძიმით ჰკიდია კისერმოღრეცილი ტყვე — გუთნისდედა, რომელმაც ცის დანახვა რომ მოინდომოს, ამისი ილაჯი აღარ გაჩნია და ხნავს, აყვავებს იმას, რის დასაქცევად და დასარბევად ამქვეყნად მოავლინეს.

მწარეა მტრის პური, მტკივნეულია მტრის მოფერება და ძალადობაა მტრის ქალის აღერსი.

— „ხოლო თუ გვეტყვი თქვენ: — კიკინებს, ხნულზე სათვალეებს ზემოდან სარქენად მზირალოვით, თეოლოგი. — გიყუარდელ მტერნი, თქვენნიც და აკურთხევდით მწყევართა თქვენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქვენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გამძალაკობდნენ თქვენ და გდევნიდნენ თქვენ“. — როცა მხვინელ-მთესველები მათ უსწორდებიან, გრეტა ქაქანებს:

— სად დაფორთხავდი ხნულში არ ჩაითესოთ, თქვენი გეჭყუარებოდა და გიყუარებოდა, თქვენსავე დასაქცევად უფროსი მაიერი შეგონებით იგერიებს:

— „ხოლო შენ რაემს ჰყოფდე ქველის საქმესა, ნუ სცნობ მარცხენე შენი, რასა იქმოდეს მარჯუნე შენი“. — მაგრამ ისევ არავინ იცის, სახარებით მოყვას მისიშვილს მოძღვრავს, მისი შვილიშვილს თუ მტერს.

გრეტა ცხენს კი არ უძღვება, მიწას ღრმად მოდებული გუთნის გატანაში მხარდამხარ უდგას და შეძახილით, გაწყრომით, დაყვავებითა და მათრახით ეშველება. შესვენება ცხენისა და ბაკურისთვისაა, თორემ თვითონ ისევ: ღორი, ძროხა, ქათამი... სადილი და ვახშმის თადარიგი, მისარებ-მოსარები, გასაქცევე-გამოსაქცევი. სამი ხეიბარი სარჩენი და დასაპურებელი; მეოთხე — ქალაქში, „ფიურერისა და სამშობლოს“ ერთგულებისათვის „გასანთლებელი“; საჭაპანე ცხენი გამოსაყვები, ტყვე ხორცშესაბმელი და გასახდენი. ამდენ სათრევე-სარჩენზე ძალასა და ღონეს უშურველად ხარჯავს და თავისთვისაც — ერთი ქალის პირობაზე — თავსაყრელად რჩება.

ქაკი ოფლის შესრობას ვერ ასწრებს და გუთნისდედა შესვენებას, რომ ისევ ხვნა-თესვა და ისევ და ისევ ჰკაპანწყვეტა. ხეიბარის ყავარჯენებით ბორძიცი და თეოლოგის: — „მამაო ჩუენო,... პური ჩუენი არსობისაო მომეც ჩუენ დღეს“...

XI

ბოლოს და ბოლოს, დრომ და მცდელობამ იმდენი ჰქნა, ბაკურს თითქოს ხორცი შეაბეს. ის-ის იყო, თვალი დაეცდა, რომ იმ საღამოს კარგად გახურებულ აბანოში მკვლე ტყვე ორთქლის ბულში შეაგდეს და გრეტა არავის შეპუბებია, ფეხდაფეხ შეპყვა. ტანსაცმელი უმაღლესი შიმშილიდან და ცხელ, თავსხმა შხაპს შეუდგა. თავის „თოჯი-



კომისრის მოადგილეს საგარძლის ზამბარები ჩაცვენოდა თუ თვითონ დამოკლებულ-დაჩაივებულყო, მაგიდის კიდეზე მუშტები ერთმანეთზე შემოედო და ზედ დაბჯენილი ნიკაპი სიტყვას არ ანებებდა.

— პო, კაცო! მოდი, ფარნა, მოდი, დაჯექი. — წამოდგომა არ უცდია, ხელი ფამილარულად გამოუწვდინა.

— სადაა დასაჯდომი დრო... ან ამ საგარძელში რომ ჩაიკარგები... — ფარნას მიკითხვ-მოკითხვა აღარ დაუწყია. ამის გუნებაზე, ეტყობოდა, არც მასპინძელი ჩანდა.

— დრო სადაა... გაგვიძვრა ხელებში, წავიდა.

— რა ამბავია?! — მაგიდაზე დამხობილს თვალმოჭუტული დააჩერდა — დავაჭყიეთ ქვეყანა? თქვენთვის იოლია: „გამოიძახეთ!“ „გამოცხადდეს!“... და მორჩა, მაგრამ ჩვენთვის, ასეთ დროს, ამ უბედურებაში...

— მერე, მაგი არ ვიცი, შე მამაცხოვნი! — მუშტის ნიკაპი ააცილა და ისე შეჩქვიფებულმა თქვა: კაცს ას კარგს რომ გაუყეთებ და ასივეს წყალში ჩაიყურის. — ან შენი მდგომარეობა და გაპირებია?.. პო, მართლა, მონაწილე ვარ შენი დიდი მწუხარების... ლუკა, რა კაცი, კაცო!.. ასე გაუქუღმართებულ დროში ეცხოვრობთ... რა ხნის ამბავია, მარა მას მერე არ მინახიხარ და, ამას გარდა, ძმა და ისიც, თქვენ რომ ძმობა გქონდათ... გულიანი კაცი ხარ, ფარნა, და... ვიცი, ყველაფერი ვიცი, მარა... — მუშტებს ისევ ნიკაპით დაეყრდნო და ხმას ერთბაშად დაუწია. კარს იქით მოყურადეს კი არა, აპოლონს გუნებაში რა ედო, ფარნას ისიც რომ არ სცოდნოდა, პირში შეჩერებულყო ნახევარს ვერაფერს გაიგებდა. — ამათი ღედა ვატირე!.. ამათ გააგებინებ? ბიუროკრატიია და მეტი არაფერი.

— კომისარი მეძახის?..

— წავიდეს... კომისარი კი არა,

მთხლეა... არც იცის, ბედი შენი, რომ ჭერჭერობით ასეთი რამეები მე მეხება.

— რა მჭირს ასეთი?!

— რა გჭირს, შე ოჯახამუნებულო და, ქალი ვის არ უყვარს... ქალი გვიყვარს და ცხოვრება, აბა, შენ გჯონია, აქ მართლა ქვეყნისთვის იკლავს ვინმე თავს, ეს ამოდენა შენობა რომ კაბინეტებითაა გატენილი და კაბინეტები — თანამშრომლებით?

ფარნას დაცეცხლა.

— მიჩივლეს?..

— გიჩივლებენ, შე მამაგანათლებულო, აბა, თავზე ხელს დაგისვამენ?

ჩივილი და დასმენა გიკვირს შენი ძმისა და ქვეყნის პატრონს? რო არ ეჩივლათ, ის უნდა გაგვიკრებოდა.

— მართალი ხარ... — თავი დაუქნია და სკამზე მოწყვეტით დაეშვა.

— არაა შენი საქმე ეს დირექტორობა და ხელმძღვანელობა. შენ, ჩემო, ძმაო, ჭურში ხარ, არ იცი, არ გეყურება თუ... როგორ არ იცი, მაგრამ არ გინდა დანახო და ვერ ხედავ, თუ რა გჭირს, მაგ მეც ვერ გავიგე და კომისარს გავაგებინებ? „მოხსენით!“ და „დანიშნით!“ — ს მეტი არაფერი იცის. არ იქნა და არ მოაშორეს აქაურობას!.. ამდენ ხანს გერმანია კარზე იყო მომდგარი, მაგისტრის ვის ეცალა, თავი სად შეემალათ, იმის დარდი ჰკლავდათ. ახლა — წინსვლა, სიხარული და შიში ჰკლავთ, არაგინაა, ამ გაპირებისა და უიმედობის დროს, რომ არ შეეცოდოს... არაფერი გაასწორებს ამ ქვეყანას, რომ იცოდე შენ...

— და, ესენი, მე მიპირებენ გამოსწორებას?!

— შენ პატარა კაცი ხარ და ჩემს მეტი მფარველი არავინა გყავს.

— არავის მფარველობა არ მჭირდება მე!

— „არ გჭირდება“... ასეა... რომ გითხარი, ჭურში ზიხარ-მეთქი, გეწყინა.

— არ მწყენია, ვიცი რომ ვზივარ.

— და არ იცი...

— ვიცი და მაინც!..

— კაცო, შენი ძმის მაგალითი არ კმარა?

— ჩემი ძმა... — ფარნას ხმა წაერთვა.

— იგი კაცი იყო და კაცია, მაგრამ სიმართლესაც რომ პატრონი და მფარველი სჭირდება? კარგი შანსი იყო, იმ ქალისთვის რომ როგორმე მოგვევლო. მე რა, უკანალზე ხელს კი არ ვფარებ, მაგრამ მაგი ისე უნდა გააქეთო... როგორ ვითხრა... როგორც აქ კეთდება. ის ქალი შტერია, შენ პატიოსანი და, თუ რაიმე... ხდება, აბა ქალი და კაცი ქალი და კაცი რატომბა.

— არაფერი მომხდარა და არ ხდება...

— ხმა კი გავარდა და ტაშტი გატყდა თუ არა, ვის რაში ენალვლება... გატყდეს, ბატონო, ტაშტი ვის რა ჭირად უნდა, მაგრამ ხმა, ხმა არ უნდა გავარდეს. აი, რას ჰქვია დღეს ჰქუა და მოხერხება. შორს რატომ წავიდეთ, შენი შვილისაგან გესწავლა: ცოლიც ჰყავს, საყვარელიც და, პოსპიტლის დირექტორობიდან, აგერ, ჯანდაცვის კომისიის მოადგილედ დაჯდა. მალე იმასაც წირვას გამოუყვანს... ერთი რომ გადმოურეკოს ამ ჩვენს დოკლამია კომისიარს...

— ვინ, კაცო, ხომ არ გაგიყდი, მე ვატუტისა და მისი სიმამრის პროტექცია მინდა?

— ა, არ ვიცი! არ გინდა... შენ რა გისაყვედურო, მეც ვერ გავუგე აჭაურობას ასავალ-დასავალი. — თავი მოისაწყლა ნაცარში კოვზჩაყარდნილმა ახალაქმე. — მეც მივდივარ აქედან...

„მეც მივდივარ“, იმას ნიშნავდა, რომ ფარნასაც უნდა დაეტოვებინა სკოლა?..

— და, მეც ამას მირჩევ?

— არ გამოვა სხვანაირად... აქ ყველაფერი წერია. — აპოლონმა ხელი გამოიწვდინა მაგიდაზე, ერთმანეთზე აწყობილ ქალაღებს სთხლიშა. — ოცი გვერდია, თუ მეტი არა, საბრაღდებო ოქმივითაა ყველაფერი გაფორმებული.

— აქვსენტი აფხაძე?..

— არა აქვს მნიშვნელობა... შენ რას დაგიმალავ... ოჯახი დასწავლად შეიღწე... შეიღწე მისი დამსვენების ქალიშვილს შეაქდინა და შური იძიო. კაცო, შენ არ გესმის, რომ შენი ძმა ვინც დაიჭირა, ისინი ყველა ჯერ თავის ადგილზე ზის? და იგი მარტო თქვენი ნათამყდომარის ნახელავი არაა?.. ან იმას რას იძახი: „ჩემი შვილი გმირი როგორ შეიძლება იყოს, რაღაც სიკვდილზე უარესი სჭირსო?!“ ის მასწავლებელი ქალი იყო და... ერთი ოთახი იმოდენა სოფელში ვერსად უშოვე, სკოლაში არ გამოგეკეტა და მთელი ღამე მასთან არ წოლილიყავი? ასეთ დროს, მე თუ მკითხავ, მთლად სახლში მივიყვანდი, ოჯახში... არც ცოლთან გავაფუჭებდი საქმეს... ცოლმა, ზედ რომ წაგისწროს, ხმას არ გაიღებს. ჩვენი ქალების პატივმოყვარეობის ამბავი არ იცი? თავის უბედურებას ქვეყანას არ გააგებიანებს...

— მოეშვი ჰქუის სწავლებას და ის თქვი, რა გადამიწყვიტეთ.

— ჯერჯერობით, ყველაფერი ჩემს ხელშია, მაგრამ ხელი რომ დაგაფარო, მეც მიჩივლებენ, აქვე წერია... — ქალაღების დასტას ისევ გაშლილი ხელი სთხლიშა. — ქალაღია საქმე და არა ის, მე და შენ მართლა ვინა ვართ! დაანებე თავი იქაურობას, მოეშვი... რაც არაა შენი საქმე, არაა. გადმოდი აგერ, ინსტიტუტში... მაგას მე ვაგინებრებ, სადღაა მაინც კადრები... ფრონტზე ჩაწყდა. ჩააბარებ რაღაცა იმ მინიმუმს, მეც იქ ვიქნები და, სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს... შენ არა ხარ ის კაცი, რომ გაკირვება გატეხავს და ხანი დააბერებს. შენი ამბავი რომ ვიცი, ერთი ჯველის გასაწევ უღელს აწიაც გასწევ. მერედა, ისიც ხომ ვიცი, გვიკრება თუ გილზინდა, წიგნი ხელიდან არ გაგივლია. მე ჩაეზრჩვი ამ დასაწყევში და ვერც კარგ ცხოვრებას შეველოე, თორემ შენ კერკეტი ნიგოზი ხარ. აიღე რაღაც თემა, მთლად ბნელითაა მოცული მთელი ჩვენი ისტორია... ისე, იმ შენი სეხნია ფარნავაზის, მისი დამწერლობისა და ქრისტეს დაბადებამდე სა-



ქართველოს გაერთიანებისათვის ახლა არავის ცხელა.

— ჩვენი ისტორია ესაა და...

— კაცო, ახლა შეფეები და ხელმწიფეები ვის სჭირდება, რაიმე რევოლუციური თემა აირჩიე და რიზინ-რიზინით წახვალ. ავლაბრის საიდუმლო სტამბაზე ვმუშაობ მე...

— მაგი რა ისტორიაა, მაგის მოწმეები და მესტამბეები ახლაც ცოცხალია, არაა გარკვეული და გამოკვლეული? ან შენი „აღმოჩენილია“?!

— რომ არის და კაცი ვერაფერს შემომედავება, ამიტომ...

— კარგი, კარგი! — გააწყვეტინა ფარნამ. — შენ რაც გინდა იმას იზამ, მაგრამ ჩემ საქმეს რა ეშველება...

— ვადმოდი, რომ გეუბნები... ასე ჭობია შენთვისაც, საქმისთვისაც და, თუ მანკლამიანც, ქვეყნისთვის ვინმე რაიმეს გეკითხება, იმისთვისაც. ავერ მეც და... ერთად ვიქნებით... ბინის საქმე მანკ მოვაგვარე ამ დასაქცევში და, ჭერჭერობით, თუ შეილთან... ვატუტის ბანში კაცი დაიკარგება...

— არა. არც მასთან და არც შენთან, მაგრამ...

— თუმცა, დაც აქ არა გყავს?

— ეს ჩემი საქმეა...

— კარგი, ბატონო, როგორც შენ გინდა, მაგრამ ასეა... დაანებე თავი, იქ, სოფელში ნურაფერს იტყვი... ნომარი ყოფილა ის, ვილაც ოხერია, და ხომ იცი, ახლა ამას გასავალი აქვს. პარტუჯრდიც... დაუსწრებელზეც მოწყობილა და მოეშე, ეგდოს. იმას შენი ადგილი უნდა, თორემ შენს დაპერასა და გაციმბირებას კი არ მოითხოვს. დაწერე განცხადება, მე რეზოლუციას დავადებ და არც მწვადს დავწვავთ და არც შამფურს. აქ ერთი ამბავი მოხდა... დაჩექი კიდეც ცოტა ხანს და მომისმინე... ასე უნდოდა ერთ... რად გინდა გითხრა, არ იცნობ, სხვა უწყებობისაა, „განათლებასთან“ არაფერი ესაქმება. და, უფროსს რომ ვერაფერი მოუხერხა, ხმა გაუფრცხლა — მამათმავალიაო. მე ორივეს ვიცნობ, და რომ შევხვდი, ვკითხე: „ბიჭო, ეს რამ მოგა-

ფიქრებინა, სევასტი...“ — სევასტი პქვია იმ „მამათმავალს“ რა მუხრე კაცია-მეთქი?!“ — „მე ზნეს უნდა მამათმავან მაგან წავიდეს და ამტკიცოს, რომ არ არისო“. — შენ კიდეც რა გიშავს, ქალი უყვარსო, ის თქვეს და კაცი გაუპატიურაო, რომ ეთქვათ, რაფერ გადაუმტკიცებდი... გამოასწარი, გირჩევნია... პა, შენ, ქალაღი. ავერ მის მეტი რაა და, ახლავე დამიწერე განცხადება. მასე რომ გაგერისკა, შენ ახლა მართლა მეცნიერი იქნებოდი. შეაჩერდი იმ სოფელს და... იქ, ხომ იცი, პატარა ქვებია და ყველას არ ყოფნის. ერთი და ორი კაცის ულუფა ყველას არ გაწვდება. სოფელში „ქალიც“ ერთი ან ორია, ქურდიც, მამათმავლიც და ჩანს... დაწერე, დაწერე!“

— მოიცა, ასე, მართლა...

— არავინ გართმევს იმ სოფელს. თემას რომ აიღებ, შეგიძლია ჩააკითხო და იქაც იმუშაო... აქ მეც წამიკრავ ხელს. ინსტიტუტში განყოფილების გამგედ გადავდივარ, სამეცნიერო საბჭოს წევრი ვარ და, ჩემი ნება არ იქნება?

— ძმისშვილები... დედაჩემის, მამაჩემის და ლუკას საფლავი...

— საფლავი, კაცო!... საფლავის გულისთვის... მაშინ მღვდლად უნდა ეკურთხო და ის დანგრეული ეკლესიაც უნდა აღადგინო...

— სექტემბრიდან ვადმოვალ!

— ე, ბიჭო, კიდეც დროს კარგავ?

— არ მოხერხდება სხვანაირად, არაა ჩემი საშველი!

— კარგი. განცხადება მაინც ახლა უნდა დაწერო და მე, როგორც კი გადავალ, ვადმოყვანას ვაგიფორმებ, სტატუს არ გაგწყვეტ...

„საქმე რაიმე მოც თავსა ზე საღმრთო გარდასხვეწილი“...

II

— ბარი, თობი და ბარი!

— კი მარა, შენ შემოგველე, ბიძია, უშაქრო ჩაის მაინც არ დაღვე?



— მერე...

— მერე რაფერ, თლათ ასე უწყალ-
წმინდოდ!

— ე, ვახედე შენს ეზოს, დედაშენს
რავა ამოუყენებია გვერდში შენი დე-
ბი!..

— უიშე, ბიძია, დედაჩემის დონას
ვინ იზამს!

— ეიზამთ. რომ გაგვეჭირდება, ვი-
ზამთ. ე, შენმა ბიცოლამ... რომ გაუ-
ჭირდა, ბოსჩანს ისიც ბარავს და თე-
სავს.

— კი, ბიძია, აბა არა? კი არა და,
საპამინდვრე-საპატრიჯნე ჩამოუმატე-
ბია...

— იზამს, აღარა ჰყავს „მეწველ
ფური“ და იზამს!

— ბიძია, შენი ჭირიშე, ნუ აშბობ
მასე...—სამზარეულოს კარებზე მომდ-
გარ, მაჯებამდე ჰურის ცოში ხელებ-
გაგოზღო თიკოს ცრემლები მოერია და
შებრუნდა, ტაბურეტზე დადგმულ
გობს ეცა, ცოშის ზელას გამაღებელი
მოჰყვა.

— რა ვქნა, შეილო, არც მე მსიამოვ-
ნებს, მაგრამ სიმათლეს, ბიცოლაშე-
ნივით, თვალებს ჩვენს ხომ ვერ დავე-
ხუჭეთ. — ფარნამ ნაჯახი ჭირებზე და-
არჭო და აჯაციის გულის საცარე აივნის
სოხანებზე დაგდებულ ძველ გაღულ,
ქანგიან ბარის გაბზარულ საყუდში
გაუყარა. — როგორც კი მაგ ცოშს
კეცებზე დააგდებ, ბიჭებიც წამოყარე.

— უიშე, ღმერთო მომკალი, ანდროს
ბარი და თოხი?!. არდადეგებია, ერთხანს
იძინონ.

— არდადეგები კი არა, გაზაფხუ-
ლია...

— ორ თხელ ჰურს ვტეხავთ ოთხად,
ორას-ორასი გრამი არ ერგებათ... ასე
უთენია რომ შექპონ, ან რას დაბარა-
ვენ და... მთელი დღე შიმშილით დაწ-
ყდებიან...

— რატომ, სადილად ფხალი გავაკე-
თოთ, ნახევარი კილო მარლი ხომ ჩა-
მოვიტანე თბილისიდან და გვაქვს. ეს,
ახლა, მთელი სიმდიდრეა.

— მამაჩემივით დატუქდება ბოვშე-
ბი, ბიძია! — თიკოს ლაპალებით სცვი-

ვოდა ცრემლები, სახელითი ძლიერ ას-
წრებდა შემობას, რომ შემეხსენებო-
ებოდა.

— რა ექნათ, შეილო, მამაშენის იმ
უბედურებაზე დაგვეპირდა, მკვდარს
უფრო მეტი უნდა. თუ რაიმე კიდევ
გავგაჩნია ან ტალონებზე გვერგება, უნ-
და გამოიზოგოთ, მთელი ზაფხული წი-
ნაა.

— ზაფხულში ხილია, ბიძია, ათასნა-
ირი. გაზაფხული ჭირს ნაშეტანი...

— ჰოდა, იმ ბავშვებმა რა ჰქნან, ცი-
დან ბომბები რომ თავზე აცვივთ,
ჩვენში ხეებიდან ხილი ცვივა...

— მართალია, ბიძია, არაფელი გვე-
თქმის...

ნაწვიმარ, წყლით გამძღარ ნიადაგს
გაზაფხული ისე გაჯდომოდა, ყოველი
ბარის დაკვრაზე მსუყე, თამთამა, გამ-
ჭვირვალე ნოტიო-სითბო მიწის სი-
ნოყიერე და გენძი მათრობელა ოშში-
ვრად ამოჰქონდა. ღობის კედლებზე
ჭინჭრის დედა, წალიკა, ოშოშა და მა-
ტატა მოდებოდა. ნაყანევში ანაგულა,
გლერტა, დელო და თივაბალაბი წამო-
სულიყო. მინდვრის ფხალიც მოიძებნე-
ბოდა: ჩაჩილაყა, ქათანაცარა, ოდელიე,
მოლოქა, მსუქანა, ქალშავა... არც ლო-
რთქო დედალი დეალოა ურიგო შექა-
მანდად.

„ჩვენში კაცი თუ ხელს გაანძრევს,
შიშშილით არ უნდა მოკვდეს. ეს, ბავ-
შეებმა, აქედანვე უნდა იცოდნენ. —
ფიქრობდა ფარნა. — ბოტანიკის წიგ-
ნი დახატული ბალახის სახელი კიდევ
რომ დაიხეპროს, ბუნებაში ვერ იც-
ნობს, სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა-
ნაირად ეძახიან. მცენარე ასი ათასია,
ერთი და ორი წიგნი ჩამოსათვლელად
არ ეყოფა. დავლუპავთ ჭვეყანას, თუ
მომავალს მარტო წიგნის ამარა დავტო-
ვებთ. არადა, ყველა გზა აქეთ მიდის.
ომს რომ ბოლო მოეღოს და მშვიდობა
იქნეს, რაც ახლა ტანკი და ზარბაზანი
იჭედება, სამეურნეოდ რომ გადაკეთ-
დეს, თითქოს ხარი, კავი, თოხი და ბა-
რი აღარც დაგვეჭირდება. ტრაქტორი
დახნავს, დათესავს, მოიძკის და ადო-
მიანი მიწას მოსწყდება. გააცულულ-

ტებს გლეხს, გააოგულებს. შრომელს მიწა კი არ უყვარს, თავისი ნაშრომი უყვარს. ა, აგერ რომ ბარათ ბელტი ამოვებრუნე, ხელებზე რომ ბებერებს მიჩენს, მღლის და მქანცავს, ეს ჩემია, ჩემი შრომაა. ამ ბავშვებსაც ეს ეყვარებათ: აგერ, ბარის საფეხურს რომ ჭლანში ფეხწადგმული აწეება, სიმძიმე და ღონე არ ჰყოფნის, ბალახის ფესვები დააპტრევიზოს და ნიადაგში ღრმად ჩაუშვას, მით უმეტეს, ბელტიანი ბარის აწევა-გადაბრუნება წელს წყვეტს“.

— ბიძია, უყურე, უყურე, კაკომ ჭია გაჭრა!

მართლაც, ნაბარავში ორად გაყოფილი, მოწითალო ჭიაცელა სხმარტალებდა.

— გაჭრას, არა უშავს, მივყაროთ მიწა, მზეზე რომ არ გაშრეს, იპოვის თავის ნახევარს და გადაეგმება.

— ე, ხო გითხარია! — ნიშნისგებით დატუქსა უმცროსი უფროსმა ძმამ.

— გველი?

— გველს აქ რა უნდა! — ხმა აუკანკალდა თიკოს. უკან-უკან, ბალახებში დაიწყო ცქერა.

— უკან ნუ იხედები, ბიძიამ ხო თქვა. — რაკი ძმამ წელან ჭკუით აჯობა, „დაჩაგრა“, ახლა კაკოზე ბევრად უფროსს, თითქმის ქალს — ბიძაშვილს მოუწოდოდა ანდრომ თავისი ცოდნით გაოცება.

— რატომ, უკან მიხედვა რატომ არ შეიძლება?! — გაუცვირდა თიკოს. — მართლა, ბიძია?!

— მართლა. — დაეთანხმა ფარნა ბიკის ნათქვამს და მანაც წელანდელი „შელახული“ პატივმოყვარეობა მთლიანად დაიბრუნა. ძმასაც ჩაუბუტუნა.

— შენ რო არ გჯერას...

— ბარავში თუ უკან იხედები და თოხნავი — წინ, სერელს ვერ გაიტან.

— რატომ, ბიძია, თუ ვბარავ და ვთოხნი...

— ბარეისას წინ უნდა დაიხედო და ნამუშევარი დაინახო, გული გაგაკეთდეს და შრომის ხალისი გექნეს. თუ უკან იყურე, გასაკეთებელი, მით უმეტეს, დასაწყისში, ყოველთვის ბევრია

და გაშინებს. გულს გაცრუებს... — ამას ისევ ბავშვებისთვის ამბობდა. ისი გაგებაც, ჭერჭერობით, გაუცვირდებოდათ, მაგრამ ვერ გაიგებდნენ დღეს, თორემ რიკ-ტაფელას მაგიერ ვისაც ხელში ბარი და თოხი უჭირავს, ხვალ, რასაც ბრძენი ვერ შეასმენს, მიწა ასწავლის.

— კაკო, თიკო, ბიძია! მახრა, მახრა! — შეიცხადა ანდრომ, ბარი გააგდო და ხელები მუხლებზე დაიშინა.

ფარნას მიერ გადმოტრიალებულ ბელტზე მალა მოქცეული ყვითელი მახრა მზის სინათლეზე ერთი წამით დაიბნა, მაგრამ მაშინვე თავს უშველა. გასაჭრელად დამიზნებული კაკოს ბარის პირი აიცილია და ზერელში ნახევრამდე ჩაძვრა.

— „მახრა მიდის თავის სახლს, მივა მიუხარია, ვინც ნახოს და არ მოჰკლას, მას არ გაუხარია!“ — სულმოუთქმელად „ულოცავდა“ უმცროსი და უფროს ძმას აქეზებდა.

ფარნამ ბელტებში ბარის პირი ამოჰკრა, მახრა უბარავში გადმოაგდო.

— ე, ბიკო, არ გაუშვა! — შესძახა ანდრომ და თავისი ბართაც მიეშველა. დაუმუშავებელ ნაყანევში მაშინვე თავშესაფარის პოვნა მახრას არ შეეძლო, მაგრამ ბარს ამოყოლილი მუჭა მიწის გროვაში მანაც შეასწრო. მღვერებს უკვე მისი განადგურება აღარ გასჭირვებიათ.

ამის შემდეგ ბიკებს წინ და უკან საყურებლად მართლა აღარ ეცალათ, მართო თავიანთ ნაჩიჩქნში კი არა, ფარნასა და თიკოს ნაბარავშიც პარაზიტი უნდა ენახათ და მოესპოთ, თორემ, ვინც ნახავდა და არ მოჰკლავდა, ვერ „გაიხარებდა“. ამას დაემატა ისიც, რომ ბიძიამ ბოსტანში კი არა, მინდვრის ბალახებში ფხალი „აღმოაჩინა“ და ისიც, რომ, თურმე, ღვალო ორნაირია: დედალი — წითელძირიან-ღვეროიანი, მამალი კი — მოყვითალო, ხეშეში და შეჭამანდად გამოუხსადეგარი.

ბარვას საკმელი ბალახების შეგროვება და სადილის თადარიგი დაემატა და მართლაც ტყუილ-უბრალოდ თვა-

ლების საცეცებლად აღარავის ეცალა. ბავშვების და ისიც პირველკლასელი ანდროს ნამღმევეარი რა უნდა ყოფილიყო, მაგრამ მინდვრის ფხლის ცნობა და მისი შეგროვება რომ შეძლებოდათ, ტყეში ეკალას კრეფა და ჭგუთით ჩიტოთავას მოთბრო — იქრას გადავიდოდნენ. მალე მარწყვი და სოკო წამოვიდოდა, ეზოში ბუილის კაკალი, მსხალი, ვაშლი და შიმშილს სულს არ დაანებებდნენ.

თუ თქმულა: ქვრივი ქალი ამირანთ ამირანიაო, — ნინოზე თქმულა. მზე რომ საშუაღდეოზე წამოვიდა, ქალიშვილებს, რომლებიც გვერდში ედგნენ, სერელის გაწევა დაუბარა. „გაშვილებულ“ თიკოს, მაზლსა და მაზლიშვილებს გადმოაკითხა, აქაც შეეშველა. ანდროს ტარმოკლე, თანგინა ბარი გამოართვა და უსუსური მუშა შეაქო:

— კაცო, ეს რა გქნია, დედამიწა გადაგტრიალებია! — რითაც, მაინც დამაინც, „მუშაკაცი“ ვერ აღაფრთოვანა, რაკი „დედამიწის გადამტრიალებელ“ უმცროს ძმაზე უფროსს ჩაეციბა.

— აჰა, მარტო შენ და ფარნა იზამდით ამდენ საქმეს?! — არც კაცოს დაცინვა გამოპარვია და ანდროს წელანდელ გადაჭარბებულ ქებას „დასაბუთება“ მოუწოდოდა. — თიკო კი, რისი მაქნისია, გოგოა; ბარვა და თოხნა ბიჭებს ევალება და ბიჭებმა იციან... ფარნა ბატონო, ამ ფხალს... მარტილი ქე გაქვთ, გონია და, მე წავიღებ... წადი, ანდრო, გაქეცე და კალათა მომიბრუნე: ჭადის ფქვილიც მაქს ცოტა... ის უშობელი რომ ამტონია გერაძეს მიეყიდე, ერთი ბათმანი სომინდი კიდო მერგებოდა და ფქვილად მომცა.

— კი, ნინო, როგორც ჯობია. ფარნას იმედი გაუჩნდა: „თუ წავალ... მადლობა დმერთს, ეს ქალი აქაურობას არ დააქცევს და ამის ჯიბრზე, ალბათ, ჩემი ნაცოლარიც თავის ლუქმას მაინც გაიხერხებს...“

ანდრომ ხელიანი, მომცრო კალათა მოარბენინა.

— ოჰ, ჩაყარე ბიცილა, იქ ჩვენც

ხო გვაქვს და ერთად გავაკეთებთ. ამას გარდა, წითელი და კეფეჩა... მარასი, ოხრაბუში და... ტანშია... გოგო, შენ! — თიკოს ბარზე მიგოზილი მიწა ბარით ჩაუფხიკა... — დოუდექი მხარში ბიძაშენს და თუ შეუადღეზე იმ ორ ძირს სკას მიხედავთ... ნუ გეშინია, არ შეგვაშნა... საწყალ მამაშენს სული სანამდე ედგა, მაგ ფუტკრითა და თაფლით ედგა. გადააყოლა მაინც, ამ გასახარებლმა, ყორფელი მამაშენს... ორი ძირი დარჩა და მადგას კი არა, ათი და ოცი რომ აყოს, თუ ხელს გაანძრევ, შენც ქე მოუვლი.

— დედა, სკოლაში...

— სკოლამდე ჯერ ერთი კვირაა და, ამას გარდა, დაყოფილი ხელები და ფუტკრის ნაკებნი აღამაზებს ადამიანის შვილს... აყურებინეთ, ბოვშებსაც აყურებინეთ, დრო რომ მომცა, მეც ვისწავლიდი... აჰ, ჩემო მაზლო! — ქმრის ჯიბეებიან, შავ ბლუზაზე ბაწარი ხელახლა, მაგრად გაიჭირა და ბარი პატრონს დაუბრუნა, როცა ფხლით ფომფლოდ ავსებული კალათი ანდრომ ფეხებთან დაუდგა.

ფარნამ, გაპარტახებულ სულში ანთებული იმედის ნაპერწკლისთვის მადლიერმა, ჩაილაპარაკა:

- აშენდა შენი გამომცემელი!
- გადაბმული ჭია, გადაბმული ჭია!
- ასივლდა ანდრო სიხარულით.
- გადააგდე, ბიჭო, ხელში რად გინდა! — გაუწყრა თიკო.
- გადაბმულიაა!

„უშენია პატრონობა ვის მივანდო, ვინ იქმს კარგა?“

„აკლა ნთუშვა შემოვიქცა, დმერთმან სრულად არ დამკარგა.“

III

ტყე რომ დაერქმეოდა, სოფლის ახლომახლო ისეთი აღარაფერი იყო. მდინარისა და საყანეების გაღმა ზეგნები, ფარნას მუხის, ძელქვის, თელისა და რცხილის უღრანები რომ ახსოვდა, ჩაის პლანტაციებმა ჩანთქა. აკაციისა

და ევკალიპტის ქარსაფარების გარდა, საჩრდილობელი ხე აღარ დარჩა: ჭენჭყო ადგილებში თხმელა და მდინარის პირზე ტირიფი თულა შემორჩა, ისიც გადაბელოლი და დაჩოქეული. აკაცია რომ არ მოშენებულყო, რომელიც ყველგან ხარობს და ჩქარა იზრდება, სოფელს ვენახის ძირში მისასობი, უმწიფარი ხარდნის ღერი აღარ ექნებოდა (ესეც დაბრალდა მაშინ ლუკას: ასეულ პექტრობით ჩაის პლანტაციებს ვერც შრომით გაწვევებით და აღარც ტყე და საძოვარი იქნებო, მაგრამ გადაშრელობად და ქვეყნის ძირის გამოთხრად ჩაეთვალა. ვილაცამ იცოდა, ათ პექტარ პლანტაციას ასი რომ სჯობდა და ვინც ეს „არ იცოდა“, ჭკუა უნდა ესწავლებინათ).

ლუკა, ახლა, აგერ წევს, ამ დანგრეული ეკლესიის ეზოში, გამოღრუბებული ცაცხვის მახლობლად. ცაცხვი, ასორმოცდაათი წლის წინ, დიდ პეპერას დაარგეს გულზე და მერე, მისი შთამომავალი რომ ირგელივ „დაუსახლდა“, წრე გაფართოვდა, მაგრამ აქამდე ცაცხვიც იზრდებოდა და „თავისი მკვდრების“ საფლავებს ჩრდილს უწვდენდა; გადაშლილი ტოტებით ახლა ლუკასაც იფარავს, თუ დილა-საღამოს ირიბი მზის სხივი დაადგება, თორემ, შუადღის პაპანაქებას ეს ბუშბერაზი ხე ჯერ კიდევ არ აყარებს, მაგრამ დაბერდა კი, დაფულუროვდა და ამის მეტს ფრთებქვეშ ვეღარ დაიტევს. პირიქით, მალე ვეღარც მათ „უპატრონებს“, ვისაც აქამდე „მფარველობდა“.

ამ ეკლესიის ეზოში თუა ამ ცაცხვზე უფრო ხნიერი ოთხი ძირი მუხა (ერთზე რომ ზარი ეკიდა, რაკი ეკლესიას სამრეკლო არ ჰქონდა), კოპიტები, ტირიფები, გუნდის ხეები და ისევ და ისევ ცაცხვები... მოხოტრილ თავზე რომ ერთი ბლუჯა თმა დაიტოვო, ისეღა შემორჩა „გადაპარსულ“ სოფელს ეს ოციოდე ძირი საუკუნოვანი ხე, რომლებიც ჭვარმოტეხილ, სახურავგადაგლეჯილ და გუმბათგამიშვლებულ საყდრის ნანგრევებს დარაჯობენ. ღამით ჭოტები კიდევ აქ აფარებენ თავს, აქ-

დან აშინებენ სოფელს და ეკლესიები-ან“ წუთისოფლის წარმადეობაზე აქ გუგუნებენ ქარები და ქვემოქუხილით სოფელს მეხად აქ ატყდება.

წევს ლუკა და აღარც ახელებს, აღარც ნაწოლების გაჩენის შიში აქვს, აღარც ღალატი და გაუტანლობა ადარდებს და აღარც სამართალი და უსამართლობა. წევს დედა თავის გამოუგლოვებელ ქმარ-შვილში, დედამთილ-მამამთილთან და „ისვენებს“ საუკუნოვანი ტანჯვისა და წვალებისაგან თავდალწეული. ეკლესიის კედლებს კი ჩიტის სკორეთი „დათესილი“ ლუღის, ბეოლისა და შავი ხერმის ფესვები ბზარავს. ქვითყირს თითო-ოროლა ქვა და კენჭი ყოველდღე სცვივა, აყლდება. ლაფაროებს შამბი და შალაფა მოსდებია, ანჯამებზე ჩამოყანთრულ კარებს, ზედ მიყრილ ნანგრევებში, ძვრას ვეღარ უხამ და შიგ, აყრილ ქვაფენილზე, ისევ ველური ლელვი, ბეოლა და მყრალი კოპიტი, კედლების ჩრდილიდან თავის დასალწევად, გახსნილი ცისკენ ისწრაფვიან. ბათქაშამოცენილ კედლებს ხავსი გადაკვრია და სურო გამიშვლებული ქვების წყობას მიჰყვება, საცაა დაფარავს — მწვანედ შესუღრავს.

ყველა გზა რომ აქ მოდის, ეს ადამიანებს მაშინაც ავიწყდებოდათ, როცა აქ ყოველ შაბათ-კვირას თავს იყრიდნენ და ზარი, ღმერთი, საბარება, მღვდელი, წმიდა სანთელი და საკმეველი უჩიჩინებდა: „აჰა მე მიგავლინებ თქვენ ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა: იყვენით უკუე მეცნიერ, ვითარცა გუელნი, და უმანკო, ვითარცა ტრედნი“. და სწამდა თუ არ სწამდა, ამას იმეორებდნენ ეს კედლები, ჭერიდან ღალადებდა ეჭო, საალმსარებლო და საკურთხეველი, კაცი და ქალი, აივანზე გადმომდგარი მგალობლები და გარეთ საფლავები: „ეგრძალებოდეთ კაცთაგან, რამეთუ მიგცემენ თქვენ კრებულსა, და შორის შესაკრებელთა მათთა გტანჯვიდნენ თქვენ“.

ლუკა არ მოერიდა „ადამიანებს“. მას ადამიანებისთვის ზრუნვა მიაჩნდა



„ლეთის“ სამსახურად და არ ინდობა: „რამეს გდევნიდენ თქვენ ამიერ ქალაქით, მიივლტოდეთ სხუად...“, რაკი სჯეროდა: „ნუუკუ გეშინიან მათგან, რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს, და არცა საიდუმლოა, რომელი არ გამოცხადნეს“.

„შეიტყო?“... და „დაფარული“ მამინ დაეცხადდა, როცა მომაკვდავი გამოიმეტეს ღედის საწამებლად საიქიოს თან გასაყოლებლად, მის, ცოლ-შვილის დარდად და წინაპართა საგვარეულო საფლავის ამოსასვებად, ბებერი ცაცხვის ჩრდილის სამკვიდროდ. „და ნუ გეშინიან მათგან, რომელთა მოწყვდნენ ჰორცნი, ხოლო სულისა ვერ პელ-ეწიფების მოკლვად“... „ხოლო თქვენნი თავისა თმანიცა ყოველნი განრაცხილ არიან“.

საფლავები უნდა მოიღობოს, ფარნა ისე ვერსად წავა და ვერსად მოისვენებს, თუ იმათ, ვინც მის „იმედადაა“, უღალატებს და ერთი „ქალაქიდან“ დევნილი „მეორისაკენ გაიქცევა“. ბედკრული ადამიანი თავის თავს ვერ გაიმსება — ღედა, მამა, მამა და მოყვასიც ხომ თვითონაა; ამ ხმობაშეპარული, დაფულურებული ხის ანაბარა ვერ მიატოვებს. პალოსზე დაბმულ ცხვარს ბაწარი რამდენზეც არ უნდა დაუგრძელო, იმ პალოს მაინც ვერ გასდება.

საფლავები... საფლავები... რითაც სრულდება ამ გაუტანელ ქვეყნად კაცის ბოგინი და რითაც აგრძელებს „სიციცხლეს“.

რა გაიჩნია ფარნას, რომ ძმებს, ღედ-მამას, ბაბუსს, ბებოსს და პეპერებს „ძეგლები“ დაუდგას?..

ამ ეკლესიის ეზოში მრავლადაა ძველი საფლავების გამოჩუქურთმებული ქვები, ერთი კი არა, ორი, სამი საუკუნისაც, რაზეც ფრთიანი ანგელოზია გამოკვეთილი, შენდობის მთხოვნელი მიცვალებულის გვარსახელისა და დაბადება-გარდაცვალების მაუწყებელი. ვინც იცნობდა და უყვარდა, ეს ბევრზე ბევრს მთქმელია, ვინც არა, ეს

ფილაქვა კი არა, სქელტანარი წიგნიც ვერაფერს ეტყვის, ^{საქონლესული} ^{გეგმვინიყმენეს} მონჭლრეულმა კომპანია გაიტყობა. ფარნამ თავი აღო, გაბედა... პავლე მოდიოდა, საფლავებს გვერდს უქცევდა და მკერდზე დაფენილი ლურჯი წვერით, წმინდანოვით ცდილობდა მწიწე ფეხი ისე დაედგა, წინაპრებისთვის არაფერი „ეტყნა“.

არასოდეს ჰგონებია იგი ფარნას ასე ახლობელი და ჰირსა შიგან თანამდგომი, ახლა, აქაურობას, რომ ტოვებს და შორდება, იმან დაახლოვა თუ ამწყუთს მოუხმობლად რომ იგრძნო და მოაშურა. იქნებ მეგობარიც ესაა და თუ მას შენოდენი ან ბებრი რამ შენნაირად არ ესმის, ეს მაინც ვერ გაშორებს, რაკ ყველაფერი შენი შენც არ გესმის, საკმარისია მთავარს, ყველას დასანახავსა და ერთი შეხედვით საცნაურს, ერთნაირად ხედავდეთ. შენ თუ აღმა მიდიხარ, იგი დაღმა არ მიჯირითებდეს...

— სამხიარულოდ მენახე, ჩემო ფარნა... ეპ, ლუკა, ლუკა, რა გვიქენი ეს, შე განათლებულო! ჩვენ სად დაგეტოვე და შენ სად წადი?... ცაცხონა ღმერთმა!..

— იციცხლე, პავლე!

— ე, ღედჩემო და მამაჩემო!.. — ხელი ეკლესიის მარჯვნივ, ვარდებისა და ოლეანდრების ბუჩქებისკენ გაშვორა. — რას ეზ-მთ, რა შეგვიძლია, ეს ეკლესიაც თავზე გვენგრევა... ფეკლესიო სოფელი და უთავო კაცი ერთია. ამას ამბობდი ლუკა, მეტს კი არაფერს. „თუ არ გვირდა, ნუ ვეწმებო, მაო ამ ქვასა და შენობას რას ვერჩიო, მართლა მამა-ზეციერს ხო არ აუშენებო, თუ ღმერთი გაგეწყრა და ღმერთის სახსენებელი არ გენდ... ჩვენი წინაპრების ნახელავია და, დაიდაც თავმოსაწონებელიო...“ ქე იცი, ფარნა, არავის არ უბრძანებია — შავის სახურავს რა ჩვენმა თავმყდომარემ „ცინკა“ გადადღლიზა და ფილაქვები წისქვილის სათავეში ჩაყარა... მარა, ახლა ლამაზაყი არ უშველის... შენ ჭკუიანი კაცი ხარ და იცი, ღმერთი არ იყო ასე უღმერთოდ ხელსაკრავი. გვჭირდებოდა იგი ჩვენი, ჭარ-

ჭერობით მაინც... ვინც ღვთით გავი-
ზარდეთ და კედო სული გვიდგას. მე-
რე, ჩემი შვილი და შვილშვილი თუ
უკეთეს რამეს გამოიგონებს...

— ღმერთი რომ გვეოლოდა, ამ ომ-
საც, ალბათ, უფრო იოლად გადაგვა-
ტანიებდა.

— ეპ... უსათუოდ ასე იქნებოდა, მე
რო კაცმა მკითხოს, უსათუოდ... რა
გასახსენებელია, თვარა... ლუკას დაა-
დგა ნათელი... აქ რო ჭვარი დაეწერე,
იმიტომ დამთავრდა წირვა-ლოცვა. შენ
ქე გემახსოვრება, აბა რავე იქნება...
უპ, კაცო, სად გადოუხვიე... რა დროს
ესაა. გიყურებთ, აგერ, ჩვენი კოლეგს
სახლიდან და ვამბობთ: ფარნაა ეს, არ
უნდა ლაპარაკი.

— კოლია როგორაა, ლოგინიდან ვერ
დგება, ხომ?..

— რას დგება, მეტი არაა შენი მტე-
რი, ჩაიკრული აქვს სახსრები... დაბ-
რუნდა, ვითომ, მარა დაბრუნებაა მა-
გი? მართალს ამბობს ანთიმოზე... ან-
თიმოზას თავისთვის არა აქვს ჭკუა და
სხვისთვის ავად ამბობს, თვარა ტყუ-
ილს კი არ ამბობს: ომიდან არავინ
ბრუნდებო!

— საუბედუროდ, მართალს ამბობს.
— თავი მიიმე-მიიმედ დაუქნია ფარ-
ნამ.

— ჰოდა, გადავდივარ ხანდიხან კო-
ლიასთან. მწოლიარე კაცო, ამ გამოზა-
ფხულზე, რაველია?.. შენ მაგას საყვე-
დურს დააცდენინებ? მის გაჭირვე-
ბას შემოგჩივლებს? მარა, ქე თქვა: ნა-
მეტანი უქირს ფარნას, თვარა, ერთს
რავე არ შემომხედავდაო.

— ეპ, ჩემო პავლე, ცოცხლისთვის
კი არა, მკვდრისთვის ვერ მოგვიცლია.
ცოცხალს მაინც არ ეყურება ჩვენი და
იქნება მკვდარმა მაინც გაგვიგოს...

— ვეეო! რავე არ გვეყურება?! —
იწყინა მშვენიერად და წვერზე ხელი
ნაუცბათეველ ჩამოისვა. — აგერ, ეს
მწიფე ეკლისხის სარები რომ მხრით
მოგიფრევი, კოლიას დოუნახიხარ...

— კოლია ფანჯარასთან ზის და ქვე-
ყანას დარაჯობს?

— ხო იცო, გონიერი კაცი ქურში

რო ჩასვა, სულელზე მეტს ქიღანაც
დანიხავს. წევს, ვერა... მარა
სარკე აქვს თავზე ფანჯარის მძიმე-
ქეული და ჩიტი არ დაფრინავს ჩვე-
ნი, რო არ იცოდეს ბუდეს რომელ
ხეზე იშენებს... ასე, ერთ ნიტრა ღე-
ნოს რო ილიაში ამოვიდებ და მაგას-
თან გადავალ, ქვეყნის აე-ყარვს მაგას-
გან ვისმენ... შენ ქე „მოლაღატე“ და...

— გილაღატე, პავლე, ყველას ვულა-
ღატე და მეც ვერაფერს ვეწიე...

— ქე, კიი ახლა, დასაყოლებელი კი
არაფერი გვაქვს, მარა თითო საღვინე
ქიქა წოვუქციოთ ლუკას... და დედა-
ჩვენ-მამაჩვენებს...

— არა, პავლე, ამ საფლავეებს ასე
ვერ მივატოვებ, მწიფე აკაციის სარითა
და ფინით მაინც უნდა შემოვლობო...
მეტი არაფერი გამაჩნია და მკვდარიც
დამეყარება.

— კი, შე მამაგანათლებულო, აბა,
სხვანაირად რავე იქნება, მარა ხვალ და
ზედ აქ არა ვართ?

— ხვალ და ზეგ სად ვიქნებით, ჩვენ
დროში კი არა, ამ ეკლესიაში რომ სა-
ნთელ-საკმეველი ენთო და ღმერთი
წინასწარმეტყველებდა, მაშინ არავინ
იცოდა.

— ახლა, ასე... მაშინ, აგერ, მე რაც
შემიძლია... ლუკა, შე კაცო, მარტო
შენი ძმა იყო და მარტო შენ გეწვის
გული?

— მადლობელი ვარ, ჩემო პავლე,
მარა შენ ამოდენა მორების თრევა და
ორმოების თხრა სად შეგიძლია...

— რაც შემიძლია, ხო შემიძლია და
რაც არა, ხო დევინახავთ! აგერ, ლო-
ბეს მიგადგები და კოლიას გადავძაბებ,
სალამომდე მოგვიცადოს! — ნაბიჯი გა-
დადგა და შეჩერდა. — ისე ვთქვი, ვი-
თომ სადმე გამქეცი იყოს... კაცო, იმ
ზოცვა-უღელტაშში, თურმე, ტყვიაც რო
ავცდეს, არც ის გადაგარჩენს... წინა
ღმინდელი დანაბომბი და ნაუბედურა-
ლი, თურმე, ვინც ცოცხალი გადარჩე-
ნილა, ორმოებში რო მძინარეები ეყა-
რნენ, წყალი ჩამოვარდნილა. რა დღე
უნდა დადგომოდეთ და რაფერ უნდა
ქირდებოდეს კაცს ძილი და მოსვენე-



ბა, წყალი შეუდგეს და ვერ გაიგოს! სახსრების რაწარი ანთება უნდა და-მართოდ, რომ ამისთანა ვაფცავი გააჩი-ჩინა. რა არ მოუვა ცოც წუმპეში მძი-ნარეს... აჰ, ფარნა, არ გახსოვს, რა მაგარი ყაძახი იყო კოლიე? რა მოჭი-დავე — მაგის წამქევე გინახავს? სულ რომ გერტყმა, ჩხუბს რავა იზამდა... ქე იცო, ახლა ფიცარივით დევს ლოგინ-ში... შენი ბიჭების, ერთის მაინც, ხო ისმის რაღაცა...

— „რაღაცა“ კი...

— გაჩუმდი! ღმერთს ნუ სცოდავ, აბა რა ჰკუთხა და სიბრძნეს თხოვ, თოვ-ლში და წყალში თუ ძინავს და მაინც სული უდგია... კითხე ამ საღამოს ეგერ კოლიას და, სამართაობა არა აქვს, თვა-რა, ენით ოქროპირია.

— მაგას თავის გაჭირვებაზე სიტყ-ვას შენ დააცდენინებ?...

— თავისაზე არა, მარა იქაურობას ისე წარმოგიდგენს, თავი იქ ნამყოფი გეგონება... — ისევე გადადგა ნაბიჯი და ისევე მოიხედა. — წელან კოლიას ველაპარაკებოდი და იმაზე გამახსენდა, ოცი საუკუნე რომ მჭეროდა, ოც წელი-წაღში ვერ გადამაჯერებ...

— რომ არ გადაიჯერე, ეკლესია მა-გიტომაც დაგანგრეოს თავზე. აწი ვილას რა უნდა აწამებინო...

— მაგნარი ღმერთი არ მწამდა მე... სახურავის ასახდელად რომ მჭრებელი გავიდოდა, ღრუბლებიდან ხელს ჩამო-უყოფდა და გადმოაგდებდა. მაგნარი ჩვენი თავმჯდომარე იყო.

— მერე, მაშინ უნდა გეთქვა.

— მეთქვა?! ჩემზე მერი გამავლობა ჰქონდნ ლუქას. თქვა და ე... — ორივე ხელი საფლავს მიაპყრო...

„მკვდარი მნათ, დამიტრატ,
სულთქმა გაათანისთან,
მე სამარე გამოთხარე,
აქა მიწა მოაყვანე“.

IV

გაჭირვება მიჩვენე, გაქცევის გიჩვე-ნებო. იმოღენა სულიერმა და ფიზი-

კურმა ტანჯვა-წამებამ ფარნა ირეც ფე-ზზე დააყენა. სევეგამწაყვანეს უჭიმ თავში ხელი ერტყმა და მისამსახურს დაწყვეთბელი: ჰყოლოდა, მიწას პატ-რონი და მკედარს — ჰირსუფალი... ქანცაწყვეტილ, უიმედო-უმომავლო ავადმყოფს ხელები გულზე უნდა და-ეკრიბა. ერთ კაცს რაც შეეძლო, თით-ქოს, იმაზე მერი გააყეთა: ერთ კაცს თავზე რა უბედურებაც უნდა დატე-ხოდა, იმაზე მერი დაემსხვრა: ერთ მო-კვდავს რაც უნდა მოკვდომოდა, იმაზე მერი დაეხოცა... ლეონი და ბაკური, თუ ორივე არა, ერთი მაინც ცოცხალი აღარ იყო. მამუქას, რაღაც, სიკვდილზე უარესი სჭირდა... და, ამ დროს, აღარც ცოლი, აღარც შვილი, აღარც სამ-სახური, აღარც სახლი და - კარი... როცა ნახევარი საუკუნე დღესა და ღა-მის ასწორებდი და უკვე შენი ამღე-ნის ნათესი უნდა მოგემკა, ამ დროს ტიალ, ყამირ მინდორზე აღმოჩნდა, სა-დაც ძირეული ხე კი არა, ჩირგვიც არაა, რომ პაპანაქებაში თავი მაინც შერგო და შუადღის ხვატმა ტვინი არ ამოგიდუღოს.

ფარნას, უკვე, არც გასაქცევი ძალა ჰქონდა და აღარც წასაქცევი. ვითომ, თეალი რომ მუდამ ჰალაქსა და მეცნი-ერებისაკენ ეკირა, ამას ხელმოცარუ-ლის მოჩვენებითი იმედიც აღარ ერქ-ვა: — ამ საქმეს მოვრჩები, ამ უბედუ-რებას გადავიტან, ამ ჰრილობას მოვი-რჩენ და მერე იმას ვეწევი, რისთვისაც გავჩნდი და რითაც უნდა შეარებაო. — ეს ამღენხანს იყო თავთან კუკუმა-ლობანას თამაში. უკვე ამოს, მიუწე-დომლის პოტინის უფლებაც გამოეცა-ლა და წავიდა ეს გაუხარელი, უაზრო, უთავბოლო წუთისოფელი. ყველაფერს, რასაც აქამდე, ვითომ, მომავლის იმე-დით, როგორღაც მოაჯახირებდი, ირ-კევეა, რომ უკვე დრო აღარაა, წასულა ეამი. არაფრის ბედი და თავი არ გქო-ნია. სასოწარკვეთილს, რაც გჭირდა, იმაზე ისიც ღარდად გემატება, რის იმედითაც აქამდე როგორღაც იტანდი. დღეს-ხვალობით გამოგცლია ხელიდან ეს მართლაც წუთი სოფელი და ისღა

გრჩემა, ამოდენა დარდი და გოლგოთა გულვახეთქილმა იმიერს წაიღო: ქვეყანაზე დაუტევარი სევდა-ვარამი შენი სიგრძე-სიგანის ორმოში ჩატენო.

და, როცა არც გაქცევა შეეძლო და არც წაქცევა, გამოაგდეს. გაუღეს საკუთარი ხელით აშენებული სახლის კარები, თავისი შემოღობილი ეზოს ჭიშკარი, თავისი სკოლის, სოფლის კარბჭე და გამოაძევეს, მოიკვეთეს, დაუშავეს და დაუქციეს ეკლესია, სალოცავე, ხატი, ჭვარი. ჩაუქრეს სანთელი, მოწყვეტეს თავის: მიწას, ფუძეს, საწყისს, საფუძველს, ძმას, შვილს, მეგობარს, კუთხე-მეზობელს, მტერ-მოყვარეს და უთვისტომო გზაზე აალოღეს.

ზის ახლა, აგერ, რკინიგზის სადგურში, სადაც ყოველი მხრიდან მოეშურებოდა და ყველა მიმართულებით იფანტებოდა; სადაც არავის იცნობ და არავინ გაიცნობს; სადაც ყველა და არავინ; სადაც მოდიან და მიდიან, სადაც ტევა არაა და შენთვის სრული სიყაროღეა; სადაც ყველა თავის გზას აღვას და ძალი პატრონს ვერ იცნობს. ამოდენა ქალაქის კარიბჭე ყურთამდე მოღებულა და ამავე დროს, დაკეტილი და დაგმანული.

მატარებლებს წივილ-კივილითა და ვაგონების ჯაჭგურით მოჰყავთ და მიჰყავთ ათასი ჭკუის, რუქლისა და საქმის ადამიანები. ყველა სადგურში იყარის თავს, სადაც ფეხად დაუტევარია: ქურდი და პატიოსანი, მთვარალი და ფხიზელი, მყარი და ჭირისუფალი, მდიდარი და მათხოვარი, მაწანწალა, კახა, საშოვარზე გამოსული, მოძალადე, ცბიერი, უბირი, გადამყიდველი, თაღლითი, თითლიბაზი და ყველა ერთმანეთშია არეულ-ალუფებული. ერთმანეთის ეკვიით, შიშით, უნდობლობით, ზიზღითა და სიძულვილით, სიმყარალით, ბიწით, სნეულებითა და სიავით შეტრწუნებული, თავიანთ ჯიბეზე, ფუთაზე, ჩანთაზე, გულზე, ნამუსზე ხელებჩაფრენილი და თვალთა მოდარაჟე, თვის წესრიგის დამცველიც უწესო და უხეში, მლოცველიც მაწყევარი და ღვთის მსახურიც უღმერთო. თვით დედ-მამიანი-

დედმამიშვილიანიც მარტოსული, საქმის ერთგული და უსაქმური. არაფრის გაგება და გაგონება, ყველა ერთნაირი და ერთ ტაფაში: წმიდა, კეთილი და განწყობილი თუ მავნე და განუკობიანი. ერთი მეორის ჭირის თვალარიღებული და მხმობელი-სათვის ყრუ, თვალატრებულის არდამნაზავი და მოსამართლე, მორჭმულიც არგანმსჯელი და არმსჯავრმდებელი. უზენაესი ჭეშმარიტებაც ჩალის ფასი და — ჩალაც.

ყაყანი, ვიშვიში, რუზრუზი, ქაქანი, ყვირილი, წივილი, კვილი და არავინ გამგონე, არავინ ყურადმღებო. ფუს-ფუსი, სირბილი, მომსვლელი და მომსვლელი; ჩელო, პატარა, კაცი, ქალი, ბებერი, ახალგაზრდა, ჭველი, ხეიბარი, კოჭლი, ბრუცანი და თვალბილული; მძინარე, მხვრინავი, ძილგატეხილი, გულგატეხილი, ფეხნაღრძობი, ჭკუანაღრძობი, უხელო, უფეზო, კისერმოტეხილი, სახელგატეხილი, გამქცევი, ფეხის დამდები, წამრთმევი, წამგლეჯი და არსად ხელის მომშველებელი, წამომყენებელი, იმედის მომცემი...

ფარნამ აპოლონ ახალაძეს კი უთხრა უარი, არც შენთან და არც ჩემს ვაჟი-შვილთან... — ლამეს სადაც გავათევა, მე ვიციო, მაგრამ რა იცი, შე მართლა უბედურო კერპო და უჯიათო, ამ ქვეყნის დაქცევაში... ვის ეჯიბრები და უსწორებ ანგარიშს, ვის ესმის შენი და ვინ ხედავს შენს თავდაჯერებას და თავმოყვარეობას?.. შენთვის არასასურველ ახალაძის სახლ-კარს თუ წიხლს ჰკრავ და შვილის — ანგარებით შეტენილ — ფართოდ დაღებულ, არდაძის, ცხენი რომ გაქენდებო, ისეთ დარბაზებს მიაფურთხებ, ვინაა რომ უანგარო და უთავკერძო, წმიდა, პატიოსანი, თუნდაც სოროს გაგიღებს და შეგებეწება: აგერ, ბატონო, აგერ დაჯექი და დაივანე, შავი პურით დაპურდი, ბუმბული და დიბა-ატლასი არა, მაგრამ თივის ლეიბი დაიგე და ნაბდის ნაგლეჯი დაიხურეო.

შენ კი ხარ და იქნები ცაზე გამოკიდებული, მაგრამ კანონი არც ამის ნე-



ბას იძლევა. პერში და ღრუბლებში ვინ ვდროს შენ! არსებობს წესი და, მართლა რომ ფრენა მოინდომო, ასე ვინ ავიშვებს, მიწიერს ზეციურად ვინ გაპარპაშებს. არავინ გეკითხება და შენბლს არავინ იცხელებს როგორ, მაგრამ საბლი გინდა და სადმე უნდა ეწეო. ამისთვის გაქვს შენ პასპორტი და ათასგვარი საბუთი, რომ დაამტკიცო ვინ და რა შვილი ბრძანდები. ვინ იყავი. სად იყავი, საიდან მოდი, როდის მოდი და პირი საით გიქნია. სად გეძებონ და ვისთან გიპოვონ. მართლა ერთ დღეს ჰქუა რომ დაკარგო და ასე უკითხავად, უპასუხისმგებლოდ ფრთა შემოჰყრა და გაფრინდი!

ივლითმა ჩაწერის „საფასური“ მოითხოვა.

— კაია, კაი, თუ აქეთ იქნები, ამ ბავშვს მაინც მიმიხედავ.

— გუვერნანტი გვირდება?.. — თვალმოკუტულმა მამამ დას პირი აარიდა.

— ფარნა, რა ვქნათ აბა, იცოცხლე ნიჭიერია, მარა სტავლას გული ვერ დაუდო და მოვლა? მამამისი ისედაც... ქე იცი რა გულის პატრონია და შვილს კი არა, გადამთიელს არ აწყენინებს.

— გადამთიელს რატომ უნდა აწყენინოს?

— არაა ვანო ღურმიშიძე მაგის კაცი და სიკეთე სიკვდ რატომ უნდა დავინახოთ?

— სიკვდე და სიკეთე... მაგრამ ქალაქში რა უნდა აკეთოს ყმაწვილმა, თუ არ ისწავლა მაინც?..

— რაფერ ლაპარაკობ, ფარნა, მასწავლებელი კაცი... მარტო ჩემია, რომ არ სწავლობს თუ, რაფერ გავიგო მაგი?!

— უნდა გავგოთ ისე, რომ ვერ გავგზრდია!

— ჩემზე ითქმის მაგისტანა რამე? რაც მე მიშროშია და მიწვალა... ვანო ღურმიშიძე, მართლა რა გგონია, შენ ერთი წყალწაღებული, მსმელი კაცი. ოჯახი მაგან არ იცის და მტერ-მოყვარე... კი, ყველა უყვარს და ყველას თავზე გადაელევა. მარა რით? რისი გა-

მკეთებელია. ჯამაგირი, რაც უნდა, რომ აიღებს, იმ დღეებში უნდა დაეწინააღმდეგოს... სანამ არ გამოწივდება... გასაპარსად ვერ მოიცილს. მერე, ერთხანს, რცხენია და იმალება. ხან სახანძრო რაზმში მინავს მებრძოლებთან და ხან ვინმე მაგისტანა წყალწაღებულთან. ბოლოს მომადგება გაბუფული, დაურცხავ-დაუბანელი, მშვიერ-მწყურვალე — აბა სად წავიდეს, — კარებთან აიტუზება და თავში რომ კეტი ურტყა, ბატონო-შენი ჭირიმეს მეტს არაფერს გაყადრებს. რა ვქნა, ქუჩაში რაფერ გავადლო. ვმუშაობ, რომ არ ვიმუშაო, ის ორი კაპიკი არ გვექნება. ქალაქია ვითომ აქ და ლოკს ვზრდი, სამობაოდ რომ დავკალი, ახლაც მაქვს შაშხი და საპონი. ცოტა ჭონს საპნად ვადუღებ. ქე ხედავ, ამ ომის დროს, გაქათქათებული მყავს ქმარ-შვილი. დედაჩემიზაც ჩამომქონდა, სანამ პირში სული ედგა, რკინიგზის „აჩუფდენიებში“, ამ ომის დროს, საბოსტნეს გვამღვევენ დროებით. სიმინდს ვთესავ. ჩავდგები ამხნის ქალი, თათრების მეტი იქ ქრისტიანი არ ცხოვრობს, და ვთოხნი. ჩემმა ქმარმა და შვილმა არ იციან შულავერი საითაა.

— ჰოდა, ამისთანა ქმარ-შვილს მე გაგზრდი?!

ეს არ იყო უარი, ეს იყო შეუძლებელი. ბავშვს, რასაც ოჯახი წაართმევს, სკოლა ვერ დაუბრუნებს. მშობლებს სკოლაში: გენით, სისხლით, ტრადიციით, ენითა და შრომით უკვე გამოკვეთილი, გამოთლილი, გამოკოპიტებული მასალა მიჰყავთ მასწავლებელთან, რომელსაც ოსტატი ჩარბავს, აშალაშინებს და ხვეწავს. პედაგოგი, თუ ბარის ტარად გამოჩორკნილი მიუტანე, ჯვრად ვერ აქცევს. თესლი თუ ფშუტეა და მწირ ნიადაგზეა აღმოცენებული, მას გამარგვლა და გამოროდება წყრთა ტარობებს ვერ დაასხევიანებს.

— რა მექნა, მამო, აბა, ამ ერთ კაცულას ვარ შეჩერებული და მიშველ-ტიტველი ევლო? მშვიერ-მწყურვალე მყოლოდა და შრომითა და ჯაფით წელი მოწყვეტოდა? ჩვენ რომ გოუხარელი ბავშვობა და ცხოვრება გვიქონდა, არ

გვეყო? ჩვენმა შეიღმა და მომავალ-
მაც ის ნახოს და წყველოს თავისი გა-
ჩენა, რაც ჩვენ გვეჭირდა?..

— მერე, ახლა?

— ახლა... — ივლითს ენა დაება, თუ
ფარნა აქ იქნებოდა, ჭირი თავს მაინც
არ დამალავდა და, ამას გარდა, კარზე
მომდგარ უბედურებას თვალს სანამდე
დაუხუჭავ. თანაც, თუ გვონია, კიდევ
რაიმე ეშველება და ოჯახში არ დაგი-
სახლდება. — ახლა... ხომ იცი, აქ ქა-
ლაქია...

— ქალაქში არ იზრდებიან ადამი-
ანები?

— ალბათ, კი. მარა გააჩნია რა წრე-
ში და ამხანაგებში მოხვდება.

— ჩვენი ნება არაა, სად მოვხვდებით
და ვისთან ვიშვებობრებთ?

— ბიჭო, მე ქე იცი, აქ ოჯახი, დედა-
მთილი, ღორი, ქათამი, სამსახური და
იქ — ყანა და ბოსტანი... ან, ჩემი გა-
ნათლება აწი მაგის გაკვეთილებს და
ალგებრა-გეომეტრიას რას გაწვდება.
ან, რო ვწყესო, რაფერ ექნა და ან გა-
მიგონებს? ხო ნახე წუხელი, ტანი რა-
ეა აიყარა, თექვსმეტისაა, მეტის კი არა
და რამსიგრძე თითები აქვს. მამამისის
ფეხსაცმელები აღარ არგია!

— გრძელი თითები და მკლავები
დიდ საქმეს უფრო შემოწვდება და
გრძელი ფეხები გრძელ ნაბიჯს გადა-
ადგამენ.

— ე, მაგიტოა რო მიხარია და თუ
შენც აქ იქნები... ეს ორი ოთახია. ორი
კი არა, ერთი. ა, აგერ, ჩემი კაბიკ-კა-
ბიკზე ნაწებები ფულით ნაყიდი ბუფე-
ტი, ეს საშლი მაგიდა ჩემი არველო-
დის ნათლიის მამამ გამიყეთა. შეხედე,
რამსისხო ფეხები აქვს. — ივლითმა
თეთრ, ქათქათა სუფრას ყური გადაუ-
კეცა.— ეს ორი ნიკელის „კრაუტრი“,
ტახტი და შიფანერკა, ჩვენი უბედური
მშის, ლუკას სურათი, ნოხი და ფარ-
დაგი... მეორე ოთახში ჩემ დედამთილს
ძინავს და ქვანახშირის ფეხიკ იქ გვი-
დგას, ქუხნაც ისაა და სადილ-ვანშე-
თაც იქა ვართ. იმ შუშაბანდში არის,
ვითომ, ის თავვის სორო ოთახი გა-
დატიხრული. მარა ერთი რკინის სა-

წოლი რო დავდგით, მაგაზე უფრო დაე-
ტია. შუაზე გადახერხებულია და
ნმა მეზობელმა და უფეხო ნახეარი
კედელზე მიაქვდა, ვითამ ვაიშვილის
სამეცადინოდ გვინდოდა, მარა ერთი
საათი არ იქნება თლათ შიგ ნაყოფი.
ზამთარში ცოცია და ზაფხულში — ცხე-
ლი.

— ჰოდა, ზამთარი აწიაც ცოცი იქ-
ნება და ზაფხული — ცხელი...

— აწი, ქუთაში აღარ ჩაეარდება? —
ვითომ იწყინა, ისევ და ისევ, მუდამ
შვილების მომავლის იმედს შეუღველ
დედებივით.

— მიოხარი, ახლა რას აკეთებს და
გატყვი.

— ახლა... მამო, ქე გითხარი, ვერაა
კარქ წრეში. აგერ კიდევ რკინიგზის
კლუბი და ბალია. ხო იცი, ვინ იყრის
თავს და ვინ რას აკეთებს. ნათულდამ-
დგარი დედაჩემის გამოტანებული ორი
ბოთლი ტყემლის არაყი მქონდა, ვინმე
სტუმარი რომ შემოვიარდეს, არ მინდა?
და, მამამისს რო არ გაუბეღია, ის გო-
უტანია და დოუღვევიათ. შეაციონეს
ამხანაგებმა და რა ექნა, მოვკლა?

— თუ შეაციონეს...

— აბა, მაგი რისი დამღვევია. ისე კი,
რო შეხედო, კაცი გეგონება... ჩემი დე-
დამთილი — ბებიამისი, მაგარი ქალია,
ქე იცი და, ის თუ გოუჯაერდება, თუა-
რა, მე რო რაიმე ეუთხრა, იმისთანას
გამლანძღავს... რა ექნა, მოვკლა? მა-
მამისი რისი მთქმელია, მარა, რალაც
რო მაინც გაუბედოს, აწი მაგას ვერც
ქე მეერევა.

— აა, მორევაზე თუა საქმე, მაგი,
ალბათ, მეც გამიჭირდება და აკლე-
ვინებთ ჩემს თავს?!

— ახლა, ბიძას რავე გაადრებს და
მერე შენ?... რო აღარ ვიცი რა გზას
დავადგე... მაგას თავი დაანებე, გოგოე-
ბი!.. ეს ქალის სიყვარული თქვენგანაც
კი მოდგამს და არც მამამისია, ნუ გე-
შინია, წმინდა წყლის დამღვევი... გო-
გოები, ხან ერთი კიდია ტელეფონზე
და ხან მეორე. რაფერ ეუთხრა რამე...
შვილს თავს ხო არ მოეჭრი. მაგი
თერამეტ წლამდე არ მეიცდის, რა ვი-



ცი, თუ გამოვირდა, იქნება მეტრიკა გადავუყუთო... იქნება, ცოლი რო ითხოვოს, ქე დაჰკვიანდეს და მეც მინდა შეილიშვილს და მომავალს რო მოვესწრო, სანამ შემიძლია...

— კი მარა, ცოლშვილიან კაცს როგორღა ვასწავლოთ და გავანათლოთ, ან მეტრიკას რომ გადაუყუთებ, ატესტატსაც ვაუყუთებ?

— ეპ, ძმაო, ნამეტანმა სიმართლემო დამილია სინათლეო, მაგი გვირს შენ, თვარა, აქ მაგისთანები ხდება? ატესტატს კი არა, დიპლომებს ახერხებს ხალხი... და, კტუაში თუ ჩავარდა, ცოლ-შვილი სწავლას დოუშლის? რამეზე შევაწუხებ ან შვილს და ან რძალს? ფილთიკოზის ჩულქები მოგვეცეს... მაგნარ ტალონებს, ვანოსთანა უფროსებს... თვარა, მებრძოლებს და შოფრებს ვინ აღირსებს... უხმარად მაქვს რძლიზა გადადებული და ბატისტის საპერანგე... ოლონდა თავის მომავალზე იფიქრონ და იზრუნონ. აგერ, შენ... — ის აღარ თქვა, ოჯახი დაანგარიე და ქუჩაში აღოლდოო. — ახლა იწყებ მეცნიერებას...

— ჩემი რა მოგახსენო და შენ და შენი ქმარ-შვილის საქმე კარგად გქონია გახაზირებული...

ფარნა იქ, იმ დღიდან, ღამის გასათევადაც აღარ მისულა.

V

— მედეა?!

— ჰო, როგორმე ნერვებს ნუ აიშლი... მე მეყოფა, რაც მჭირს... შიშის აღარ მეშინია, მაგრამ შენ არ მინდა... ჰირი შენიც თავზე საყრელადა გაქვს...

— აქ რა გინდა, საიდან გაჩნდი?!

— სადგურზე გამოვედი საეკაბოდ, მუშტარს ვეძებდი და დაგინახე...

— არაეინ ფიქრობს ასე შენზე, იცი... მაგრამ ამისთვის მოდი?

— ჩამომავინე როგორმე შენს გვერდით. ნუ გეშინია, აქ მინც არაეინ გვიცნობს და შენს სოფელში ამბავს არაეინ ჩაიტანს. აქ დასაჯდომი ადგილიც არაა და მთელი ღამე როგორ ათენებ?

„იცი, სადგურში რომ ვაფიქნებ?“
— ჩემი მეგობრები ქსენოქრუსში არიან, დასაფლავებაზე ჰქვამს მკვლამს ბი... მარლენ ოდიშარია და ვახტანგ გორგილაძე... — რატომღაც, მათი გვარსახელებიც მიაყოლა, ეთომ სისწორეს ვამბობ, მართლა ჩემი ახალი ძმაცაყებო.

— ეიცი. ერთს მუხლში აქვს მოჭრილი ფეხი და მეორეს — წვივში.

ფარნამ მოკუნტულ, მძინარე მეზობელს მერხზე ატანილი ფეხები შეუყუცა და მედულის ადგილი სამკლავურისკენ გაუთავისუფლა, მაგრამ იმდენად ვიწრო, რომ ჩამომჭდარიყო, სანახევროდ კაცის კალთაში აღმოჩნდებოდა.

— არ შეიძლება აქ ჭდომა, ადექი და წამოდი!

ფარნა დაიბნა, ვერც ადგომა შეძლო და ვერც უარის თქმა.

— ადექი, ადექი! გამოგონე, რომ გუბნებო, გამოგონე!

— წამოვიდე?

— ახლავე, ამწუთს, თორემ ვიკვლებ და ქვეყანას შევყრი!

— კვილი კი, მაგრამ არა მგონია აქ ვინმე შეყარო და ვინმეს ხმა მიაწვედინო.

— ადექი, ფარნა! ადექი, თორემ იცოდე, ამის მეტად ცოცხალს ვეღარ მნახე. მე შენ ჯერ კიდევ არ მიცნობ.

— ამდენად კი გიცნობ... — ფარნა კეტდარტყმულივით წამოდგა.

— მომეყვი, თორემ, დედაჩემივით ჩამეჭყევა სისხლი და აქვე გავთავდებო.

— დედაშენი?!. — ფარნა ფეხდაფეხ მიჰყვა.

— დედაჩემი გარდაიცვალა... — მოიცა, გაჩერდი, გამაგებინე...

— მეტი რა გაგაგებინო. — მედულის ცრემლები ახრჩობდა და ფარნამ, იისფერ სინათლეზე, ახლა დაინახა შავად შეღებილი ტანსაცმელი. ის, რაც აქამდე ემოსა, მწუხარებას დაეთალბა.

— მოიცა, მედულო, სად ჯანდაბაში გვეჩქარება, თუ... — ქალმა დარბაზის კარებში გააღწია, ფარნას გულსიპირში ჩააფრინდა და მარმარილოს სვეტს ზუ-

რკით მიაკრა, აცახცახებული გულზე მოასკდა.

— მოკვდა დედაჩემი... ჩემი ერთადერთი, ჩემი საწყალი... ჩემი საცოდავი, ტანჯული, გაუხარელი...

— როდის, როგორ, რაფერ...

— გაუსკდა გული და მოკვდა. ჩაქცა სისხლი და გათავდა. ცოცხალს ვერც კი მიუღწწარი. ერთი სიტყვა, ერთი მისი შემოხედვა მაინც დამრჩენოდა, ამქვეყნად უპატრონოსა და უნუგემოს.

— დედა თუ დედა...

— ლოგინად ჩაეპრდინილი, ინვალიდი დედა ცოცხალია და დედაჩემი, ვინც დისა და ჩემს იმედად იყო — აღარაა.

— როდის? ორი კვირა არაა, რაც სოფლიდან წამოვედი...

— მაშინვე... მე ერთი უბედურება რაჯა მეუფოდა, მაშინვე, მეორე... როგორც კი წამოდი, მესამე დღეს... ხუთი დღეა, რაც დაევსაფლავეთ...

«გული გაუსკდება ამ ცოდვის შვილს, ამისთანა ცხელი ცრემლი ქვას გაადნობს...»

— წამოდი, წამოდი! — მკლავი მკლავზე მომხვია და არიალებულ სადგურის შესასვლელს გაარიდა. — ხომ იცოდი სადაც ვიყავი, ხომ იცი სადაც ვმუშაობ და რატომ არაფერი...

— მოვედი... მიცვალებული მივატოვე და მოვედი... დაგინახე და ვერ მოგვხვდა...

— რა იყო, რა მჭირს ასეთი, აღარც მკედარი ვიცი, აღარც ცოცხალი?.. თანაგრძნობა მაინც არ შემოძლია?..

— არ შეგიძლია... არც მკედარი იცი და არც ცოცხალი...

— რატომ, რატომ გგონია, თუ ღზინი და სიხარული აღარ გამაჩნია და ვერც სხვას გავუგებ... ჭირი და უბედურება მაინც იმდენი მაქვს, თუ შენი თავზე აღარ დამეტევა, ჩემი მკედრებიც ბევრი მყავს სატირალი და, ამდენად მაინც თანაგრძნობი...

— ხომ ვიცი რა მშობარა ხარ და ჭორი და მიეთ-მოეთი როგორ გაფრთხობს.

— მეშინია?.. მაფრთხობს?..

— გეშინია, გაკანკალებს, ვინმემ არა-

ფერი თქვას, ვინმემ არაფერი იტყვოს. იღენად, რომ იქნებ ეს მშვენიერი დააეძვე და, დააეძვე კი არა, დააარწმუნე, რომ შენი საყვარელი ვიყავი და ახლა დაკარი ფეხი და მიმატოვე...

— კარგი, მოეშვი ამ სისულელეებს და თავი შეიკავე, დაგაბრძობს ამდენი ცრემლი... მოითქვი სული, სად მიგეჩქარება.

— არ ვიცი, არ ვიცი სად და ვისთან... დედაჩემთან, ჩემს უბედურ, სიჭკრივეში გაწამებულ დედასთან. ჩემგან უიმედოს, ჩემგან გულგახეთქილ, ჩემგან მიტოვებულს და პანტესა და ნუცქიას მონად და მსახურად მიგდებულს...

— პანტეს და ნუცქიას კი არა, დას ადგა თავზე — დედამიშვილს! — გაუწყრა ფარნა, მაგრამ თანაგრძნობით, დაყვავებით, თავზე ხელის დასმით.

— დავრდომილი დის, დისშვილის, რძლისა და დის შვილიშვილების მოახლედ და მოკამაგირედ.

— მე ჩემი ძმებისა და ძმისშვილების მოკამაგირე და მოახლე ვიყავი?!

— შენ... შენ... რა ვიცი... იტირე რა, შენც იტირე! — შეიხვეწა გულდათუთქულმა ისეთი მუდარით, ფარნასაც ცრემლები წასკდა. — იტირე, დედაშენი იტირე, შენი ძმა იტირე, შენი შვილები... დედაჩემი იტირე: მე შენსასაც ვიტირებ, ჩემსასაც, მთელი ქვეყნის საგლოვს ვიგლოვებ...

სად იდგნენ. ტოტუარზე თუ ქუჩაში, მოედანზე თუ მიწოდორში. კიდევ იყო ქვეყანა, ხალხი, უბედური და ბედნიერი, თუ ყველაფერი გაუცარიელდა, ყველაფერი ჭირმა მოიცვა, ქვეყანა დაბნელდა და იავარ იქცა? ცრემლმა დაფარა და ლუსკუმმა შთანთქა?.. ამ ბნელში დარჩებოდა კაცობრიობა და აღარასოდეს გათენდებოდა? ეს გაზაფხულის ქარი და ბორჩო იყო უკანასკნელი და დედამიწა საფლავებად უნდა ქცეულიყო?.. არ იყო ხსნა და მეორედ მოსვლა ყველაფერს დასასრულს უქადადა?..

— იტირე, იტირე... — გოდებდა უსასოო ჭირისუფალი. — იწამე ღმერ-



თი და იტირე! შემისრულე, რომ გვე-
დრები, ნუ გამწირავ, შემიცოდე, გამი-
გე, მანუგეშე, მიხსენი, მიშველე და
იტირე... ცრემლი, ცრემლი, ერთად-
ერთი... ერთადერთი, რითაც შეგიძლია
ჩემი შველა, ჩემი თანაგრძნობა, ჩემი
დამედება, ჩემი ხსნა და გადარჩენა.
აღარაა დედაჩემი, აღარაა ჩემი მარტო-
სული, ჩემი ერთგული და ჩემზე მლო-
ცველი... დედა... გაუხარელი... წამებუ-
ლი... ჭვარცმული... ჩემგან მიტოვე-
ბული და ხელნაკრავი, ჩემგან წამლის
მომლოდინე და წყალმიუწოდებელი,
ჩემს გზაზე მაკტერალი და ჩემგან
თვალდაშრეტილი, სულამოხდილი...
ჩემგან თვალდაუხუჭავი და თვალლიად
დარჩენილი... ჩემი ხელით მკვდარი და
ჩემი... ჩემი...

— კმარა, მედული, გაჩერდი, თორემ
არ ვიცი, ... არ ვიცი პირდაპირ, აქედან-
ნაც გავიქცევი და გადავიკარგები... სა-
დღაც უფსკრულში გადავიჩეხები!
მადლობა ღმერთს, ამ ბნელში, ამ
განუკითხავ, მრუმე ქაოსში მათთვის
არავის ეცალა და ამოდენა ატირებულ
და აქვითინებულ ქვეყანაში ეს ორი
მოზღუქუნე ქალი და კაცი არავის უკ-
ვირდა.

— კარგი, ... კარგი, ... კარგი! ... გავჩუ-
მდები, კარგი, გავისუფლები, ჩავიკმენდ
ენას და აღის ქარს ჩავიგდებ; კინიტს
აღარ დავმრავ, მაგრამ, თუ შენც ხელი
უნდა მკრა და მიმატოვო! თუ შენც
უნდა მომიძულო და დამწვარს მდუ-
ლარე გადამასხა; თუ შენი მოიხედე
უიმიდოდ უნდა დამაგდო! თუ შენს
ხელში შემყურეს ხელი უნდა მკრა! თუ
შენი მთის კალთას შეფარებულს თავზე
უნდა ჩამომენგრე! თუ შენი ცის მა-
კტერალ დამეხილს, მეხად და რისხვად
უნდა დამატყდე! თუ შენს ხავსს ჩაფ-
რენილი წყალწადებელი წყალს უნდა
გამატანო! თუ შენზე მლოცველი უღ-
მერთოდ და უხატოდ უნდა დამაგდო!
თუ შენი კაცობისა და სინდისის მალმე-
რთებელი უჭილაგოს და ურჯულოს
უნდა შემატოვო! თუ ობოლი და პარ-
ტახი არ უნდა გამიყითხო! თუ...

— მედეა...
— არა მაქვს მე სახელი, არა მაქვს
გვარი, არა მყავს დედა, არა მყავს პა-
ტრონი, არა მაქვს სახლი, თავშესაფარ-
ი, ქვეყანა, მამული, მოკეთე და გამ-
გონი. ბნელში ვარ, უგზო-უცვლო,
არაა ჩემს ცაზე ვარსკვლავი, არაა ჩემს
ეზოში ხე საჩრდილობელი, არა მაქვს
მიწა საყრდენი და ფუძე საშენი... არა
მყავს ძმა, და, ბიძაშვილი და დეიდა-
შვილ-მამიდაშვილი, არაა ჩემს ბარო-
ბაზე კაცი — კაცური და ქალი კეთი-
ლი. არა მყავს მოყვასი, თანამდგომი.
ხელის გამომწვდენი...

— მედეა... როგორმე... როგორმე
ვიაროთ. თუ გინდა მთელი ღამე, მთე-
ლი...

— სულ ღამეა, ფარნა, და სულ ღა-
მე იქნება! ფარნა, სულ ბნელი მოიცავს
ქვეყანას და ვერასდროს ცისიერს ვერ
ველირსებით. არასდროს გათენდება,
არასდროს მზე არ ამოვა, არასდროს
ჩიტი არ იგალობებს, ვერასდროს ღი-
მილს ვერ ვნახავთ. არასდროს არავინ
არ გვეყვარება და არასდროს არავინ
შეგვიძულებს...

— წამოდი, წამოდი, მედეა!...
— არა გვაქვს ჩვენ გზა, არა გვაქვს
ჩვენ ქუჩა, არა გვაქვს ჩვენ ქალაქი,
სახლი და კარი...

— წამოდი, მედული, რომე გელა-
პარაკები, გამოიგონე! წამოდი...
— სად, სად!.. საით, რისკენ, ვისკენ.
ვისი მოიხედე და ვის ჰერქვეშ...

— სახლში წამოდი...
— სადა მაქვს სახლი, სადა მაქვს კა-
რი, სადა მაქვს თავშესაფარი...

— წამოდი, წამოდი. გაქვს შენ სა-
ხლი...

— იქ, სადაც დედაჩემი აღარაა? იქ,
სადაც ის ველარასოდეს დაბრუნდება?
იქ, რასაც ის სამუდამოდ დაემშვიდო-
ბა? იქ, სადაც ის ვერასოდეს, ვერასო-
დეს!..

— იქ, სადაც ის გელოდა. იქ, სადაც
მისი სულია და გიცდის, სადაც დაგ-

ტოვა და რაც დაგიტოვა. რაც მას გა-
აჩნდა და რის პატრონად და იმედად
ეგულუბი... იქ, სადაც ის იყო და არის!
წამოდი, წამოდი...

იგი ვნახე, დავხვნივე,
გონებანი გამომავლენს
„მან საბრალოდ შემიტოვა“
ძლივს სიტყვანი გამოავნა...

თავი მეოთხე

I

თეკლა, ერთი უმწეო, ალალი გოგო—
თავისი ქალური ვნებების ტყვე და თა-
ვისაგან თავდაუღწეველი, თავისი ტკი-
ვილების ვერ გამყუჩებელი და სატი-
რალის უჭირისუფლო; საკუთარი კე-
თილისა და ბოროტის ვერ გამჩრევი,
სიკეთის ვერ წარმმართველი და ბო-
როტის ვერ დამთრგუნველი; ამ ალიან-
ცებულ, ამტუტებულ სამყაროში უმ-
წყემსური და უგზამკვლეო, წყლისა
და მეწყერის ვერ დამნახავი და უფს-
კრულის პირას თვალახვეული; ეული,
უთვისტომო, ვასრესილი და გაცამტვე-
რებული; ამდენი ხელძალით მოკლუ-
ლის ერთადერთი დამმოთქმებელი და
მეობი; უწარსულო, უმომავლო, სიხა-
რულისაგან გაფტკენილი და სიყვარუ-
ლისაგან განძარცვული; შიმშილით
ძლომის არმცოდნე და წყურვილით
წყურვილის ვერ მომკვლევი; ვნებით
ვნების ვერ დამთრგუნველი და ჭირსა
შიგან უძღური, უნიათო... ქუჩის მა-
წანწალა ძალს რომ შეეყვება, ქვას
ხელს ვერ წამოაგლებდა, რომ ძუენა
დაეფრთხო. ღამით, სამსახურიდან რომ
ბრუნდებოდა და ვიღაც ფეხდაფეხ მო-
სდევდა, როცა გულგახეთქილი სადარ-
ბაზოში ძლივს შემოსაწრებდა, კატის
ჩხაილსა და ყვითელ თვალებს იმაზე
მეტი დაუმართებია, რაც დენისაგან
ჭირნანახს სჭირდა. (ტრიფონი ირწმუ-
ნება: გაცილებდი, რომ ვინმეს არაფე-
რი გაეხედაო. რას ერჩი, სათავისოდ
შეგულებულ ბატკანს, თურმე, მგელიც
პატრონობს). და ვეშაბთან რა უნდა გა-
აწყოს თავის თავისა და ბედის ვერგამ-
რიგე არსებამ, თავის სამყაროში დაკა-
რგულმა და თავის ოთხ კედელშუა
გზაგაუკვლეველმა. რით უნდა იძიოს

შური ქვეყნის გაუსაგის ბოროტებაზე,
რას გახდები კაცობრიობის გაჩენის
დღიდან დღემდე ნაწერთელ სატანას-
თან, როცა ადამიანი და ღმერთი და-
საბამიდან ებრძოდა და ებრძვის: შუ-
ბით, ფართით, მახვილით, ელვით, მეზით
და ვერაფერს გახდა. რაც დრო გადის,
არასოდეს რომ არ ყოფილა, ისე სისბლ-
ქარბი და ძალმოსილი ხდებოდა. ახლა კი
ალარ გემალემა, აქეთ მოგსდევს, ფეხ-
დაფეხ დაგყვება და ჭურღმულში, ხრა-
მში და წყვარამში რომ დაემალო, საძ-
რომთან გადააჯობს, იქნებ თვალი და-
ხუჭო, დაუძღურდე, გონი წაგერთვას
და დაგაცხრეს, მოგიტაცოს, გაგქე-
ლოს, სულისაგან და ხორცისაგან გაგ-
ცალოს.

თეკლასთან უმწეო, სასოწარკვე-
თილ, ბოროტების მსხვერპლთ და ია-
ვარყოფილთ ისლა თუ რჩებათ: უძღუ-
რი, უღონო, აყანკალებული ხელი თა-
ვის საბრალო არსებაზე აღმართონ და
დაასრულონ ის, რასაც საწყისი თით-
ქმის არც ჰქონია და არც უარსებია.
მაგრამ უძღურთ და უღონოთ არც ამის
ძალი შესწევთ. ამიტომაც ქვეყანა მა-
წანწალებით, გარყვნილებით, მათხოვ-
რებითა და ბეჩავეებით ავსებული; ამი-
ტომ არიან უბადრუკნი, მათივე დამთ-
რგუნველთა, ნამუსის ამხდელთა, გამ-
ქურდველთა და დამარბევთა ხელებში
შეჩერებულნი, მოსისხართა მოიხედდენ
შთენილნი და მათი განკითხვის მომ-
ლოდინენი.

თეკლა ქადაგიძემ ყველაფერი დაკა-
რგა, რისი დაკარგვაც შეიძლებოდა თუ
არ შეიძლებოდა. იქნებ, ოდესმე, ეს
სხვასაც დამართნია, გაჩენილა ჭირი,
ქოლერა, ყვავილი — ამოუწყვეტია



ოჯახი, გვარი, სოფელი... ან, ახლაც ხდება, სადაც ომი მიქინეარებს: ერთ ლამეს დაბომბავენ ქალაქს — მიწასთან გაასწორებენ, ამოკლეტენ ძებორციელს და ვინმე ერთს, იმ დაღუპულებზე უბედურს, სადაც ნანგრევებში, კიბის ქვეშ, ფეხსალაგში, ან სარდაფში სასწაულით გადარჩენილს, ამოთხრიან, რომელსაც არავინ და არაფერი არ გააჩნია გარდა საკუთარი, გაპარტახებული, გატივინებული, დაზაფრული თავისა.

თეკლას არც თავისი თავის ყოლის უფლება გააჩნდა. მან ისიც დაკარგა — თავიც წაართვეს... თვალხილული დასვეს და აყურებინებენ: როგორ ჯიჯინიან, თელავენ, რყვნიან, ცოცხლად წვევენ და ითბობს ხელს თვითონაც და მისი დამრბევ-დამაქცევარიც — ბებიის ცხედართან გონიხილიის დამპყრობი, გამაუბატიურებელი, ნამუსის ამხდელი. (ტრიფონი მას აქეთ ირწმუნება, ელპიტეს გარდაცვალებისა არაფერი ვიცოდი, არცოდნა არცოდნაო). ხასად უზის იმას, ვის სისხლსაც წვეთ-წვეთად უნდა სვამდეს, სვამდეს და ვერ ძღებოდეს, წყურვილს ვერ იკლავდეს...

ეს ასეც უნდა მოხდეს... ზვალ კი არა, დღეს!.. ერთი დღელამითაც ამის გადადება არ შეიძლება. მხოლოდ ამის გადაბრუნდება, რომ ის მეორე გათენებას არ დაესწროს, რაკი სხვანაირად არც სიცოცხლე შეიძლება, არც სიკვდილი; სხვაგვარად არც ყოფნაა, არც არყოფნა; სხვა მხრივ არც ამ წარღვნით გატენილი ცის ცქერა და არც ამ გაუთენარ ბნელში ბოგინი.

იმ დღეს, ის, მიწასთან გასწორებული, ბებიის ცხედართან ნამუსახდილი რომ გონს მოეგო, მას აქეთია იცის რისთვისაა და რისთვის უნდა მოკვდეს. არასოდეს არ ყოფილა მისი არსებობა ასე აუცილებელი და მიზანსწრაფული, როგორც იმ დღიდან. არასოდეს არ აწინებდა თავისი სისუსტე, უმწეობა და ავადმყოფობა... ისე, როგორც მას შემდეგ აწუხოთებს და აფრთხობს. ყოველი დღე, საათი და წუთი დაძაბულია, დაჭიმული, დატენილი... კუთა, გონება, შიში, ზიზღი, შურისგე-

ბის შმაგ ვნებად და ღონედ ექცა მისი გახსენებაც რომ მეხის დატყვევებად და, მას აქეთ ზის და ამიტუნედაც მსხლეწულს, ბაჯბაჯა მტარვალს ელოდება. მოუთმენლად უცდის მის გამოჩენას, ვინც დიდიდან საღამომდე მსხვერპლს პირზე ქაფმომდგარი დაარაჯობს და ნიკვად ქცეულ ჩასაფრება-ამუხანათობის ძუძუტურში მომთმენი, წყურვილს თავისივე დორბლითა და ლორწოთი ირწყულებს. ელის გაუმადლარ, ბრტყელტერფა ცხოველს, სტომაქის ამოყოფის შემდეგ რომ ქლოშინებს და მძორის სიმყრალეს ამოყინებს.

ადამიანის ლეშზე დაეგმილი უწმინდური თვითონაც დასჯილია თავისივე მადისაგან და ასეთი მიწის სამძიმარის მოკვეთა, მოკვდინება და უენებელყოფა თვით იმ მტარვალისთვისაც მადლის ქმნა. ბოროტებისაგან ძლეულის იავარყოფა მოქცევას უდრის.

თეკლაც ამისთვის ელოდა ტრიფონის გამოჩენას, დაღამებისთანავე რომ მოადგებოდა სისხლიანი ხორავითა და წვრილ თვალბში ჩაქცეული ვნებით დატვირთული? თვითონვე თარქლაედა ნადავლს და იზუზნიდა ლაშებს, რომ დანაყრებულ, ბანჯგვლიან ხვადს დაუტრებული, მოცახცახე ძუ მრგვალი, ხაოიანი ენით ელოკა, ბრტყალეზიანი თავებით განეძარცვა და დედიშობილა მსხვერპლი ხრუტუნ-ხრუტუნით, მტკიცეულად ებურჯგნა, უძლომი სიხარბით დაუფლებოდა. ვნებადამცხრალი, ლოგინიდან ნახამორალი დათვივით წამოდგებოდა, მყარლ ბალანს დაიბერტყავდა და დაჯაგრული ლაჭებით გაუჩანდავ ომბოხებზე დადგმულივით წაბაჯბაჯდებოდა. კედელთან დამდგარი ჰვრიტა თვალბით მოაჩერდებოდა და ბუგუნულ ქვეშაგებზე დატორილ, წუმპეში ნათრევ, შიშველ ხასას და მარილიანი ქონით დათხვრილ ლაშებს, როგორც ნავახმევეს იცოდა, ისე იტლექდა. დიდხანს უყვარდა ასე, ნახანძრალი ჯიჯივით დგომა, ქლოშინი და ნასიძვარის ძვიტინი, რომ რითაც ხორცი დაიამა, იმით თვალცი ეხარებინა. ნაკვებებით ტკობა რომ გაიხანგრძლივოს,

ნესტოვებდაბერილი, ნამრუშალი შვავის სუნვას, სუნსულს, სუნსას დაიჩემებს, — მაძლარი ნამშვევი რომ ნასუფრალს ვერ ელევა და ისევ და ისევ იმით ძღუბა, რითაც დანაყრდა.

ძლივძლივობით ვნებამოყირკებული, დაბანას მოიგუნებებს — როგორც ნაღრეობები სუფრის გაწმენდას, ახალი ნადიმისათვის თადარიგის დაქერას.

ვეება ტაშტში ფეხებმორთხმული ცხელ წყალს თეკლას ასხმევენებდა და გულზე ტორებს იბრაგუნებდა, როგორც ნუგბარანჯამი ბალლი. ბრჭყალე-ბივით შიგნით ჩაბრუნებული, მაგარი, ყვითელი ფრჩხილებით იპოტნიდა ჰოს-პიტლის საპნით გაჭაფულ ჯაგარს.

როგორ უნდოდა თეკლას ის ფრჩხილები სათითაოდ დაეძრო ისე, რომ ერთის ამოგლეჯის სიმწარე როცა მიყუჩდებოდა — მეორე ამოეთხარა. მეორით წამება რომ დასრულდებოდა — მესამე... მაგრამ ათი... გინდ ოცი, რამდენ ხანს უნდა გასწვდენოდა, რომ გოლგოთას დასასრული არ ჰქონოდა!..

— წყალი, ჰო! ჰო-ჰო-ჰო!.. — ნებივრობს, დგაფუნობს, იღვრიჭინებს... დიდი, ბორბოტი, მახინჯი ბავშვია ტრიფონი და მეტი ხეხვა-წმენდა სჭირდება... მეტი ქუქყი, ლაფი, ტალახი მოეცხო და უზომო ჭყუმპალაობას მოითხოვს.

— ზურგი, ზურგი, ჰო... — გულდაგულ ხელის დასმას და დაგვრტივებებს ბრძანებს.

— ჰო-ჰო და მერე, მერე!.. — შეხმიანება უნდა ტრიფონს, შესიტყვება.

— რა მერე, შე ჩემი ცოდვით სავესე! რის მერე... — თავს დატრიალებს ქალი და ყოველნაირ წადილს უსრულებს ყოველნაირად წამებულს.

— მერე, რო ვიბან და მერე რო... ქუქყს ვიშორებ!

— ტრიფონ, რას ჰგავს შენი საქციელი?!

— იმას რო... ჰო, იმას რო... შენ მითხარო...

— ფრჩხილები, ტრიფონ! ფრჩხილები რას გიგავს, ტრიფონ!..

— ჰო, ჰო, აბა როგორ, აბა, კი... აბა,

ჰო!... — ხრუტუნებს, ხივა, ხიხინებს და მოხრილ ფრჩხილებს ცხელი წყალში აკვეხებს.

— სისხლი, სისხლი და ქონი გაჭვს ჩარჩენილი!.. სისხლი და ქონი...

— ხორცი გვაჭვს... სისხლი და ქონი... — ხენეშის, ქშუის ცხვირში და პირში ერთდროულად და იმიტომ კი არა, რომ ორთქლით გაჭერებული ჰაერის ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა უჭირს, დაღლილია, ან დაავადებული, არავეთარი — თავისი ხელით გამოძალული სიამის სიმსუყე-სიმამლრით ფშვინავს, ფოფინებს, ბლლარქნობს და რისი უნარიც გააჩნია, იმნაირი ხორციელი კმაყოფილების ბუბუნა სიამეს გამოსცემს.

სამართლებლით მოტყვევებულ მოღურჯო-წითელ თავზე და ქინჩზე გვაჯა თითებს ისარგალებს, იბოხავს, იჯიჯგნის და თეკლა ჩხრილა, ჩახჩახა წყალს ათქრიალებს, რომ ამოდენა, მიწის გამხეთქი და ქვესკნელში ჩამტანი ცოდვა კისრიდან ჩამორეცხოს...

„ახლა რომ დანა ჰკრა და კი არ გამოუსვა, ამ მხრიდან იმ მხარეზე გაუწიო და ჩატოვო, რამდენ ხანს გაგრძელდება ამის ხროტინი? ხორხაკპირის რამდენ ხანს ეყოფა საკუთარი სისხლი სასმელად და ფილტვებში საღვრელად?.. საუბედუროდ, დიდხანს არა, რა თქმა უნდა, იმდენ ხანს არა, მისგან დაღუბული ადამიანების გახსენება და ჩამოთვლა მოასწროს. ეს ცოდვაა, ეს წაწყმედაა, თუ იმის დრო მაინც არ შეექნა, თავის დაქვეულ ქვეყანას თვალი მაინც გადაავლოს“.

— ტრიფონ, კბილები, კბილები გამოირეცხე, ხორცისა და ძვლების ნარჩენებითა გაჭვს გაგოზილი...

— ჰო, აბა არა?.. კბილები... ხორცი... კბილები... — ხივა, ხიხინებს, ხლიწინებს ტრიფონი. — მწვადი ცვრიანი უნდა... ძვალი ტვინიანი... ქონი — თუნთულა... ქალი — ფუნთრუშა... — და მინავლული ვნებით ქლოშინებს, ტოლჩით თავზე დამდგარ ქალს ჩახსნილი ხალათის შიგნით, პერანგის ქვეშ სველ ხელს უთათუნებს. არავეინ უშლის, არა-



ვინ კაბას მუხლებზე არ იფარებს, არა-
ვინ პერანგს ქვევით არ იჭაჩავს... უნ-
და ისამოვნოს ტრიფონმა, უნდა ინე-
ბივროს, უნდა დათვრეს, უნდა გაძღეს,
უნდა დაიჭვროს, რომ მისია ქვეყანა.
მისი ულუფაა, რასაც თვალს დაადგამს,
რასაც თავისად დაიგულებს. არ უნდა
ეგონოს, რომ ქვეყნად სამართალია,
ავისთვის ვინმე ავს შიავებს. ცოდვის-
თვის მოჰკითხავენ, ღალატისთვის არ
უერთგულებენ, მკვლელობისთვის
სისხლს მოსთხოვენ... უნდა სჯერო-
დეს, რომ ქვეყანა სამგლეთია, ცხვარი
— სარჩოა. ვინც კვდება არ ცოცხლდე-
ბა, ვინც მიდის — არ ბრუნდება...
ადამიანი შემგუებულია, გულმაკიწყვი,
მიწა — ცივი, მოძალადე — განუკით-
ხავი, ყაჩაღი — ქვეყნის განმგებელი.
კაცი — ლაჩარი, ქალი — მრუში, მა-
ძღარი — ძლიერი, მბრძანებელი; მში-
ერი — მონა, მორჩილი, ბეჩავი; ვინც
გაგაძღებს, იმას უნდა ეფერო, ვინც
მოგერევა — ბაბა უნდა უძახო. ვინც
წიხლს დაგვრავს, ფეხები უნდა ულო-
კო. დედა თუ არ დაგნებდა და კემსხ-
ვერბლა, თვალი დედის ალიკვალ შვილს
უნდა დაასო, რაკი იცი, ცოცხალი თა-
ვით არ დაგნებდება, ცოცხალ-მკვდარი
უნდა გააუპატიურო. მშვენიერება მა-
რტო მშვენიერებისათვის კი არაა. ლა-
მასხს შეუძლია სარკეში იყუროს და
ამითაც დატყბეს...

— აბა რაა. აბა, აბა არაა?.. გოგნი
გოგონი, გოგნი გოგო... რაა, არა, აბა
როგორ? აბა ლოგოლ!.. — ენას იჩლი-
ქავს, ზრუტუნებს, ღლაბუცობს დაბა-
ნილი, გარეცხილი, გაბაჩხარებული და
მხნეობს, ნებივრობს, ღორძინდება...

ლოგინზე გულაღმა იშხლართება და
მალე კვლავ აღერსისა და ძიძგილაო-
ბის ხუსტურზეა და არა აქვს მნიშვნე-
ლობა ქალი რა გუნება-განწყობილე-
ბაზეა. იცის, იგი არავის უყვარს... უყ-
ვარს კი არა, სძულთ, ეშინიათ, არ და-
ენახებმათ და ეს, არამც თუ აბრკო-
ლებს და ხასიათს უფუჭებს, პირიქით,
ისაა, რომ მასში დევნის, დაჭერისა და
დასაკუთრების წადილს იხმობს. მისა-
დმი 'ხიზლი, შიში, ზაფრა და გულაზი-

ზობა აღუძრავს სისხლჭკობ ხორცეულ
ვნებებს და ხელდება. როგორც ქვეყნულ-
მორეულ, კულათრეულს მკაცრად მჭე-
ლი ქუჩის ძაღლები გაურბიან, ეხოებ-
ში, სარდაფებში და საძაღლეებში ემა-
ლებიან. გახლებული კი მისდევს: თა-
ვიანთ ბუნაგებში უფარდება და ერთს
არ დაიყვებს ისე ააწყავს ააყვებს, ააყ-
ნესებს, ააყილებს... დაჭამს, დაგეს-
ლავს, დაცოფავს...

ტრიფონმა არ იცის, არ განუცდია
და არ წარმოუდგენია, ქალს რომ ჰყვა-
რებოდა, ან ქალს რომ მისი წადილი
ჰქონოდა, ორმბრივი ურთიერთლო-
ღვა თუ ვნებას აღუძრავდა და იკაცე-
ბდა. ის კი არადა, ქალი გულგრილი და
სულერთიაც რომაა, იქაც ვერაა ის,
რაც უნდა იყოს.

ტრიფონი ყვავი, ყორანი, ტურა ან
აფთარი არაა, მძორს რომ წააწყდება
და დანაყრდება, ან ავადმყოფს, სნეუ-
ლსა და ხეიბარს რომ თავს ესხმის. იგი
ის მონადირეა: ფეხმარდ, მშვენიერ
ცხოველს რომ აიჩრევს, წინ გამოიგ-
დებს და დამფრთხალს, დაზაფრულს
მანამ სდევს, სანამ ქანცს არ გააცლის.
ყოველ გასაძრომ ბილიკს, ზერელს
ამოუეკეტავს და ისეთ ადგილზე მიიმწ-
ყვდევს, გასაქანი არა აქვს — აცხრე-
ბა, ერთი დაკვრით უტეხავს ხერხე-
მალს, აფართხალეზულს აჯდება, ტო-
რავს, გლეჯს და ცხელი სისხლი რომ
მოთჭრილებს, მისი სიმძიმით გათან-
გულსა და გასრესილს ბუბნის, ასარგა-
ლებს. უყვარს დამორჩილებული, დაყ-
რობილი ბუნების მშვენიერება ტრი-
ფონს და მძღავრობს. უძღებია, დაუც-
ხრომელი და ნეტარების აღმურში იწ-
ვის, იფერფლება... მაშინაა, რომ ის
ბრგვილი, ძელიანი, ბალნიანი ენა ლა-
შეზიდან უფარდება და კბილებიდან
ჩლიფინა აღერსი ლეზვივით ეღვრება.
მისი ლოხი სხეულის ქვეშ ძალმობრე-
ობით მოქცეულ, ამო ფხარკალითა და
ხაგხავით გათანგულ დედიშობილა არ-
სებას მოთახთახე სხეულზე დაოთხილი
ემხოზა. ქვევიდან ურვით, უშითა და
ძრწოლით დაძაგრულ, დაბრეცილ სა-
ხეზე სასოწარკვეთით გადათეთრებული

თვალეები რომ გმინავენ: რაკი ხსნა არ არსებობს, ბარემ ჩქარა, ჩქარა მოელოს ბოლო ყველაფერს!.. მთელი არსებით ამის მომლოდინე ტრიფონი კი ფეხს იორევს და ულოლიავეებს გულადმა და ცემულ საწადელს: ბუბუნებს, ბუბუნებს, პარპაშობს, ზეობს, — იწონებს, ენუკვის, ეზიზღება. პირი უქაფდება, ენა კბილებით უჭირავს, ებმება, ეჩლიკება...

— აბა... ასე, ამნაირად... გოგნი, პო... გოგნი... გოგნი, პა, გოგნი!..

...და ვენებადამრტილი არსების ძალმომრეობით ავ ვენებად ქცევა, სისაძაგლის მორჩილება, ჩათრეულის ჩაყოლა და ძლიერის ზესვლა. მსხვერპლის უმწეობის მწედ ხმობა, განწირულის თვითშეწირვა, დამრბევის მიპატიება და იავარყოფილის თვითაოხრება; სიძულელით ტკობა და გარყვნილის თვითგარყვნა, დამარცხებულის თავის თავზე ხელის აღმართვა. დამდაბლებულის თვითდამდაბლება და ვენების წუმპეში ჩაძირულის თვითვენება...

შიშველი ტრიფონი იმდენად ამაზრუნენია, თეკლამ თვალი რომ აარიდოს, თავისი უბედურების სიღრმეს ვერ ჩასწვდება. ჩამოწუნწკლულ დაქადავლოყებს, ნესტოებლია კაუჭა ცხვირის ორივე მხარეს წვრილ, ჭვრიტა, მოძგიტინე სამხერებს თვალს უნდა უსწორებდეს, ფუ გინდა მთელი არსებით ძრწოდეს. ზურგის ქაგარის შესაშრობად პირსახოცს რომ მხარიღლივ იგდებს და ორივე ხელით იჭიმინჯებს, მკლავებზე კაცის მოსაშობი კუნთები დაუხტის, მკერდზე ბორცვები ეზრდება, ბალნის ტევრით შესუღრული და ჭვითკირის კედელივით მკერივი, საპატიმროსავით გაუტეხელი და შეუწგრეველი; დანის პირისთვის გაუმეტებელი, ერთი-ორი დაკვრით ამჭეყენიდან ასე იოლად გასასტუმრებლად შეუღლეველი.

ლამით, ნასვამს, ნაჭმის და ვენებადამსტბრალს, რალაც მალე ეძინება... არადა, ბუნაგში სულწასული ბრუნდება და სჯერა, მთელი ღამე არ ჩათვლემს, ინადიმებს, იბულრავეებს და ინეტარებს... საერთოდ, ტრიფონმა ბევრი

ღამე ტეხა, დიდხანს სჭირდა უძილობა. ჭერ კიდევ ამ საღმრთო სურდულში, უმზეოდ და უჰაეროდ ეძინებოდა. ეტყობოდა რომ უკანონოდ შეეძინა. ჩახუთული ნესტი და ცარიელა ძეძუ არ ახუჭვინებდა თვალს, კნუტივით აჩხავლებდა და ლეკვივით აწკაწკავებდა, დედის წყევლა-კრულვა არ ანუგეშებდა და არ ჩაახუშებდა. აკვნის ძინძგლიანი ჩერებიდან რომ გამოძვრა და მრულ ფეხებზე დადგა, დედას იმ ღვინის სარდაფებში და მიწისქვეშა საწყობებში ხვეტა-წმენდის ილაჯი წაერთვა, სადაც გაღეშილ მიკიტნებთან, კასრზე ტრიფონი ჩაესაბა. რაც შეიღს ახსოვდა, დედა ხელში აკვდებოდა და წამალივით ითხოვდა სარჩოს...

მშიერმა, ბუნებრივია, გაძლომა მოინდომე, უჰაერომ — ჰაერი, უმზეომ — მზე, მაგრამ სიმაართლის ბილიკზე დამყენებელი და დამკვალიანებელი არაეინ გყავდა, არც გიძებნია. ეკლიანია გზა ჭეშმარიტებისა და იგი, საუბედუროდ, ხშირად მარცხით თავდება... ეს შენ გენით გადმოგეცა და იცოდი, თუ ცხოვრებამ გასწავლა და მიხვდი, ალლო კი თავიდანვე აულე. სადგურზე რომ მგზავრებს, ფეხშიშველა ბიჭმა, ბარგი უთრიე და გროშები მოგაგდეს, თვალი იმ საფულეზე წაგივიდა, რაკი მის პატრონზე მეტად გიჭირდა — ეუტი დედა ლუკმას წყევლა-კრულვით ვთხოვდა. შენი უხეში, მოუქნელი, ტლუსხეული და მოკლე, ფრჩხილებმოკაუჭებული, კოტიტა თითები სხვის ჭიბეში საფათუროდაც არ გამოდგა...

პირველსავე ნაქურდალზე წაგიჭირეს და მხოლოდ დაზარალებული კი არა, ყველა, ვისაც რალაცა კაბიკები გაჩნდა და ეშინოდა — ხვალ ხელი მის ჭიბეში არ ჩაგეყო — ფეხით შეგდგა. ჭკუა გასწავლეს: რა არ უნდა ჩაგედინა, მაგრამ არავის დაუმოდეროხარ რა უნდა გექნა. ბარისა და წერაქვისათვის მაშინ ჭერ კიდევ პატარა იყავი. არადა, თუ არ იშრომებდი, ვინ რას მოგეცემდა... მაშინდელი ორი კლასის სწავლა-განათლება ძლივს მოასწარი, დედაშენს რომ საბოლოოდ წელკავი



ეცა და იმ ნესტიანი სარდაფის აშშორებულ ლოჯის საუკუნოდ მიაჯაჭვა.

გაუღლულტდი, გაჯიბგირდი, მაგრამ ვერც ქურდებმა და ავაზაკებმა გიგუეს. შენი უძლები მადა და მტაცებლური ბუნება მათთვისაც უცხო გამოდგა.

დრო კი მიდიოდა და მშვიერი თუ მძლარი ერთნაირად ხარბი და მგლეჯელი იყავი, უარაფრო და ყველაფრის მოწადინე... რამდენადაც აღამიანური სახე დაკარგე, იმდენად ცხოველური ვნებები სხვაზე ადრე აგიჩურუნდა. შენთვის ქალი კი არა, ნაპერანგალი არავის ემეტებოდა. შენი დამნახავი მეზობლის გოგოები თვალეზე ხელს იფარებდნენ: ქუჩაში არ გახვიდეთ, ჯიბგირი ტრიფონა მოდისო!

შენი შიში ჰქონდათ და არა რიდი. თვალს არავინ გისწორებდა, პირისპირ არავინ გხედებოდა. შენი ვნება დამახინჯდა. მათი სიყვარულის მაგიერ დაფრთხობა, ჩასაფრება, დამინება და დაწიოკება გექცა მოთხოვნილებად. ერთი ასმათი იყო, რომ არ სძულდი და ებრალებოდი. მას და დედამისს მაშინ ლუქმა არ უქირდათ და მათი დიდი სახლის სარდაფში ჩარჩენილ, უმწეო დავრდომილის განკითხვა იცოდნენ. ეს სახლი ვაჭარმა თათეიშვილმა რომ იყიდა, გაუბედურებული დედამშენი აქ დახვდა. ვითომ, ძველი პატრონისათვის უნდა მიეყოლებინათ თავიდან მისივე „პრიკაზნიკის“ ნასაყვარლები, მერე კი სამიკიტნოების კახა, მაგრამ პატიოსანი არავის უნდოდა და მრუშს ვინ რა თავში იხლიდა. თან, ასე სამადლო, მკერდდაწურულ მემკაცე შენ გულზე ეკიდე და ღვთისმოსავემა ელპიტემ ხელი ვერ ჰკრა. საცოდავი, ყოველთვის ტყუოდა, თავის ლტოლვილობას ვილაც „მზეჭაბუკ“ აფაქიმეს აბრალებდა. ცოლობას მპირდებოდა, შემაყდინა და, როცა გამაგლო, მის სახლ-კარს ცეცხლი წავეუიდე, ვადავწვი და ქალაქს მოვაშურეო. არავინ იცოდა მისი გვარსახელი. თავს აფაქიმის ნაცოლარს ეძახდა. ალბათ, მარტოლა შევბენლით მოცული წარსული ჰქონდა, კვალს აბნევდა, რომ ვერასოდეს მისი ასავალ-და-

სავალი ვერავის გაეგო. უთუოდ ის აფაქიმეც არაფერ შეუძლებლობებში რთოდ არ არსებობდა.

ბნელში გამომწყვედელი ხარბი მზის სხივს კი არ დასაქვრდი, თვითონ მზის დაპატრონება მოინდომე. იცოდი, ვერ მისწვდებოდი, მაგრამ მახეების დაგება და ზაფანგში გაბმა მოუნდომე. ასმათი, სხვა რომ არაფერი, შენზე უფროსიც იყო და ასაკითაც არ შეგეფერებოდა, მაგრამ ყოველთვის სხვის ლუქმაზე დაჯიბზე გრჩებოდა თვალი. იმ დროს ლაზარე ქადაგიძეც გამოჩნდა და მთავრობისაგან დევნილმა რომ თათეიშვილის სხვენში ბინა დაიღო, შენს ჩაგვებულ, ავად მოდარაჯე თვალს არ გამოჰპარვია. მალე სხვენში ასმათიც აპყვა. შენ ლუსკუმ ბნელში დაძვრებოდი და ქალაყის ხვევნა-აღერსით საკუთარ ქვენა გრძნობებს იცხრობდი. რაც სიცოცხლეს გიწამლავდა, იგივე გასულდგმულებდა: დავასმენ და თუ ხელდაუქარებელი არა, ნაცდუნები და გაბახებული მაინც ჩემი არჩივი გახდებო. ასე აგრძნობინე, კიბეზე ჩამოშავალ ქალს რომ ქვევიდან შესჩერებოდი და ვნების ლორწო თვალებიდან გყონავდა. მიიღე კიდევ საკადრისი — იმ ურცხვ სახეში ჩაგაფურთხეს... შეშინდი, ახლა რომ გავცე, იცის ვინც დალუპა და არ მინდომებსო. მალე ქვეყანა აირია. გეგონა, ქადაგიძე ისედაც განწირული იყო, ამ გამაჩრვებული ნაცდუნებ ვაჭრის ქალს ხელს ჰკრავდა და შენ ნასუფრალი მაინც დაგრჩებოდა. ისევე არ გაგიმართლა, ლაზარე კაცი იყო და შენი და მისი ვარაუდი ერთმანეთს არ დაემთხვა.

მალე, „ქადაგიძეების“ წყალობით, ჭურღმულიდან ამოძვარი და ბინა მათ გვერდით დაიდო, როგორც თანასწორმა და თანაბარუფლებიანმა. ნანობდი, დრო რომ ხელიდან გაუშვი და როცა დევნილი იყო, გზიდან მაშინ არ ჩამოიშორე. ახლა, ქვეყანას თვითონ განაგებდა და რა უნდა გაგეწყო. ხელეებს იქამდი, როცა კედლის იქით, სამსახურიდან დაბრუნებული მეზობელი, შენს „საკუთრებას“ გვერდით მიუწყებოდა.

ბავშვი რომ გაჩნდა, მისი ტირილი ხო
 ვაკე-ქუხილად გასმოდა და ბოლშა-ვა-
 რამმა, თუ გული მაინც გაგაჩნდა, გა-
 მოგვამა და გამოგზარა. შენთვის, მარ-
 ტო ბინა-თავშესაფარი კი არა, ახალშა
 დროებამ სამსახურიც გააჩინა და
 ამან კიდევ უფრო მოგანდომა — ბა-
 რემ ყოველნაირ საწადელს სწეოდი.
 ეშმაკს არ გვიძინა და ღლაყის დასაქერ
 ბაღეს ქსოვდი. შესასურთი ნებისყოფა
 და გამძლეობა გამოგადგა. დიდხანს
 იფხიზლე და უძუძუტურე. წერაშიც ისე
 გაიწაფე, რომ დამსმენის მომსმენს იო-
 ლად გავერჩია, ცილისმწამებლის ცი-
 ლისწამება საბუთად ექციათ და შენ
 შენსას დაპატრონებოდი, ისევ შენი
 ამინდი დადგა, დაიწყო დაკერები და
 ნანდაური, როგორც იქნა, შენი გახდა
 გეგონა. მაგრამ ავი და ბოროტი კი
 არა, კარგი და კეთილი არ იმალება.
 შენი ხსენება მეზობლებს შიშის ხარს
 სცემდა. ისევ და ისევ მიაციენდი, უტ-
 რიალე და უდარაჯე კედელს იქით უკ-
 ვე დამარტოხებულეულ ქალს, მოხუცი
 დედისა და უწლოვანი შვილის ამარა,
 ზაფრახე რომ დაქლეტდა და გაჭირვე-
 ბამ სიკვდილის პირას მიიყვანა. მაგრამ
 ასმათი ის ციხე იყო, შენი კიბე რომ
 ვერასოდეს შესწვდებოდა. ვითხრა კი-
 დეც, დაკითხვიდან რომ ნაშუალამევეს
 ბრუნდებოდა, შენ კვალში მოსდევდი
 და ნაბიჯი ვერ ააჩქარებინე. მოსახვევ-
 ში უეცრად თვალთაგან დაგეკარგა და
 სახლის კუთხეში დაგხვდა: ვიცი, ამ
 უსამართლო ქვეყანაში სამართალს ვერ
 ვიპოვი, მაგრამ თუ ამ წუთიდან არ ჩა-
 მომხსენებ, განაჩენს მე თვითონ გა-
 მოგიტანო! და შენ, ყოვლის მკისრე-
 ბელმა და შემძლემ, მისი ნათქვამი იმ-
 დენად ირწმუნე. ისევ დაფრთხი, მაგ-
 რამ ღმერთს გაჩენის დღიდან დასჯილი
 ჰყავდი: მიუწვდომელის საპოტიროდ,
 შეუძლებლის სანდომად. ასმათის ქა-
 ლიშვილი რომ წამოიზარდა, მასაც ისე
 დაადგა თვალი, როგორც დედამისს.
 ხელდამწვარი მიფურთხებულის შურის-
 ძიება იყო ეს თუ ისევ ბოროტისაგან
 კეთილის დაპყრობის გაუცნობიერებე-
 ლი აუტყლებლობა, კედლის მიღმა

„შენს“ ბაღში ამოსულე, ვერცხე-
 ლის მოძოვა მოგმიგზარდა...
 რიას თავზე ისეთი კრუხი ადგა, შენის-
 თანა ყვავიცი კი ხელოდან ვერ გამოგ-
 ლეჯდა. მაგრამ, რაც დრო გადიოდა,
 სანახევროდ აბასთუმანში გადასახლდა
 და იმედოვნებდი... ვისთვისაც აქამდე
 იღვწოდი, სასიკვდილოდ გაიმეტე და
 მისი მზის დაბნელებით, გამოდარებას
 ელოდი. ისევ ძველი უბედურება დატ-
 რიალდა და სულ რომ არ ელოდი, ქა-
 ლიშვილიც ისე გამოგაცალა ვილაც.
 სოფლიდან „ჩამოთრეულმა“, ცაზე მი-
 შტერებულმა მიამიტმა ბიჭმა, როგორც
 ერთ დროს დედამისი — ვილაც დევ-
 ნილმა „ყაჩაღმა“.

ეს, ახალცდუნებულნი და მცდუნებე-
 ლი, შენი ოთახის ტიხართან რომ ლო-
 გინში ხვარხვალობდნენ და ერთმანეთის
 მხესა და მთვარეს ფიცულობდნენ, შენ
 ისევ ბალიშებს ჰამდი და მჭილით ლო-
 ნიერი მკერდის ჩანგრევას ლამობდი...

მალე ისევ შენს მხარეზე გადმოიხა-
 რა სასწორო... გაგიმართლა შენს ბედ-
 ზე დაიწყო ომი, მეტოქეც ჩამოგამორა
 და ასმათიც მოინელა...

ფანჯარა არ დაგიკეტია მას შემდეგ
 და ხმა არ გაგლიოა, რომ ამ ნაცდუნებ,
 კრავივით გოგოს დაცხრომოდი და მთე-
 ლი სიცოცხლის ნაავკაცარი მოგემყო.
 ჯოხზე დაკრული სატკით, შენი ღია ფან-
 ჯრიდან, ამ ოთახის ფანჯარაში იხედე-
 ბოდი, ყველაფერი იცოდი, — რა ხდე-
 ბოდა, სად ადგამდა ფეხს, როდის იხ-
 დიდა და იცვამდა. სამსახურში უთვალ-
 თვალეზი და გზაში გზიჩრევით იყავი
 გამდგარი. იცოდი, როგორც გულშაგა-
 რი დედა, ისე მშიშარა შეილოც ცოც-
 ხალი თავით არ დაგნებდებოდა, მაგ-
 რამ შენი იმედი ყოველთვის უიმედო-
 ბა იყო და სიმართლე — უსამართლო-
 ბა. კვილი რომ მოგესმა და გაგახარა,
 მაშინვე ჯოხზე დაკრული სატკით დაი-
 ნახე იატაკზე გამხლართული, მუხლებ-
 მოშიშვლებული მსხვერპლი არ გაგკვი-
 რებოდა: ბებია-რატომ არ მოამუტარა.
 იცოდი, მოხუცმა კარგა ხანია ჰამა აღი-
 კვეთა და საიქოს გასამგზავრებლად
 გაიწყო. უკვე ხელის შემშლელი აღა-



რავინ იყო — კარი ღია და ქალი უგონო. ქვაფენილზე ბავშვობაში დანარტყამი თავი დიდ ზაფხაზე ან მწუხარებაზე ავი ზნესავით მოსანჯავდა და მოსულეობდა დიდხანს უქირდა.

უნდა გეჩქარა... უნდა მოგესწრო...
 კერავინ დაიჭერებს შენისთანა ძვალმსხვილს, ლოხსა და მოუქნელს, წვივმრუდსა და ტერფბრტყელს თუ კატის მოქნილობა გააჩნია და ცალ კარში გაუტევეარ სხეულს ნემსის ყუნწში გააძვრენს. რაკი შენს გაჩენაში ღმერთი არ გაერია შენმა გამჭვდმა სატანამ, ეტყობა, არაფერი დაიშურა. თვალის დაბამხამებაში იქ გაჩნდი, რასაც ამდენი ხანი გალურსული და გასუდრული უთვალთვალეზი.

უნდა მოგესწრო!.. ყველაფერი უნდა მოგესწრო, სანამ სასომიხილის ამქვეყნისა არაფერი გაეგებოდა... და, როცა ბუმბულივით აიტაცე, რძით სავსე რეზინის ქალივით მკლავებზე გადაგეწელა. საწოლიდან კი ცივი ფეხები გაუწურავი. თეთრი სარეცხივით ჩამოწვართა.

უნდა მოგესწრო... და, როცა სინამდვილეს დაუბრუნდებოდა, დაენახა, მთელი სხეულით, სისხლითა და ხორციით უნდა ეგრძნო, რომ შენი იყო. საკეთარი, მხოლოდ შენი და სხვისი არავის. შენს ტორებში გამომწყვდეული და ბანჯგლიან მკლავებში გახლართული, შენი სიმძიმის ქვეშ გასრესილი და გათანგული; შენი ენით გალოკილი, დორბლით დაღუბილი და მაგარი კბილებით დაღურჯებული; შენს ხაფანგში ოთხივე ფეხით გაბმული, შენს მუჭში გამომწყვდეული, ტყვე და მორჩილი. ამ გამოღვიძებიდან შენთვის უნდა ეშუქვთა და ეაღურტულა, შენს ხელისგულზე უნდა ეაენკა და შენი ჭიქით დარწყულელებულიყო...

როგორც კი გაუპატიურებული თვალებს გაახელდა დაენახა, რომ დამთავრდა შენი მრავალწლიანი ომი... ჯერ მამამისის გამარჯვებით და მერე დამარცხებით, შემდეგ დედამისის შეუვალობით და სიკვდილით. ბოლოს მათი ქალიშვილის ხელიდან გამოცლით და

ახლა უკან დაბრუნებით, როგორც ქოვერება ბრძოლა და შენს ხელით მარამ იბრძვის... მეორედ მოცხდენა და მინც ბრძოლის ველიდან არ გარბის, ფარხმალს არ ჰყრის და ყოველნაირ ფანდს ხმარობს, ბოლოს და ბოლოს, იმარჯვებს. ვინც მოითმენს — ის მოიგებს...

შენი დღესასწაულიც დადგა, ტრიფონ! გუნებას ვერც ის გიფუქებს, რომ სადღაც მეტოქე გყავს თუ გყავდა. ყოველდღე მოსალოდნელია მისი დაღუპვა. რა გასაკვირია, ამ ომში ქვეყანა ჩაწყდა და რაღა ის უნდა იყოს წითელი კოჭი. მით უმეტეს, რაღაც სასწაულოთ გმირია და გმირებს მეტი სისხლის დაღვრა მართებთ...

მადლობა ღმერთს, მკვდარს მიწაში არავინ ჩაწყოლია და ვინც კიდევ ცოცხლობს: ჭამაც უნდა, სმაც, ჩაქმაც, დახურვაც, სახლიც, კარიც, კაცს — ქალი და ქალს — კაცი.

შენი ოთახიდან კარის გახსნასა და გაერთიანებას, რატომღაც, ყველაფერზე თვალდახუჭული, დაყაბულეებული და დანებებული თეკლა მინც უარობს. ალბათ, იმ გმირისაგან ჯერ კიდევ რომ ლებულობს წერილებს. რა გეჩქარება, შენი არაა? ჯერ ერთი, ომი კიდევ წინაა და, ამას გარდა, ისე ცივი და სულელურია ის ორსიტყვიანი ბარათები, ეჭვი არაა, იმ უბედურმა გული ამ გოგოზე საბოლოოდ აიყარა. ასეც რომ არ იყოს, შენ მაგისტანები გაგისტუმრებია ამქვეყნიდან, მაგი გაგიჭირდეს?

...და დიდია შენი ვნებათა ლეღვა, ტრიფონ! ნათემნი, ნამარხულევი, ნადარაჯები, ნაყურყურები. ბევრჯერ წართმეული, შენი „წილი“ სხვისგან მიტაცებული. ახლა შენი ამინდია... დადგა თუ მოიყვანე. კი არ გათენდა, გაითენე. შეჰქმენი შენი ქვეყანა და ნამშვევი ნამარხულევი მგელი რომ ჯოგს ხევში გადააჩეხავს, მერე ლეშით ველარ ძღება... გინდა პური, ხორცი, ქალი... ქვეყანა რომ დანაყრებული იყო, შენ შიმშილობდი. ახლა ყველას კუჭი უხმება და შენ საუხუმე, სადილი და ვაზში გამი გაქვს... და ქალი კედლის იქით

სხვას კი არ უწევს და ვილაც ვიგინდა-
რას გვერდს კი არ უთბობს, შენ გვი-
დებს ცეცხლს და შენ გულს ახარებს.
და, თუ რაიმე მოგეგუნებება — ყველა-
ფერი. ამ მსოფლიო ომში, მგონი, შენს
მეტი ყველა დამარცხდა. შენ კი —
ყველაფერი გაქვს: საძლომი, სათრობი,
საბულრაო... გაქვს სახლი, თბილი ლო-
გინი, საშოვარი... და გინდა ცხოვრება,
გინდა განცხრომა, ტკობა... გინდა, გი-
ნდა, გინდა ეს ორი დღის წუთისოფე-
ლი...

ყველაფერი გინდა: შენიც, სხვისიც...
რასაც ხარბი თვალი ხედავს და უძლე-
ბი გული ისურვებს, რაც ამ ცოდვილ,
ბებერ მიწაზეა...

...მან თქვა: „ტახლა მწარე ჰყოვბს,
სკობს იქნების რაცა ძვირად“.

II

საზღვარი, თურმე, უსაზღვრობასაც
აქვს.

უღვთოდ გვემული და პარტახი თეკ-
ლას ყოფამ არსებობა შეწყვიტა. გამო-
შრა, გამოცარიელდა, გამოლენჩა, გა-
ტუტყვიანდა, ლაფთა და წუმპით გაბი-
ნძურდა... ბრიალა, ციმციმა, ნაპერწკ-
ლის მფრქვეველ თვალეში ძრწოლა,
დამფრთხალი — ბორბოტი ვნება და
ცბიერი, უნდილი შური, უნდობლობა
ჩაუსახლდა. მლიქვნელის უტიფარი
ღმეჭა და უგერგილო, უნიათო, ტუჩებ-
თავმოუყრელი ლიზი დასჩემდა. ჩარ-
ბზე დადამბლავებულის ლორწო დაე-
კიდა, გულისპირზე რომ უცვივოდა და
თევზის ქერეჭივით უბზინავდა.

ნაშიმშილევი ჰამდა, რაც წინ ედო
და ნამწყურვალევი სვამდა, რასაც სთა-
ვაზობდნენ. ედებოდა მონის თონთხ-
ლო, ოფლიანი ქონი და უჯდებოდა კა-
ლთაში მოძალადეს, უწვებოდა გამრყ-
ვნელს და გათიშულივით უსიზმრო,
უგრძნობელი ძილით ეძინა. არც სწავ-
ლა უნდოდა, არც სამსახური, არც
შრომა, არც საქმე და ზვალინდელ დღე-
ზე ფიქრი

ვინც მიიტაცა და მიისაკუთრა, უსი-
ნეთი და ყსაბის ხელეჭყყუნე-
დი ჩვარიც იყო, მან ჰქცევს: მისევეა
თავის ბუნავს რა მხევალიც დაამშვე-
ნებდა. ისე უნდა მოექცია ნადავლი
მდებარი, ვნება — მპყრობელის გარდა
— არავის აღძროდა და მიტაცებულის
ხსნა, კიდევ რომ ვინმეს გახსენებოდა,
გული აღარ მისვლოდა. წყაროს თვალი
ისე აემღვრია და აეტალაბებინა. მწყუ-
რვალს პირი ვერ დაეკარებინა. სულა-
მოცილი ლეშად ქცეულიყო და მო-
ნის უღელს ისე შეჩვეოდა-შესისხლ-
ხორცებოდა, თავის დაღწევასა და თა-
ვისუფლებას მონობა ერჩივნა.

ხატად, ხატისმტეხელი — მკრებელი
ეცნო. სიძულვილს, ზიზღსა და შიშს
სასწაული მოეხდინა. — სოყვარულად
ჰქცეოდა. სიშიშვლე და ძალადობა —
ვნებად. თავისი საწადელი დაეკარგა და
მიმტაცებლის სურვილი შეჰქონდა სუ-
რვილად, მპყრობლის ნება-ნებად.

ისე უნდა შეცვლილიყო, უახლესის-
თვისაც ცნობა შეუძლებელი გამხდა-
რიყო.

და ყოფილიყო ტოლი ტოლთან,
სწორს სწორთან განევსენებინა. კარგია
ის, რაც შენია. მშვენიერი ისაა, რაც
შენს თვალსა და გულს ახარებს, რი-
თაც გეცხოვრება!

...და, ამ დროს, გამოჩნდა ფარნა
ამაღლობელი. კარზე დაკაქუნებისთა-
ნავე არ უპასუხეს. ისევ და ისევ რომ
დააბრაბუნა, სადღაცოდან მოესმა „მო-
ბრძანდიო“-ო, მაგრამ ეს, თითქოს,
ოდესღაც ნათქვამის გახსენებას ჰგავ-
და, თუ... ფარნა დაიბნა და ერთხანს
კარის შეღებაც ვერ გაბედა. რა დაავი-
წყებდა, აქ ნამყოფი რომ იყო. მაინც
არავინ გამოგებებია. როცა შევიდა, რა-
ღაც მოულოდნელი შიში შეიყოლა, თუ
იქ დახვდა!

ღმერთო! ყოვლის მხილველო და
ყოვლის მომტყეველო, რა იყო ეს?!
ერთ დროს სად ნამყოფი სად მოხვდა!
ვისთან მოდიოდა და ვისთან აღმოჩნ-
და?! რით ყარდა აქაურობა და რით
იყო მორთულ-მოფარდაგული. რა გა-
ჭირვება, რა სიღატაკე, მაგრამ სათნო-



ება — სიწმინდე სუფევდა ერთ დროს... ახლა ასე მხუთრი და სულისშემხუთველი ჰაერი რატომ იღვა და აქ ვინ ცხოვრობდა?! ან ეს უტიფარი, მოშვებული, გულმოღვლილი და კაბაში დაუტევიარი, გაზულაშებული, ურცხვი მუცავი ვინ იყო?! გაუხდელი, გაუნძრევლად რომ წოლილა და მუთაქაზე ნადები ლოყა და ყური ასწითლებია! ახლად გაღვიძებულს თვალეში ხელიც არ ამოუსვამს, თმის სარჭით დამაგრებაც არ გახსენებია და არაფერი... დედამიწის ზურგზე აღარაფერი უკვირს და აოცებს?!. თვით ფარნას — მამუქას მამის გამოჩენა, თავისი ფეხით მოსვლა, მოკითხვა არ ანკვიფრებს?!

არც სკაში შეუთავაზებია, არც ჭერი, არც მასპინძლობა. ამ უტყვსა და უგზრძნობელს ისიც არ დასცდენია: „გელარ გენობო“, „გზა შეგეშალათო“, ან „არაფერი აღარაა, რაც იყოო“!

ერთხანს, რაღაცას რომ იხსენებ, იხსენებ და ვერ გაგიხსენებია, სახე ისე დაეკუმუნხა. მერე თავი უამურად გაიქნია: ვილაცა, გულდასაწყვეტი, უახლოესი რომ მოგიკვდა გეგონა, თურმე ისევ ცოცხალი ყოფილა, თუ სული გამოგეცხადა, გგონია... მაგრამ იმდენი ხნის წინ მომხდარა და თავის დროზე იმდენი გითავცემია, გამოგიგლოვია.

სახტად დარჩენილმა ფარნამ, მაშინვე უკან გაბრუნებაც ვერ მოიფიქრა. თვალები ერთბაშად დაუვიწროვდა და ესლა აღმოხდა:

— აბა, ასეა საქმე...

— დიახ, ბატონო ფარნა, მე გავთხოვდი...

ეს იყო, რაც იქ ითქვა. არც სალამი და გამარჯობა, არც კითხვა-მოკითხვა, არც მეტი არც ნაკლები. კაცმა რომ თქვას, არც იყო საჭირო. ყველაფერს, ყოველ წვრილმანს და უმნიშვნელოსაც არაფერი ეცხო იმისი, რისთვისაც ფარნა მოვიდა და რაც იქ უნდა დახვედროდა.

თეკლას გულისცემას უტყუარად ფარნას გამოჩენითაც არაფერი მოსატყუარებია, მაგრამ თუ მაინც დაღარღილებდა, მაინც ფეხზე იღვია და დღე-ღამის გარჩევას ახერხებდა. ერთადერთი — შურისძიებისათვის. არაფერი მეტი არც წინ იყო, არც უკან, არც წარსული, არც მომავალი. შური უნდა ეძია იმაზე, ვინც მარტო ხვალნდელი კი არ მოუსპო, გუშინდელიც. წაუშალა, ამოართვა სული და აქცია ხის დაზგად, როგორც მოესურვება და რაღაც მოეგუნებება, იმად რომ ხმარობს.

შ-უ-რ-ი-ს-ძ-ი-ე-ბ-ა!

ამას ამბობს ბებიას ნამზითვი ოთხთავიც, რომლის გადაძალვაც თეკლამ შეძლო. ტრიფონი არაფერს ამბობს, მაგრამ ეძებს. მას არ სჭირდება წიგნი და სახარება, ეს ისაა, რაც მას ხელს უშლის და ძლივს მიღწეულ ბედნიერებას უჩრდილავს. თეკლას კი ეს შავყდიანი პატარა ნივთილა აბადია, როგორც ერთ დროს ბებიას ჰქონდა „თვისთა ლობად“... ელპიტეს. ის სულის განწმენდისათვის სჭირდებოდა, გულში რომ შური და მტრობა არ შეჰპარვოდა, რომ მის წამებულ სიცოცხლეს მიტევება შესძლებოდა, სააქაოს გასაძლებად და საიქიოს სულის საცხოვნებლად. თეკლას კი არა მიტევებად და შენდობად, არამედ: „ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ მე მიფენად მშადობისა ქუეყანას ზედა; არა მოვედ მიფენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა“.

თეკლას შეწირულმა ბებიამ იგი არც სიკვდილის მერე დატოვა უნუგეშოდ და ახლაც, მის ბედს შემნატრეულ შვილიშვილს წინამძღვრობს. უნდა შეაძლებინოს შეუძლებელი და გამოასყიდვინოს გამოუსყიდველი, უნდა დააღვრევიროს მამის, დედის, ბებიის, თავისი და, ვინ იცის, კიდევ რამდენი უდანაშაულოს დამლუბველი ჯალათის სისხლი. „და რომელმან არა აღიღოს ჭუარი თსი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდამ ღირს“. თეკლა ვერ იქნება თავისი დედ-მამის ღირსი, თავისი წმი-

ნდანი ბებუის ღირსი, თუ „თავის ჭვარს“ არ აიღებს... „რომელმან მოიპოვოს სული თასი, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს სული თასი ჩემთვის, მან პოვოს იგი“.

ღმერთი ამბობს ამას, თუ თეკლას სათავისოდ ესმის, ეგ სულ ერთია. „და ვითარცა დაიძინეს კაცთა მათ, მოვიდა მტერი მისი დასათესა ღუარძლი შორის იფქლსა და მას და წარვიდა“. „აცადეთ იგი თანა-აღორძინებად ურთიერთას ვიდრე ეამამდე მკისა, და ეამსა მკისასა უბრძანონ მომკალთა მათ: შეკრიბეთ პირველად ღუარძლი იგი და შეკარით ძნეულად, რაჟთა დაიწუას იგი...“ „ხოლო მტერი იგი, რომელმან დათესა იგი, ეშმაკი არს; და მკაჲ იგი არს აღსასრული ამის სოფლისაჲ, და მომკალნი იგი არიან ანგელოზნი“. თუ ღმერთი არის, ამას ამბობს. მაგრამ თუ არ არის, მაშინ იმის იმედიც არ უნდა გქონდეს: „და შესთხინენ იგინი შორის საჭუმელსა მას ცეცხლისასა. მუნ იყოს ტირილი და ღრქენაჲ კბილთაჲ“. და მაშინ, მით უმეტეს, შენ — „ყანავ ღუარძლჩათესილო“, გმართებს „მომკეული ანგელოზების“ როლი, რომ ღუარძლმა არ წალეკოს ყანა და ხორბალი სამარადეამოდ. „რამეთუ ამან ჰეროდე შეიპყრა იოანე და შებორკილა იგი და საპყრობილესა შეაყენა ჰეროდიაოს-

თს, ცოლისა ფილიპეს, ძმისა თასისა“. „რამეთუ ღმერთმა თქვა: „მეცხელსა მამსა შენსა და დედასა შენსა; და რომელმან თქუას ბოროტი მამისათს გინა დედისა, სიკვდილით მოკუედინ“. მართო აუგის მთქმელი? მართო დამძრახვი და მაგინებელი? და მართო თეკლას დედ-მამის?.. მართო ერთისა და ორის?.. და აქაა ყოვლად აუხსნელი და თვით ღმერთისთვისაც სასჯელმოუგნებელი. თუ „მამისა გინდ დედისა აუგის მთქმელი სიკვდილით მოკედეს“, დედ-მამის მკვლელს რა ეგების? ბებუის მწამებელს და შიმშილით სულის ამომწვედელს რაღა ეკუთვნის? თუ მთელი ოჯახის ამომწყვეტი მათი სახლის, კარის, ფუძის, კერის მიმტაცებელიცა და მათი შვილისა და მომავლის გამრყენელი და ნამუსის ამხდელი? „რამეთუ ეტყოდა მას იოანე, ვითარმედ: არა ჭერს-არს შენდა, ვითარცა გესუა იგი ცოლად“. რომელი ერთისთვის „ჩაყრიან მათ ცეცხლის ქურაში“ და დანარჩენებისთვის? ამდენი ზღვა სისხლისათვის ვინ აგოს პასუხი?.. ვინც ერთს შეცოდავს, რაკი სასჯელი ერთია, იგი ასსა და ათასს ჩაიდენს. რომელი ერთისთვის ელის მას „ქურაში ჩაგდება და კბილთა ღრქენა?..“

„შენ დამიფარე, ძღვეა მეც დაორგუნვად მე სატანისა“...

არნივი და ხანჯალი

თუმცა არ მქონდა მხატვრობის ნიჭი,
თუმც ჩამიარა ამოდ გარჯამ —
მახსოვს, ჯერ კიდევ პატარა ბიჭი,
ვხატავდი მუდამ არწივს და ხანჯალს.

არც ლამაზ გოგოს,
არც მტრედს,
არც მთვარეს,
რატომღაც მხოლოდ არწივს და
ხანჯალს!

ვხატავდი ყოვლად უნიჭოდ, ცუდად
და კვლავ თავიდან დახატვა მსურდა
და კვლავ თავიდან ვხატავდი მუდამ
მხოლოდდამხოლოდ არწივს და
ხანჯალს!

იქნებ აკაცის „ხანჯალის“ გამო,
ან იქნებ ვაყას „არწივის“ გამო...
ან პაპის-პაპის თუ მისხის-მისხის
გაცოცხლებული ჩემს ძარღვში სისხლის
იყო ფარული წრიალი, ტანჯვა...
რომ ვხატავდი არწივს და ხანჯალს?

იყო ხანჯალი და არსად — მაჯა!
იყო არწივი და არსად — მთები!
და ვერ ჩაბლუჯა ხანჯალი მაჯამ
და ვერ გაშალა არწივმა ფრთები!

ვხატავდი, მაგრამ ეტყობა — ცუდად,
თუმცა ვხატავდი ჭიუტი გზნებით...
ვილაცამ კარგად დახატოს უნდა
ხანჯალთან ერთად არწივის ფრთები!

თანდგა დილა

რა იქნა ჩვენი ფიჭვი საერთო?
რატომღაც ყველა თავისას ჩივის...
და ამ ყველაფერს ისიც დაერთო,
ფეხქვეშ საერთო გვემლება ტივი.

აღარა ფხიზლობს განმსჯელი გონი,
რომ გააღვივოს მომავლის ღივი,
წარვიდნენ დრონი, იცვალნენ დრონი,
საგათუნებლოს არავინ ყივის...

არავინ მღერის მხედრულს და
ლაშქრულს,
ვლილინებთ ოდენ გაბმული გვრინით.

ღრობას ახალს, ჭრელსა და ვაჭრულს,
სავესს სიმდიდრით, სუფრებით,
ლვინით —

თავისი გზა აქვს, მშვენივრად იცის,
ქონგადაკრული უაზრო ტვინით —
რა გამოდნება სულ კუდის ქიცინს —
რამდენი ლუკმა, რამდენი ჩინი...

კაცმა არ იცის, სადამდე მივალთ,
სადამდე ვივლით სულ თავის ქნევით...
რეკრავი მოდის, თენდება დილა,
მზის სხივი ღუის მწვერვალებს ზევით!

სვატიცხოველთან



ეროვნული
ბავშვების
გაბილვის.

აქ დედლა ქართლის ცხელი მირონი,
ხან მხსნელი, ხანაც დამაქცეველი...
გაფითრებულა ცა-საფირონი,
ახუნებს ყოველს ჟამი მძლეველი.

რა გეზმანება წმინდა ტაძარო,
კედლებს რა ელდა უვლის დენიებით?
ურწმუნობამ ლამის დაგზზაროს
მტარვალთა რისხვას გადარჩენილი!

ფეხქვეშ კენესიან გრილი ფილები
ბაგრატოვნების, ამილახვრების...
ხოლო ტურისტი კმაყოფილებით

უმზერს მაცხოვრის ბეჭეტს
გაბილვის.

მოდის, ნაკადი შეუწყვეტელი,
ვინ კრძალვით,
ვინ კი — ცნობისწადილით...
მზერამ გაცვიტოს ლამის კედელი
და მოლანდებად იქცეს ნამდვილი...

ჯერ კი დგას მშვიდი, არწივისფერი,
მალლა მიმსწრაფი, მზრებაწეული,
რომ ცას შეასკდეს ბოლოს სიმღერით
ტაძარი — ჩიტად გადაქცეული!

რაც მაღალია

რუსთველის ქუჩას ერთი ჭადარი
ჩრდილს ჰფენდა, ახლა აღარსად არი...
ახლა ასფალტის შავი საფარით
წუხდება მიწა მიუსაფარი.

როგორი მძლავრი,
რა მზრებგამილილი!
იდგა სიმწვანე ცაში აჭრილი,
ლავეარდის კალთას თავმიდებული,
ქვეყნიურ ყაყანს გარიდებული...

იგი, მარადი სიცოცხლის ღირსი —
განგებად ექცა სიმაღლე თვისი.
პრიალებს ცული, ღრჭიალებს ხერხი —
ყოველთვის მაღალს ეცემა მეხი...

ხერხი ძველია, არ ახალია —
უნდა მოიჭრას რაც მაღალია.

ბრიგალი

ციკლიდან — „მომე წელიწადი“

ხეებს ფესვები სტკევა სიმწარით,
უმწეო რტოებს მიწას ახლიან.
ყველა სულდგმული შინ მიიჩქარის —
ახლა ნუგეში მხოლოდ სახლბან.

მაგრამ მოძვრება სახლის ბზარებშიც
მოდის, ვერაფერს აუღობია.
არვის ივიწყებს ამ სიჩქარეში,
თითქოს ქვეყანა დასამზობი აქვს.



სივრცე აესილა რისხვით, კაეშნით,
მოაფრიალებს კალთებს სილიანს...
შავად ჩამდგარი შიში თვალებში,
თვალეები ელდით ამოვსილია...

რას მიეყრდნობი? რა არის მყარი,
თუ ზეცის რისხვა არ დაეჭვებო
წრიალებს ქარი, ბობოქარებს
რომ გადაგვწმინდოს ცოდვილ მიწიდან..



ზიდან ზეზე გადაფრინდა ჩიტი
ტ. გრანელი

ტოტი ირწევა. ჩიტი გაფრინდა.
ვერ გამოიწერ ლექსს არაფრიდან.

ჩიტი გაფრინდა. ცას ეფერება.
ცაა ჩიტების ბედნიერება.

ხოლო ფოთოლი მიფრინავს დაბლა.
მგლოვიარება ბუნების ტაბლა.

მეჩვენა წამით: ჩიტიც, რტოებიც,
მხოლოდ დროებით,
მხოლოდ დროებით!



სიცოცხლე თითქოს სიცოცხლეს არ
ჰგავს —
ერთხელ გიბოვი — ათასჯერ გჯარგავ,
გული დამფრთხალი, გაგირბის, მაგრამ
კვლავ სიახლოვის სურათებს ქარგავს.

მონატრებაა ცხოვრება მთელი:
ვნატრობ ცას, თუმცა თავზე მახურავს.
თვალსდახელსშუა სადღაც მისხლტები,
ვერ დაგიდექი მწედ და მსახურად.

სიცოცხლე უკვე ჩაიდაღმართა,
ჩინმაც იკლო და მუხლის ძალამაც.
მოულოდნელად მოსულმა წარღვნამ
ყველა ბიბინა მდელიო დაღამა.

შავი ფრთოსნები ფრთებს ისწორებენ,
დაუყვებიან ზეცას დამრეცად.
წყლისპირს მტირალი სველი წწორების
პირველი ცრემლი უკვე დამეცა...

ისინიც მალე ჩამომყვებიან,
ტალღები ისე ელამუნებათ.
ცხადად ჩამესმის, რასაც ჰყვებიან:
ვერავინ გავა გაღმა უენებლად.

ვიცოდი, მაგრამ მაინც ვეცადე,
(სიცოცხლე ბევრმა ცდაში გალია)
შენდობას ვითხოვ,
თუ რამ შეგცოდე,
მხოლოდდამხოლოდ ჩემი ბრალია.

ის, რომ სიცოცხლე სიცოცხლეს არ
ჰგავს
რომ მდორედ მიდის მისი დინება...
არაფერია, შენ იყავ კარგად,
შენ ნურაფერი ნუ გეტკინება!

სამზეოს კარზე ბედის მძებნელად
სხვანი მოვლენ და სხვანი ივლიან,
სხვანი შესვამენ შენს სადღეგრძელოს,
გადაგწმენდენ ზეცას ლილიანს...

კაიზარის ველიდან



საქართველოს
„მწიგნობართა კავშირი“
გა. ორბელიანი

მე არ მინახავს
ამ მთებიდან მზე როგორ ჩადის.
მე რომ მოვედი, ღამე დამხვდა,
ღამე ისეთი,
რომ ზეცის თაღზე
ვარსკვლავებსაც ძლივს მივაკვლიე...

მე არ მინახავს
ამ მთებს მიღმა
მზე როგორ ჩადის...

ოღონდ მეჩვენა:
ვიღაც იდგა მაღალ მწვერვალზე
და მზეს ჩასვლაში თვითონ შველოდა,
რომ დაენახა:
გამოთხოვების სინანულით,
ცივი სხივებით
გაბრწყინებული მწვერვალები
კავკასიონის...

მე არ მინახავს
ამ მთებს მიღმა მზე როგორ ჩადის...

• • •

მილიონიან
ამ ქალაქში
ის ერთი დადის
მიზეზი შენი სიხარულის,
ოცნების, დარდის.

უცნაურია, რაა იგი,
რაა მისთანა,
რომ გული,
როგორც ავგაროზი,
თან წარიტანა?

უცნაურია,
სიყვარულო,
საქმენი შენი,

მიზეზო ოხვრის, ალტაცების,
ტკივილის, თმენის...

გადაგვაფარე
კალთა
ქვეყნად ყოვლისმფარველი,
სხვა რამ სასწაულს
ცხოვრებისგან
აწ აღარ ველი.

ჩემყუდროვდები
გაზაფხულის
ამ თბილ ზვარეში
და შეუქი მისი
წარმიძღვება იქ, სამარეშიც...

— • —

• • •

პატარა ნერგო,
რა ნათელია
სიმშვიდე
შენი —
სადაც დაგრგავენ,
იქ აყვავდები.

• • •

ნუ დაიბნევით,
თუ სამკურნალოდ
მოგიყვანეს სწეული ჩიტი.
ერთადერთია ჩიტის წამალი —
ფრთებზე მალამოდ უნდა დაადოთ
ცის
ანაჭერი.

• • •

ღამეულ მდევრებს გამოჰყეული
ამ დათოვლილი ხეების ბაღში
შემოვარდა

ის ქალი ბოლოს...
არავინ იცის, რა იქნა მერე.
მაგრამ ჩვენ, მოდით,
აგერ იმ ბუჩქს იასამნისას
ნუ ვაწყენინებთ,

ბაღის კუთხეში რომ განაბულა
და დიდ ფანტელთა
გაბმულ

თოვაში
გულუბრყვილოდ
ყვავის და
ყვავის.

გაზაფხული



სალამოსპირის სიჩუმე იყო,
სკვერში თეთრად ყვავდა ბუჩქი,
და ქუჩაში
მორბოდა

ქალი.

ფრთხაბატულა პეპელას ჰგავდა,
ლამაზ პეპელას,
მოწყენილი რომ იჯდა დიდხანს
სამრეკლოს
ზარზე

და უეცრად
დარეკეს
ზარი.

ლამით არწივი
თავის დიდ ფრთებს
იხუტებს ტანზე

და გულისცემას
ისმენენ ფრთები.
სულ ესაა საიდუმლო
ზეცაში ფრენის.

ჩვენ კი დავხტივართ მხიარულები
თავით ფეხამდე გალუმპულები,
მავრამ ისიც
უნდა ვიცოდეთ,
რომ ეს თბილი, ეუუუნა წვიმა

აიმ პაწია ყვავილს ეკუთვნის,
მისთვის მოვიდა.
ღრუბლებს
ჩვენზე
არ უფიქრიათ.

რკინის მესერთან იდგა ბიჭუნა.
მესერს იქით იყო ეირაფი.
საკუთარი სიმაღლით დაღლილს
ეირაფს
მიწაზე

დაედო თავი
და მხიარული იაიების
სიცილს
ისმენდა.

...
 არ გინდა იყო
 პირველი კლასის მასწავლებელი
 და ჰგავდე მუხას
 იებში ჩამდგარს,
 თვითონაც რომ
 იის სურნელი გადასდებია?

...
 მხოლოდ ერთხელ
 მოვკარი თვალი
 ფარნის მკრთალ შუქზე.
 მამ სულ რად მახსოვს
 ნეტავ ის ქალი
 და მისი სახე
 იღუმალი და სევდიანი,
 როგორც საღამო უცხო ქალაქში.

...
 აბა მაგ საწყალს
 რაღა უშველისს..
 აივანზე ეძინა თურმე
 და სახეზე გადაუარა
 სასიკვდილოდ დაჭრილი ჩიტის
 ფართქალი
 ჩრდილმა.

ჭანჭიკოვისდროინდელი თამაში მზესთან

მე დილიდან
 ზღვის პირას ვიდექ.
 მითბრეს,
 მზე ცაზე
 იხდისო კაბას
 და შიშველი
 ჩადისო ზღვაში.
 და მე ველოდი,
 უნდა მენახა,
 ვით იხდიდა

მზე თავის კაბას.
 ალბათ მიმიხვდა ენებიან წადილს
 და მთელი დღე
 აცელქებულ გოგონას ჰგავდა,
 დანავარდობდა
 ელვარე ცაზე.
 მე კი ვიდექი...
 მაგრამ ამაოდ
 ველოდი თურმე.
 მოსალამოვდა,

მზე მომღიმარი
ჩაატურდა ზღვაში,
წნული თმები
ჩაჰკრიფა ხელით
და მხოლოდ მერე გამოჰკიდა
თავისი კაბა
ზეცის კიდზე...

მე იმ ღამეს არ დამეწივს
მზე იწვა ზღვაში
და მონაზვნის თეთრი ტანივით
მისი სიშიშველე
იყო ჩემთვის
მიუწვედომელი...

პეპლები

დიდ მინდორზე
პეპლები ფრენენ...
სიო არხევეს მინდვრის ყვავილებს...
ფრენენ პეპლები.
მზის ამოსვლამდე
ყვავილებად
იდგნენ თვითონაც,
მაგრამ ისურვეს ცაში გაფრენა,
შეიჩხნენ უცებ,
შეიფრთხილეს,
პეპლებად
იქცნენ
და აფარფატდნენ...

მაგრამ ჰა, უკვე შუადღეა.
რალას ელიან?
რატომ
ზეცისკენ
არ მიფრინავენ?
ყვავილიდან
ყვავილამდე
ფრენენ და ფრენენ.
წამოგვეყვითო,
თავიანთ დებს ევედრებიან,
ჩასჩურჩულებენ
ცის სილურჯეზე
საოცარ ამბებს...
მაგრამ მიწის დატოვება
ყვავილებს არ სურთ.
გარინდელნი უსმენენ ჩურჩულს,

მოსწონთ მხოლოდ
ჩურჩულის
სიტყბო.
და ნეტარებით იღიმებიან...
მზე მიდის ცაზე.
დაღლა დაეტყო პეპლების ფრენას,
ყვავილობიდან გამოყოლილი ნამის
წვეთები

შეაშრათ ფრთებზე,
მაგრამ კვლავაც
ყვავილიდან ყვავილამდე
ფრენენ ჩიუტად,
ფრენენ და ფრენენ...

მერე უცებ
მოვა საღამო
და მინდორზე
დაწვება ბინდი.
მინდვრის თავზე
დიდ ლურჯ ქოლგას
დაჰკეცავს ვილაც
და შორეთში
ფრთხილად
წაიღებს...

პეპლები ერთხანს
კვლავ ფარფატებენ,
მერე ფრთები ეყინებათ
ცისფერი სევდით
და მთვლემარე ყვავილთა ძირში
იფერფლებიან...

იუპიტერის სინანული

დასაწყისი

(ღმერთების ქორი და იუპიტერი)

ქორი — ძროღე, სამყარო! ძროღე-
დღე, მოკვდამო! ძროღე, საგნებო, სუ-
ლოვანი და უსულონი უზენაესი კონ-
ვეიერის ღრმა ხვეულებიდან ტყვიის ღრუ-
ბლები მოედინებთან და ცის თავანზე პირს
მტკარით იყრავენ! ო, განსტეულზე — ყოყ-
მანის მყიფე ნაშიერი! ო, ზღვართა ბუნება,
სამყაროს სახსრებში ჩამონტყვებულ! ო, ბე-
დისწერის იღვწილო სახისმეტყველებზე, ყო-
ფიერების უბილავ პორებში ჩაბუდებულ! ო,
ათვის სისტემათა გუთნებო — არსე-
ბობის ფარული ბზარებო! ო, შესაქმენ ბეწ-
ვის ზიღო! ო, თუზა და ანტითუზა — ნამ-
წავ გაუღწევი! ო, სასწორის პინებო — ეამ-
თა ბორკილების ნიშანო და სასწაულო!.. ყოყ-
მადადღე იუპიტერს, იღვთადამბადებულსა და
მეტერიამოქმედს, ყოველთა სამეფოთა მეუ-
ფეს, ეღვმენტთა პარმონის მიზეზთმიზეზს,
მნათობთა მწყემსსა და ზედაშეღველს, ბირთ-
ვულ მარცვალთა მთესველსა და ატომურ
კრიალოსათა დიდ ხელოსანს, პლანეტობატრის,
შვი ხერცხვებისა და თთორი ქუჩების მზრბ-
ნებელს, არსისა და არაარსის მკერობელს,
ეფალს უზენაესს, ვინც მუდამ მხენ იყო და
მოძრავი, ვინც მუბლჩაუბრელად იღწოდა და
თავის ნაღვამს თვალისინიწივით უფრთხილდებ-
ოდა, ვინც რუდუნებით ქმნიდა ბუნების ოპ-
ტიმალურ კანონებს და შიშსა და იმედს თანა-
ბრად თესავდა, რათა სამყაროში ბალანსი არ
დარღვეულყო, ეს რამდენიმე საუცუნავ გულ-
ჩათბრობილობა დასტემა, ეღვა-მები — ღვთა-
ებრივი პირველიარადი, რომელიც ვგზომ შეე-
ნოდა — აიყრა და გვერდზე გადასდო, ზის
ახლა მდუმარად ცეცხლოვან ტაბტზე ორტო-
ფობის მღვრივ ნისლით შებურვილი, მალაღ-
შებლი საუკვროდ მოკლერბელია და ქმუნ-

ვით ჩასტკერის თავის დუალისტურ ნახელავს.
მის მოწველომელ ფიქრთა ზეგარდმო იმუღ-
სები ავის მომასწავებლად ტრიალებენ ყოფი-
ერების ცაზე, როგორც უკანასკნელ ფიქერ-
ვერჯად ასაფეთქებელი ვარსკვლავები. დაძა-
ბული სამყარო უცხო მოლოდინით თრთის
და ცატყახებს. შიშს დაუზაფრავს ყოველი არ-
სი. შიშის წითელმა თვალმა უკვდავეთივ შე-
მონათა და ჩვენი ღვთაებრივი გულევიც შე-
ძრა. თვით იენონაც შეკრთა — ყოველადმო-
ერის ერთადერთი გულის მესაიდუმლე და მი-
სი საიუპიტერო სარეცელის მოზიარე; შეკრ-
თა და, შემონებულმა და საგონებელში ჩაყარ-
დნილმა, მთელი საყარნავალო ტანსაცმელი —
არწივის ფრთებიც, ოქროს წყიშაც, თთორი
ხარის ტყავიც, ღრუბლის ქვედაც... — ყველა-
ფერი, რაც ამას წინათ ეკვიანობის ნიადაგზე
თავის მზითვის სკივრში დაუშალა, საყუთარი
ხელით უკანვე ამოაღავა და მორიღებით დაუ-
წყო ტაბტზე, მაგრამ უზენაესმა, ადრე რომ
ესოდენ უყვარდა ექსტრავაგანტური კოსტუ-
მით მიწაზე დაშვება და ჭიშინ ბანოვანებზე
მედგარი იეროშის მიტანა, ამყრად სამოსს
ზედ არ შეხედა განიმედსაც კი ახლო არ იყა-
რებს. ზის ასე მუნჯად, გაშვებულნი და ღრმა
ფიქრებში ჩაფლული... ნეტა რას მოასწავებს
შენი უძრავობა, ო, მუბთამტებლო! რაზე მე-
ტყველებს შენი ღრმული? საით მიგიმართავს
ღვთაებრივ ფიქრთა ღაზრები? რამ შეტყმუნა
შენი იუპიტერული შებოლო?.. ო, წიშის მიყნავ
— დიდო გაუსაძლისობავ! ო, იღვმალეების
მწყივე ანაზღვეულობავ! ო, თვალთა ლიბრავ-
დაკრული!.. შეეხებინათ, უკვდავებო! გვეყო,
რაც ვითმინეთ. ჩვენც ხომ ღმერთები ვართ
და ყოველისმყოფანობა გვემართება! ამა, ერ-
თად, მუბთამტებლო! მოვყავარ ყური და



ისმენე ჩვენი კანონიერი დადგინი: ველარა გენობთ, ყოვლადწიერიო! რა ხანია შენი მკუხარე ხმა აღარ გაგვიგონია! რა ხანია შენი მძლავრი ნება არ გვიგრძენია! რა ხანია უქმად ზიარ და ნაღვლიანად ჩასკერი ქვეყნიერებას! შინით აღარა ვართ, კრონიონო! ცონდა ჩვენი ბუნება, არცოდნა ჩვენი ბუნების შეზღავდა გავეკობილე შენი კმუნის მიზეზი!

იუპიტერი — გავიხვლოთ, თანამომგრთენო. ან კი რა მაქვს დამალი! ამს წინათ დროის სამბელში შევიხვდე და თვალწინ ისეთი შემზარავი სურათი ვაღმეშალა, შევტარწუნდი და ვიანე, რომ წმინდა იღვას ნივთიერი სვე მივეცი. მას აქეთ ვფიქრობ და, რაც მეტს ვფიქრობ, მით უფრო ვრწმუნდებო: სამყაროს შექმნა შევდობა იყო.

ქორო — მაგას რას ამბობ, შეუძმდარო! განა ნივთიერი სამყარო მშვენიერი არ არის?! განა ეს ციკენა პლანეტა ჩვენი სიხარული და სამაყე არ არის?! განა სიციცხლე პერპეტუუმ-მოძლე არ არის, რომელმაც ისეთი ყვაიერი გამოიღო, როგორცაა ადამიანი — ამბროზიის დაუშრატელი წყარო!

იუპიტერი — პლანეტა ლაფში იძირება, პერპეტუუმ-მოძლიუს ენგი ედება, სიცილბლე დევეტატური გამოდგა. ადამიანი შამიანი ყვაილია, ვერ ხედავთ, თავს როგორ გავიდნენ?! აღარ გვატეხიან, ძალდა არ გვაგდებენ. უარგვეყეს კლდე, თურმე ნუ იტყვიოთ და, არც კი ვიარსებობთ!

ქორო — ადამიანის ყბედობა რა ყურადსაღებია, უზნავსო! დე, ნუ ვიარსებობ! ან კი სულ ერთი არ არის, ვიარსებობთ თუ არა?! შთავარია, მათ არ შეუდლიათ არ იფიქრონ ჩვენზე და, მამსადამა, არ გვაღიარონ, ხოლო როგორ გვაღიარებენ — არსებულად თუ არა-არსებულად — ამას რა მნიშვნელობა აქვს?!
 იუპიტერი — მე მათ ზნეობის კანონები მივეცი, მათ კი ჩემი კანონები ფიქტეემ გათელეს.

ქორო — შენ მათ ზნეობის კანონები მალამოდ მივეცი, რათასიციცხლის ტყვილი—ორბუნებათმოარისი ხაზუნი — შეგემსუბუქებინა, და ეს შენის მხრივ უნაგორო გულომწყალების დღეთაბრევი აქტი იყო. თუკი ვერ შეიფერეს, მით უარსი მათთვის დაე, იტანჯონ ჩვენ რა! დამწიფებელი სიციცხლის ფუნქცია ამბროზიის წარმოებაა და ზნეობას მასთან ისეთივე კავშირი აქვს, როგორც გამრავლების ტამულას რიცხვის უსასრულო ბუნებასთან. განა შეგარდს, რომელმაც გამრავლების ტამულა ცუდად იცის, შეუძლია ამ თავისი უცილობით რიცხვის ბუნება შეცვალის? ესეც არ იყოს, ყოვლადწიერიო, რაცა კანონი მივეცი, სასყელის ხომ დეწესე! და ყველა, ვინც შენს კანონს, გადაეცა, შესაფერიად ისყება. განა ასე არ არის?

იუპიტერი — ეგ კი ვერა, მაგრამ მ-

თდა (და, აგრეთვე, ჩვენდა) სმწუნაროდ, ისინი ვერც კანონში ხედავენ! რა მხარეც სასყელში ხედავენ სასყელის უნაწყენს მითი შეგეტნება — რომელიც განფენილობასაც კი ხუთიოდე დაშლამული არხით უკავშირდება, რეალურ სამყაროზე ხომ სულაც ერთადერთი და ისიც ექსპერიმენტული გამტარითაა მიერთებული — ძალზე პრიმიტიულია და მიზეზ-შედეგობრიობის უმარტივეს დეკონსტრუქციას იქით ვერათერს ხედავს. კანონი უქმად მუშაობს, ხოლო უზნეობის ყოველი აქტი, დიდი თუ მცირე, დამბუღობის მუხტებს გამოჰყოფს, რომლებიც, რაკი ბუნებაში არაფერი იქარგება, — და ეს კანონიც ხომ ჩვენი დადგენილია! — არსებობს პირველი კონდენსირაღებია მესამე თვისების სახით და, მიუღწევნ თუ არა კრიტიკულ დონეს, — რაც სულ მალე უნდა მოხდეს — სისტემის თვითნებურ აფეთქებას გამოიწვევენ. ასე რომ, სირცხვილსაც ეჭვით და ამბროზიაც სხვაგან შეგვექმნება საბუნებლო.

ქორო — ო, ემანაციის აუბუნელო უსისტემობავ! ო, განზომილებათა საშების ცრუ ერთიანობავ! ეს რა გვითხარა, კრონიონო! ეს რა საფრთხელებში ჩავყვარე! რა ვილონოთ? როგორ მოვიქცეთ, რომ ღვთაებრივი რეპეტუაცა გადავარჩინოთ?.. იქნებ ნაცლე ზერის ვიხმაროთ: წარღვანა მოვეუღიწიოთ მაგ თავდასულებს. ერთი ჩვენებურად ვაწვიმით მიწას. კარგად გაერეკობთ გამდინარე წყლით. თუ დასტურის გვეტყვი, ბარემ დეტრიოდებოთ და საყიშე წყვილებს გადავარჩევთ.

იუპიტერი — არა, თანამომგრთენო! წარღვნიოთ ვერ მივალწევთ საჭირო ეფექტს. ჩვენში დარჩეს და, არც შეგვეფერის. თავდა განსაყეთ: თუ მარტო კაცთა მოდგმის მოსერას ვაპირებთ, ნადირსა და ფრანველს რას ვერჩიოთ? თუ მთელი ფუნის განადგურება გვინდა, წყლის ბინადართ წარღვნიოთ რას დავაყლებოთ?.. ან საყიშე წყვილებს სად იპოვიოთ? აი, დევეკალიონი და პირაც წმინდანები გვეგონენ, მაგრამ ხომ ხედავთ, რა შთამომავლობა დაგვიტოვეს!

ქორო — მაშ, იქნებ განფენილობის დანარჩენი არხებზე გაგვეხსნა და კუმპირიტების დამატებითი გამტარებები ჩავგვიროთ, რომ შენი დიდი კანონის სიღრმეს ჩაწუნდენ?

იუპიტერი — არ ივარგებს. მინიმალური დამოუკიდებლობა მივეციოთ და, აგერ, რა უკუღმართად გამოიყენეს! მეტი რომ მივეციოთ, რასა იზამენ! არა, უმალ იმ ერთადერთი გამტარისაც გამოვუტოვო და ყველას უნაწევ ავრგავ ხეზე, თუნდა ამის გამო მაღალსარისხოვან ამბროზიანზე უარის თქმა მოგვიხდეს!

ქორო — აბა რა ექნათ, ო, კრონიონო! ნუთუ გულებულადყრფილები უნდა ვისხდეთ და ველოდოთ, როდის აგვიფიქტებდა ეს წყითა და დაავთი შექმნილი პლანეტა?..

იუნიტარი — ნუ ღელავთ, თანამოქალაქე-
 დავენი! თვითნებური აფეთქების ნებას არ მი-
 ვცემთ. თუ აქამდე მივიდა საქმე, ვიდრე აფე-
 თქვებოდეს, ჩვენ თვითონ ვაფეთქებთ. ბო-
 ლოსდაბოლოს, უარს ვიტყვით ამ ექსპერიმენ-
 ტზე და სხვა ექსპერიმენტს წამოვიწყებთ. ცო-
 ტა დამაცადეთ. ჭერ რისხვითა და სინანულით
 ვარ შეპყრობილი, ამიტომ ვადაწვევტილების
 მიღება უჯეროა. დაემშვიდობეთ და ყოველივეს
 გულდინჯად ავიწონ-დავიწონი. ეგებ დასაბამით-
 ვე ავტარდით და საწყისი ბიჭი ვერ მოგზო-
 მით. ეგებ პირველ უჯრედში გაავსებარა შეუ-
 დომა. ეგებ განვითარების ხაზში ყველაფერი
 ვერ გაითვალისწინეთ. ეგებ მაინუნის გზა
 არ იყო სწორი და სხვა რომელიმე ცხოველზე
 უნდა ავჯდო აქცენტია — ეთქვათ, სახეღარ-
 ზე, ან ორუნიან აქლამზე... ვნახოთ. გამიგლის
 თუ არა რისხვა და სინანული, ყველაფერს
 მოვიფიქრებ. დროის ვექტორს ყურადღებით
 გაჩხრავ და, სიტყვას გაძღვეთ, ღვთაებრივად
 ობიექტურ განაჩენს გამოვტყანი... თქვენც გი-
 რჩევთ დროის ვექტორის შედარებით შესწავ-
 ლას. მერწმუნეთ, ძალზე საინტერესო და სა-
 გულისხმოა გამოთავირი სიჭრელიდან საერთო
 მნიშვნელის გამოყოფა...

59

აკაკა გუგია

მარტის კალენდების წინა დამეს (ქალაქის
 დაარსებიდან რვაას მეთორმეტე წელს) იმპე-
 რატორმა ნერონმა თავისი ყველაზე დიადი
 განაჩენი გამოიტანა, ხოლო დღითი ძველი სა-
 სახლის ზედა, მრგვალ დარბაზში, სადაც ლექ-
 სებს თხზავდა ხოლმე და უახლოესი მგობ-
 რების ვარდა, ჩვეულებრივ, არავის იღებდა,
 საში ერთგული და სანდო ქვეშევდროში დაე-
 ბარა.

გამჭირვალე გუმბათიდან სხივებად დაშვე-
 ბული ღღის შუქი, იატაკის ბაც ყვითელ მარ-
 მარილოში და ეკედლების მდიდრულ მოხატუ-
 ლობაში რბილად შეზავებულა, ვეება დარბაზს
 მსუბუქი და ხალისიანი სილამაზით ავსებდა.
 იმპერატორი სპილოს ძეღის განიერ სავარძე-
 ლში იჯდა, მკლავები აქეთ-იქით გადაიწყო,
 მოგრობ ტუნციის ქვეშ მუჭლები განზე გადა-
 ეყარა, წინ, მარმარილოს ორ თლილ სვეტს
 შორის, სპილოს ძეღისავე მგვიდაზე, მაღალი,
 ოვალური საკე ედგა, რომლის ოქროს ჩარ-
 ჩოს სამ მხარეს — გვერდებზე და თავზე —
 საში ნატიფი მუზა ამწვენებდა, და, თვალბეზი-
 ლდული და მთელი სხეულით საამოდ მო-
 თენთილი, ხან საკუთარ თავს მისჩერებოდა და
 ხან ცისფეროვალა სპორუსს, რომელიც ტყვიის
 პატარა მრგვალ ქუდქვეშ ჩამოშლილ წითერ
 თმას ეტლვებდალ უხვევდა შორველ კუთხეში
 მოხუცი ტერბანდი იდგა, ხელთ კიბარა ეპ-

ყრა, წყნარად უკრავდა და დამალ ხმზე დამ-
 ლროდა.

იუნიტარი

ნახევრადღმისეული სპორუსს იუნიტარე
 დასტრიალებდა თავს და ირგვლივ ნორჩი სი-
 ლამაზის სურნელს აფრქვევდა. ამ ოქროსოქო-
 ჩიან ბიჭუნას ნერონი თავის გულში ოლიმ-
 პოელთა მშვენიერ მწედს ადარებდა. თავიდან,
 ამ მსგავსებისთვის რომ მეტად გავსავა ხახი,
 თვითონაც მწედდ დაყენება დაუპირა, მაგრამ
 მეტე მაინც შეეშინდა იუნიტარის რისხვისა
 და გადაიფიქრა. ან კი რად უნდა გავლზიანე-
 ბინა ისედაც მიზეზიანი ღმერთი უტრფარი
 გამოწვევით? სპორუსი ღვთაებასათვთ ლამაზი
 იყო და სხვა მეტე რა უნდოდა! მით უფრო,
 რომ მწედდ უტყუთისა საქმე გაუჩინა. ახლაც,
 თმავი რომ მის მოქნილსა და ნაზ თითებს
 გრანობდა, ტანში ტკბილი ერთნატიელი უვლი-
 და, რის გამოც ჭერ რისხვა მოუღბა, მეტე
 სიმწარე გამოწედა, მეტე უწინაღული დიადი
 განაჩენიც დროებით გამოწედავინდა, ბოლოს
 კი, როდესაც ფიქრებით წერისმან უსიამო-
 ვებათა პატარა-პატარა გუმბრებმს გასცდა და
 მარადიულობის ნელთბილ ზღვაში შეაბიჯა,
 მისი არსებებიდან თანდათან გამოიღვენა ქვეყნის
 მმართველი და იქ მხოლოდ ზელოვანი დარჩა,
 რაც სრული ნეტარების დადგომას მოსაწვებ-
 და.

სწორედ ამ დროს გაიღო კარი და დარბაზ-
 ში ანიეტუსი შემოვიდა, მიზეზის ფლოტის
 სარდალი და ზღვის ჭეშმარიტი მგელი, რომ-
 ლის მრავალრიცხოვან ღირსებათა შორის მარ-
 გალიტივით ბრწყინავდა ერთი ყველაზე უფ-
 რი გამოჩინული და სასარგებლო ღირსება,
 ეკრამ დ ის, რომ თავზეხელაღებული მამაც
 იყო და სხვა თავზეხელაღებულ მამაცთა მსგა-
 ვსად შიში რა არის არ იცოდა, ვინაიდან, —
 ზოგი იმასაც ამბობს, ყველა, ვინც კი მამაცია,
 სწორედ ამ მიზეზით არის მამაციო — ერთ-
 გულებს მათობელა ბურუნსში გახვეული,
 ყედლს, როგორც წესი, მანამ ვერ ამჩნევდა
 ხოლმე, სანამ ზედ არ შეასკდებოდა.

ნერონმა საკყოდან გახვდა უტრბულად
 ატუხულ სარდალს, რომელსაც მეტრდი ძალუ-
 მად აუღ-აუდიოდა.

ანიეტუსს ძლიან დიდი თავი ჰქონდა. დი-
 დი, ეუთხოვანი და ფუტურო. ნერონს ყოველ-
 თვის უკვირდა, რისთვის უნდა დასჭირვებო-
 დათ უკვდავ ღმერთებს ამოდუნა სკივრის შე-
 ქმნა, თუკი შიგ ნამცეცი საუნჯის ჩადებას არ
 აპირებდნენ? ანიეტუსის საუნჯე ცოტა უფრო
 ქვემოთ იყო, მეტრდში. იქ ხმამალა, გა-
 მალეებით და თავდავიწყებით სცემდა ვეებერ-
 თელა გული, რომელიც იმპერატორისთვის
 იუქმებოდა, იმპერატორისთვის ფართოდე-
 ბოდა და იმპერატორს ეუთუწონდა. მთელს რო-
 მში ნერონს სხვა არავინ ეგუღებოდა, ვისაც
 ისე ალადა და გულწრფელად უყარებოდა,
 როგორც ანიეტუსს უყარებდა. ამ ხუთი წლის



წინ, როდესაც უმწველი ბრიტანეთის — მაშინაცვლის შეიღო, დედის გერი და თავისი სავარაუდო მეტოქე — ყველას თვალწინ მოწამლა და ამის გამო დიდი მითქმამითქმა ატყდა, რადგან მანამდე ახალი იმპერატორი მარადელთა ქომედი და მორყველი ზნეობის აღმადგენელი ეგონათ, ანიკეტუსი, ალბათ, ერთადერთი იყო, ვისაც მის საქციელში საძრახისი არაფერი დაუნახავს. ანიკეტუსს ეკვი არ ეპარებოდა, რომ, რასაც წერონი სჩადიოდა, ყველაფერს ღმერთების ზაგონებით სჩადიოდა, ღმერთებმა კი ჩვენზე უეთ იყიან, როდის ვისი მოწამელა სკორო. ახლაც, სიყვარულისა და ერთგულებისაგან რეტდასმული, არაბუნებრივად გაჭიმული იღგა კართან, გული ყელში ჰქონდა მოხუცნილი, ახრებს თავს ვერ ეყრიდა და ირგვლე ზამოწილილ ნაყრისფერ ბერესში სოველივე — დარბაზიც, იმპერატორიც, მოეღო ქვეყნიერება — ისე ირწოდდა და ტორტმანებდა, ლამის ზღვის ავადმყოფობა შეყროდა, რაც ამგვარ ჭანმრთელ მეზღვეურს მხოლოდ ხმელეთზე შეიძლება მოუედეც.

აგრეთვე მე ვუყვარვარ, მეც მის მიყვარს, გააფიქრა წერონმა და გუნებში გაედლია, რადგან ანიკეტუსის სიყვარული შეუძლებელი იყო. ზოგჯერ, განსაყურებებით დამეწლი ღრეობის შემდეგ, როდესაც დაეკარელებულსა და გამოფიტულს ყელში მარტოობის გორგალი მოაწვებოდა, უცანსეწელი ნატერის სიმამფროთ ნატრობდა ხოლმე ნამდვილი მეგობარი ჰყოლოდა, ისეთი ერთგული და თავდადებულა, როგორიც ანიკეტუსი იყო. ოღონდ ანიკეტუსზე ნაკლებ რეკვენი. მერე, ნამსურვის სიმამილი რომ გაუელიდა, თავის თავზე თვითონვე ეცინებოდა. ეცინებოდა, ჭერ ერთი, ამის გამო, რომ წამიერმა სისუსტემ ასე სამარცხნიოდ ჩაათრია მფერო მორყვემი, და მეორეც, იმის გამო, რომ ჰკვიან მეგობარს ნატრობდა, თითქოს არ სყოდნოდა, რომ იმპერატორთან მეგობრობა სტაქსენ ზვირთებთან თამაშა. ჰკვიანი, აბა, ასეთ ხიფათში თავს რად ჩიოვდებ!

„მიინც სწორად მოვიქეცი, რომ ეს ავიჩივი, — გაფიქრა წერონმა და კიდევ ერთხელ შეავლო თვალი ანიკეტუსს, — მეგობრად არ ვარგა, მაგრამ იარაღად კარგი და კარგი იარაღიც ხომ მეგობარია!“

მოდელური თვლების მზერა სარდალს მოამოკრა და კვლავ სპორტზე გადაიტანა. ბიკენა — გრემლემწამა და კვირტებდაბერილი — წელანდელივით მარჯვედ და სიყვარულით დასტრიალუბდა თავს, მაგრამ წერონი, რაც ანიკეტუსს შემოსვლამ ხელოვნების ნეტარი ზღვიდან ამოადრო და კვლავ იმპერატორად და პრინცესად აქცია, ფიქრებით თავის დიად განახენს მიუბრუნდა.

არა, ეს განაჩენი წუხელ არ გამოუტანია. წუხელ, უბრალოდ, ყოყმანისა და ვაუბნადვი

მერყეობის ნისლიდან ამოიღო და დღის სინათლეზე დადო, თორემ რა სანაშაბილით ატარებდა და მოთმინებით ატარებდა. ტროგორც გლადიატორს აშხადებენ დიდი ბოროლისთვის.

დედა-შვილს ერთმანეთი არასოდეს ჰყვარებიათ. მართალია, აგრიანა რომ პირველობისაგან მიმავალ გზას ჭიუტად და შეუბოვრად უცაფავდა, ამ საქციელს ბევრი (ზოგჯერ თავად წერონიც კი) შეიღის სიყვარულით ხსნიდა, მაგრამ, როცა საწადელს მიაღწია, მოჩვენებითი მიზნის უკან თანდათან ნამდვილი მიზანიც გამოიკვეთა: დღეს თერმე იმიტომ უნდოდა შეიღი პრინცესის სავარაუდო ჩანსვა, რომ ქვეყანა თვითონ ემართა. ოღონდ ბრიტოლით გაართულს ერთი რამ გამოჩნა მხედველობიდან: ამასობაში შეიღი წამოიზარდა და საყუთარი მიზნები გაუჩნდა. და წერონმა, დედისთვის რომ თავისი სრულყოფილება ეცნობებინა და თან ისიც შეეხსენებინა, სავარაუდოში თვლემას არ ვაპირებო, ადგა და ბრიტანეთის მოკლა ცხადია, მარტო ამის გამო არ მოუყვარა, მაგრამ ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. მოკლა და, რაც იყოდა, ამგვარ თვენობას აგრიანა იოლადა არ ამატებდა, მოსალოდნელი ბრძოლისთვისაც მოემზადა. არსებითად, მოიგო კიდევ ეს ბრძოლა. ისე დამაჯერებლად დაესაბუთა ბრიტანეთის მოყვლის აუცილებლობა, ზელმოსაბიდი არაფერი დაუტოვა მაშინ აგრიანამ, რა დანიხა, შეიღი საბოლოოდ დაუხსლტა ხელადან და მის დიდ იმედებს ნიადაგი გამოეცალა, ისტორიას კიდევ ერთი საბუთი მისცა იმისა, რომ ქალი, რაოდენ ჰკვიანიც არ უნდა იყოს, მაინც უჭკუოა: იმის ნაცვლად, რომ გასცულიდა, დამწვიდებტელიყო და ახალი ვითარება ცივი გონებით აეწონადეწონა, სამაგიერის გადახდის ფუტ, წმინდა ქალურ გრძნობას აპყვა და ღვარძლიანი სიცილით ასეთი რამ უთხრა: „თუ გულის მოსათებლად ლაპარაკობ, ილაპარაკე, მაგრამ, თუ ისიც გინდა, რომ დაგვიკერონ, უმჭგობესა სხვასთან სცადო ბედო, რადგან დღის მოტყუება თითქმის შეუძლებელია. განა მე თვლი მჭირდება, რომ დაგინამო? ან ყური მჭირდება, რომ მოგისმინო? განა შენ ზემი ნაწილი არა ხარ? მე შემოდია არ გაემხილო, მაგრამ არ შემოდია არ ვიციოდა, რომ საბრალო ბრიტანეთის პოლიტიკის გამო არ მოგვიკლავს. სიმშტრე შეგმურდა მისი და ამპატარა, წერილმანი შერის გამო მოკალი. ვერ მოგივიდა კარგად, ნაადრევად ენდე თავს. ჭერ რა დროს შენი დამოუკიდებელი ნაიჭებია! ჩემთვის რომ გეკითხა, უჭკველად დაგიშლიდი. აბა კი რაღა გინდა ქნა? ახლა უნდა მიპყვე და, თუ ვინმემ სიმღერა იყოს, ყველა დახოცო; მათ შორის ისინიც, ვინც ცოცხალი აღარაა“. იმ დამეს წერონს ცუდად ეძინა, ძილში ბორგავდა და



დროდადრო ბრიტანელების ნაღვლიანი სიმღერა ჩაესმოდა, ხოლო აგრიპინამ, შეიღს რომ დაუნდობლად დაადგა ფეხი ყველაზე უფრო მტკივნეულ ადგილას, ამით პირველ ყოვლისა საკეთარი ზედი ზადაწყვიტა, რადგან ნერონმა ეყვი იგრძნო. — თუმცაღა ჭრ კიდევ ბუნდოვნად და გაუცნობიერებლად — რომ აღრე თუ გვიან დედაც მიანიჭებდა იმ შემზარავ და ნეტარ განცდას, რაც ყმაწვილმა ბრიტანელებმა მიანიჭა. აგრიპინა მალე მიხვდა, რომ მეტისმეტი მოთვლიდა, და შერიგება სცადა, ნერონიც შეერგოდა. იმ ხანებში სიმღერისა და პაუზის გარდა ტრაგედების თამაშშიც ვარჯიშობდა და სწორედ ზინებელი შემთხვევა მიეცა, თავისი ოსტატობა მახურებულთა სმსწავროზე გამოეტანა, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. აგრიპინამ „შერიგების“ ნამდვილი ფასი მიანიჭა გაგორ, როცა შეიღმა წელსწელა ყველა სანადევი გამოაცალა ხელიდან და ხოლოს — თუმცა, ცხადია, ტბილი ღიმილითა და ისეთი მიზეზებით, რომელთაც ერთიმეორეზე უფრო საპატიო შესახედლობა ჰქონდათ — სასახლედანაც გაიძვლა. აგრიპინასთვის, ნათელი შეიქნა, რომ ბრძოლა წაგებულ იყო, მაგრამ ზედაში და მოსუცენარმა ზუნებამ ნება არ მისცა დამოშინებულყო და მარცხს შეგუებოდა. იხტიზარს არ იტყვია, ყველა საყვარელს პრინცესის საფარულს პირადებოდა და ცდილობდა როგორმე შეთქმულება შეეყოფიწებინა. ნერონს ეს ამბები მისდიოდა, მაგრამ გარს ეყვი იმდენი მომხრე ვეგია (მათ შორის, რაც მთავარია, რომის უპირველესი ჰეგია — ფილოსოფოსი და მწერალი ანტუს სენეკა და რომის უპირველესი ხმელი — პრეტორიის პრეფექტი აფრანიუს ბუროსი), რომ შიში აღმარებისა ჰქონდა და დედის გაიწმამებმსაც მონაცდამართ დიდ ყურადღებებს არ აქცევდა. აგრიპინა კი არ ისევნებდა, ბობოქრობდა, იმუტყებოდა და ვერ ატყობდა, რომ ის გზა, რომელსაც ასეთი ქადილით დაადგა, სიკვდილის ქალბისივენი მიდიოდა. გუშინ, როგორც იქნა, სამზადისი დამრუდა და წრე შეიკრა. სადღობლის წინ, როდესაც ნერონი, ჩვეულებრივსამებრ, მგებობებთან ერთად გრილ ატუშმინაობდა, ერთგულმა კაცებმა, რომლებიც ფულსა და წყალობას დამყენით მოთვლიდნენ, აგრიპინასა და თბის ამბავი მოუტანეს. ეს ამბავი, უფრო სწორად, მისი პირველი ნაწილი, ნერონმა აქამდეც იცოდა. იცოდა, რომ აგრიპინას, რომელიც, რაც რომიდან წავიდა და ანკოუშის მამულში დასახლდა, ორგებებს ორგებებზე მართავდა და წესიერებებს წილბადეც კი აღარ ჰმარობდა, ერთი თბა შეეზვევია, ერთი ავადყოფი, გათვალტყავებული, ხალხნაკვენილი ნეზელი თბა, ყველაზე მახინჯი ამით შორის, რაც კი იმ არემარეზე ოთხფეხი დადიოდა; თავისი ზელით აქმვედა, ეფერებოდა და შეიღვით ევლიოდა; ყელზე წითელი ზადთა

შეუბამს და ზოგჯერ, დღესწაღვლის დროს, რეკებზე თერზე დაწინის თერზე დაწინის თბაც შესრვევია და, სიკვდილის მოსახლოების წინა კიყინით მამინვე მისვენ მართობდა. აგრიპინას იმ უცნაურ ახირებებს მალსუნებურად ყველანი შეეხედნენ — სახლელურიცა და გარეშენიც. მხოლოდ პირველად მოსულენს ევკორდათ. მერე ისინიც ეჩვეოდნენ. ეს ყოველივე ნერონმა იცოდა. არ იცოდა მხოლოდ იმ ამბის ბოლო ნაწილი, რომელიც ორი თუ სამი დღის წინ მომხდარა. ორი თუ სამი დღის წინ, როცა ნერონებობით გარშემოტყემული თბრმე ბაღში სეირნობდა და იმ დროს წითელბადთიანი თბა, რომელსაც შორიდან მოგვკრა თვალის პატრონისათვის, შემზარავი კიყინით მისიკენ გამოქანებულა, ერთერთ სტუმარს — რუბელიუს პლატუსის ზელდებულ ვილაც ბერძენ რიტორს — თავისი გაცივრება ხმამაღლა გამოთთქვამს, რაზედაც აგრიპინას ასეთი პასუხი გაეცია: „მას შემდეგ, რაც სასახლესი აღარ დავდივარ და ვერც პრინცესთა შორის საუკეთესო აბერხებს დედის სანახავად ჩამოსვლას, — რაც, ცხადია, არ გაემტყუნება, რადგან მთელი ეს ამოღენა ქვეყნა მის მხრებზე დგას — ეს თბა არის ჩემი ერთადერთი შეუება და ნუგეში. ამის კიყინს რომ გავიგონებ, ასე მგონია საყვარელი შეიღის ღეთაებრივ სიმღერას ვისმერ“. როდესაც ამბის მომტანმა კაცებმა ისიც დაატანეს, ამ პასუხზე იქ მყოფთ ბევრი იციწნოს, ნერონს მკაფიოდ ჩაესმა, როგორ უბნობდა ბრიტანელების სული აგრიპინას სულს. ნერონი ზოგჯერ თვითონაც დაეჭვდებოდა ხოლმე საკეთარი ნიჭიერებაში და გუნება უფუტუდებოდა, მაგრამ საბედნიეროდ ასეთი რამ იშვიათად მოსდიოდა. საერთოდ კი მტკიულად სჭეროდა თავისი მალარი დანიშნულებიისა, ბეჭითად ვარჯიშობდა და სწამდა, რომ დმერთებმა ისეთი ხვედრი გაუმზადეს, როგორც მანამდე არავის ღარსებია: მას, რომისა და მთელი ქვეყნიერებებს მყრობელს, ეს ქვეყნიერება ზელბდა, ამჭერად თავისი ზელოვნებით, უნდა დაეპყრო და ქვეშირიტი მყრობელი შექმნილიყო, ვინაიდან ხმლის ძალი შიშს თესავს, ზელოვნების ძალი კი — სიყვარულს, ხოლო როცა ერთიც შეწს ზელთა და მეორეც, ისეთ სიმაღლზე იმყოფები, სანადანაც ეუკადებენ უფრო აბლო არიან, ვიდრე მოყვადებენ. რა ვასაკვიროს, რომ ასეთი შინებობს პატრონს, როცა თვითონ დაეჭვდებოდა საკეთარი თვეში, გუნება ეშხამებოდა, ხოლო როცა სხვა დაეჭვდებოდა, ცოფი ერეოდა. ამიტომ, როგორც კი თბის ამბავი მოისმინა, მყინვე მიხვდა, რომ ფიქრისა და ყოფმინის ეამი ვავიდა და მოქმედების ეამი დადგა; დამით, როდესაც მოუნვეწრად ტრიალდებდა ლოგინში და ძილი არ ეკარებოდა, რადგან გათთაეებლად და საკვირველი სიკვდილით ხან თბის კიყინი ჩაესმოდა და ხანაც აგრიპინას

სტუმრების სიცილი, რის გამოც გონება ემდევრება, სისხლი ცეცხლებოდა და გულში დატრიალებულ მძინვარეების ვრცელს ლამის ყველაფერი ნაფლეთებად ექცია, ეს აზრი კიდევ უფრო განუმტკიცდა, ხოლო ნაშუაღამევს დედას საბოლოოდ გამოუტანა განაჩენი, რადგან ნაშუაღამევს გადაწყვეტი მიზეზიც იყო, რომელიც იმდენად ჰკავდა ნამდილს, რომ თავისუფლად შეიძლებოდა ნამდილი უოფილიყო: სენჯა და ბეროსი რომ მუდამ უცხმატკბილებულად არწმუნებდნენ, დედაშენი შეთქმულებას კი არ აზნადებს, შეთქმულობანას თამაშობს, რათა თავმოყვარეობაშეუღებულმა გული მოიფხანოს და, თუკი შეძლებს, ცოტა შენც გააგმწაროსო, ამას იმტორო სჩადიოდნენ, რომ — მარტო გაფიქრებამაც კი შეიძლება კაცს თავზარი დასცეს — ორივენი აგრძობას კაცები იყვნენ და ხელსაყრელ შემთხვევასდა ელოდნენ, რომ აშკარად გადასულიყვნენ შინ მხარეს! დაბ, აგრძობა თურმე გაცილებით უფრო ვერავი ყოფილა, კიდრე წერონს ვგონა, და შვილიც იმთავითვე ალაში ჰყოლია მოქცეული. წერონს რომ ცოტა მეტი გამოცდილება ჰქონოდა, ამას ადვილად მიხვდებოდა. ან კი რა მიხვდებოდა უნდოდა! განა სენჯა და ბეროსი, საბელშიფიფოს ეს ორი მთავარი საყრდენი ზომი, აგრძობას საკუთარი ხელით არ გამოთალა? მართალია, ის აურაცხელი სომდიდრე, რომელიც სენჯას თავისი ელვარე მრძლურების უკან ეწყობ, სულ წერონის წყალობა იყო, მაგრამ ეს წყალობა ხომ შეუძლებელი იქნებოდა, კლავდიუსის მიერ გადასახლებული რომ აგრძობას დაეინებული მოთხოვნით უკანე არ ჩამოეყვანათ და წერონის აღმზრდელად და მრჩეველად არ დაედგინათ! მაშასადამე, სენჯაც პირველ რიგში აგრძობას მადღერი უნდა ყოფილიყო და არა წერონისა. ის გაჩეობება, რომ სახელგანთქმული ფილოსოფოსის მადლიერების გრძობას მოსსავე სიბრძნისა და განსწავლულობას დიდად ჩამოუფარდებოდა, ბევრს ვერაფერს შეეცლიდა, რადგან არც აგრძობა იყო ისეთი ქალი, თავისი სამსახური ვინმესთვის წყალში გადაყრვენიშინა. რაც შეეხება ბეროსს, ის ხომ წერონსა დედამისის რჩევით დაინიშნა პრეტორიის პრეფექტად და განა ბეროსის სსა-ცილო პატიოსნებას ამის დაიწყება შეეძლო? სხვა კი, მთი გარდა, ვინ ჰყავდა? ვინ დაუდგებოდა გვერდით? ვისი იმედი უნდა ჰქონოდა მტრებითა და მოლატებებით ვარშემოტრტყმულს? მძინვარე და პატრომყოვერე აგრძობა ხომ უკან არაფერზე დაიხვედა? ვინც ქმარი არ დაინდო, შვილს რაღად დაინდობდა? არა, თვის თავს არ დარდობდა იმპერატორი, ბოლოსდაბოლოს, რა მოხდა, შეილი თუ დედას შეეწირება! მაგრამ რომისა და რომაული ხალხისთვის რა პასუხი მიეცა? ხომ ცხადზე უტახდესი იყო, რომ ერთი პრინციპის სიყვდილი

ვრობა შე დამპბარაონს ვის დავარწმუნებ,
რომ, — აქ ერთი მწარედ ჩაიკინა, — დედა-
ჩემის ხომალდის დაზიანებაში მე არ მიმიძღვის
ბრალი... ვის დავარწმუნებ, რომ შე, რომის
პრინციპსს, ირქვრთ რომელიღუ ნაკლებად არ
მივარს დედამ..

აგრძინა გულისფრით უსმენდა შვილს და
გაკვრფების ვარდა თანდათან, სულ მტად და
მეტად, რაღაც უცხო, იდუმალი და შემამფო-
თებელი გრძობა ეფფლუბოდა, რომლის ბე-
ნებაში ვერ ვარკვეულოცო, ვინაიდან იგი თი-
თქოს უნდაივი ერთიპიროის სწინადამდეგო
გრძობათა ნარეეს წარმოადგენდა და ირგვ-
ლოვ სახიფათო და მკიდუნებელ ბადელ ვაე-
როდა, მეტე, რიღესაც ვაევირვებაც ამ გაუ-
გებარ გრძობაში იბრია, მიხვდა, რომ შვილს
ვედარ ცნობდა, და მიულად დაიბნა. ნერონი
ან გულწრფელად ლაპარაკობდა, ან არადა,
თუ თამაშობდა, უნაკლოდ თამაშობდა. ეს კი
იბას ნიუნადედა, რომ აგრძინა ან მაშინ ცდუ-
ბოდა, როცა მზაკვრობას სწამებდა, ან მაშინ,
როცა უნიჭობას სწამებდა. მეორე მხრივ, მზა-
კრობაც კარგად იცოდა მის და უნიჭობაც.
მაშ, რა ხდებოდა? თვალს აღარ უჭირდაც ყური
თუ გონება? აგრძინამ შეატყო, რომ საკუ-
თარი თავის რწმენა, აქამდე მტკიცე და შეუ-
ვალი, ახლა ერთბაშად მოერყა, და აცერონის
სქელი თმა მარჯვენა ხელით ინსტინქტურად
მთელი ძალით ჩაბლუჯა. მარტე იფიქრა, ვეგბ
ამ უცნაური გამოცოცხა პასუხი სენკვასა და
ბუროსის სახეებზე წიფეთობოთ, და იმათ დი-
უწყო თვალთვალი, მაგრამ სანუგეშო იქაც ვე-
რაფერი ნახა. ბუროსის, თავად პატიოსანს,
სხვის პატიოსნებაში ეჭვის შეტანა ძალიან
უჭირდა და ნერონს გულწრფელი თანაგრძობ-
ით უსმენდა. სენკვა თვითონაც დაბნეული
იყო და ამიტომ ცდილობდა სტოიკური სიმ-
შვიდე და აუზღვრეველობა შეენარჩუნებინა.

ნერონი ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა.
სიტყვები თავისთავად, უწევდრ ნაკლად მო-
ედინებოდა რომელიღაც შორეული და უხილა-
ვი სიღრმიდან. მუხებით უნდო და ვკვიანი,
თავიდან მაინც ცდილობდა, ვიღაც ხმამაღლა
წარმოთქვამდა, ჭერ გონებით კარგად შეეშო-
წმებინა, რომ შეცდომა არაფერი მოსვლოდა,
მაგრამ მალე მიხვდა, ეს სიტყვები მისი არ-
სების უფსკრულიდან მოდიოდა და ისეთი ძა-
ლა აფრქვევდა, რომლის უტყუარობას გონე-
ბას კონტროლი აღარ სჭირდებოდა. ამ აღმო-

ჩენამ ჭერ შეაღებუნა, მერე საამო ვაკვირვება
მოკვეარა, ბოლოს კი ნეტარდნის მსმელს, რომ
ეს სწორედ ის შთაგონებაა, რომელიც კარგად
რომში, მუხების მრგვალ გუმბათოვან დარ-
ბაში ლექების შეთხვევის დროს ამაოდ უხ-
მოზბდა ხოლმე და ამის გამო მზად იყო მთელ
ქვეყანაზე ეყარა ჭავრი.

ანიკეტუსი რომ შემოვიდა, ნერონის შთა-
გონება კავლად შორეულ სორიში ჩაბრუნდა და
აგრძინამაც შევებით ამოისუნთქა, რადგან ის
მომწესტველი და შემამფოთებელი გრძობა
ერთბაშად გაქრა, ბურუსი გაიფანტა და გა-
ფანტული ბურუსიდან ვინებამ, როგორც იქ-
ნა, თავისუფლად გამოიხედა.

— ჩემო ანიკეტუს! — უთხრა ნერონმა, —
შე არაფრთხელ მინახავს მეზღვაურები დღე-
სასწაულებზე და კარგად ვიცი, რა გადამდებ-
ბი თვადევიწყებით ეძლევიან ხოლმე ლბინს.
მაგრამ ისეთი თვადევიწყებაც არ არსებობს,
რომელსაც შეეძლოს კაცის გულიდან სამშო-
ბლო და მოვალეობა გამოდუნოს. შენს იმპე-
რატორს შენი და შენი ხალხის დახმარება
სჭირდება. შეგიძლიათ თუ არა, მკიერ ხნით
ლბინი შეწყვიტოთ და თქვენი ღონიერე ბეჭები
მოვალეობის უამურ ტვირთს შეუტენოთ?

— მიბრახე. ჩემო იმპერატორო! — შეს-
ძახა ანიკეტუსმა.

— ჩემი საყვარელი დედო, ბრწყინვალე აგ-
რძინას, ხომალდია შესაკეთებელი. ბიებში
ეგებ უკვე ვარცხლდა ხმა, აგრძინას ხომალდს
იბრი ნერონმა საუუთარი ხელით გაუზვირტაო,
მაგრამ შენ ამას ნუ დაიჭებ. წიყუვან შენი
ყოჩალი მეზღვაურები და ხომალდი სასწრა-
ფოდ შევაკეთე. ოლონდ ისე არა ქნა, სიტყვარს
გამო უუთრადღებოდ დაფარეს რაიმე. — აქ
წამით შეუყვანდა, მერე ანიკეტუსს თვალს
თვალში გაუყარა და გამაფრთხილებელი კი-
ლოთი დაატანა, — ვისაც ჭორები უყვარს,
იმათ რომ ჭორებისთვის საბაბი არაფერა მიე-
ცე, დედაზემთან ერთად ამაღამ მეც ვაევიგზა-
ვრები მეგ ხომალდით.

ანიკეტუსი რომ წავიდა, სუფრას კვლავ
ძველებური ხალისი დაუბრუნდა. მხიარულე-
ბის მგავალით დანარჩენებს ნერონმა მისცა,
რომელიც მიხვდა, რომ პირველსა და უმთავ-
რეს მოხანს მიადღია: დედის გულისფერი და-
ზიანებულ ხომალდს შეემოგონა და ეჭვის თო-
კებით ისე მიაბა, რომ ნამდვილ ხიფათს ახლა,
ალბათ, შეუმიჩვევლად შეეძლო ასპარეზზე გა-
მოსვლა.

აგრძინამ მთელი ეს სკენა უუთრადღებით
მობინა, თან შვილს მადლიერი ღიმილით
შესცქეროდა. ერთი მხრივ, თითქოს სათელი
იყო, რომ ნერონს ახლა სხვა გზა არ დარჩე-
ნოდა, მარტეს უნდა შერიგებოდა, ხომალდი
მართლა შეეკეთებინა და დედა მშვიდობით
გაესტუმრებინა, შურისძიებისთვის კი სხვა,
უფრო ხელსაყრელ შემთხვევას დალოდებო-



და, მეორე მხრივ, — თუცა კი მიზეზს ვერ მიმბედაროს — ძალზე აფიქრებდა ის გაბრუნება, რომ ნერონს ზომიერების დაცვა უჭირდა და თითქმის ყოველ ეპიზოდში თითო ზედმეტ ნაბიჯს ღდამდა.

მალე ანიკეტუსი უკან მობრუნდა და, როგორც ნაბრძანები ჰქონდა, შეწუხებულმა — ცოტა კომიკურად, მაგრამ მაინც საყმაოდ და მკაყრებლად შეწუხებულმა — ამბავი მოიტანა, ზომალდი გაცალუბით ძლიერ აღმოჩნდა დაზიანებული, ვიდრე ვარაუდობდნენ, და თუნდ მთელი მიზნის ფლორი აქ მყავდეს, ხვალ საღამომდე მაინც ისე ვერ შევადგებთ, რომ გულდამდობით შეგვეძლოს ზღვაში გაშვება.

ნერონი მოიქცეობდა და თვალბეჭით რისხვა ჩადგდა, აგრძენი იგრძნო, რომ ის წამი დადგა, როცა რაღაც ახალი და მნიშვნელოვანი უნდა გავცო, და თუცა საბჭუე ღმილი არ მოშორებია, ამ ღმილს უკან ერთიანად დაიძაგრა და მოლოდინად იქცა. დარბაზში წამით სამხარისებური სიბრტე ჩამოვარდა. მეტე ნერონი ზეზე წამოდგა. ნელა წამოდგა, მძიმედ, აეღს მომასწავებლად და, სულ მთლად რომ გაიძაგრა, დიდი ხნით დაიყვრა:

— როგორ თუ... — და ერთბაშად გაჩუმდა. გაჩუმდა, მოქრთრებულნი საზე დაუცხრა, დაეწმინდა, რისხვა უკვალოდ გაქრა და რისხვის ნაცვლად, თითქოს ცაშ ღრუბლები გადღაყარო, ღმილმა გამოანათა. წამით ასე გლამბებულნი იდგა და აგრძენის შესცქეროდა, მეტე ხმაშლდა გაიციხა და ისევე ტაბტზე დავეშა.

— გამწარებამ გონება აშრიცა, — ამ სიტყვებით ვადიხარა და დედას ნახად აყოცა, — და სულ დამავიწყდა, რომ ამ ჩემი ყვირილით ცუდი მასპინძლის შთაბეჭდილების ვტოვებ. ძალიან კარგია, ანიკეტუს, რომ ხვალ საღამომდე ზომალდი ვერ შეკეთდება. მამ, ხვალ საღამომდე საყვარელი დედა ჩემთან დარჩება და პრინციპის მიმე და უმადურ საქმიანობას კიდევ ერთი დღის სიზარულს წავაგლვ.

ეს ცრუ ხაფანგი, რომელსაც საბოლოოდ უნდა აებნია თავგზა აგრძენისათვის, ვინაიდან თუ ეჭვებისა და უნდობლობის მარაგიდან კიდევ დარჩა რამე, ეს დარჩენილიც აქ უნდა დაემატებინა და სრულიად უმწეო დარჩენილიყო, ნერონს წინასწარ არ ჰქონია მზადადებული წინასწარი მომზადებულ გეგმის მიხედვით ამ ადგილას ერთბაშად უნდა ეყვირა და მეტე, როცა ყვირილით გულს იჭერებდა, ხმაშლდა დაეწეო გამოსვლის ძებნა ამ იმედით, რომ ანიკეტუსის სამი პაქწინა ზომალდი, რომლებიც ერთად იდგნენ ნაპირთან ისეთ ადგილას, რომ დარბაზის მაღალი ფანჯრებიდან მშვენივრად ჩანდნენ, უჩინეს გაახსენდებოდა, ზოლო თუ ღმერთები წყალობას არ

მოიღებდნენ და არავის გაახსენდებოდა, შესაფერის დროსა და ვითარებას შეეჩვეოდა და სიფრთხილის ყველა ზომის დაცვას უნდა ემზადებინებოდა. მაგრამ, ყვერთლი რომ დაიწყო, შორეული არხი უმცრად კვლავ გაიხსნა, შეთავონება ნიაღვრავით მოვარდა, გონება და უვალაფერა, რაც გონებშიდან გამომდინარეობდა, დატბორა, ვითარების სადავეები თვითონ იგდო ხელთ და აგრძენის ეჭვებს კიდევ ერთი ცრუ საზარდო შეატეა, რათა ხაფანგიდან თავის დაღწევის აღარავითარი იმედი არ დაეტოვებინა.

შთავონების ძალას წინ რა დაუდგება აგრძენის გული მოეწერა და წამით პანიკურმა მიშმა მოიკცა, როგორც კერლელი, რომელსაც ყოველი მხრიდან, საითაც კი გაქცევის დაპირება, მწვეარი წამოუვარდებოდა. დღეს მთელი დღე თვალმოუშორებელი აკოვრდებოდა შეილის და აუ აღიარა კიდევ, რომ კლავდიუსების კვალად წასულა. თურმე ის, რაც აღიარა, წვეთი ყოფილა ზღვაში იმასთან შედარებით, რაც სინამდვილეში აღმოჩნდა. სინამდვილეში კლავდიუსებაც უკან მოუტოვებია და მართლა ურჩხული დამდგარა აგრძენის გულში ღმერთებს მდლობას სწორად, რომ დროზე მიხვდა თავის უსეცდომას. აბლა ცხადი იყო, რომ, ვინც მისი ზომალდი დაზიანა, მან ნერონის ბრძანება სწორედ რომ კარგად შეასრულა! მთავარი თურმე ზომალდის დაზიანება კი არ ყოფილა, არამედ ის, რომ დედა დღეს ბაიბიოდან არ გაეშვა... როგორ ვაზრდილ! როგორ დავეცაყებულა!

აგრძენიმ შეილის თბილ ღმილს არანაკლებ თბილი ღმილი შეაგება და უთხრა:

— არა, ჩემო პრინციპსო და საყვარელო შეილა, ცუდი მასპინძლის შთაბეჭდილებას არ ტოვებ; კარგი და კარგად მომზადებული მასპინძლის შთაბეჭდილებას ტოვებ და, როცა მომიბატოე, მაშინვე რომ შემოგთავაზებინა ხვალ საღამომდე აქ დარჩენა, სიამოვნებითი დაფრტობდი; მაგრამ, ზომ იცი, მთელი ღმით სტუმრობას სტავავარი მომზადება სჭირდება, — განსაკუთრებით ქალისადან — ასე მოუზნადებლად წამოსული კი აბა როგორ უნდა დაერჩე!

ნერონმა არა ხმის კილოზე, არამედ ღმილზე შეატყო, რომ ზრკემა გაჭრა და დედა არასჯობით არ დარჩებოდა, ამიტომ ბევრი ებრევა; წველა გამორჩა ხმაში, ცოტათი გაიბურტა კიდევ, თან სიამოვნებით ატყობდა, რომ, რაც უფრო აძლებდა, მით უფრო მტკიცე უარს იღებდა. ბოლოს, ყველა საშუალება რომ ამოეწურა და დედა კი მაინც ვერ დაიყოლია, უთხრა:

— რა ექნა შენ დედა ხარ, მე — შეილი, შენ უფროსი ხარ, მე — უმცროსი, შენ ბრძანება გმართებს, მე — შესრულება. წადი. მაგრამ როგორ გავიშვა? რითი? ვის ვანდო შე-



ნი თავი? — აქ მეორე ხნით შევყოყმანდა და დაუბატა. — აგერ, სენჯა და ბუროსი, ორივე შენი კარგი მეგობარია. ეგებ ამით ვიზიონს რამე. შე, სიმარტლე ვითბრა, ამ ზომალდის ამხანაგმა ძალიან შემაფიქრია.

სენჯასა და ბუროსს თავიდანვე ისეთი აღგვილი ჰქონდათ მიჩენილი სუფრასთან, რომ ფანჯრულთან პირდაპირ ანიკეტუსის ზომალდებს ეუბნებოდნენ, მაგრამ მათზე აღრე ზომალდები თვითონ აგრიბინამ დაინახა.

— ის ვისი ზომალდებია, ფანჯრიდან რომ მოჩანს? — იკითხა მან.

ნერონმა ზომალდებს გახედა და ხმაში ცოტაოდენი წყენა და სინანული გამოურია:

— ანიკეტუსის.

აგრიბინა ანიკეტუსს მიუბრუნდა, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ზეზე იდგა:

— ერთ ზომალდს ვერ მათხოვებ, ჩემო ანიკეტუს?

— სამივე ინებე, — მიუგო ანიკეტუსმა და ყოფიანით დაუბატა, — თუ იმპერატორის ნებაც იქნება...

— დამეცინი, ანიკეტუს? — შერაც ღიმილით თქვა ნერონმა, — შე ვინღა შეკითხება რამეს...

— სამივე არ მინდა, — თქვა აგრიბინამ, — ერთი დამითმე. — აქ უცერად შორეულმა ექვმა გაკრა გულში და ანიკეტუსს სახეში შეხედა, — რამდენ ვიყნობ?

— შე კარვად ვიყნობ მაგ ზომალდებს და გარწმუნებ შენი შესაფერისი არცერთი არაა, — ჩაერია ნერონი, — მაგრამ, რაჯი არ იშლია რომელიც გინდა, ის აირჩიე. ჩემს დამყობა ხმათს რა ვუთხრა, თორემ ჩემზე უკეთესი შეიღო ასეთ ზომალდში დედას არ ჩასვამდა.

ზომალდის შერჩევა აგრიბინამ ბუროსს დაეფადა, მერე, უკვე შერჩეული და გამზადებული ზომალდი გაღუსთან ერთად თვითონვე დაათვალიერა და ბრძანა, აუცილებელი ბარგი გადმოეჭიდათ.

გულზე გაუგებარი სევდა აწვა და რაღაც მღვრივ, უსიამოვნო გრძნობა ჰქონდა, თითქოს, თავისდაუნებურად, ისეთი რამ ჩაიდინა, საყუთარ სახელსა და ღირსებას ჩრდილი მიაყენა.

საბედნიეროდ, ის კი შეძლო, რომ გამოკლებულეს არაფერი აგრძნობინა. სენჯასა და ბუროსს მხნე ღიმილით გამოეშვიდობა, შეიღს ნახად აკოცა, ზელიც კი გადაუსვა თავზე დედობრივი სიყვარულის უფლებით და მოვიარებ შედგა, რომლის ბოლო ზომალდს იყო მიბეჭნილი.

მიდიოდა აგრიბინა, მიდიოდა მშვენიერი და უბერებელი და, ბოვირი რომ წყალზე ოდნავ ირწყოდა, ეს მეორედი რჩევა მის მეკრივ, მოქნილ სხეულს კიდევ უფრო მეტ სინატაფსა და მომზიბლობას ანიჭებდა. ხოლო

ნაპირზე იდგა სამი გამოჩენილი ვაჭარი, რომელთაც ღმერთებმა იმპერატორს ბუნებრივად მოწონებულები შესუქეროვდნენ. თუ ვინმე შედგას და დელოდალს და თვითთავით გულში ერთსა და იმავე აზრს სხვადასხვაგვარად გამოხატავდნენ. სენჯა ფიქრობდა: „სიყვარულია რა ბობოქარი ცხოვრება გამოიარა და დღესაც კი ეს ორმოცდაათი წლის ქალი ისე დაგარტიანებს, რომ ამის ასახსნელად ზენონი და ქრიზივე არ გამოდგება, ვინაიდან ეს სულ სხვა ქვეშაობაა. ეს ენებმა და სილამაზის ქვეშაობაა. ეს ქვეშაობაა ქვეშაობა...“. ბუროსი ფიქრობდა: „ავფიცე პერკულესსა და რომელი ხმლის ორღესულ პატრონებსაც, გარყვნილებანი არის ჩალიც დიდებულება, რომლის ვაგება შე არ ძალმოძის“. ნერონი ფიქრობდა: „ოდესმე ეგებ მწარედ ვინაო, ცოცხლა ასეთი ღამაში ქალის მოკვლა, თუნდაც დედა იყოს. ოპ, დედა...“.

ღამე წყნარი იყო, ზღვა — მშვიდი, ცა — ვარსკვლავებით მოქვილი. აგრიბინა ფართო, მალაყადლებიან, ტატრეანოთი გადამურულ სარკლზე იჯდა თავის კაიუტაში და მშფოთვარ ფიქრებში ჩაფულდა ცალ ხელს შექანიერად უსაგადა სქელ თმაზე პატარა აცერონისა, რომელიც ფერთბით ეჭდა, თავი მის კალთაში ეღო და ტუბლი, მეოცნებე ხმით ეღურებულვდა. აცერონია აღტაცებული იყო დღევანდელი მოგზაურობით. ყველაფერი ძალიან მოეწონა, ყველაფრით მომზიბლული იყო, ხოლო ნერონი ცოტათი შეუფერადა კიდევ რის გამოც, მას რომ ასუნებდა, ტუბლი და მოღულუნე ხმა კიდევ უფრო ტუბლი და კიდევ უფრო მოღულუნე უხდებოდა.

აგრიბინა ყურს არ უგდებდა. ეღურებულ კი ჩაესმოდა, მაგრამ ეს ეღურებულ მხოლოდ შორეულ ფონად მისდევდა მის აბურღულ ფიქრებს.

ის უმიზეზო სევდა და მღვრიე, აუხსნელი წუხილი, რომელიც ბაიეშივე შემოებარა გულში უცხო სენივით და თან რაღაც სიშინელი, დამორგუნველი გრძნობა შემოიყოლა, ზღვაზე არათუ არ დაცხრა, კიდევ უფრო გამძაფრდა და შმაშინი საცუეები მოელ სხეულში უხილავ ფესვებად გაიდგა. ჯველგან დამრწოდა ეს უცნაური წუხილი, ძარღვეს უღიზიანებდა, სისხლს უფროიჭებდა, დროდადრო კი გულზე ისე შემოიჭედობოდა და ისე მოღვივრდა მარწუნებს, ტუციელისაგან ღამის ეტირა. მერე წუხილი ავ წინათგრძნობად ექვა წინათგრძნობა გველივით დაუტურავდა სხეულში და შიშის კვალს ტოვებდა. თითქოს სამიშო არაფერი იყო: ზომალდი ბუროსმა შეარჩია, მერე გაღუსთან ერთად თვითონვე შეამოწმა. უცხოც არაფერ გამოიყოლა—მხოლოდდამხოლოდ ზომალდის მეთაური, ანიკეტუსის ერთი ცენტურიონი რამდენიმე მეზღვაური მონის თანხლებით,



მათ კი მეთვალთვალებდ გალესი მიუჩინა, რომელიც სწორედ ამ მიზნით წამოიღებინა. გზაჲ დღი არ ედო. მამ, რიდასი შიში უნდა ჰქონოდა?..

საე გონიერებად კი მსყლობდა თავის გუ- ლში, მაგრამ გონიერება ბევრს ვერაფერს შეელოდა. ავი წინათგანზობა და ავი წინათგ- რანზობის შიში მოსვენებას არ აძლევდა.

„ეგებ დაებერდი? — გაიფიქრებდა ღრო- დაღრო, — და სიბერის გამო ისე მომღის შეეღობებო, ვერ ვამჩნევ?.. ან ეგებ დავიღა- ლე?“

ორგვლივ დღემილი იღგა. შხოლოდ აცერო- ნიას ხმა ისმოდა, როგორც ნაყადულის შო- რეული რაკარა. მაგრამ აცერონის ხმა დუ- მის ვერ არღვევდა. აგრძიანამ ყური მიუგ- დო. დღემილი დამბული და ავის მომასწავე- ბელი ერგენა.

„ნამღლიად დაებერდი“, — გაიფიქრა და იგრძნო, რომ სიმშვიდე უკანასკნელი ძალების დამბევით ცდილობდა შიში დაეჭლია.

მაგრამ შიში დაუძლეველი ზანდა და მაშინ აცერონისა უბრძანა:

— აღეჭ, აცერონია. აი, აქ დამიქვი, გვი- რღოთ.

აცერონიამ შავი, ბრიალა თვალეზი გავერ- ვებით შემთაათა, მაგრამ ბრძანება კი წამსვე შეასრულა. მარდად წამოხტა, გვერდით მიუ- ქდა და, როცა აგრძიანამ ხელი მოხვია და მისი თავი მყერდზე მოიყრა, კატასავით გაინა- ბა.

აცერონიას სიბოძი აგრძიანას წამით თით- ქოს შეება მოჰგვარა.

„რომეოდ კაცებს ჰქვია არა აქვთ, — გაი- ფიქრა მან, — საერთოდ, ადამიანს ცხოვრება ის არ ჰქონია, რაც სინამდვილეშია. ახალგა- ზრდა პატრიციუსები, იმის ნაცვლად, რომ ასეთი კოხტა, ეშხიანი ქალები იბრძიონ და მთელი არსებით დაეწყოთ ნეტარებას, რა- დგან ნეტარებაზე დიდი ჰუმარიტება ცხოვ- რებას სხვა არაფერი გააჩნია, ქონებას გამოე- ყდებინა ბოლმე, მოყოყნენ ერთად გონწია და უსახურს და მერე ამ ქონების სიფაურად, რომელსაც საკეთარსაც კი ვერ დაარქმევენ, ვინაოდან მათი სიკვდილის შემდეგ სხვას უნ- და დაჩჩეს, ყოველ დამე ოხვრითა და ზენე- შით იხდინა სასჯელს...“ — აქ თავისი აკეები გაასწენდა და აცერონია კიდევ უფრო მაგრად მოიყრა მყერდზე. ქმრები არ უფარგოდა. არც სულელი აქენობარბუსი ვარგოდა და არც სნე- ელი კლავდიუსი, რომლის აღერსი განწირუ- ლის ბრძოლას ჰგავდა. სამაგიეროდ, სხვა კა- ცებს აცერონი მართლა ერთენე კაცები, ერთი- ორი თათოც კი ერია, დავიწყება რომ ვარგვი- რდება. „რა ზემო სიმემა პოლიტიკა, — გაი- ფიქრა ამის გახსენებაზე, — პოლიტიკა სიბე- რეა. პირველობისთვის ცუდადნებმა და ყველ- გასულებმა უნდა იბრძოდონ. მე კი... შორას,

ასეც ვიხამ... ჩავალ თუ არა ანციტემში... ჩა- ვალ თუ არა ანციტემში... ჩავალ თუ არა ან- ციტემში...“ მაგრამ ახრი ვერაფერს ვერ- ციუმის ყოველ ხსენებაზე. ათავის ქეციან თხის ზედადა და უუცრად შეე- ზარებმა ეკვმა გაყრა: „ეგებ სწორედ ამიტომ თქვა უარი სიმღერაზე... ეგებ მართლა მიუვი- და ის სიტყვები, პლატონის ახტის რომ და- უფიქრებლად ეუთხარია... ვინ ვსწრებოდა ამ ამბავს?.. ის სიტყვები თუ მიუვიდა...“ აქ უში- ზებოდ და ყოველგვარი აკემიორის გარეშე უუცრად ის მოაგრინდა, ყვეფს ანიცტონის რომ ხომალდი თხოვა და თან გულში წამიერმა, მოუბელთებელმა ეკვმა გაუღღა... დარბანის ფანტრებიდან სიმევე ხომალდი კარგად მოჩა- ნდა... როგორც ნახატი, სავაგებოდ დამატუ- ლი... ძალიან კარგად მოჩანდა... ზედმეტად კა- რგად...
აგრძიანას ძარღვებში სისხლი გაუჩერდა. ხელ-ფეხი გაეყინა და წამით თვალთ დაუბ- ნელდა. აცერონიამ რომ ოდნავ შეჰკვილა, მა- შინდა გამოერკვა და მისი მკლევი, რომელსაც ფრჩხილებით ჩაფრენოდა, გაუშვა.

„ნეთუ მართლა დაებერდი?... არა, დავიღა- ლე... სიბერე ქერ შორსაა. მაგრამ ახლა დაღ- ლილობს თუ ვერ ვაყობ, სიბერეს იქნებ ვე- ლაც მოუღწერო... თუცა რა დამაყრებე- ლია... მამ, დარჩენას ჩაღად მებეჭეებოდა?... გამოთხოვებისა მზიარული იყო... ზედმეტად მზიარული. მზიარულებს უკან, ალბათ, მზა- ვრობა იმალებოდა და ღრჭო სიხარული, ასე- თი, როგორც შხოლოდ დედის სიკვდილის მოლოდინმა შეიძლება მოგანაიკოს. მაგრამ მე ვერც მზავრობა დავინახე და ვერც სიხარუ- ლი, რადგან დაღლილობამ მძლია... ნეთუ ეს არის ზემო უკანასკნელი დამე?... ხმელეთი კი რა შორსაა...“

დიდხანს იჭდა უძრავად. მთელი სხეული შიშით ჰქონდა გათანგული. გული თითქოს შეეუღემდა, დაუმატარებდა, თითის ტოლა გაუ- ხრეულეში უსასოოდ გამოკიდებულ. სასოწარ- კეთილი ცახახებდა. „ნეთუ ეს არის ზემო უკანასკნელი დამე?...“ — ღროდაღრო გაიფი- ქრებდა და გონების თვალი მტკაუნეული სო- ცხადით ხედავდა, რომ ყოველი მზრთ ზღვა ერთყა, დიდი, ღრმა, დაუნდობელი ზღვა.

მაგრამ იღრმალი ძალები, რომელთაც კა- რგად იციან, რომ ადამიანი მღვლეარების მწვერვალზე დიდხანს ვერ გაძლება, ბოლოს- დამბოლოს, თავიანთი შორეული ქვრღმული- დან დაიძრნენ, საშველად წამოვიდნენ და გა- ყინულ გულში მალე მართლაც იმედის თბილ- მა სხეებმა შემოიხებდა.

გალესს ნაბრძანები ჰქონდა, ხომალდის მე- თათურისა და მისი მონებმსათვის თვლი არ მოუშორებინა, და გალესი, ეკვი არაა, ბრძა- ნებას პირნათლად შეასრულებდა, დაღლილ-



მა ეს იმდენად შეუცდომას არ იწყებს, რამდენადღაც შეუცდომის უსაფუძვლო შინაში. ამ შინაში უსაფუძვლობაში რომ ყარგად დარწმუნებულიყო, აგრძობინამ გადაწყვიტა: მივიღო დღევანდელი დღე გონების თვალთ წიკრილად გაიხრბოდა და ვეველაფროსათვის, რაც ეს საეჭვო ჩანდა, საღი ასანა მოეტებნა.

ამასობაში ნახევარზე მეტი გზა გაიარეს. თუმცა ავი წინათგარძობა ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ მოეშორებინა, საუფუძვლიანმა ასანობაში დაარწმუნა, რომ მისმა ვაჟმა მზავრულ ჩანაფიქრს ხორცი ვერ შეიხსა და იძულებული შეიქნა დედა შვილობით გაესტუმრებინა. „თქმა არ უნდა, მალე ასალი გეგმის დაწყებას შეუდგება, მაგრამ გულზღუდავრეფილი არც მე ვაქვდები და ენახით, ვინ ვის აწობებს“. ეს რომ გაუფიქრა, გულში ჩაეკონა და თითქმის სულ მთლად დამწყვიტდა.

აი, ამ დროს ამუშავდა ანიეტისის მანქანა. ჯერ რაღაც ურთ. მამივე, გულისმომცველი ტრაქტორი გაიხსა, თითქოს სასოწარკვეთილმა ხომალდმა სიშფრისაგან ეძილები გადარწმუნა. ამ ტრაქტორს მოსვევა გრუბელია, ხანგრძლივი, როგორც შორეული ქუბილი, რომელიც ტანლა-ტაღლა მიოდის, შერე გრუბენში სხვა სხვებიც არიან და ისეთი შემზარავი ხმაური ატყდა, გაგონებოდათ ეს ჩამოიქცა და ქვეყანა ქვეშ მოიყოლა.

აგრძობინა შეერთა, აცერონიამ შეჰკვილა და იმევე წამს იგი მიეყრნენ ერთმანეთს, თითქოს ტოლები ყოფილიყვნენ.

ვიღრე აგრძობინა გონებას მოაკრებდა და რამეს მიხედავობდა, ერთი ძლიერი გრუბენი მათ თავზეც გაიხსა და ჰერის ზრიალით წამოვიდა მარს. აგრძობინამ თვალუბი დახუჭა, ასე თვალდახუჭული ნათლად ხედავდა, როგორ იქცეოდა ჰერი, და გარდევალი სეკედლის მოლოდინში გაძრევას ვერ ხედავდა. მაგრამ ხანი გამოთდა და, მისდა გასაყვირად, არაფერი მომხდარა, მალე ზრიალიც მიწყდა. მხოლოდ დროდადრო კიდევ ცვიოდა ცალკეული ნამტერევეები და ურთ ხმაურით მიეჭენებოდა სადღაც ქვემოთ. ცოტა ხნის შემდეგ ესეც ჩათავდა და დემოლი ჩამოწვა. აგრძობინამ ფრთხილად გაახილა თვალი.

ქერ ვიკანა, ღმერთებმა გონება დამიხნელეს და ისეთ რამეს ეხედავ, რაც სინამდვილეში არ არსებობს: კაიეტა აფარსად იყო. ზემოთ მკრთალი ვარსკვლავები ჩანდა, ქვემოთ — აქა-ფხვებული ზღვა. ზღვაში ხომალდი ირწყობდა; მაგრამ ხომალდს გემბანი აღარ ჰქონდა. გემბანის ნაცვლად ქვემოდად ვივება, შვიი უფსკრული ამზრებოდა. აგრძობინამ ისევე დახუჭა თვალუბი აცერონიას თავი მის მკერდზე მიეფიქო და ცხოველივით ცახცახებდა. ირგვლივ რაღაცის მხაფერი, უსამოვნო სუნი იდგა.

ვლდამ რომ გაუარა და ცოტა გონა მოეგო, თვალუბი კვლავ გაახილა და იქაურობა უფ-

რო დაკვირვებით მოათვლიდა. იქაი ისე ჩაქცეულიყო, რომ საწოლზე მჯდომარე ვივები ლამის ზედ უფსკრულში ეშვებოდა. კაიეტისაგან მხოლოდ უფრო აქედელი გადარჩენილიყო, უფრო აქედელი და ჰერის ნაწილი, ჩამოვლდა, ეტეობოდა, საწოლის მიაღლი, მტაცე ზურგი ეჭერდა.

აგრძობინას გონება ელვის სიშფრავით ამუშავდა, როგორ გადარჩა, ან რატომ გადარჩა, ვერ გაეგო, მაგრამ ცხადი იყო, რომ ღმერთებმა ხომალდს კონსთან, სადაც მისი კაიეტა იდგა, შედისწერის ხაზი გაავლეს, რომელმაც სწორედ აქედელთან მიდგმული საწოლის წინ გაიარა. ხანა განიზრახეს ღმერთებმა მისი თუ, ენახილოდ, ერთობიდან, როგორც კაცა ერთობა თაგვის წვალებით, არ იცოდა. ყოველ შემთხვევაში, თუ გადარჩენა ეწერა, პირველ რიგში როგორც ამ აქედელსა და თავზე ჩამოწილილ ჰერს უნდა გასცდოდა.

ფრთხილად წამოიდა და ავანკლებული აცერონიაც წამოაყენა. ნელა მოძრაობდა და ცდილობდა, ჰქამი არ გაეღო, ტონიდან აქლა სულ უმნიშვნელო მიდგაც ეს ემაროდა, რომ საწოლის ზურგს დარყუნობილი ჰერი მიმწყვდარყო და აველაფერი უფსკრულში დამოქცეულიყო.

— აქეთ, აცერონია, — უთხრა ჩერჩვლით, — ამ აქედელს უნდა მოეშორდეთ.

ხელახლარადებულენი ნელა მიდიოდნენ და უფსკრულსევენ არ იღურებოდნენ. ფაცრები ზოგან ჩამტერდული იყო, ზოგან — ამოცვენილი, ამიტომ, ვიდრე ნახიეს გადაადგამდნენ, იატაკის სამტყეცა წინაშე ფეხით სინჯავდნენ. დიღხას იატაკ ასე, ბოლის, რომ გოკო იქნა აქედელს გააცდნენ და ხომალდის კიდე მოადრეს აქ შეჩერდნენ და სიჩქმეს მავთვით ვივები ელვის ხომალდი მელკრად შეტოპტანდა. აგრძობინა და აცერონია მოაჭიოს მოეჭადნენ იმევე წამს უქნიდან გრიალი მოისმა და კაიეტის ის ერთი გადარჩენილი აქედელი უფსკრულში დანთქა.

ვაანკლებული სუბტად ანათებდნენ, ხომალდი გვერდზე იხრებოდა და ნელ-ნელა იძირებოდა.

— ნაეი — ხმადაბლა, მაგრამ ალუკებით წამოიხსა ეცეხ აცერონიამ და სიხნელეში ხელი გაიშერა.

— ჩემად — მკაცრად დაიბრჩხელა აგრძობინამ, ხელი სწრაფად ააფარა პირზე და მხოლოდ მის შემდეგ, რაც ორივენი ფრთხილად დაეშენენ მტულებზე და მოაჭიოს ამოეფარნენ, დააკვირდა ნაეს, რომელიც ნაიკის მზარეს, ხომალდისაგან მოშორებოდა, უძრავად იდგა.

— აქლა აველაფერი ნათელი შეიქნა და აგრძობინამ გადაიწვეტილებაც სწრაფად და უფსკრულში მიიღო.

— უფრი დამიგდე, ჩემო აცერონია, — უთ-



ხრა ჩერჩულით, — და, რასაც ვეძებო, ყველაფერი ზუსტად შეასრულე. ეს ფაფურაიღმერთებმა ჩემი გულისთვის მოაგონეს. დიდი ხანია ნებტენი რომის ძლიერების საფუძვრად ჩემს თავს მსხვერპლად ითხოვს. ეს ამბავი ავტურებმა მითხრეს და პარუსპაცებმაც. მეც აღთქმა დავდე და ახლა ეს აღთქმა უნდა შეასრულო. შენ კი ასე ქენი: წყალში გადაბრთვი, იქით, კიჩოსთან, მაგ წავისევენ წიდი და თან ხმამაღლა იყვირე, მომეშველეთ, მე ნერონის დედა ვარ-თქო, ხომ გაიგე?

აეცრონიას ტირილი აუვარდა.

— თუკი შენ უნდა დაიღუპო, ჩემი ქალბატონო, მე რაღად მიწად სიკაცებლე! ნება მომეცო, შენთან ერთად მეც შევიწირო რომის ძლიერებს!

— თუკი დანებე ამ უბანს ერთგულებას და, რასაც ვიბრძანებ, ის შეასრულე! — სუსხი გამოტრია ხმაში აგრონიამ. მერე ხელი მოჰკვიდა, აკოცა და უკვე თბილი კოლოთი დასძინა, — ხომ უნდა ამენოს ვინმემ რომაელ ხალხს, რასთვის დაიღუპა პრინცესის დედა! თორემ შეიძლება პრინცესის დაბრალდეს, აბა, მშვილობით. გასწი!

აეცრონია კიდევ აიბრუნა გაჭირვებულებას, მაგრამ აგრონიამ ხელი აღურისიანი წაქეზებით უბოძა, მერე, მიმავალს, ხმამაღლა მიამახა:

— ყვირილი არ დაგავიწყდეს!

აეცრონია კიჩოს მთაღგა, სადაც წყალი უკვე წუღებოდა ხომალდის პირს, ერთი კიდევ მოიხედა და, აგრონიამ რომ ხელი დაუქნია, ზღვაში გადაეშვა.

აგრონიან ხან შას უფერებდა, ხან წავს. აეცრონია ხელეხს იქნედა და, როგორც ნაბრძანები ჰქონდა, ხმამაღლა ყვიროდა:

— მომეშველეთ! მე ნერონის დედა ვარ! მომეშველეთ!

ნავი ერთხანს კიდევ უძრავად იდგა, მერე ერთბაშად მოწყდა ადგილს და სწრაფად გამოეშურა აეცრონიასაკენ.

მაშინ აგრონიაც კიჩოს მთაღგა, გრძელი სტილი სწრაფად გაიხადა და ტუნეისამხარა გადაბტა საპირისპირო მხარეს.

სანამ სუნთქვა ეყო, ვნაოვით მიცურავდა; ძალიან რომ გაუჭირდა, მაშინდა ამოყო თავი წყლიდან. უნდოდა უკან მიხედოდა, რათი დასწმუნებულყო, რომ ნაეზე მყოფთ არ შეუშინევიით და არ დადევნებინ, მაგრამ, რაკი კარგად იცოდა, ახლა წამის დეარგვაც არ შეიძლებოდა, თავს ალა დაატანა, სწრაფად ჩაიღუტო და ისევ ჩაყვინთა. კარგახანს იცურა ასე და მხოლოდ მაშინ, როცა შეატყო, რომ, თუ მკორე ხნით არ შეისვენებდა, გზის გაგრძელებას ვეღარ შეძლებდა, ამ შესვენებით ისარგებლა და მიიხედა. ხომალდი აღარსად იყო, ირგვლე, სადამდეც კი თვალი წუღებოდა. მშვიდი ზღვა იწია, რომლის მტრთა ზედაპირზე შორს წერტილივით მოჩანდა ნავი.

აგრონიას მოეჩვენა, თითქოს აცეცრონიას მძევ გაიგონა, მაგრამ უბრალდებუ ყოფილიყო და, რაც შეეძლო, სწრაფად დაიღუპა. დიდხანს მიცურავდა, რომ დაიღუპოდა, მკორე ხნით შეჩერდებოდა, გულადა გაიქვებოდა, მაღავებს მოადუნებდა, ცოტას შეისვენებდა და მერე ისევ წინ გასწევდა. რა მანძილზე იმყოფებოდა ნაპირიდან, არ იცოდა, მაგრამ ის იცოდა, რომ ერთადერთი იმედი ნაპირი იყო. გულში სასოებით ლოცულობდა, ზღვათა და წყალთა ღმერთს გულმხერვალად ევადრებოდა ხსნას და მრავალ დიდებულ მსხვერპლს პირადებოდა, თან დროდადრო, ზოგჯერ შეა ლოცვაში, თავისდუნებურად, თვალწინ მოღმირე შეილი დაუდგებოდა, რომელიც უნაკლოდ თამაშობდა და მრავალნაცად დედამ მთამტი ბაღლვით აბრევებდა. ნებტენი, როგორც დიდ-დიდ ღმერთებს ჩვევათ, რომელთაც გაჭირვება საყვთარ ტყავით არ გამოუცდიათ, დიდხანს გულრილად ადევნებდა თვალს აგრონიას წყალეხას და მხოლოდ მაშინ, როცა არაკეთამოცილიდა და გასავთებულს ყოველგვარი იმედი გადაეწერა, მისი ევდრება შეისმინა და ხსნა მოუხვლიდა.

ყვირილი რომ შემოესმით, მებადურებო, რომლებიც იმ დამეს უნებურად და შეუძინეველად იმაზე უფრო შორს გასცდნენ ნაპირს, ვიდრე სტვა დროს გასცდნინან, ჭერა შეშინდნენ და გულგატოკილებმა პირა ნაპირისკენ აიბრუნეს, მერე ცოტა დამშვადდნენ, გონება მოიკრიბეს და, თუმცა ძარღვებში ჭერ კიდევ შიში ედგათ, ცნობისწადილმა მაინც გადასძლია და ნავი ისევ იქითკენ მიატრიალეს, საიდანაც ხმა მოისმოდა. ხოლო როცა აქადებუი ზღვიდან ღვთაებასავით ლამაზი ქალი ამოიყვანეს, რომელსაც სველი ტუტეა ისე შემოიკვროდა ტანზე, რომ ყველა ნაენთი შიშველვით შეათვლიდ ანდა, კიდევ უფრო შეშინდნენ, ენაიდან ეგონათ, თავად ვენერა მოგვევლინათ, და ვანცეფრებულები და პირდაღებულები მაშინდა მოგვენ გონს, როცა აგრონიამ უკანსკენელი ძალი მოიკრიბა, რათა ხმის კილოთთვის საჭირო მრისხანება მიენიკვინა:

— რას მომჭკრებობართ? მე აგრონიან ვარ, ნერონის დედა!

...შეღამე ახალი გადასული იყო, როცა აგრონიან, დალილობსაკან ჭერ კიდევ მისავთებულო, მაგრამ დაბანილი და ნელსაკებულებით დაზღვილი, თბილ ლოკინში იწია და საბოლოოდ დასწმუნებუი, რომ სულ ამოდ იწვალა, ამოდ ებრძოლა ვეება ზღვის და აეცრონიაც ამოდ გაიმტბა, რადგან, სულ ერთი იყო, მშვიდობით გადაარჩენას ახლა ნერონი არამც და არამც არ ამატებდა, ბერძენ მონას უკანსკენელ წერტილს კარგახობდა, რათა სიკვდილის წინ — რაკი ამის მეტზე ხელი უა-



ვე აღარაფერზე მიუწვდებოდა — კიდევ ერთხელ შეხმანებოდა შეიღს.

იმ ღამეს ნერონს თავლი არ მოუხვდებოდა. სენეკა და ბეროსი რომ გაისტუმრა, მაშინვე თავისი შეთქმულები ამისი. იპერატორს შედეგს ერთად უნდა დალოდებოდნენ და ამიტომ არ შეეძლო არ მოეწვია, თორემ ახლა სამივე მათგანი ღრმა სიძულვილით სძულდა, რადგან საზიარო საქმემ თვითონაც მათ ამხანაგად აქცია და პაერში თანაწირობის მურალ სენს გრძობდა. საზოგადოდ, ერთგული ხალხი ყოველთვის აღიზიანებდა — ერთგულება რომ ისეთივე მტერია თავისუფლებას, როგორც მონობა! — და ახლა, როცა ეს სამხედრო და სახელმწიფო ღამე, ზოლოსდაზიოლოს, დადგა, გაცილებით ურჩივნი, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, სენეკა და ბეროსი ჰყოლიდა გვერდით, ან ოტონი, ან პეტრონიუსი, ან სხვა სახელივანი პატრიციელები, განათლებული და დახვეწილი ხალხი, ისინი, ვისაც შეეძლო ღირსეულად შეეფასებინა დღევანდელი დღე. რომელიც დიდი და განსაკუთრებული იყო. ვინაიდან ნერონმა დღეა თამაშის სრულყოფის მიღწეა, სუფთა მსახიობად იქცა, სუფთა სახანობად, ისე შეერწყა თავის ნიღბს, ნიღბის შიგნით აღარაფერი დარჩა, რათაც ვეღვაქვეი გაეწყობა და ის ღვთაებრივი თავისუფლება მოიპოვა, რომელიცაც ყურფრობით ამაოდ მიიღებინ იდამიანა და რომელსაც მხოლოდ ამაველი წლების შემდეგ იგი შეეძლო აღედგინა. მაგრამ ღმერთებმა ატოვ დიად დღეს ამ საყოფადი და ქვემარჩობი მიზნის გვერდით ყოფნა არგუნეს და ისიც იძულებული იყო ბედს დამორჩილებოდა.

ოთხივენი ზემად ისხდნენ. ნერონი ფიქრებში იყო ჩაფლული, დანარჩენები კი მისი მუდღერობებს დაარღვევას ერიდებოდნენ.

ვინების თვლით ნერონი ღამის სიბნელეში ჩაძირულ ვეება ზღვის ხედვდა, რომელშიაც ნელი მოიკლევდა გზის ანკეტრისს პაწაწინ ხომალდი, და რაც უფრო მობრძებოდა ნაპირს, მით უფრო მეტად სკოლდებოდა ქუჩის დაზნთილი ნაპირი საურდებნებს დახუროლ თავებს და ნანატრი წამი ახლოდებოდა. აგრძობინა მშვიდად იქდა თავის კანეტში და ღვარძლანი კმაყოფილებით ფიქრობდა, რომ შეიღს ქვეით აქობა, გაღვის კი მისი ერთგული ხალხი, ხომალდზე დაძვრებოდა და ვეღვაფერს დაეკვიბოდა ყნისავდა. მაგრამ იმ დროს, როცა გამარჯვებამ დაწმუნებელი აგრძობინა გულში დამკინავად იღიშებოდა და თან ამის ცდაში იყო, რომ ვინებამსხველურა ფრანხა მოეგონებინა, რომ ანკეტში, თავისი ედროებინა წინაშე, ღვიძლი შეიღი მასბრდა ავადდა, ხომალდის ქუჩი საბოლოოდ მოწყდა საყრდენებს და ზოქოთი ჩამოწვა. ვეღვაფერს-ერთმანენტში აირია და ერთხანს არგვლევ გამაფრებელი

გვედნის მეტი არაფერი იმყოფა. მთავ გრძობინ მიწუნარდა, სამარისებრ დატრუნებულა-რდა და ამ სიბნელეში აქაფრულა-ნიფრულა ნიქავდა დამსხვრეულ ხომალდს. მხოლოდ ანკეტრისს ცენტურიონმა, რომელსაც ამბავი უნდა მოეტანა, ეუანასწულ წამს პატარა ნავი ჩაღმეა ზღვაში, მკორე მანძილზე მოშორდა ხომალდს, იქ შეჩერდა, ერთხანს შეეცადა და მეტე, ხომალდი რომ საბოლოოდ ჩაძირა და ჩაძირული ხომალდის თავზე ზღვა ისე მოსწორდა და მოყრიალდა, თითქოს ვიღაცის მოტყუებებს ღამობსო, მოვალეობამოხდალმა მართო ძალთ მოტყუა ნიჩბებს და ბაიებოსკენ გამოეშვრა.

შეცაძე რომ მოხლოვდა, ნერონს დადლილობა მოვალა დადლიობისე მოვალა, მღელვარებაე მოვამტა მოვამტა კოდეც ეს გაქვანტრებელი ოპერაცია და გულში მადლი შესწირა ღმერთებს, რომელთაც ადამიანის ცხოვრება ისე განიფრტლად მოაწვეს, რომ ეს ერთზე მეტი დედა არა ჰყავს.

ღრო ნელი მიდიოდა. ნერონის მღელვარება ძლიერდებოდა. ამის გამო აახე თინდათან ექვტრებოდა და ატყობდა, რომ გენენაც უფებდებოდა. ბოლოს ვეღრო მოითინა და ანკეტრისი გარტე გავზენა, რათა თავის ცენტურიონს იქ დახვედროდა. ანკეტრისი გავდა, მაგრამ ღროდადრო ისე შემოალებდა კარს და გალახული ძაღლივით შემოიხუდავდა, რამდენჯერმე რომ გამეორდა ან, ერთხელაც გახარებელი ძაღლივით შემოიხუდა.

— მოვიდა, ჩემო იმპერატორო! — შესძახა ამაყად და ნებართვას არ დალოდებია, ისე შემოიძღვა დარბაზში თავის ცენტურიონს.

ანკეტრისის ცენტურიონი ძმასავით ჰკავდა ანკეტრისს.

ნერონმა მოეთიმენლობა დამალა და მშვიდად ჰკათხა:

- რა ამბავი მოიტანე?
- ცენტურიონმა ხმა ჩაიწმინდა და მხნე კოლოთი ემატა:
- დედაშენა, ჩემო იმპერატორო, ბრწყინვალე აგრძობა, მკედრობა!
- ოჰ, დედა! — შესძახა ნერონმა და ხელები სახეზე აიფარა.

ამე წამს რაღაცამ შეეკრთო. ამ ამოძახილს არა ერთი და ორი რეპეტაცია მოუძღვნა და ჩინებელ შედეგსაც მიადწია, მაგრამ, მისდა გასაკვირად, ის ხმა რომელიც ახლა აღმოხდა, უფლ სხვა იყო და რეპეტაციებზე დამშვავებულს არ ჰკავდა ახლა იმ სიტყვებს რაღაც ამოკყვა თან, როგორც ნიდაგადინ ამოთბრილ სერგა ამოკყვება მწეა, რომელიც თითქოს ზედმეტია და უფსტთან საერთო არაფერი აქვს. მაგრამ ამავე დროს სრულიად აუცილებელია, რადგან სწორედ ის ანკეტრის ფრანხა ფრეცობას, ან, როგორი უნდა იქნის ქვემარჩობი ნიღამ!



რებეტოციები ესარგებლო გამოღვა. სრულ-
ყოფილება, სულ ახლო რომ გგონა, ერთბა-
შად გაუფრინდა და ახლა მიუწვდომელი სი-
მაღლიდან ვადმოპურებდა. „ნუთუ მართლა
მაკლია ნიჭი? — გათქიქრა მწარედ და ნაწ-
ლაყები აუწყა. — ნუთუ ბუნებრიობის ასეთ
ლესათებრივ სიმაღლეს ხელმოწერად ვერასო-
დეს მივაღწევ?..“

ერთხანს ჩემად იქნა საბეზე ხელზეაქარე-
ბელი. მერე წელა ასწია თავი, ცენტურიონს
შეხედდა და უბრაანად დაწვირილებით თვითხრო
ყველაფერი. ცენტურიონმაჲ პირათელი კაცის
კილოთი, ხატოვნად და მორცხვი კეცხით უმ-
ბო, თუ როგორ მომობრდნენ თანდათან ნი-
პირს რაც შეიძლებოდა დიდ მანძილზე, რა-
გორ გამოცემა, დრომ რომ მოაწია, თანმ-
ლები მონები თავის კაიურტაში, როგორ გა-
მოსასაღმა სიცოცხლეს საკეთარი ხელთი კრე-
პერეს ვაღესი და როგორ ჩაუშვა ნავი
სწორედ იმ წამს, რა წამსაც გრუხენი გაისმა,
როგორ ჩაიქცა გემბანი და როგორ ჩაიტანა
თან ყველა კაიურტა, როგორ იდგა თვითონ
ნავით მომობრებით, რათა ყველაფერი ბოლო-
მდე ენახა, როგორ მოგზაო უცებ — იმ დროს,
როცა ზომილად თითქმის უცებ ჩაიძრული
იყო — მორთული ყვირილი, როგორ გაემურა
ყვირილის ხმაზე, როგორ დაინახა იმპერატო-
რის ბრწყინვალე ღედა, რომელიც — რაღაც
ჯადოქრობით სიკვდილს გადაჩრენილი — წყა-
ლში ფართობდებდა და ვეგლას იხვეწებოდა,
როგორ მიუახლოვდა ნავით და როგორ ჩასცხო
თავში ნიშაბი, როგორ ჩაეურყუმილაღვდა იმ-
პერატორის ბრწყინვალე ღედა და როგორ და-
იხარო, როგორ ელოდა მერე, ვიდრე ხომა-
ლელიც საბოლოოდ ჩაიძირებოდა, და როგორ
გამომეშრა ბაიებმაჲყენ, რათა დროზე მოე-
ტანა ამბავი.

ნერონმა ცენტურიონის ნაამბობი ყურად-
ღებით მოისმინა. ბოლოს ჰკითხა:

— მამ, შენს გარდა არავინ გადაჩრენილა?
— არავინ, ჩემო იმპერატორო.

ნერონმა ეპაფროდიტუსს ნიშანი მისცა. ეპა-
ფროდიტუსი გავიდა და მანერ იმპერატორის
სამ მცველთან ერთად დაბრუნდა. ნერონმა
მცველებს შეხედა, ხელი ანიკეტუსის ცენტ-
რიონს მიავიჭრა და წყნარად თქვა:

— ეს კაცი წაიყვანეთ და მზის იმისეღისას
ნეტუნს მიხვედრეთ!

ცენტურიონს საზე მოედროცა და ახლა
ანიკეტუსს ის ძალიან აღარ ჰგავდა. ყმა აუ-
ცახსახდა, რამდენჯერმე კბილი კბილზე და-
ცემინა და ხმაყ, წელანდელი ზოხი და ღონა-
ური ხმა, უცურად წყრილი და მკიენა ვაუხდა.

— ჩემო იმპერატორო! — ბოროციით წამო-
ყვავდა ამ მოლოდინვად დაწვირილებული
ხმით, — მე ხომ ბრძანება შევასრულე..

ნერონმა შუბლი შეიჭმუნა.

— მეტს არც ეაენი იზამენ რამეს, — მცვე-

ლებს მიავიჭრა ხელი, — თუ გგონია, მარტო
შენ უნდა შევასრულო ამ ბუნებრივ ბრძანება
და სხვამ არა?! რომელიც, რომელიც შენს
ასე როგორ წაგახდინა? შენს შაგერად შე
მრცხვენია! გაიყვანეთ!

ანიკეტუსს სული შეუვებდა. გახვევებელი
და დახვეული ერთხანს განცდიერებით შესც-
ქროდა ნერონს, მერე, მცველებმა რომ მისი
ცენტურიონა გაიყვანეს, უელში გახსტირილი
პაერი ხმაურით გამოუშვა პირიდან და თქვა:
— ჩემო იმპერატორო... ეს კაცი... ძალიან
ერთგული და... ძალიან გამოსიდევი და... ძა-
ლიან..

— ანიკეტუს! — რბილი საყვედურით შეაწ-
ყვეტინა ნერონმა, — მაგ კაცმა დედა მომიყ-
ლა.

ანიკეტუსი შეცბა. საჭმის ამ მხარეზე აქამ-
დე არ დაფიქრებულა. მხოლოდ ახლა მიხვდა,
რამდენ ბუნებრივი და სამართლიანია, კაცს,
რომელიც დედას მოგაკლავს, სამაგიერო გა-
დაუხადო.

ნერონმა მონებს ღვინო შემოატანინა. შუა-
ღამე კარგახანის გადასული იყო, მაგრამ არ
უკანებოდა. რაღაცას გრძნობდა ისეთს, რის
გამოც ჩვეულებრივი, ყოველდღიური კლ-
პოტიდან ამოვარდნილი იყო, და თუმცა ეს
ბუნდოვანი გრძნობა ვერ განესაზღვრა და სა-
ხელი ვერ დაერქმია, ის ყი დაბეჭოთებით იტო-
და, რომ, ვიდრე ამ ზედმეტი მუხტებისგან არ
განთავისუფლდებოდა, ვერ დაიძინებდა, ზედ-
მეტი მუხტებისგან განთავისუფლებისათვის კი
ღვინოზე უყუთეს საშეაღება არც მის ეგუ-
ლებოდა რამე და არც სხვას.

ნელანელა სეამდნენ და თითქმის არ ლ-
პაკაკობდნენ. ამასობაში ინათლა კიდევ.

უცებ კარი გაიღო და მცველთა რაზმის უფ-
როსი შემოვიდა.

— ჩემო იმპერატორო, — მკაფიო კილოთი
დაიწყო მან და მთელი სათქმელი დახვეწი-
ლად, ლაქონდრად, სტილის ჩინებული გარნო-
ბით ჩამოქნა, — აქ ერთი კაცია, ვინმე ლუ-
ციუს აგერმუსი, დედაშენის, ბრწყინვალე ფ-
რიპინას, ანატა, და დაყინებით ითხოვს შენს
ნახევას, რათა სასწრაფო და მნიშვნელოვანი
ამბავი გაუწყოს.

— მაგ კაცს უთხარი, — მიუგო ნერონმა,
— პრინცესმა უყვე შეიტყო აგრიპინას და-
ღუპვა და არავინ ნახვა არ სურსასტო.

მცველთა უფროსი გავიდა, მაგრამ ცოტა
ხნის შემდეგ ისევ შემოაღო კარი.

— ჩემო იმპერატორო, — წელანდელით
ლაქონდრად და დახვეწილად ჩამოყალიბა მან,
— ის კაცი, ლუციუს აგერმუსი, უფრო მეტი
დაყინებით მოითხოვს შენს ნახევას, რათა გა-
უწყოს არა დედაშენის, ბრწყინვალე აგრიპი-
ნას, დაღუპვა, რაც, მისი სიტყვით, უყვე ძვე-
ლი და უწინმეველი ამბავია, არამედ დედა-

შენის, ბრწყინვალე აგრძინის, მშვიდობით გადარჩენა.

ნერონი, როგორც იქნა, ისე გაშვედა. დანარჩენებზე გაშვედნენ. რაზმის უფროსიც გაშვეებული იდგა. ერთხანს დუმილი ჩამოვარდა და ეს დუმილი ისეთი მძიმე იყო, თითქოს პატი ტუვიად იქცაო. ნერონს გულგვამში რაღაც განგებრად და დიდი ხმებით უღვღუნდა და ამავე დროს მტკიცეულად გრძობდა, რომ ისე განგებებული და მცველი რაზმის უფროსს მიმტერებელი კიდევ უფრო დემსგავრსა თავის შეთქმულ მოწესს, ამიტომ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, რათა ზმა არ განზაროდა, და ბრძანა:

— შემოიყვანე!

ღუცქერს ავტომშმა, შემოდგა თუ არა ფეხი დაჩაზში, აღდევებული ხმით შესძახა:

— უფალო! აგრძინა ცოცხალია! — საპასუხო შეძახილი რომ ვერ გაიგონა, ცოტა კი შეცბა, მაგრამ, რაჟი გამოუძღვლებით იცოდა, როგორ ამუწყებს კაცს დიდი სიზარული, დუმილი არაფრად ზუფგდია და ისევ ისე აფლავებული ხმით დაატანა, — წიკრელ ვახლა ჩემი ზელით. — ამ სიტყვებით ტოგის ფართო ნაკეციდან გრავნილი ამოიღო.

ნერონმა ეპაფროდიტუსს ზელით ანიშნა და, როდესაც ეპაფროდიტუსმა შეიკრიეს გრავნილი ჩამოართვა, სიტყვიერი ბრძანებაც მისცა:

— წაიკითხე!

ეპაფროდიტუსმა წაიკითხა:

„აგრძინა მივისაღმება საყვარელს შეილს ზანს, ღმერთებს სხვაგვარი სიყვდილი აქვთ ჩემთვის ვადამყვებელი, რაჟი ასეთ ვანსაც დელთ ვადამყვებელი მართლაცა, ჟერ იყო და ხომალდი ძლიან მყუთე გამოდგა — ნახევარი გზა ძლიეს ჰქონდა ვავლილი, რომ ნათურებზედ იქცა, მერე იყო და, ხომალდის მეთაური ძალიან სულელი გამოდგა — იმის ნაცულად, რომ ჩემკენ წამოსულყო თვისი ნავით, პატარა ავერონიასკენ წავიდა მხოლოდ იმის გამო, რომ პატარა ავერონია (რომელიც უნდა ვითხრა, აღტაცებული დარჩა შენი მასპინძლობით და, თუ გუმანი არ მღალატობს, მგონი, შეუყვარდი კიდევ) მიამილად ვაყვიროდა, აგრძინა ვარო, აბა, ამის შემდეგ სხვა რა დამარჩენიდა ვარდა იმისა, რომ ვადავრჩენილიყავით ეს მოულოდნელი სიზარული, ალბათ, ველსაყვით დავატყვება, მით უფრო რომ, ეკვი არ მემარება, ჩემი დაღუბვის ცრუ ამბავი კარგა ხანია უკვე შეიტყუა და, დრმა და უნდგემო მწუხარებით შეპყრობილი, ხელნის თავში იცემ. მეშინია კიდევ, ასეთ დიდ მწუხარებას რომ ასეთი დიდი სიზარული შეერთვის, ვითუ ვერ ვაუძლო — მე ხომ ვიცო, რა ნაზი გული ვაქვს რა მგრძნობიარე, რა მოყვარული დღესაც მახსოვს, ჟერ კიდევ პატარა ბავშვა როგორ აღდევებული დარტოდი ხოლმე სამხვერპლოდ შერჩეული ცხოვე-

ლის ირგვლივ, მერე კი, როცა დავლაღდნენ, როგორ შეუშვერდი ფუნუნლა ხელნის, რაგორ აივხდალი პეშეს სინამდისა მკრკრკარა წყავიდი პაწაწკინტელა წყვეტე, მისი პაწაწკინტელა წერვები მალე ვაზარდილიყო! მგარამ იმედი მაქვს, მშვიდობით ვადარჩებე ამ უცუარ სიზარულს და ბავებში ერთად ვატარებული საამო დღე შენც ჩემსავით დიდხანს ვემახსოვრება. იმის იმედოცა მაქვს, რომ მალე კიდევ შეგვხვდებით ერთმანეთს. თუ დროს ვამონახვ და ანციოშში მემწევი, ჩემს საყვარელ თხას ვაჩვენებ, ჩემს კაპრა ბუციას. ეიცო, მოგწეონებათ ერთმანეთი, იმსაჟ შენსავით ღვთაებრივი ზმა აქვს.

კარგადი იყავი“.

ნერონს სახეზე შეიკ ფერი დაედო და ირგვლივ საზარელი დუმილი ჩამოწვა, რომელიც დიდხანს ვაგრძელდა. ნერონი გაშვეებული იქნა და ქერუბი სხმით თვალამტერებული ვასტყარიდა სიერაცეს. ბოლოს ერთხანად შეკრთა, გამოუხიზლდა, დაჩაზს მოტარა მზერა და მერე ეპაფროდიტუსს მოკლედ და მოწყვეტით, თითქოს ქვა სტყორცნაო, უბრძანა:

— მცველები!

ეპაფროდიტუსი სწრაფად ვაციდა და ის საში მცველი შემოიყვანა, რომლებსაც ცოტა ხნის წინ ანიკეტუსის საბარლო ცენტურიონი ვაატანეს. ნერონმა ხელი აგვრძისისკენ გაიშვირა და ისევ ისე მოკლედ ბრძანა:

— ეს კაცი!

ამის ვაგონებაზე ანიკეტუსსაც მოავონდა თვისი ცენტურიონი და, მცველებში რომ ავერძისი ვაცივანეს, იმაზე დაფიქრდა, ისევ ხომ არ ვიშეამდგომლო მის ვადასარჩენადო. შეუამდგომლობის მიზეზს, მისი აზრით, ის იძლეოდა, რომ ნერონმა ცენტურიონის დსაჟა აგრძინას მოკვლისთვის ბრძანა, ახლა კი გამოიკრვა, რომ თურმე მას აგრძინა არ მოუყვალავს. მაგრამ მცირე ფიქრის შემდეგ მანც მიხვდა, რომ ახლა ასეთი სისულელით შეიძლეოდა დიდი ხიფათი დავტება თავს, და ვაჩემება ამჯობნა.

ხოლო ნერონი ერთხანს უბრავად იქნა, მერე ვაგილას ხელი დაჟკრა და დაიყვირა:

— სასწრაფოდ სენეკა და ბუროსი!

ამის შემდეგ დუმილი აღარ დარღვეულა. ნერონს ქვედა ტუჩი კბილებშია მოგტყია და თვალბმომყვებელი დამახულად ფიქრობდა. დანარჩენები ვანძრევას ვერ ზედაღდნენ.

სენეკა და ბუროსი რომ შემოვიდნენ, თავი ნელა ასწია, ერთხანს უაზროდ უყურა, თითქოს ვერ იცნობა, მერე სწრაფად წამოვარდა ზეზე და ზელვით მათკენ ვაიშვირა.

— აგერ, რომის ბურქებიც! — შესძახა ზმამალა და იმავე წამს იგრძნო, რომ შთავონების არბი ვაცხსნა, — აქამდე უმწეო და უნდგემო ვიყავი, რადგან არც ხმალი მჭონდა თან და არც აზრი. ახლა, როცა ერთიც მომიხვიდა

და მეორეც, აღარაფერი მივიჩნის, ახლა ყოველივეს კარგად, გონიერულად დი, რაც მთავარია, სამართლიანად გადაწყვეტით. — აქ ბუროს მიუბრუნდა, — შენი არჩევნის ხომალდი, ჩემო ბუროს, ბუნებლასათვის დაიფუნა და ზღვის გაუმძლავარ სტომამში დანთქა. შეკითხით? არაფერია, ახლავე მგ თქვენს შეკრთომას შევბის მალამოს წაეცხებ. ხომალდი დღეღუპა, მაგრამ დღეღამეში გადაარჩა. ერთადერთი დღეღამეში გადაარჩა. ხომ გავაბრუნებ? მაშ, ახლა მოთხარით, რა ვქნა, როგორ მოვიქცე? როგორ დავაწმენო საყვარელი დედა, ან რომაელები როგორ დავაწმენო, რომ ეს ყველაფერი ჩემი ნახელავი არ არის? რომ მე განკვებ არ ჩამომიყვანია დედა ზაივებში, რომ მე არ დამიხანებია მისი ხომალდი და სამავიეროდ უარესი არ შემიჩვენებია? რომ ყოველავე წინასწარ არ მქონდა კარგად მოფიქრებული და ზუსტად დაგეგმილი, ვთქვათ, აგერ, ეპაფროდიტუსთან ერთად, დორიოტრუსთან ერთად, ანიკეტუსთან ერთად? ვის დავაწმენებ, როცა ლამისა მე თვითონაც ეტვი შემეპაროს... დედაჩემო მე უკვე შეტარის მოწერაც მოაწერია... მიჩივით, რა ვქნა. მე ჭერ ახალგაზრდა და გამოუცდელი ვარ. თანაც შემოხარა. სადაც კი რამე გაიფანტებ, ყველაგან შეთქმულება მელანდება. აიტომ ჩემს თავს ვერ ვენდობი. თქვენ უნდა მოთხაროთ, თქვენ უნდა დამისაბუთოთ, რომ საშიში არაფერია, რომ დედაჩემი აგრამინა ურჩხული არ არის, მოშარეებს არ შემოიკრებს, რომდინ არ გაიქცევა, პროვინციებს არ ავეციანებს... ზოლო თუ ამას ვერ დამისაბუთებთ და თქვენც ჩემსათვის იმ დასკვნამდე მიხვალთ, რომ იმპეროის ხიფათი ემუქრება, მთებში ის მიჩრით, ეს ხიფათი როგორ ავირიდოთ. იარაღი ავიხათ? ერთმანეთს დავერიოთ? სპოქოლაქო იმი გავაჩალოთ?.. ეგებ მართლა გავგეჩაღებინა! — რა ხანია სპოქოლაქო იმი არა გვეკონია, ვინ იცის, რომელო ხალხს მოენატრა კიდევ. — ან იქნებ ისა სკოლას, თბილ აბანანებში ჩაწვეთ და ვენები გადავიკრაო? თუმცა თქვენ რატომ? მე მართო ჩაწვეები აბანანში, მე ვიყვარებ მსხვერპლად. თქვენ გირჩევენით დედაჩემის მხარეს გადავიდეთ. ახლავე. იქნებ შეგობლიათ შეუთვალათ მორჩილება. ამათ სიტუბლესაც შეიარაღებენ და თანამდებობასაც. — აქ მეორე ხნით გაბმულა და მეტე წყნარად განაგო. — მე არც ხმელი მიჭრის შენსათვის. იყო ბუროს. და არც გონება მიჭირა შენსათვის. ჩემო სენეკა. ჩემი ძალე თქვენა ხართ და ჩემი სიბრძნეც. მაშ, გადაწყვიტეთ რომის ბედი! — ამ სიტყვებით ისევე საყარძელში ჩაეშვა და თავი ზეღუბში ჩაგო.

მთელი გუშინდელი დღე, რომელიც თავიდან ზოლომდე ბუნდოვანი ექვებით იყო გაფლნთალი, ახლა ყველა ვქვასგან გაიწმინდა და

საბოლოოდ განათდა. და სენეკამ ცხადად დანახა, რომ ეს ტირილი, რომელიც მისმა ვაზრდილმა დაუგრებლად კამჭრულ ქვეყანაში გამოიწვია იყო არა აგრამინას მხარეს მისთვის. მისთვის და ბუროსთვის. აგრამინას ბედი უკვე გადაწყვეტილი მქონდა და შესაძლებელია მველულებიც გადაწვანილი ჰყავდა ახლა მათ ბედს წვეეტდა. წინააღმდეგობის გაწევა უაზრობა იყო. აგრამინას ვედარაფერი იხსნიდა. ან კი ღირდა ამ ღვარძლიანი, გარყვნილი დედაკაცისთვის თავის გაწირვა? განასეთი სიკვდილი სისულელედ უფრო არ ჩავთვლებოდა, ვიდრე სიმამაცედ? მით უფრო, რომ ჭერ კიდევ ბევრი რამ მქონდა გასაცთობელი, ბევრი რამ მქონდა დამაწერი ისეთი, რომ, ვინ იცის, ისტორიას შემოეწინა და შეამომავლობას გამოსდგომოდა... და თუმცა წამით მძაფრად, მწვავე ტკოვილით იგრანო, რომ გონიერებამ ეს მსჯელობა კოქლი და საყვარი იყო, მაინც გონიერებამ დემორჩილა და თქვა: — უნდა მოკვდეს.

ნერონმა სახზე აფარებული ხელები ოდნავ გადასწია აქეთ-იქით და შეუპოვი გამოიხედა.

— უნდა მოკვდეს, ჩემო სენეკა? ვინ უნდა მოკვდეს?

სენეკამ ტუჩები მოკვდა, მერე თავი გაუსწორა და თქვა:

— აგრაბინა უნდა მოკვდეს.

„ავტელვარ“, — კმაყოფილებით გაიფიქრა ნერონმა. მერე თავი სინანულით გადაიქნია.

— მაშ, შენ ფიქრობ... — თქვა გაკვირებით და უცებ ბუროსს მიუბრუნდა, — შენ, ჩემო ბუროს? შენ რაღას ფიქრობ?

ბუროსის თვალში აგრამინა და ნერონი ორივენი ბიწიერების განსაბიერება იყვნენ და ერთიანად ამაყარი კითხვა სხვისგან მოესმინა, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ორ ბიწიერებას მაინც ერთი სკობდა.

— მეც ასე ვფიქრობ. — უბასუხა მშვიდად. „ჩემო იმპერატორო“ არ დაიტანა“, — გაიფიქრა ნერონმა და უთხრა:

— შეგეობლია, შენა ხალხს დავაფალოთ?

— არა! — სწრაფად და გადაჭრით მიუგო ბუროსმა, — ჩემს ხალხს ფიცი აქვს დღე-ბული და პრინციპისა და პრინციპის ნათესავთა სისხლს ვერ დაღვრის!

ნერონმა ერთხანს უხმოდ უყურა. მერე ანიკეტუსს მიუბრუნდა.

— ანიკეტუს! კიდევ გავს ერთგული ხალხი?

— ჩემი ხალხი ყველა შენი ერთგულია, ჩემო იმპერატორო! — შესება ანიკეტუსმა და თითქოს რაღაცთ გაკვირებულნი დარჩა.

— ჩემს ერთგულებს მე თვითონ დავითვლი, — მშვიდად, მაგრამ ცოტა უკმაყოფილო კილოთი თქვა ნერონმა, — შენ შენი მოთხარი.

შეგიძლია, ის საქმე, რომლის მოგვარებამაც
ბუჩქისა უარი მოთხრა, შენ იყისრო?

ანიკეტისი კვლავ გაკვირვებული დარჩა,
ოღონდ ახლა იცოდა კიდევ, რა უყვირდა:
ის უყვირდა, რომ ბოლოს მაინც მისი წინადა-
დება აღმოჩნდა ყველაზე მართებული. აღ-
ბათ, გაკვირვებამე მერტად ამის გამო სიამყვე
მართებდა. — ამას თვითონაც გარძნობდა —
მაგრამ რაღაც გაუგებარი მიზეზის გამო სი-
ამყვეს მაინც გაკვირვება სძლედა.

— მიბრძანე, ჩემო იმპერატორო! — თქვა
მხტვრელად, — სამიოდ მაიაც ცენტრროის
ვიახლებ და დაუყოვნებლივ წავალ!

— წადი, ჩემო ანიკეტო! რავე რომის სი-
ბრძანე და რომის პატარისნება ერთმად გვირ-
ჩვეს დედის მოკვლამ, მე და შენ სხვა რა და-
გვრჩენია გარდა იმისა, რომ დავემორჩილოთ!
მით უფრო, რომ ჩვენი სენჯეა, აღბათ, თვი-
თონვე დაუსაბუთებეს სენჯატს ამ თავისი გლე-
წყვეტილების აუცილებლობას. წადი, ცენტრ-
როისნება კი უმამაცესები იახლე, რადგან მი-
მე და უთანასწორო ბრძოლა მოგვლის. — მე-
რე, ანიკეტისი რომ მტკიცე, დაჭერებელი ნა-
ბაქით ვავიდა, დანარჩენებს მიუბრუნდა,
— თქვენი წადით. მარტო მინდა დავრჩე დე-
დასთან...

ყველანი რომ გაისტუმრა, ერთხანს უძრავად
იდგა, ხელუბი მყერდზე დაკვირება და ქუშიად
ჩასცქეროდა იატაკს. ბოლოს შეტრიალდა, ნე-
ლი ნაბაქით წავიდა დარბაზის შორეული კუ-
თხისაკენ, სადაც მაღალი სარკე იდგა, ახლო
მოვიდა, ჩაიხედდა, უფრო, თავის გამოსაბუღე-
ბას, უფრო და უფროად ენა გამოუყო. ამან
დროის დინება წამით უკვლამ დაატრიალა და
შორს, სარკის სიღრმეში, პატარა ნერონი და
ახალგაზრდა დედა ავრიბინა გამოჩნდნენ, რო-
მლებიც ისე იდგნენ და ისე უსცქეროდნენ
ერთმანეთს, თითქოს მთავარი არაბი გაბნენა და,
ძარღვებში რომ სისხლის მავიჯრად მგლეჩი
და ომახიანი ლათინური სიტყვების ფერადი
ზვირთები დაიძრა, თვალდახუჭულში ნეტარე-
ბითა და სინანულით ვაიფიქრა: „ამაოებდა...
მთელი ეს უგვანა იმპერია ერთ კარგ სიმღე-
რად არა ღირს!“

68

ბადია და პარალელური ხაზები

შეშვიდე დღეს იენისის იღებამდე (ქალაქის
დაარსებიდან რვაას ოცდაერთ წელს), შეაღ-
მინას, იმპერატორმა ნერონმა უკანასკნელად
გაიღვიძა.

იმპერატორი სიჩუმემ გააღვიძა.
სიჩუმეს, რომელსაც, ჩვეულებრივად, სი-
ხლის სუნი ასდის, ვინაიდან მისი სიამყროს
ღვთაებრივი გაღობა და მითითლებაც სულიც
ყოველისმომცველი პარმონისის სარკეში თავის
ნამდვილე გამოსაბუღება ხედვდა, ახლა ავ-
ქალაქის განაპირას, ვრცელი ზღლით გარშემო-
რტყმულ ვილაში, სიკვდილის სუნი ასდოდა.
ეს სხვაბრივი სიჩუმე იყო. ეს იყო სიჩუმეთა
სიჩუმე, როცა ქვეყნადრ ხმაურთან ერთად,
რასაც მოკვდავთა დაუდგრომელი ბუნება იწ-
ვევს, ყველა ზეგარდმო ბგერაც ქრება — ცა-
რგველის ბრუნვა, სფეროთის სრბოლა, ნების
დნობა, დღე-ღამის მონაცვლეობა, ბლახის
ზრდა... თვითონ სიჩუმეც კი, საკუთარი მყუ-
დროება რომ არ დაარღვიოს, ფეხაკრფით
მიიპარება და ირგველივ სიბნელის შავი უძრა-
ობა ისადგურებს, სამარის დიდი დემილი,
რომელსაც მთელი სიამყრო დაუგმანავს და
ყველაფერი სიკვდილის გაბეჭვებულ აბრსე-
ბობად უქცევა.

ნერონი ძალღონეზიხდელი იწვი ამ გაუვალ
დემილში და ერთადერთი გრანობა, რომელიც
თავში გაგვარებული შანთივით აქონდა გა-
ყრილი და გონების ჯერ კიდევ არ აძლევდა
ჩაქრობის ნებას, იყო უმწვერვალესი შიში,
ისეთი შიში, როცა მღვთაბრების თვალშეუდგამ
ქაობს სიოცხლის ყველა დანარჩენი ნიშანი
საიმედოდ ჩაუხვევია მარადიული სიბნელის
სტომაქში და თავისი ბლანტი, წებოვანი სე-
ცეცეებით ახლა ცნობას შემოსჭობობდა, უკანას-
კნელ ნიშანსა და ყველაზე მგრძობობარე, ყვე-
ლაზე მტკიცეველ, ყველაზე შიშველ ნერვს.
დაყვირება რომ შესძლებოდა, ნერონი დაიყ-
ვირებდა, მაგრამ ყველაფერი, სადაც კი დაყ-
ვირების ძალა შეეძლო მოგბოვებოდა, უკვე
ქაობში იყო ჩაბირული, ამიტომ სისომიხდელი
და ძარღვებმოდუნებული, უგრძობი შიშით
შეპყურებდა მკვდარი სიამყროს შავ ღრუბელს,
რომელიც გარდუვალობის უღმობელი გულგ-
რადლობით ისრუტავდა მისი გონების უკანას-
კნელ სინათლს.

მაგრამ სწორედ ამ დროს, როცა ცნობა სა-
ბოლოოდ უნდა დანთქმულიყო სიბნელეში,
მეკრივი დემილს ყრუ კედელი უეცრად რა-
ღაც ხმამ გამოარღვია და, ერთ ადგილას თა-
მოყრილი შიში რომ მყისვე მთელ სხეულში
ბასრ ტკივილად გაიშალა და, სადაც კი შევიდა,
ტკივილთან ერთად სიოცხლის ხმაც შეიტ-
ნა, — რადგან სიოცხელ სხვა არაფერია, თუ
არა ტკივილი — შემკრთალმა იმპერატორმა
უცხო ხმას მიამყრდა. ჯერ ჭარის შორეულ
სტენას მიამხგავსა, მერე თავის ფეხებს და
უცემ მიხვდა: დანების ლესვოს ხმა იყო. ტვი-
ნი ელვამ დაკვეთა და ნაბერწყლები გაყვარა.
წამზე საბანი თავზე წაიფარა, ღრმად შეჭრა
ლოგონში, ფეხები ისე შემოიკეცა, ღამის მყე-



რდზე მიიბნინა, თავი მხრებში ჩაჩუჩო და მთელი სხეულით მოიკეცა, რათა იმ ზომამდე დასატარებულყო, რომ შურისძიების ანთებულ თავის ვერ შეეგონებინა. რა ხდებოდა, არ იცოდა, ვინაიდან ცოდნა, როგორც დამსხვრეული სარკის უთვალავი ნაქვეცო, ქოტურად მომოფარებულიყო შქისე სიხარულში და ნაყარწყარად გონებას მათი აყრებინა და დალაგების თავი არ ჰქონდა.

შეიძროდ შემოყრული სჭელი საბანი ერთბაშად წარმატებით ისხლებდა და ნების ლეტვის ხმას და იმპერატორის ბაქშინი სასგარში დროებით სიმშვიდემ დასადგურა, მაგრამ როგორც კი გონებამ, ამ ხანმოკლე სიმშვიდით გულმოკემულმა, მღვრიე ნისლიდან გამოიხედა, ნერონს ყველაფერი მოეგონდა და შწარედ იწანა, რომ მიღმოდ არ გაქრა და ისე ამ დაწყევლილ სანამდვილეში აღმოჩნდა, სადაც სანინელი და სამარცხვენიო სიკვდილი ელოდა, რადგან აწანებულ ვინდექსს, თავიდან რომ მხოლოდ ესპანეთი აწყა იმ ბეჭერი ძაღლის — გაღბას — შეთაურობით, მერე დანარჩენი პროვინციები მიეგრნენ და ახლა შეერთებული ძალით მოდიოდნენ სამანქემ დამალული პრინციპის დასამხობად.

გამოფხობლებულმა ნერონმა გონების თავლი უკიდებარო იმპერიას მოავლო, რომელიც ვერ კიდევ ვეშინ მისი იყო, და გულ-მცდილი აყვია. მზით გაბრწყინებულ დიდ შინდორზე, მთვარა ბანაკში, ლეგიონებით გათრეობრატეული ვინდექსი და გაღბა რომზე წამოსვლის წინ ლაღ შევეტყოფდნენ ღვიზოს და უწმარბრი, ქარსკაცური მახვილსიტყვაობით ლაშქარში ისეთ ხორბოცს იწვევდნენ, ეს და მიწა ზნაზრებდა. მერე, ღვიზის სმას რომ მორჩნენ, ცხენებზე შესხდნენ და გულდაჯერებული დამოთენი წამოვიდნენ. მოდიოდნენ — ლაღები, თამაშები, წიღში გამართულება, თამაშ-თამაშით მოჰყავდათ ცხენები და ამაყად თავაყრულები მოუძღოდნენ ლაშქარს; მტკიცედ სწამდნათ, რომ სულ მალე გამარჯვებას იხეიმბდნენ...

ნერონს გული შევეტუშმა, ნეტა თვითონაც მათთან იყოს! ნეტა აქ მის მაგივრად ვიღაც სხვა იმალეზოდეს, თვითონ კი ვინდექსთან და გაღბასთან ერთად აწანებულებს ედგას სათავიშო... თეთრ ცხენზე აყდეს და იმათ შუა მოდიოდეს... იდნავ მათზე წინ, როგორც მთავარმარდასწო შეეფურცბა... ვინდექსი და გაღბა მისი თინამშვიდები იყვნენ და მას მოჰყვებოდნენ, რათა სამანქემ ლარბულად შემალული ტარანი სამარცხვენიო სამალავიდან გამოეთრიათ და რომისთავის ბორჯილები შემოეხსნათ... მაგრამ, რამდენიც არ ეცადა, ეს სამაფრი სურათი ვერ წარმოადგინა. ვინდექსი და გაღბა, თეთრ ცხენზე ამხედრებული ნერონი რომ ისეთი უწყინარი საბით ჩადგებოდა მათ შუა, თითქოს სწორედ აქ იყო მისი ადგოლი, წამსვე

ჭრებოდნენ, როგორც ზრდოლები... კინდიონის მზის ქვეშ. ეჭვი არა, ნერონს კიდევ უნდა არ სურდათ. ნერონის წინაშე გაჩნდნენ ერიანეთ. ნერონი უნდაოდთ გამოეფრიათ მისი პატარა და ახასიამებელი სამალავიდან... გამოათრევდნენ კიდევ, თუ რამეს არ ილონებდა. მაგრამ რა ელონა? გაქვევავზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. მასზე უკეთ ვინ იცოდა, რომ რომიდან გაქცევა შეუძლებელი იყო! რამდენს უცდია, მაგრამ რომელი ერთი გაქცეულია? ან კი როგორ გინდა, ქვეყნიერების დასალიერამდე გადაქვილ იმპერიამი შეუქმნველად მიაღწიო საზღვარს?... მით უფრო, იმპერატორი თუ ზარ და პროვინციები აყრანდნენ. რომმა ხომ — და ეს, აღბათ, დურათების ავი ზემობიან — ისე მოიქცია თავი პროვინციების აღყვამი, ერთი გასაქცევი გაზ არ დაიტვია. რომი საკეთარი თავის საფლავია, პროვინციების შედეგი უორვეებით შემოკლულელი... აწანების ხმა დიდი სიჭრადით გაერცელდა, ხანძარივით მოედო მთელ იმპერიას და ცეცხლის წრედ იქცა, რომელიც ახლი თინდათან ეიწროვდებოდა და ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა ნერონის თავსესადარს, ნერონის უწანასეულ სამფლობლოს, ეიწრო სამანში გახვეულ პატარა იმპერიას... „აღბათ! უკვე ქალქში „რან“, — გაფიქრა და მოგზენა, თითქოს ფეხის ხმაც შემოესმა, რის გამოც კიდევ უფრო მოიკეცა, კიდევ უფრო გაიტრუნა და სასოწარკვეთილმა ყრუდ ამოფიშა: — ოჰ, დედა!

საკეთარი ხმის გაგონებაზე შეკრთა, ტანში ყრვოლამ დაეჯრა და ისეთი ვრძობა გაუნდა, თითქოს ლეკმა ყელზე დასდგომოდეს. იმე წინა ეს უახროდ წამოართილი სიტყვა უცნაურად გამრავლდა, ათსად და ათი ათასად იქცა, საზარელი სისინით შემოესია, მარლაქუნსავით დააწია და ისე ამოქოლა და ამოლესა თავის ბაქშინი თავსესადარში, თითქოს ვიღაცამ ეიწრო საფლავში ჩატენა, ილონად გულშიეიწყობის გამო ის აღარ მოგონდა, რომ წინასწარ მოეკლა...

სული რომ არ შეხუთოდდა, ჩქარ-ჩქარა სუნთქვდა, კშენით, და, ამ კშენის რიტმს აყოლილი, ასვეე ჩქარ-ჩქარა ფიქრობდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად აგრიბინს მოკვლა, რალი თქმა უნდა, დიდი შეცდომა იყო. საერთოდ, დედაბის დაზოცვა შეუცდომია... კარგი ექნებოდა ახლა ამის ხმაშადლა თქმა... იქნებ ეიწნეს გავგონი, ვინმეს გამოსდგომოდამ... ადრე უნდა მოეფიქრებინა. ფორტუმზე უნდა გამოსთელიყო და მთელი ხალხი გაეფრთხილებინა, ყველა რომეელისთვის ერჩია... რომელებო! ცოცვარების მოთვარი სობრძენე იანა, შეიღმა დედა არ მოყლი... თუცა რატომ უნდა ეთქვათ განა სხვაჯი კლავს ვინმე დედას?...

დიახაც ვისაც ვისზე ხელი მიუწყდება, ყველა ყველას კლავს. ვინც არა კლავს ვერი



კლავს... დღეს ვიღაცას, ალბათ, ნერონზე მი-
უწვდება ხელი... ვის? ვინღაცქს? გალბას? არა.
დაქირავებულ მკვლელს მოუგზავნიან, რომელ-
საც ზანჭალი ტანსაცმელში ექნება დამალუ-
ლი...

მკვლელები არ შემოუშვებენ...

მკვლელები!

სწრაფად, მკვეთრი ბიძგიით წამოყვდა სპო-
ლიში და თავზე გადაფარებული საბანი ორივე
ხელით შეხებისაყენ გადაეცა. მკვლელები...
ნეტოუ სამარისებური დღემილი, რომელმაც ისე
გამოაღვიძრა, როგორც უეცარმა ქუბილმა შეი-
ძლია გამოვადვილოს, იმის მოსწავებდა,
რომ... ამის გაფიქრებაზე ხელ-ფეხი გაუყინა
და საფეთქლებზე ისე დააწვა რაღაც, თითქოს
რკინის გახურებული ხალტი შემოუქტირესო.

გაიტრუნა და საბნელს მიაუხრიადა. ირგე-
ლოვ დუმილი იდგა. ეტუობოდა, სიცოცხლის
ყველა ნიშანი სამედამდე გამჭარალყო. მამინ
საწოლიდან ფრთხილად გადმოვიდა და ფეხ-
აყრეფით მიადგა კარს. ჩამოაღრე მიასიღდან
ისმოდა. აჯანკლებული მოტრიალდა, ახლა სა-
რკმელს მიხვებოდა, კედელს აეკრა და გაიხედა.
ცაზე ვარსკვლავები ბურთაყდნენ და ბინდში
ჩაიჭრული ბალი მკრათალად მოხანდა. ხალში
ვერავინ დაინახა, თუმცა დიღბანს და დაეი-
ნებით გასცქეროდა, რადგან ამ მხარეს, სარკ-
მელთან, სულ ცოტა, სამი მკველი მაინც გვე-
ლებოდა. იმპერატორს ძარღვებში სისხლი გა-
უჩერდა. მამ, ასე: მისმა ლაჩარმა მკველებმა,
რომელთაც ფიცს ჰქონდათ დადებულა, რომ
ხიფათს უყოფანოდ შეხებდებოდნენ თვალბში
და იმპერატორს კი არ მოატოვებდნენ, რო-
გორც კი ფიცმა შესრულება მოითხოვა, იმპე-
რატორი უყოფანოდ მიატოვეს, რათა ხიფა-
თისთვის თვალბში არ შეხებდათ... და ახლა
სიხფეხს სიკვდილის სენი ასდოდა... ახლა
იმპერატორისაყენ მომავალი გზა თავისუფალი
იყო. ვისაც კი მოეპრიანებოდა, უნიშორად და
დაუბრკოლებლად შეეძლო შემოსულოყო და
გულში ხანჭალი ჩაეც...

წელანდელი უაზროდ, უადგილოდ წამოს-
როლიდა „აფლა“ ისევ წამოიშალა ურცხვ
და უთვალავ სიტყვად, როგორც მტვერი წა-
მოიშლება ქარის დაბერვაზე.

სხველში მდუღარესავით ესხა შიში და პა-
ტარა, დამკნარა, ცოცხალმკვდარი გული მკე-
რდის ღრუს ბნელ სიუაროიელში სიყოფივად
კონწილობდა.

თუ შეიარაღებული მკველები გაიპარნენ,
მსახურებსა და მონებს რაღა გააჩერებდა... და
ახლა კაცისეული არსად ტკეპნებს. მთელი სახ-
ლა ცარიელია. მთელი ბალი უდაბურია. გზა
თავისუფალია. შემოდი, მკველებო. არავინ
შეგაჩერებ, წინ არავინ გადაგიდგებათ... „ნე-
რონის უყანასენელი ღამე...“, — ისე გაიფიქ-
რა, თითქოს პირშეუყრავ კრილობაზე ხელი
მარუხვდაო. იმეე წამს სარკმელს მოშორდა და

ისევ კარს მიადგა. მკველი, სხვათა, მკვეროდ
წაადგება თავს, ჩემად, ფეხსაყრდელ... მკვერამ
ნეტოუ შეძლებს ისე შემოღობვის, მკვერამ
არ გაიღოს?.. ნერონი გაიშორდა... წამოვიდა,
შეა ითანის შეჩერდა, გაიშვდა, მერე ერთბა-
შიად ადგილზე შეტრიალდა და ახლა ასე გა-
შეშდა. იმ მხარეს, საითაც იყურებოდა, უფრო
იხედიანად იყო, უტრინად კი ერთთავად თუ-
დაძახებს მოვლოდა. რატომ ზერგზე კი არ უნ-
და ესანს თვალბი ადამიანს! ასე უშეყოლ რი-
სთვის დაგვეყოფო? უკვდავობა?!. ბოლოს
ისევ საწოლს მიხვებოდა, ლოგინში შეგება და
საბანი თავზე წაიფარა, მაგრამ მალევე მიხვდა,
რომ ასე საბანაფარებულს მკველი უფრო
იოლად წამოვარებოდა, ამიტომ თავი ისევ
ამოპყო. „ანიეტუსი არ უნდა დამეკარა“ —
გაიფიქრა და ამის გაფიქრებაზე უფროდ ისე-
თი ზიზღი იგრანო, ღამის გული აეკრა სანამ
ამ ზიზღის მიზეზს მიხედებოდა, ინსტრუმტუ-
რად გადაიგდო საბანი და საწოლიდან ისე გა-
დმოხტა, თითქოს ლოგინში მკვერავი შეძრო-
მოდეს. გული გამაღებში უცემდა და მუბ-
ლები უყანკლებდა. ანიეტუსმა ერთგული
წარისყავდა, რომლის მეთვალისხის განმონა
ისევე გაუფებარი იყო, როგორც ბუროსის პა-
ტიონსება, კეთილსინდისიერი დაფერილებით
უამბო აგრინინას მოკვლის ამბავი. განაჩენის
აღსასრულებლად რომ მისულა, აგრინინა ლო-
გინში დახვედრიდა. გორო, გუხარდა, შე და
ჩემი ცენტურიონები რომ დაგვირახათ, ანიე-
ტუსმა, ქერ გამოცინა, მერე უცებ საბანი გა-
დაიძრო, პერანგი აიწია და ისეთი რამ გამო-
აჩინა, რისი გამოჩენაც აშდენი კაცის თანდას-
წრებით წესი არ არსო; ის, რისი გამოჩენაც
წესი არ არს, ჩემვენ გამოზნეა და „აი, ამ
ჩამეცო, ჩემი ანიეტუსს, შენი მასრი მიხვილი,
რომელიც პატიონსად იყავა რომს, რადგან
რომი სწორედ ამან დაღუპა“, — მოთხრო.
ანიეტუსმა გულახდლოდ აღიარა, ლენჩივით
ვიდეკა, თვალგამტრებოთ ხედეკროდი იმ
ადგილს, საცა მიხვილის დაცემა მიზრბანა, და
მკვლავი არ შემორჩილებოდაო: კიდევ კარგა
ცენტურიონებმა იმარჩვეს და ხმლებ თუემი
დაუშინესო... ანიეტუსისთანა ერთგული ქვე-
შეკრდომი ნერონს სხვა არავინ ჰყოლია —
ეტუობა, ერთგულება მართლა სიბრყვის უყო-
ნონო შევლია — და ნერონზედ ღირსეულად
დაუფასა სამსახური: სხვები რომ სიკვდილით
დასაყა, იმს გადასახლება აყარა. ალბათ, აყო-
ბებდა არც გადასახლებინა. ახლა რომ აქ
ჰყოლოდა, დიდი ნუგეში იქნებოდა. ანიეტუს-
სი არ გაიპარებოდა. ანიეტუსი არ მიიტოვებ-
და თავის იმპერატორს... მერედა, საიდან უნ-
და სცოდნოდა ნერონს, ასეთ დღეში თუ ჩა-
ვარებოდა?!. საიდან უნდა სცოდნოდა, რომ
ანიეტუსი სანატრელი გაუხდებოდა?!. განა
უნდოდა გადასახლებინა, მაგრამ რა ექნა? უკე-
ტუსი და უარესი მხარე ყველაფერსა აქეს. ანი-



ეტუტშია დავალება კი პატიოსნად შეასრულა მაშინ, მაგრამ ასევე პატიოსნად რომ უამბო ყველაფერი, მას შემდეგ წერონ მის დანახვაზე ყოველთვის გაუგებარი ზიზღი ეტყულებოდა და, რომ არ მოეკლა, იმიტომაც გადაასახლდა...

ჩუ... გაიფიქრე რაღაცამ თუ არ გაიფიქრე?

ჭერ ეგონა, რომ გაიფიქრე, მერე, განაბუღმა რომ დამბუღლად მთვდო ყურო, იფიქრა, მომეჩვენათ, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც გაბურბებულმა გონებამ ორივე ვარდული შევამოსდაგვარად აწონ-დაწონა, მიხვდა, რომ სულ ერთი იყო, მომჩვენა თუ მართლა გაიფიქრე. თუ არ გაიფიქრე, გაიფიქრე. დამის სიბნელეში ჩაფლული ვება ბღლიმყველეებითაა სავსე. ბევრნი არიან და ყველგან არიან. ბუჩქებშია, ზეგბის ძირის, ქანდაკებებში უკან, სვებებზე... შეიპარებულეები, გაფაქცევებულეები, მომზადებულეები... წინანდაც ელიან, რომ შემოცივდნენ და ყოველი მხრიდან ერთდროულად დაესხან თავს... ნება ყველა წერონივით კანკალებს სიკვდილის მოლოდინში, თუ წერონი განაყუთრებით მგრობობაჩუა? რომ სყოდნოდა, სიკვდილთან შეხვედრას ასეთი ძნელი იქნებოდა, ეგებ ამდენი ხალხი არც დაეხოცა. მაგრამ, საკუთარ თავზე თუ არ გამოსცადე, ისე სჭვის სიმწიარს როგორ გაიგებ?... ანიკეტუსი ირწმუნებოდა, აგრიბინას შიშისა არაფერი ეტყობოდაო. თუმცა ანიკეტუსი რას შეამჩნევდა სენჯა? აი სენჯამ, როგორც წერონს უამბეს, საკუთარი მგალითი დამატკიყა, რომ სოკრატეს აუმღვრეველი სიმშვიდე მითი და ლეგენდა არ ყოფილან დამატკიყა კია?... წერონს წამით ყელში სიბნალზე მოაწევა და იწანა, რომ სენჯეს ასეთი ზარ-ზეიმით მოაყვლევიან თავი იმის ნაცულად, რომ ჩემად და უმხუროდ მოეშორებინა, როგორც ბერონს მოეშორა, რომელსაც წამლად საწამლავი შეაპარა...

საწამლავის ხსენებაზე აბურღული ფიქრები უცოტად ადგილზე გამეშდნენ. გუშინ, როდესაც საბოლოოდ გადაწყვიდა იმედი და დარწმუნდა, ბრძოლის აზრი აღარ ჰქონდა, საწამლავი მოიპარა; საბუთად ჩადო ოქროს პატარა კოლოფში, როგორც უკანასკნელი ნუგეში, რომელსაც შერტყენისგან უნდა ესხნა, და თან წამოიღო. სასაცილოც იყო და გულისმომგვლედიც, რომ საწამლავი იმ ადგილს ლოკუტის გამორთვა, რომლის ხსენებამაც კი ვერ იტანდა...

უცერად ტვიში რაღაც განათდა. პირველი მკვლელობაც ლოკუტის საწამლავით ჩაიდინა და უკანასკნელი მკვლელობაც ლოკუტის საწამლავით უნდა ჩაედინა. ეს ზელოვნების უფრო ჰგავდა, ვიდრე ცხოვრებას. იმის გაფიქრებაზე ნაწლავებზე რაღაცამ საამოდ და სევდიანად შეუღიტინა, ხოლო იმავ წამს ის ლე-

ქები მოაგონდა, რომლებიც ჯერ არ შეივსნა და, ზანს, ვერც ველარასოდ დასრულდა და ამჯერად ის ადგილი, სადას უნდა ჩაეფიქრებოდა იგრძო, შწარედ აეწევა. საწამლავი სად შეინახა, აღარ ახსოვდა და იმაზე დაიწყო ფიქრი, გაესხენებინა თუ არა. სიკვდილის შიში ერთი უმთავრესი ადამიანური თვისებაა და თუ ადამიანმა არაფერი შეიმჩნია, ან სენჯემ არაფერი შეიმჩნია, ან სტეგმა — თუნდაც სოკრატემ — არაფერი შეიმჩნევს, იმიტომ კი არა, რომ არ ვმინოდით, არამედ იმიტომ, რომ შიში ზელოვნებად დამალეს და ბუნებას აუმღვრდნენ. ბუნების წინააღმდეგ ამბულრება კი უგუნურებაა. წერონზე შორს ამ გზაზე არაფერ წასვლა და წერონზე უფრო არავინ იცის, რომ ბუნების წილბით შეცვლა შეუძლებელია, რადგან ეს ღმერთების არსებობას ხიფათს უქმნის, ხოლო რაკი ასეა, შიშის გამოყვავება არ არის სირტყელი, პირიქით — შიშის დამალვა სირტყელია. გონიერების მავალით კი უნდა უნდა მისცეს ადამიანებს, თუ არა ადამიანთა შორის უყუთესმა?..

ასეთი ხსენა ვასპორში ჩავარდნილ პატივმოყვარეობის თავიდან კარგ სალბუნად დავედო და წერონს გულს მოეფონა, მაგრამ მალე ისევ შემოგპარა ეჭვი: თუ შინც ისა სჯობს, სიმამარი მავალით მისცეს ადამიანებს იმპერატორმა და არა შიშის?...

საბოლოოდ გადაწყვიტა, დრო არ დეყარა და საწამლავი მოეძებნა, რათა საჭიროების შემთხვევაში ორივე მავალითის მისაცემად მზად ყოფილიყო, მაგრამ, მისად ვასპორად, საწამლავი ვერსად იპოვა, თუმცა მთელი ოთახი გადააქოთა. წერონი შეფიქრიადა კარგად ახსოვდა, რომ საწამლავი ნამდვილად წამოიღო. მაშ, რა იქნა? „აღბთ, ბიბლიოთეკაში დავტოვე“, — იმედიანად თქვა გულში მცირე ყოყმანის შემდეგ. ბიბლიოთეკა გვერდით იყო, მარცხნივ, და სწოლო ოთახისგან მდელი, მომუქრომებელი კარი ჰყოფდა. წერონი ამ კარს მიადგა. ჯერ მიაცურადა, მერე წელა შეალო. რაკი საშინი ვერაფერი შეამჩნია, გაბედა და ფრთხილად შევიდა. ბიბლიოთეკაში უფრო ბნელია, ვიდრე საწოლ ოთახში, და დიდხანს ვერაფერს ხედავდა ატარატვისის თეთრი ქანდაკების გარდა, რომელიც, პაროსის მარმარილოში გამოკვეთილი, შორეულ კუთხეში ისე იდგა, როგორც პატარა დღე დიდ დამეში. სირაელთა ეს ქალღმერთი შიში უკანასკნელი ღვთაებრივი საყვარელი იყო. ყველა ღმერთი რომ მოიბუღა, მთელი იმედები მანზე დამყარა, მხოლოდ მას სწირავდა მსხვერპლს, მხოლოდ მას ერთგულებდა და მხოლოდ მას ევედრებოდა შემწიობას, მაგრამ ბოლოს მასზეც აიყარა გული და ახლა, როცა აფანებულთა რაღაც ისე ვიწროვდებოდა, როგორც ყელში წაჭერილი ყულფი, აღარავინ ჰყავდა გვერდით, აღარც ღმერთი და აღარც



კაცო, რომ ავანკალბუღლი ზელი ზელში მოეკლდა და ცოტათივე შევება ეგვრინო...

ამასობაში სიბნელეს თვალი შეაჩვია და საწყამლავს დაუწყყო ძებნა. დიდხანს ეძია. თაროებზე, მაგიდაზე, ქანდაკებათა კერძობლებზე-ზე იატაკზე, გრანოლებს შორის, დაფებს შორის... საწამლავი უვალოდ გაქრა. ალბათ, მცველებმა მოიპარეს და თან წაიღეს, ან მსახურებმა... რა უნდოდა საწყამლავს ოქროს კოლოფში...

ნერონი უცნაოდ სიცივემ ატანა არათუ ღმერთი, არათუ მეგობარი და ახლობელი. საწყამლავი კი აღარ დაჩხა, სიცივილიც კი მოპარეს, რომ სიცივლებზე რაც შეიძლება დიდხანს სტანდო...

ბრიტანიუსი რომ მოკლა, იმ სიყინას შერე, დიდი ხნის განმავლობაში, გონებში თვალით თითქმის ურველდელ ზედავდა და გულმოდგინედ აკვირობდა. ძალიან აინტერესებდა, რა განიცადა იმ წამს ბრიტანიუსმა: მიხვდა, რომ სიცივილში ცივი ზელები მოხვია, რათა ცივ გულში ჩაეკრა, თუ არაფერი გაუგია და დღესაც არ იცის, ცოცხალია თუ მკვდარი?.. ახლა რომ საწყამლავი ქონოდა, ნერონს შეეძლო თავისი ეჭვები შეემოწმებინა, მაგრამ საწყამლავი გაქრა, რადგან ღმერთებს არ ესაძრუნებთ, ცხოვრება და ზელოვნება რომ ერთმანეთში აირიოს.

„არა, ბრიტანიუსი არ უნდა მომეკლა“, — გავლო გულში და იმე წამს თითქოს დინება კიდევ, როგორ შემოვირდა ავად გატრუნულ ჩაბნელებულ ხალხი გულთაღი მეგობარი ერთგული და მამაცი მეომრებით, როგორ დააფრინა მკვლელები, როგორ დააფრთხო შიში და როგორ მოიტანა იმედა. „ჩემო პრინცესო! აქა ვარ შენი ბრიტანიუსი! აქა ვარ ჩაქრობილია და ვინღესმისა და ვალბას მიერ გამორყვებულ ლეგიონები შეწყალვას გვავერდებიან. თერთნ ვინღესმისა და ვალბას დატყვევებულები გელან ოქროს სასახლეში!... დიდაც რომ შეიძლებოდა, ეს სინამდვილე ყოფილიყო და არა გაწირულს ფეცი ოცნება. ვითომ რატომ ვერ გახდებოდნენ გულითაღი მეგობრები, რომლებიც ერთი აზრით არაა გამსჭვალული, ერთი ფიქრით, ერთი იმედით, და ერთმანეთი საყუარო თავზე მეტად უყვართ?! ასეთ მეგობრებს აქავენებს ვინ გაუხდევს, ხიფათი ახლო როგორ გაეყარება?! „არ უნდა მომეკლა“...— გაიფიქრა ნერონმა, მაგრამ იმე წამს ისევ დაეკვდა. კარგი და, რომ არ მოკლა, რომელი მათგანი წარმოთქვა მდა, ჩემო პრინცესო! რომელი იქნებოდა იმპერატორი და რომელი იმპერატორის ქვეშევრდომი?.. ერთხელ, როდესაც ნერონი რამდენიმე ამფონთან ერთად — ყველას თრავიელ გლადიატორთა შარებები ეცეთ და თავზე ფრიგული ქუდები ეხურათ — იაფფაიან დექანში გვიან ღამით ლეონოს სვამდა

და ჩუბნის საბაბს ეძებდა, ერთი ეგვიპტელი მისანი მოუხუანეს, რომელსაც ეგვიპტელები ნიჭზე საფირველს ეძებდნენ. „რას მეტყვი?“ — ჰკითხა ნერონმა. „გეტყვი, რომ სამოსი ვერაფერი საძალგია და, ვისაც ცოტათი მაინც უტრის თვალი, ყველა ადვილად მიხვდება, უფალო, რომ იმპერატორი ხარ? — მიუგო მისნამა. ნერონს გაუცვიდა, მაგრამ არ შეიშინა — ამ კაცს შეიძლებოდა ადრეც ჰყოლოდა ნანაბი და ახლა რიდაცას ცუდლუტობდა — და უთხრა: „ვე ზომ მეც ვიცი. შენ ისეთი რამ მიხთარი, შე არ ვიცოდი!“ ეგვიპტელს ლამესავით შევი თვალები ჰქონდა და შეგ შეფარული და ცოტა უტრეფარი ღმილი ეგვა. „გეტყვი, უფალო, ისეთ რამეს გეტყვი, არც შენ იცოდე და არც სხვამ. დღეს შენს იმპერიაში შენს გარდა კიდევ ცხრა კაცი დადის, რომლებიც ღმერთებში უკვე აქურათებს იმპერატორებად და ახლა თავთაიანთ რაგსდა ელიან“. მისანი ღმილით უყურებდა და ცოტათი ტუტებოდა კიდევ თავისი წინასწარმეტყველებით, მაგრამ უხედურება ის იყო, რომ ნერონს შემოწმება არ შეეძლო. ისეთი რამის შემოწმება მხოლოდ ისტორიას შეუძლია, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი სამარტყენო საქმეები დავიწყებას გადავუტრია. ისტორიას დაითვისის იმპერატორებს და, თუ მართლა ცხრა გამოდგა, დასკვნის, რომ ის თამაზუტუა, გრძელცხირა ეგვიპტელი ქვეშაირტი მისანი უოფილა, თუმცაღა ამ დასკვნის დიდი ფასი აღარ ექნება, ვინაიდან მისანი მინობას შეეწირა, როგორც გმირი ეწირება გმირობას, და ართუ ოდენსმე ვინმე ვაბსევისონს, დღესაც კი მისი სახელი უკვე აღარავინ იცის. ერთადერთი, რასაც ისტორია ამ მაგალითის მიხედვით დაბეჭოთებით დასკვნის, ის იქნება, რომ თურმე მისნობა შესაძლებელი ყოფილა და ყველა, ვინც ამ საბეჭოთ ზელოვას მისდევს, თადლით არ არის... ხოლო რაკი ყველა თადლით არ არის, ადვილი შესაძლებელია, ცხრა იმპერატორს ახლა ტუბილი ძილით სძინავს... ცხრა იმპერატორი ნერონთან ერთად. ნერონის გვერდით. ზოგი ნუნობი, ზოგი უტნობი, ზოგი ახლობელი, ზოგი მომრება... „ნეტა ბრიტანიუსმა რომ არ მომეკლა... — გაიფიქრა ნერონმა, — მაინც ცხრანი იქნებოდნენ? თუ ათნი?“ უნდა იცოდეს, ვინ და ვინ არის... ალბათ, რამდენჯერ შეხვედრიხარ, რამდენჯერ დალაპარაკებხარ, რამდენჯერ წყალობაც მიგიგია... მოკვლით კი ერთხელაც არ მოგიკლავს... ელაყ-ვილაყები კი დახოცა ნერონმა, მაგრამ ისინი გამორჩა. „ვიცო დავ-ხოცე, ნეტა სულ ტუტელად დავხოცე, თუ ცოტათი მაინც შევამცირე იმპერატორების რიცხვი?.. იქნებ გაცილებით მეტნი იყვნენ და ცხრამდე ჩამოვიყვანე!.. მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარა აქვს. გინდ ცხრა ყოფილა და გინდ ცხრაყრ ცხრა... თუ ყველა არ დახო-

ცვ. ნაწილის დახოცვა რას გარგებს! ერთიც რომ დაეჩრქეს, შენთვის ისიც საეჭიროსია...“ შესაძლებელი რომ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, ისა სჯობდა, ყველა დაეხოცა. მთელი სენატი, ყველა კონსული და კონსულარი, პროკონსული ყველა გამგებელი, ყველა პროკურატორი, ყველა ლეგატი, ყველა ტრიბუნი, ყველა ვისაც კი რაიმე თანამდებობა ეკავა... შევ ეგვიპტელთან შეხვედრის შემდეგ ნერონი დაღბანს ფიქრობდა ამ გრანდიოზულ იდეაზე, რადგან ის ცხრა იმპერატორი არც დღე და არც ღამე მოსვენებას არ აძლევდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ გაბედა ხორცშეხება. ჩანს, ღმერთებმა ათქმეიწნეს უარი. მართლაც, თუ მისანი არ ტყუილად და ცხრა იმპერატორი ღმერთების მიერ იყო დანიშნული, ნერონი მათ როგორ დახოცავდა! — მოკვდებიან მისცა იმის ძალა, უცუდავის ნებას წინააღმდეგ — ხოლო თუ დახოცავდა, ეს იმის იწინა იქნებოდა, რომ ის მისანი ცრუ და მატყუარი ყოფილა, არავითარი ღმერთების მიერ დანიშნული იმპერატორები არ არსებობდნენ, და, მაშასადამე, ამოღენა ზოცვა-ვლენაც უნარო და უმზუნო აღმოჩნდებოდა. „რადღაც უცნაური შეუძახებოდა, — გაიფიქრა ნერონმა, — რადღაც გაუვალ ჩიხში მოვექცევი. ამის ახსნას ფილოსოფიური გამოწვევლობა სჭირდება... სწევია არ უნდა მომეკლა...“

ნერონი დაიღალა და იფლამა დაისხა. საწამლაგი არსად იყო. საშფოთროდ, უეცრად მიხვდა, რომ საწამლაგის გაქრობაში ღმერთების ხელი ერია. ვინც მოიპარა, უცუდავთა ბრძანებით მოიპარა. შერაიან ღმერთებს შიში ჰქონდათ, რომ საწამლავს შეეძლო ისეთი წრე შეეყრა, არსებობა ზელოვნებაში გახსნილიყო და სიცოცხლეს ღუთავბრივი ბუნება შეეძინა.

ამ მოსაზრებაში მალევე შეეპარა ეჭვი, რადგან მოეჩვენა, რომ თეთრი ატირგატისი მის ვარსულს არ იზიარებდა. არა, ღმერთებმა შეურის გამო კი არ გააქრეს საწამლაგი, არამედ ნერონის ხსნა გადაწყვიტეს, რათა ზელოვნებად ქცეულ სიცოცხლეზე ლექსი შეეთხზა და სადმე (ბერძანებს უნათ ესმით პოეზია, ვიდრე რომაელებს) კითხარაზე დაემღერებინა. მართლაცდა განა ღმერთების მზრავ მართებელი იქნებოდა, ამხედა ზელოვანი ისე მოველათ, უამრავი დიადი ლექსი, რომლებიც ბარტყებივით ესხა უბეში, დაუფრენელი დარჩენილად! ამის გაფიქრებაზე ძარღვებში სისხლი ძველებურად აუშობრავდა, ძალ-ღონე მოემიჯა და მხნეობით აუვისა. ახლა ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ყველაფერი სწორედ ისე იყო, როგორც იგარაუდა: ღმერთებმა გააღვიძეს შენაღმისისი, რათა დროზე გასცლოდა აქაურობას და, როცა მკვლელები ბღში შემოიცივებოდნენ, უკვე შორს ყოფილიყო... ეგვიპტეში წავა. ან სირიაში. ან სულაც პართიაში... ეს

აქანებდაც ღმერთებმა ჩააგონეს ვინდგეს. იმისთვის ააქანეს, რომ ბეჭედიც მისცა. მელიც ნერონს სომღერბი მისცა მისცა მისცა უნდა მიეძღვნა, იმპერატორობაში არ დაეარგა!

ამ რწმენამ მათობელა ტალღად დაეარა სხეტელში და თავი საამო და გამობრებებელი ბანჯით აუესო. სწრაფი ნაბიჯით გამოვიდა ბიბლიოთეკიდან, გაიარა ცარაილი დარბაზები და, ტუნეისამარა და ფეხშიშველა, წინაარბი გავიდა. ის იყო, მარმარილოს სვეტების მომცრო ხეივანსაც გასცდა და კობზე უნდა დაშვებულყო, რომ უეცრად ტანიდან მოესხა:

— სად მიდიხარ? — გათვარებელი ნავერჩხალი იუბიტერის მომავიდენებელი ცეცხლივით ჩაერტო თავში და მწყურალი შიშინით წაიღია ქვევით. ელდა-ნაკრავი იმპერატორი, ფეხშიშველა და ტუნეისამარა, ერთბაშად ფეხშიშველა და ტუნეისამარა იმპერატორის ელდანაკრავ ქანდაკებად იქცა, რომელიც არაბუნებრივ მონაში იღვა. იუბიტერის ცეცხლი დიდი სისწრაფით მიარღვევდა სხეტელს და, მართალია, თახითქის რაღაც ახლდა ისეთი, რაც გამთანავ შიშს ეტრჩებოდა, მაგრამ ზარდაცემულ გონებს ირგვლივ გაუვალ სიბნელე ეტრტა. მხოლოდ მის შემდეგ, რაც შიშშიმინე ნავერჩხალმა შეიღო სხეტელი გაიარა და მთავარი ელდაც გაიტანა. ტერნი ოდნავ შეიჩხა და ნერონმა მოხუცი გაღის ხმა იცხო. ნელა შეტრიალდა, ძარღვები ჯერ კიდევ მოღუნებულ ქქონდა და ძალგამოცლილი ფეხებიც მომჩერარულ სხეტულს ძლივტლივობით იმატრებდნენ.

გაღია — პატარა, დაშქნარი, წელში მოკაცული — ჩამქრალი თვალეზით შემოსიქვეროდა.

ერთხანს დღმილი იღვა. ბოლოს, როგორც იქნა, ნერონმა თავს სძლია:

— მცველები რა იქნენ? მსახურები რა იქნენ? ხალხი რა იქნა?

გაღია ისე მისჩერებოდა, თითქოს მისი შეკითხვა არც გაუგია. მერე მშვიდად თქვა:

— წავიღენე. ახლა ჩემს მტერი არაიენ გქირავება. მე კი აქა ვარ. რატომ ადღევი ამ შენაღმისას? ძილი რატომ დაიღევი? ადამიანის ფერი არ გადევს. რა იყო? გეშინია? მერე რას იილი მაინც არ უნდა დაგველო. რაც არ უნდა თქვან შენმა ბრძენმა და სწავლულმა გქომებმა, ჯანმრთელობის ორი მთავარი საწინდარი ის არის, რომ ძილი არ დაიყო და ბშირად იარო ფეხშიშველამ. შეკობებულოვით კანკალუმ ამ სიცხეში. წამოიღო, თხის რქის დაგავივნებ, დღეს მაინც არ უნდა დაგველო ძილი. უკანასკნელი ძილი კაცმა კარგად უნდა გამოიყენო. აწი ვინ დაგაძინებს! ნუ გეშინია, შენი მოხუცი გაღია არ მიგატოვებს. ახლა მთავარია, ბუდის განჩინებას ღირსეულად შევხვე



და ლაპარაკის მოყვარულ რუმს სალაპარაკო არ მისცე. დანარჩენზე წუ იღარდებ. ისე აგებე წყის, როგორც ცეხარს ვეადრება. რა იყო? არ იცოდი, რომ შენი ბოლო ეს იქნებოდა? აბა, ამდენი შავალითი რისთვის გიღვეს წინ? აი, თბილისბოლი რძე, დაიყო, მოგზიდება სიკვდილის წინ თხის რძეს არაფერი სჯობს. მე ყოველდღე ვსვამ, სიკვდილმა რომ რძედავლევებზე არ მომისწროს. გემა? ავი გითხარას! ახლა წადი. ტოვას წუ ჩაიკმევა. ავირ, ეს ლაბადა წამოსხი, გზაში არავინ გაცნოს. სწორად იხევი სახე ვაქვს, როგორც ბავშვობაში გქონდა, სასალეში რომ პირველად მოგაყვანია. ამბებელი დადიოდი, თვალბეს აქეთიქით აცეცხდი და დედაშენს ერთ მტკავებზე არ შორდებოდი. მაგრამ ახლა ხომ ბავშვი არ ხარ! შენით თუ ვერ მიხვდი, ამდენი მასწავლებელი რისთვის გვავედა ერთ მანც ვთქვა, რომ ადრე თუ გვიან არ შეიძლება და ეს დღე არ დამდგარიყო. აბა, რა ვიცოდი, თორემ მე გეტყოდი. ვეტყოდი, რომ ქვეყნის გამგებელს სიკვდილზე უფრო ახლობელი ქვეყანაზე არავინა ჰყავს. წამოდი, როგორ ჰგავხართ ყველანი ერთმანეთს... ყველას მოგესწარა. ნამდვილი ცეხარის ვარდა. ის ადრე იყო. სხვა ყველამ ჩემს თვალწინ ჩაიარა. ყველანი ჩემს თვალწინ დაიხრენენ... ოქტაბრისთვის მოვესწარი, თორღ ოქტაბრე ჩემს დროს უკვე მოხეცი იყო და გვარიანად გომიერებებელი — ან კი მისი ცოლის ხელში რა სიყვით დავყრებოდა! სისხლიც მოვიკვებელი ჰქონდა... შენ ყველაზე უფრო ხარ ტიბერიუსის კარგი იყო, რაც მართალია, მართალია, მაგრამ შენ სხვა ხარ. შენი სიძულელი ხალი-სიანია, დაუდევარი, დეთაბრივი. ტიბერიუსის სიძულელი ქეში იყო, მძამე, ნისლოვანი. სწორად ამიტომაც, რომ შენ თამაშად და უშინად დაგვიან, მის დაცინვას კი ვერ ბედავდნენ, მისი ჩრდილისაც ეშინოდათ. დაცინვაში უოველთვის ურევია სიყვარული. ტიბერიუსი საყვითარ სიძულელში იხარებოდა და დეთაბრივი არ იყო, შენ მეღამ შენს სიძულელზე მთლა იღვეი და დეთაბრივი ხარ. ტიბერიუსს ეშინოდა თავისი სიძულელის და დედის მოკლა ვერ გაბედა, შენ კი დედაშენი იოლად და არხენად მოკალი, ამიტომ რომ აღამიანებს ისეთი სიმალიდან უუბრებდი, საიდანაც ძალიან პტარები და უშინოვარონი ჩანან. მაგრამ მთლად დეთაბრივი ვერ გაბედა, რადგან, შენი ქერი რომ დადგა, ვეღარ შესძელი, შენი თავიც იმ სიმალიდან დაგვანახა. აქეთ წამოდი. იმ კარიდან სჯობს ვასვლა. არაფერი. მთლად დეთაბრივი მხოლოდ დეთაბრივი არიან... აბა, გასწი. შვიი ცხენი შეგირაბი — სიბნელეში არ გამიჩნდება. პირდაპირ ფაონის მამულში წადი. მიანცდამიან თვაყე-ული წუ ივლი, ვინმე არ გადაგყვაროს და არ გაცნოს... ევაფროდიტუსი და სპორუსი მოგე-

ლიან იქ. ცოტა ხნის შემდეგ მე მოკალი. გამხვევი და თავი არ შეიკრებინე, ავიდა ისე მოიქცე, ვითომ არ გეშინდა. ავიდა ვინმეების სიმალიდან ვერ მიალწე, მაგრამ აღამიანების სიმალიდან მანც ასუდები...
 უკან ქალაქი გუბუნება, ხალხის შორეული ხმარის ისმოდა და ანთებელი ჩირაღდებზე პეპლებითი ფარებებდნენ ჰაერში.
 ნერონი შავ ცხენზე იქდა, შვიი ლაბადა ცეცხა და შავ ლამეს ფრთხილად მიარღვევდა. დრდი გზა არ ჰქონდა ვასავლელი ფაონის მამულამდე ქალაქის ბოლოდან სულ სამი-ოთხი მილი თუ იქნებოდა. გზაზე კაციშვილი არ ჰკანებდა. ქალაქში კი ხმაური იზრდებოდა და თითქოს თანდათან ახლოვდებოდა. ნერონი უკან არ იუბრებოდა. წელანდელი შიში სადღაც გამჭარალიყო. შიშის მივიერად გულში ახლა ნაღველი ეღგა, მწარე, ვნით გამოთქმელი ნაღველი, და ასე ეგონა, ხალხი კი არ ხმაურობდა მის ზურგს უკან, ხალხის ყვირია და ღრინაველი კი არ ახლოვდებოდა, არამედ თავად ქალაქი რომი აღმდგარიყო, დაძრულიყო ეს ვეება, საშინელი ურჩხული, სიყვარულ-სიძულელის გაუგებარი და ამოუხსნელი გორგალი, დაძრულიყო თავის საბუღისანად და სასახლებიანად, ტაძრებიანად და ქანდაკებუ-ბიანად, ქუჩებიანად და მოედნებიანად, დაძრულიყო შეიღვებორცი და ფეხდაფეხ მოს-ღვედა. და ნერონმა არც კი იცოდა, რა ერ-ჩინა: გაქცეოდა თუ ვერ გაქცეოდა.
 უკან ხმაური იზრდებოდა, ჩირაღდების რიცხვი მატულობდა და ქალაქი ასე ჩახჩახებ-და, თითქოს ხანძარი ვასჩენიათ, წინ კი სიბნე-ლუ და სიწყნარე იყო. ნერონი თავისდაუნ-ბერად ყურის უგდებდა ქალაქის ხმარის და ნაღველი გასწილი შიშით გაყვნილად გუ-ლში დროდადრო მწარე სიძულელი უფეთქავდა. სულელი რომაელები თავიანთი სიძულელის გამო დაწმუნებული არიან, რომ, როგორც კი ნერონს მოიშორებენ, მუსიკე დეთაბრივი სამართლიანობის მარადილ ნათელში შეე-ღერ. ბრმა გულმბრწყლიობა. კუთმოკლე სი-ხარული. ბერწი შეხსიერება. ამათ სიმაღე გა-ნახლება ჰკონიათ და ამიტომ დღეს ისეთივე აღტაცებით ზეიმობენ ნერონის დამბობას და ვალებს აღზევებას, როგორი აღტაცებითაც გუშინ კლავდიუსის დამბობა და ნერონის აღ-ზევება იზეიმეს. ცხარა იმპერატორი კი თავის რაგს ელის. და ტრიალებს ასე უფითროფელი ბრმა შერისსივებასა და ცრუ იმედს შორის... ამოებდა... და ნერონიც, ამხელა ხელოვანი, ისე გაიხსნა და განზავდა ამოებში, ერთი ღრსე-ული ლეჭი ვერ შეთხზა... რაც აქამდე უყე-თებია, მხოლოდ მზადება და ვარჯიში იყო. ნუთუ უოველივე მზადებით უნდა დამოვირ-დეს?... რად გინდოდა ეს იმპერატორობა?... რა ხმლად და ფარად გამოგადგა?... რატომ



გაუმხევენი ასე უწყალოდ გზავდას ღმერთებში, რატომ?! ახლა რომ ყველაფერს თავიდან დაწყებდა შეძლებოდა, ნერონი ბრტყლიყურს დაუთმობდა პირველობას — თავლის ჩინივით გაუფრთხილდებოდა, რომ შემთხვევით საჭმელში საწამლაი არ შექყოლოდა — თვითონ კი ფაფუც ღრუბელში გახევეოდა და სამხრეთის ნიავს გაჰყვებოდა, თავის სიცოცხლეს ლეკსებოდ დაჭრიდა, ტუბილი სიმღერის ნაქრობს ჰერველში ჩააწყობდა და ხელოვნების წმინდა ცეცხლზე მსხვერპლად მიიტანდა, რათა შეწირული მსხვერპლისაგან სხვა სიცოცხლე წარმოქმნილიყო, რომელიც მარადიული განახლებლის უსასრულო ცილების ბოლოს ზეცოვარ შექვერავლზე შეუღამდა ფეხს, სიდაც დიდი უსინათლო უცდავ ღმერთებს ლეკსად ებასებდა ეს იყო ნერონის მოწოდება და არა იმპერატორობა. მაგრამ ნერონი ამას გვიან მიხვდა... თუშეცა, ვინ იცის, იქნებ არც არის გვიან?... ახლამდეღ ლამეს თუ ვადაურჩია... ფარონის მამულში ეპაფროდიტისი ელისი იქნებ ოსტიაში ხომალდი ჰყავს ვამბადებელი? იქნებ მოესწროს გაქცევა?... გადიას სიბერისაგან ტენი გაწყალებული აქვს და ამტომ რომაის სისულელებს...

მარციუსის არბი ვადაჭრა და ფარონის მამულამდე თოქმის აღარაფერი ჰქონდა დარჩენილი, რომ უცებ მარჯვნიდან, სიდაც პრეტორიის ბანაკი იყო, გზაზე რამდენიმე მხედარი გამოჩნდა. ნერონს გული გაუცოვდა და ცხენი ინტიმტურად შეაყენა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და მვისეე ისევ განაგრძო გზა, ოღონდ ოდნავ გვერდზე კი შებრუნდა, რომ სახე არ ეჩვენებინა.

მხედრებმა ერთი შეავლეს თვალი, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევიათ, თავიანთი გზით წვიდნენ. ნერონმა შევებით ამოიხუნწოა და იმავ წამს კიდევ ერთი მხედარი დანახა, რომელიც, ჩანს, დანარჩენებს ჩამორჩენოდა. დიდი იყო, ფართო მხარბევი ჰქონდა, განახლებული იქდა ცხენზე და თავისთვის რალაყს ღლიწებდა. ნერონი რომ დაინახა, ღლიწი შეწყვიტა, ვერადღებოთ დაიკურდა, ერთბაშის ასე უყვარა, მერე უცებ თავისი ცხენი მის ცხენს გაუპარდაბიარა და ნაბიყვად აუჭქარა. ნერონს ისევ გაუცოვდა გული ნუფთ ეს არის? ნუფთ ეს დათვი აირჩია ზედისწერამ იმპერატორის მკვლელად?... მხედარი აშკარა ქაღილით მოდიოდა და ნერონის გული — პატარა, გამხმარი, უსიცოცხლო — მკერდის ბნელ ღრუში უსასოერო ცხობებდა და უხუმოდ ფუთქავდა. ნერონი ცუცობდა სახე მოვრიდებინა, თან ჩემად უფელათვალებდა. ჭერ ანიკეტუსს მიამსგავსა, მერე ანიკეტუსის ცენტურიონს, რომელიც ანიკეტუსს ჰგავდა ერთი დაპირება დაამირა, ცხენი გვერდზე გაეყვია, მაგრამ ძალა არ ეყო. რადესაც სულ ახლო მოვიდა, ისე რომ ცხენებმა ლამის შე-

ბლი შებღს მიამჩინეს, მხედარი უცებ შეკრთა, თვალები გაუფართოვდა. რამდენიმე წამს სწრაფად მოვიდა მათხმელისმამხ ნერონს გზა მისცა, თან შიშით, განცეაფრებით თუ სიხარულით — ამის გაჩყევა ძნელი იყო — ისე, თითქოს ყელში გაჩხერილი ღუქმა უცანვე ამოგდო, ამოიძახა:

— დიდება ცეზარს!

და სწრაფად გაეცალა. ნერონი გახევედა. ერთბაშის ასე გახევებული იღგა. ფიქრები დამფრთხალი ჩიტებივით გაიფანტნენ. ბილოს, რაგორც იქნა, დამწვიდდა და გულში იმედი და სიხარული ემობრავდა. მეომარმა იცო. იცო და, ამის ნაცვლად რომ მოეცა, საღამო მისცა ვინა მთელი ლეკვარი ასე არ მოიქცევა? იმპერატორის ურჩობა ადვალა, სანამ იმპერატორი არა ჩანს. რაგორც კი დაინახვენ, ყველანი ასე შეშინდებიან. შთავარია, ნერონმა გახედოს და თვავეული, მხენ ნაბიჯითა და ზვიადი ღლიწით, წარდგეს ხალხსა და ლეკვარს წინაშე...

ცხენი ნელა მიატრიალა და გაიხედა, მაგრამ ქალაქის ბორცვებზე რომ ურიცხვი ჩირალდანი დაინახა და ყრუ გუფენი გააგონა, რომელშიაც არტახებმეხსნილი მუქარა იღგა, ცხენი უცანვე შემოატრიალა. არა, ის ქალაქი — ანთებელი, აღტკნებელი, იმედიანი — მისი აღარ იყო.

ეპაფროდიტისი გზის პირას დახედა, ფარონის მამულის კუთხეში, სხლიდან კარგა მოშორებით. ნერონს არ დაუნახავს. მაშინდა შენახა, ხმა რომ შემოესმია:

— აქეთ, ჩემო ბატონო, აქეთ მიდის ჩვენი გზა.

ნერონმა ცხენი შეაყენა და ეპაფროდიტისს გაეკირვეებით შეხედა.

— ჭიშკარი ვინა იმ მხარეს არ არის, ეპაფროდიტს?

— მთავარი ჭიშკარი იმ მხარეს არის, მაგრამ ახლა ყველა ზედებტი თვალი საშინია.

ამ სიტყვებით ცხენს აღვირში მოუვიდა ხელი და უკოთხავად წინ გაუძღვა.

„ჩანს ოსტიაში ხომალდი მელისი“ — იმედიანად გაიფიქრა ნერონმა და იმავ წამს რისხვამ წამოხტარა. რიონის იმპერატორის არ შეპყვარის უცანი კარიდან ქერდულად შესვლა მაგრამ თვითონვე მიხედა, რომ მისი რისხვა უილაქო იყო, და განუშემა ამყობინა.

ზადს ქვემოღან შემოუარეს და უცანი, ეიწრო კართი შევიდნენ. აქ მარჯვნივ გახევიეს და სულ ბოლოში, ყველაზე შორეულ კუთხეში, ერთ რალაც მომკრო საღვომს მიადგნენ, რომელიც საბნელეში ნერონმა საშლოცვლის მიამსგავსა. ეპაფროდიტისი შეჩერდა და ცხენი შეაჩერა. ნერონი ჩამოქვეითდა, ეპაფროდიტისი კვლავ წინ გაუძღვა და რკინის დაბალი კარი შეიღო. შიგნით შუქი გაერთა. ნერონი კარის კიბეს დაუფთა რომელიც კარგა



ღრმად მიდიოდა ქვევით, ახლა აქედრობა ქვის უსწორმასწორო იატაკითა და ქვის კედლებით აკლდამან უფრო ჰკავდა, ერთ მხარეს ქვის მაგლია და რამდენიმე ქვის სკამი იდგა. კედლის შემადგენელ შებენილებზე ღამთა ერთი და ვერცა სარდაფს მოიღვებოდა. მკრთალ შენეს მყვნიდა. იატაკის შეფუღებაში შეშა ეყარა. ფაონი და სპორტის აკედლთან იდგნენ ღამის ქვეშ. სპორტის საწყობებელი სახე ჰქონდა და ნერონმა დაეცემათ გაიფიქრა: „ერთი მულის ხომალდი რატომ?“

გაფროდიტესმა კარი დაკეტა და თვითონაც ჩამოვიდა.

ნერონმა დიდ ნაღველს ახალი ნაღველი დაემატა, რაღაც უცხო და გაუგებარი ნაღველი, ამიტომ შეეცადა, რაც შეიძლებოდა, მხნედ ელაპარაკა.

— აბა, რას მეტყვით, მეგობრებო, ახალს? მაგრამ იგრძნო, რომ ეს „მეგობრებო“ ლაქტაციუსი გამოეძვირა, და გული მოეწვა.

— დრო ცოტა გვაქვს, ჩემო ბატონო, — წყნარად მიუგო გაფროდიტესმა.

და თუმცა ნერონს მისი ხმა მოგუდდელი ეჩვენა და წამით ისეთი გრძობა გაუჩნდა, თითქოს სამართად ელაპარაკებოდნენ, თავს ძალა დაატანა და გაიფიქრა: „ოსტიაში ხომალდი მულის“. მერე იმედინად იკითხა:

— მიგვიყარათ?

გაფროდიტესმა შეხედა, ოდნე ამქვრად თქვით აღარაფერი უთქვამს, უსწოდ შებრიალა, კედლები დატანებული საშალავიდან, რომელიც ნერონს არ შეუძინებია, ხანძალი გამოაჩნო, შემოტრიალდა, წამოვიდა, ხანძალი მაგიდაზე დადო და ისევ ისე უსიტყვოდ შეხედა ნერონს. ნერონი მიხვდა, რომ ყველა იმედი მყვანი უყოფილა, და გაფროდიტესის მივიდა, უშფოთველი სახის დანახვაზე უცებ გაიფიქრა: „რატომ ეს კი არ მოვიდა? თითქმის ყველანი დაეხოცე. დორითერუსიც კი არ დაეინდე, მოუხედავად იმისა, რომ არაფერს ვეშარტებოდი, მართო ეს დაეტყვარისთვის?..“ დაიძაბა და შეეცადა გაეხსენებინა, მაგრამ დაფანტული გონება, რომელშიც რაღაც ურდ, გაუგებარი გუფენი იდგა, არ ეშორებოდა და იძულებული შეიქნა ამ უამელო მკვლელობისთვის თავი მიენებებინა „ალბათ, ამ დღისთვის. ალბათ, დემრთებში შემომანახებინეს...“ მერე გაფროდიტესს თვალთ აარიდა, ნელი ნაპოლო მიუბარლოდა მაგიდას, ქვის უხერტო სკამზე ჩამოყდა, ხანძალი აიღო, ერთხანს უნაზოდ ათვლიერა, წვერიც მოუსინჯა და ისევ მაგიდაზე დადო. „ხომალდი არ მულის, ყველაფერი დამთავრებულია...“ — ნაღვლიანად გაიფიქრა. მერე უცებ ფაონს მიუბრუნდა:

— ერთი წამი ღვინო დამალეინე, ფაონ ღვინო თუ არ გავს, წყალი მაინც დამალეინე! დაოსმა მაგიდის უკან, კედელში დატანული

განჭიდან, ვერცხლის მიწოდება სურა და ვერცხლის თასი გამოიღო. **სურათი** აივსო და მოწიფებით გაეფიქრა. **სურათი** ართვა, ნელანელა დალია, სვენებ-სვენებით და, რომ დაეცა, ჰკითხა:

— ვეზუვისაა?

— ვეზუვის გახლავს, უფალო. სულ მარცხელმარცხელ მაქვს გადარჩეული.

ღამის შექი, ხანჯლის მოეღვარე პირიდან ცრად ასხლეტლი, პირდაპირ ნერონის თვალებში იმსხვრეოდა, რის გამოც ხანჯალიცა და მთელი მაგიდაც სხივების ნახლ მოცახებ, სკელ, ნახევრადმკვარავლე ბურუნში იყო გახვეული და ნერონს წამით მოეჩვენა, ფითქოს ეს ხანჯალიც, ეს მაგიდაც, ეს პირქვეში ბინდში ჩაფლული ქვის სარდაფიც, მთელი ეს კომპარტული ღამე, სინამდვილეში კი არ არსებობდა, არამედ მხოლოდ მის წარმოსახვაში, მის სატყეოების ლექსში, რომლის შეთხზვებზე მთელი სიცოცხლე ოცნებობდა და ბოლოსდაბოლოს, როგორც იქნა, შეთხზა, და სულ მალე, ამ ღვთაებრივად ტრაგიკულ ლექსს რომ კეთარაზე ბოლომდე დამდერებდა, ეს შემადრწუნებელი და აძალღებელი ხილველ გატრებოდა, ეს საშინელი და უწმინდესი ღამეც გათენდებოდა და იმპერატორი ოქროს სასახლის დიდ და ნათელ დარბაზში აღმოჩნდებოდა, მიღიმატე, ბედნიერი, აღტაცებული მსმენელებით გარშემორტყმული.

მერეც წამს, როდესაც ამ დიადი ხილვით გამოწყვეტლმა ცრე ნეტარებაში მთელი სხეული გაიარა, ფეხსივრებებიდან გავიდა და თავის გზაზე სასოწარკვეთის სიცარიელე დატოვა, რომელმაც შეზღუე ოფლის ყინულოვან წვეთებად გამოეონა, ნერონმა აჯანყლებული ხელი გაიწოდა და ხანჯალს ოდნე შეუცვალა ადგილი.

ფაონი კვლავაც დამურავს ვეზუვის ღვინოს. დინჯად გადარჩევს მარცხლებს და ყურადღებამ არ მოაქცევს იმას, რომ ცოცხალია, ვინაიდან სიცოცხლე მისთვის იმდენად ბუნებრივი და ჩვეულებრივი რამ იქნება, აზრადაც არ მოეცა ბედნიერებად ჩათვალის.

ყველანი დარჩებიან... მთელი იმპერია დაარჩება... მხოლოდ ნერონი წავა, ოქროს სასახლეც დაარჩება. მაშ, რაღაც უნდოდა? რისთვის ააგო? რატომ იწვალა?.. ამოთება... ამოდენა ქვეყანაზე იმპერატორს ერთი პატარა თავშესაფარი აღარ დარჩა, სადაც შეიძლებოდა თავის იმპერიის დამალუკოდა... ამოთება... რად გინდა იმპერია, თუ შენ მოკვდები და ის კი დარჩება! რამოდენა ნუგეში იქნებოდა, ყველაფერი რომ ჩვენთან ერთად იღუპებოდეს!.. აეგებ მუდღიან ღმერთები, — გაიფიქრა და შეეცადა, სასოწარკვეთიდან უფარსკეული იმედი გამოეწერა, — აეგებ ბოლო წამს უცხო სასწაული მოვალნიონ და ჩემი მომავლევი მზე ახალი ბრწყინვალეობით აინთოს! ადამიან-



ნებმა თუ არ იციან, ღმერთებმა ხომ იციან, რაღა ვერ! ანუ ხელოვან ისე როგორ გა-
მიმეტებენ, სუვეთესონ ღმერთებმა შეუთხოვე
ღმერთებს...»

— ეპატროლიტუს, — თქვა მცირე დემო-
ლის შემდეგ, — დარწმუნებულა ხარ, რომ
გაქცეას ვერ შეეძლება? ნუთუ ყველა გზა
მოჭრილი გაქვს?

— ყველა გზა მოჭრილი გაქვს, ჩემო ბა-
ტონო, — მშვიდად და, როგორც ნერონს მო-
ეჩვენა, ცოტა შშრალადაც მიუვცო ეპატრო-
ლიტუსმა, — ერთი გზის გარდა.

„პირველ რიგში ეს უნდა მომეცა“, —
გაფიქრა ნერონმა. მერე მსუბუქად ამოიხარა
და სინანული ჩაიღაპარა:

— რამხელა ხელოვანი ვიღებები!

ამის შემდეგ ერთხანს ჩუმად იჯდა. მერე
ისევ აიღო ხანჯალი, ატეკარებლად, დაყვირ-
ვებით მოესინჯა წვერი და უცებ წყროშით
თქვა:

— ამ ხანჯალს ალესვა ავლით ერთიანად
ღამიძენს!

ეპატროლიტუსმა ფაონს ანიშნა. ფაონმა ხა-
ნჯალი აიღო, სარდაფის შორეულ კუთხეში
წაიღო, ჩაუვსქდა და ლესვა დაუწყო. ნე-
რონმა გაახსენდა, ცოტა ხნის წინ რომ ღო-
გინში დანების ღვსის ხმა ესმოდა. მაგრამ
ის ხმა ამ ხმას არ ჰგავდა. ეს ხმა ისეთი იყო,
თითქოს ქვეშე კი არა მის ძელებზე ღვსა-
დნენ, და გააფრთხლა. მერე უცებ ღვსის
ხმას რაღაც სხვა ხმა შეერია. ნერონმა გა-
ვიჩვენებთ ასეა თავი, სპორტის ტეროდა.

ეპატროლიტუსი სპორტის მიუბრუნდა და
მის მშვიდ ხმაში ამყარად წყრომა გამოყრია:

— გაჩემდი!

— ნუ დაუშვო, ეპატროლიტუს, — წენა-
რად და ნაღვლიანად ეთბრა ნერონმა, —
იტიროს. იტირე, ჩემო ბიჭუნა. შენი ცრემლი
წმინდა ნაკადულივით გამოძვება. წინ და
მტერიან გზას დამინამებს... რამხელა ხელოვანი
ვიღებები!.. ეს შენა ჩემთვისაა, ეპატროლი-
ტუს?

— დიას, ჩემო ბატონო.

— ფაონმა ხანჯალი მოიტანა და, როგორც
ძვირძღისი ძღვენი, მოწმწებით დაუდო წინ. ნე-
რონმა აიღო, ავლავ გადსინჯა სიმკრეღე, მე-
რე ორივე ხელი ვადაში ჩააგდო და წვერი
ყელში მიიჩინა. ცოტა ხანს იყო ასე და ხან-
ჯალი ისევ მაგიდაზე დადო.

— მწელია, ეპატროლიტუს, — თქვა ნაღ-
ვლიანად და ცოტა პირველად, — მე ხომ ამ
საქმეში გამოცდილება არა მაქვს!

— დრო აღარ ითმენს, — მშვიდად მიუვცო
ეპატროლიტუსმა.

„სხვა მაინც მოკლავს, ადრე ეჩვენა თუ
გვიან“, — გაფიქრა ნერონმა.
— რა გუპარავს? —

— სადაც მოვაფანებენ, — ისევ ისე მშვი-
დად მიუვცო ეპატროლიტუსმა, — ცოცხლად
თუ ჩაგადგენს ხელში, ბრბოს წინაშე გაფრ-
ვანენ და წინაპართა კანონით სამარცხენო
წამებით ამოგხდიან სულს.

„ნუთუ ჩვენი წინაპრებაც ჩვენსავით გულ-
ბოღმიანები და დაუნდობლები იყვნენ?!“ —
გაფიქრა ნერონმა და უცებ ყელში ბრაზი მოაწ-
ვა. ბრაზი უღალატო იყო, უსასო, უღონო, მა-
გრამ მაინც ყველგან შეაღწია, სადა ჯერ კი-
დედ ედგა გამარებელი სიცოცხლე. რას ერ-
ნით, უცდავებო, სიწყალ კაცს? რატომ დაუ-
დგინეთ, რომ ადრე თუ გვიან ყველაფერი
უნდა მოვითხოვს და ყველაფერი უნდა
გადახდეს?! როგორ აუფერულებს ჩვენი
ნამოქმედართა სიღიღესს შურისძიების ეს
მუდმივი შიში! რატომ უნდა მოგვეყოფოს?
რატომ უნდა მოგვეზღოს? რატომ უნდა გადა-
გებულს? რატომ გვაღებთ ზოროლოებს და რა-
ტომ არ გვაძლევთ ვასაქანს, უცდავებო?
გმურთ აღამიანის თავისუფლება? — თუ გე-
შინათ აღამიანის თავისუფლებას?..

უცერად გარბიან ყრუ, გაუჩვენებელი ხმა-
ური მოისმა. ნერონი შეერთა, ყური მიუვდო,
მერე ეპატროლიტუსს შეხედა.

— რა არის ეს, ეპატროლიტუს?

— მოვიდნენ, ჩემო ბატონო, — ეპატრო-
ლიტუსის ხმაში ლაგამიშობებულმა მოუთმენ-
ლობამ გამოყრია, — უნდა აქაპრდე...

სპორტის ტეროდა, ნერონი მიხვდა, რომ
ახლა კი ვამბე დაქრა. თუ არ გინდა, წამე-
ბითა და სამარცხენო სიველით მოკლდე...
ხანჯალი აიღო და ორივე ხელით ჩაბღუჯა.
„ალბათ, დედაქმნა აგრიანამაც გამოსცადა
ეს ძაწოლა, ქვეყნაურების შთელ სიმწარეს
რომ შენს პატარა, აყრწყალბებულ გულში მო-
ეყრია თავი და ისე აწვევა თბელ სუსტ,
მორთოლყარე კედლებს, სადაც გაგლენს და
ნაღვლეთებად აქცეას... რამდენი მშვენიერი
ღმერთი მარტება შეუთხოველი...“

ხანჯალს წვერი ყელში მიიბჯინა, მაგრამ გა-
მიფიტულ სხეულში ძალა ვეღარ იპოვა და
ეპატროლიტუსს მიუბრუნდა:

— მიმხმარე, ეპატროლიტუს...

ეპატროლიტუსი მშვიდად მიუბლოცდა, ოდ-
ნავ დაიხარა და, რაღა ხანჯალს ვადაზე აღ-
ვილი აღარ იყო დარჩენილი, თავისი ხელები
ნერონის ხელებს შემოაკვლო. ეპატროლიტუსს
ხელისგულები ტენიანი ჰქონდა და ნერონს
გულში უსამოვნო გრძნობამ გაქცა. მერე,
იმ ერთი თვალის დახამამებაში, ჯერ კიდევ
რომ ჰქონდა დარჩენილი, სახეში შეხედა და

მოეზღვნა, თითქოს იმ კმეოფილებს შეუშინებულმა ჩრდილმა გადაირხანა. ამის გამო ვუღლებ მწარედ უკბანა ჩაღაცამ, დაამირა ვიდრე ვბრძანებინა, შეწყვიტეო, მაგრამ ვეღარ მოასწრო. უკანასკნელი, რაც იგრძნო, ის იყო, რომ, როდესაც ცეცხლოვანი ტყვილის პასუხად თავისდაუნებურად სასოწარკვეთილი ბრიალით ამოიძახა „ააააა“, ამ „აა“-ს წინ რაღაც უცხო ბგერა უძღოდა, რაღაც სამარცხენო, გაუჩინდავი, ბარბაროსული ბგერა, რომელიც ტყვილსმოვან ლათინურ ენაში არ არსებობდა.

დასასრულად გინგლინიონებს

(ღმერთების კორო და იუმპეტერი უსიტვეოდ)
კორო — ო, დროის ტეზილია ზაზო —
განუენილობის გეომეტრიული კრილობავ;
ო, მრავალუთხედის გვერდებო — უსასრუ-
ლობის ტუსაღებო ეამიერების სამატომრო-
ნაი ო, მიჯნის ღვთაებრივო ერთანტელთ ო,
ფეხშიმე მოლოდინო.. ძრწოდე, სამეაროქ
ძრწოდეთ, მოცვდავთო ძრწოდეთ, საგნებო, სუ-
ლიერნო და უსულონო ბედი იწერება განა-
ჩენი აბლოვდებო იუმპეტერი ფიჭრობს!

(იუმპეტერი ფიჭრობს)

მთარ მაისურაძე 1944 წელს გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა — 20 წლისაც არ იყო შესრულებული, მიუხედავად ახალგაზრდობისა, მის ლექსებში მკაფიოდ ჩანს ნიჭიერება როგორც, სამწიფხაროდ, დაღვიწება არ დასცალდა. ზეენი აზრით საინტერესო იქნება მკითხველისათვის მისი პოეტური ნიმუშების გაცნობა.

ო, ნუ გინდა ცრემლები,
გულის უხმო წვალება!
ჩემო თავქარიანო,
ჩემო ცისფერთვალება! ,
მთვარე ბორგავს ღრუბლებში,
დაცემული სახადით,
ორთაქალის მნათობი,
ფიროსმანის ნახატი.
ქარი ნამქერს იქარეებს,
ბანზე ბოდავს აბდალი.
ჩემ გულში კი ბობოქრობს
ხან ქარი, ხან აედარი.
რად არ უწევ ანგარიშს
ამ ჩემს გრძნობებს ცვალებადს,
ჩემო თავქარიანო,

ჩემო ცისფერთვალება!
ვერ ფარავენ თვალები,
გამოხედვას ვენებინს,
მკერდზე ჩამკონებოდი,
ბშირად გიოცნებია...
ახლაც ზიზარ ბუხართან
და მიჰკვივ ზმანებას.
— ილიმები? ლიმილიც
სევდას დაემგვანება,
როგორც ცრემლთა ნაკადი
გულის უხმო წვალება,
ეგ ლიმილიც ჩემ თვალებს
ვერსად დაემალება.
ჩემო თავქარიანო,
ჩემო ცისფერთვალება.

1942 წ.

ბრიზალი

ბინდი დაეცა ველებს,
ჩარახა ზეცის კარი.
მალლა შავფრთიან გველებს.
განწირვით ებრძვის ქარი.
ბრძოლა იწყება ახლა,
ციდან წერილი მომდის.
ეს საშინელი შეხლა,
როდის მორჩება, როდის.
მწარე ფიქრები ათოვს,
ტყვეობაში მყოფ მნათობს.

მთვარე ველარსად ვნახე,
ირგვლივ საშინლად ბნელა.
ქარი ღრუბლების ნახევს
მოათარფატებს ნელა.
კითხულობს მთა და ბარი,
რადგან ვერ იტანს ლოდინს,
ეს ბობოქარი ქარი
როდის ჩადგება, როდის?
როდის აანთებს მთვარე,
ნისლით შესუდრულ თვალებს?

1942 წ.

ნარსულთა დღეთა შესანდობარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ათასი ღამე... ათასი ღამე...
ათი ათასი თოვლის ფანტელი...
ლალის ბეჭედი მთრთოლვარე ნეკზე
და ლალისფერი დღე შარშანდელი.
ელვარე დაშნა... ღვინის სარდაფი,
მოწამლულ ღვინით გავსილი თასი.
შენ გულისპირზე ღილი სადაფის
და ცაში მთვარე სადაფის მსგავსი.
ერემლი უვნებო და უანგარო,
ერემლი მიჯნურთა სიამის მფენი.

იწვოდა ზეცის სივრცე ანკარა,
შენი ლავვარდი თვალების ფერი.
და ასე იყო... ასე გულლიად
წარსულთა დღეთა შენდობა შევსეათ.
საფლავის კარი არ გაუღიათ
და არ ვუხმივარ წინაპრებს ჩემსა.
ვინც დღენიდავ მკერდით ვარწიე,
როგორც უმთვარო ღამის ზმანება:
მე მეცოდება ღამის ბაწია,
თორემ სიკვდილი არ მეზარება.

1942 წ.

• • •

მომხსენით ხმალი, რადგან არ მსურს სისხლში ვცურავდე.
სისხლში ვახრჩობდე ქალაქს და სოფელს.
მოუხმეთ ყველას, მხდალთ და გულადებს,
რომ დაიხოჟონ, თაყვანისცენ მზეს ცხოველმყოფელს.
აყარეთ ყველას იარაღი სისხლის მსურველი,
მოკბანონ ერთუტრის ქრილობები განუკურნელი,
ომის ღმერთს არა, მზის მწველ სხივებს აძხედეთ მადლით.
ადიდეთ დიდი ბუნების მადლი ქლეტვის მაგიერ.
ანებეთ თავი საქმეს მანკიერს,
თვითეულ კაცის გულისცემას მიაყურადეთ,
კეთილდღეობა მიანიჭეთ ქალაქს და სოფელს.
მოუხმეთ ყველას: მხდალთ და გულადებს,
რომ დაიხოჟონ, თაყვანისცენ მზეს ცხოველმყოფელს.

1942 წ.

• • •

ჩვენი ცხოვრება თარსი,
წყლულეები მშობელ მიწის.
რომ ჩვენი ყოფის არსი
აღარავინ არ იცის.
ჩვენი სამშობლო ნაზი,
სირცხვილის ცეცხლით იწვის.
ჩვენი ცხოვრება თარსი,
წყლულეები მშობელ მიწის.
ქრება ოცნება ლალი...

ღრინავს ქოფაკი ავი.
მითხარ ცხოვრება რა ღირს?
გამოვისყიდო თავი.
ზევში მირეკავს ნახირს
მგელი ორკაბა კავით.
შიშით თვალს ველარ ახელს
ვერცხლისთმიანი კრავი.
მითხარ სიციცხლე რა ღირს,
რომ შევისყიდო თავი.

1942 წ.

სევდა განშორებისა

ასე მალე წახვედი და
 შორს მეწყერი გუგუნებს.
 ღობემძვრაღა ძახველიდან
 მისძახოდა უკუნეთს.
 ღამე არი გატეხილი
 შენზე ოხვრა-ლოდინით,
 შენი სულთქმის ქარტეხილი
 გულზე მაწევს ლოდივით.
 ღამევ, ღამევ, ცას ნუ გეშავ,
 მთები გადაიარე.
 ანდა ვინღა მანუგეშებს,
 ვინ შემიხვევს იარებს.
 ასე მალე წახვედი და
 მთებზე ცეცხლი ანთია,

ღობემძვრაღა ძახველიდან
 მისძახოდა განთიადს,
 დაე, მოვკვდე და შენც, ღამევ,
 სიხარულს რად მპირდები.
 ვიცო, ხმლებით ამჩეხავენ,
 მაინც არ ავტირდები.
 მე ვერ მომკლავს ავი მტერი,
 როცა ცეცხლი იალებს,
 მაგრამ ვინღა დამიტირებს,
 ვინ შემიხვევს იარებს.
 მიმატოვე, წახვედი და
 ისევ სევდა მეწყია,
 ღობემძვრაღა ძახველიდან
 მისძახოდა მზეწყვიას.

1942 წ.

• • •

სხივნაყარ შარას დაეცენ
 ჩრდილები ალვის ხეთა.
 გული მეგობარს დაეძებს,
 თვალი ველარსად ხედავს.
 საღამოვდება, ბინდდება,
 ქარი ქრის, ქარი ბორგავს.
 მე შენთან ყოფნა მინდებამ,
 მაგრამ სამარე მზორკავს.
 ტირის ბრძოლებში ნაცადი
 თაღშენისლული მცხეთა.
 შავი მერანი ნაქები,
 მოჰყავს შავოსან მხედარს.
 და შენაც ფიქრებდასეტყვილს
 გულს მიგიტაცებს ალბათ,

შენ წინ შედგება და გეტყვის
 ჩემი დაღუპვის ამბავს.
 შენ დაბლა დახრი წამწამებს
 განმეორებულ ფიციტ,
 მე კი იქ ტრფობით ნაწამებს,
 გამელიმება ვიცო.
 ზეცა ლურჯ თვალებს დაიტევს
 ფიქრებით ღამენათევს,
 სვეტიცხოველში დამინთებ
 წარბისოდენა სანთელს.
 ცა ტირის, ისევ ბინდდება,
 ქარი ისევ ბორგავს,
 მე შენთან ყოფნა მინდებამ,
 მაგრამ სამარე მზორკავს.

1942 წ.

ბურაბ გიორგობიანი

• • •

საით წავიღო ეს მცირე წიგნი,
ვის წავაკითხო?
იქნება სჯობდეს ჭარმა ფურცლოს,
დრომ გააყვითლოს,
შემოდგომის ფერიც კარგია!

დაშვება წითელ ბალახზე

ქრისტეს შობიდან
თითო წელი რომ მეცხოვრა საუკუნეში,
ახლა ხომ ოცი წლის ვიქნებოდი.
მე არასოდეს არ შაოცებდა
არცა მპყრობელი გვირგვინოსანი,
არც დღეკეთილი, სავარძელში მჯდარი
ამაყად:
ყოველ ასაკში მე მზიბლავდა მუდამ
ჩალაცა:
თორმეტი წელი რომ შემისრულდა,
ვით ავთანდილმა მხოლოდ სიმღერით
მოვაჯადოვე ნადირ-ფრინველი.
მეთექვსმეტეში გადამდგარმა
შექსპირს ვუთხარი:
„უილიამ ბატონო, მქვია რომეო,
სიყვარულის დამიდგა ფაში“...
ცხრამეტი წლისა შევიმოსე
ევარისტ გალუას შარავანდედით,
ხოლო როდესაც, ერთი წლის შემდეგ,
ცა იყო ცივი და მოჭუფრული,
ირგვლივ პლანერით დედამიწას
შემოვეუარე
და დავეშვი წითელ ბალახზე.

რად მიყვარს პოეზია

პოეზია რომ არ ყოფილიყო,
 მაინც ჩემებურად ვიტყვოდი სათქმელს,
 რადგან სამყარო მეტყველებს ჩემში,
 თვითონ იგი კი ლამაზ ქალსა ჰგავს.
 ქალის ტუჩებში მარწყვია, მართლაც,
 და აკაციის თეთრ კვირტებივით
 გაზაფხულზე რომ ამოსკდება
 მფეთქავი მკერდი,
 სურვილებს ჰბადებს —
 ცქერით ვტყბები და თვალით ვეხები:
 ხოლო მზისფერი ქალის სხეული
 ცხელ ქვიშასავით ზოგჯერ ისე გვწვავს,
 თუ საჭიროა, სულსაც გავატან.
 მისი ნაზი ხმაც, თრთოლვის მომგვრელი
 ღვთაებრივია და იდუმალი.
 და მაინც, ქალი, როგორც სამყარო,
 შეუცნობია,
 მეც პოეზია მიყვარს ამისთვის.

სიტხალა

ვეპაექრები მე ჩემს ორეულს,
 მაგრამ ყოველი დავა
 მიტევებით მთავრდება მხოლოდ.
 როცა მსურს სივრცეს მოვწყვიტო აზრი,
 ტოტზე შემომქდარ იმ ჩიტსა ვგავარ,
 მიწაზე რომ დაეძებს საყენეს.
 ზოგჯერ მაქვს წამი.
 მართო ხილვებით მე ვარ ავსილი,
 და უცხადესი ხდება ნაფიქრი.



გურამ ბენაშვილი

მწერლის ამაყი და კეთილშობილი ს ი ლ უ ე ტ ი

შეიკვ რეტროსპექტივა გარდასულ დღეთა სურნელისა და კოლორიტის წარმოსადგენად:

50-იანი წლების ლატერატურული ატმოსფერო შინაგანი ინერციიდან თავდახსნის მტკაუნულ გაბრძოლებას მკვდარ, რომელსაც უაღბოდ შემეცნებელი ოპტიმიზმის არასასურველი არტაბეზიდან უნდა გაეთავისუფლებინა გულუბრყვალო თვითკმაცოფილებით აღბეჭდილი ადამიანი, ეს იყო დრო გამოფხიწვების და ცხოვრებისა თუ გარესსამყაროს სრულიად ახლებური განცდისა.

ამ განცდას არ ჰქონია მხოლოდ რომანტიკული ილუზიების მშვენიერებაში დანაშაუნი წაღლი, პარიჟით, ვენეზუა უნიონი ქრალვის საწიერო გონიერების სახეგრებით კმაცოფილდებოდა და ეროვნულ-მოქალაქეობრივი უშიშების ტვირთის ღრმა შეგნებით გასკეტროდა შეტ-ჩრდილებით მოხატული ცამის ბუნდოვან სივრცეს.

სტავროპოლის, შემოქმედებითი ქამოცოქების, უფრო კი გარდასახვის, რაღაც უშიშვნილოვანების აღმოჩენისა და მასი ღრმა შეცნობის პერაოდები აღსავსეა ხოლმე იმ შინაგანი წინააღმდეგობებითაც, რომელთაც ვერაფრით ვერ დაარქმევ სულაერი კმაცოფილებისა და ტპობის ვნებამორეულ განცდას. იგი უფრო უსასრულოდ გახმულ მტანჭველ ძილღიძილსა მკავს, რომლის ბუნდოვან პერსპექტივაშიც დრო და დრო თუ გაოფლებს ხოლმე შემოქმედისა და დრო-ცამის ურთიერთშეხების დეოაბრევი ნაპერქვალა. და მაშინ, ხაოცარი ბუნებრივად ბრწყინვალეობით, განუშვორებელ და ეროადერთობით აღბეჭდილ საოქმედს აშობს ერის დაუმცბარლი შემოქმედებითი ენერჯია.

თავისი ქიუტი ნებით და ცეცხლოვანი ენერჯიით ეუფლება იგი წარსულისა და თანამედრო-

ვეობის გამაერთიანებელ იდუმალებას, ანუ იმას, რასაც მაღალი ხელოვანის ეროვნული ინტუიცია სწვდება და ამგვარად „ფროტეოსილი“, თუმცა მაინც მიწაზე მძიმედ მავალი, მიუყვება საკუთარი შემოქმედებითი გზის დამინდულ სივრცეს...

...ამ-იანი წლების სხვა მხრივაც იყო მნიშვნელოვანი. შესაძლოა, ამ წლების განუმორტებლობა მავანთათვის მხოლოდ ბავშვობის ტპილ წოსტალვიან უყავშირდებოდეს და მხოლოდ სუბიექტური განცდის პრიზმით იყოს ტპილმოსაგონარი. მაგრამ მათთვის, ვინც შეხსიერებას დაამინდულ თვალსაწიერს გულისა და გონების წაოელით მოიხილავს, უდავოდ კიდევ ერთხელ გაოფდება სამუდამოდ ჩავლალი უნიკალური ცამის გამოგნებულა სისავსით.

მაინც რა ჰქმნიდა იმ დეოაბრევი კოლორიტს, რომელიც ასე უშვრცივლად ეფინებოდა ქართულ სამყაროს, რაც ახალი ნაბტამი. სათვის ამწადებდა ჩვენს შემოქმედებით სულისსევეობას.

უპირველეს ყოვლისა, აღბათ მაინც ის, რომ თბილისის ქუჩებს საკრალურ ანაბეჭდებად აჩნდა მხატვრული სიტუცის ქადოქართა ძვირფასი ნაფებურები, რომელთა გენიალობით აღბეჭდილი უყნურა გამოვლიანებში სანტერესო ლეგენდების შეთხზვის ატმოსფეროს ამკვიდრებდა ახლის მოლოდინით გარინდულ ქალაქში, რაღაც ამაღლებული, რაინდული და ზეზასმულიად არტისტული სულისსკეოთება დაჭარფატებდა ყოველდღიური საზრუნავით გათანგულ და მაინც საოცრად მოცილილ ქალაქურ სამყაროს. ეს ყოველივე თითქოს თბილისის სიძველეთა დეოაბრევი პრა-



მიტაიწმთან დამწვიდობებისა და ჭერ კიდევ უცნობა სვანდელი დღის წერტილი მო- ლდინათ აღბეჭდილი დღეების ტბალი ზმა- ნება იყო... ვარცა გამაბრებელი და მაც- დუნებელი.

თვალწინ აღმართული ცოცხალი კერპების ფარული თვანანსებმა შინაგან შეგაძლებლო- ხათა ღრმა წვედომის ატოლებლობას კარნა- ხობდა ლიტერატურული ცხოვრების მაცოცხ- ლებელ ფაროს დაწვებულ ახალგაზრდა შე- მოქმედთა თაობას. ისინი მშვენიერად გრძნო- ბდნენ, რომ ერთადერთი გზა მათი ინდივიდუ- ალობის სრული წარმოჩენისა, ან უკვე გრან- დიოზულ მხატვრულ აღმოჩენათა დამაბრმავებ- ლა ელვარების მაქსიმალური დაუნება და შინაგანი დაღწევა იყო.

მხოლოდ ამგვარად წარმოედგინათ მათ სა- კუთხარი პრსებობის გამართლებაცა და აზრით- რა თვალისმომჭრელიცა და აღმაფრთოვანე- ბელიც უნდა ეოფილიყო ცოცხალ წინაპართა კლასიკურ მწერტვალბს მიღწეული მხატვრუ- ლი ქმნილებები. ისინი თავისი დამთავრებული და სავუღდაგულოდ შემოსაზღვრული დიდი საოქმელით უკვე შორეულია და შეუვადის წინით იყვნენ აღბეჭდილი.

თანამედროვეობის მტკიცეული პრობლემა- ტიკის ცოცხალი კვრეტა ამ-იანეთა თაობას სხვა შემოქმედებითი სიღრმეებისაყენ ეზიდე- ბოდა და ეოველივეს, რასაც ისინი ქმნიდნენ, უშუალო წინაპართა მხატვრულ კონცეფციებ- თან ფარული პოლემიკის იერა დაქრავდა.

ბუნებრივთა, თითქოს აღოგვიერთა უნდა იყოს უწინაღეს კრპებზე შეხლმოდრტილი გარჩილება და იმავ დროს მათ მამართ შინა- განი ამბობს გაუნღებელი წყურტილი.

ამ აღოგაზნს თავისი ღრმა მიზნა გაანჩი, რომელიც მხოლოდ მძლავრი შემოქმედებითი ინდივიდუალისთვისაა ნათელი. მეტ-ნაელე- ბი სამაფრთა აისახება ეს ტრენდული თაო- ხათა მხატვრულ ქმნილებებში. ეველაზე მძლავ- რად და თვალისმომჭრელად იგი მალალი ნო- ვით ცხებულ პაროვნებებში პოულობს ნოყერი ნიდაგს და ვითარცა ჭოუტი და მოუდრტილი წება, მძლავრი ნაბტომით იფულებს სხვათა. თვის ჭერ კიდევ ფარულ, თუშეა შინაგანი აუცილებლობით სხივოსილ სამყაროს, რომე- ლსაც მომავალში მათი აღმოჩენის სახელი ში- პეყება...

ახეთი ცეცხლოვანი გზებით მიმოატარა თა- ვისი ნადრეველ ჩამქრალი ენება უჩვეულოდ ეგზალტირებულმა გურამ ჩჩეულიშვილმა.

იგი იმ იშვიათ გამოწავლისთა რიგს ეყუთვ- ნოდა, რომელთა ცხოვრებისა და შემოქმედე- ბის ორგანული ერთიანობა პოტენციის განუ- ზომელი პერსპექტივითაა უპირველეს ეოელი- სა. შთამბეჭდავი და მნიშვნელოვანი.

თანამედროვეთა საკმაოდ მძლავრ და აშკარად გამოვლილ მრავალმხარეობაში, მან თავისი ბო-

ლომდე უოქმელი, თუნდაც მხატვრულად ახასრულქმნილი ამარეხებურქმეულე- ზალი სადინარი მისცა **გამელნიერებუ** და გრძნობებს, რადაც არსებითისაყენ მიმართა მშვენიერების სინორბესთან ლაცილით გაბრ- ებულა შეიხველის გული და გონება.

მისი თაობის საეროო ფონიდან მას, პარ- ველ რიგში ადამიანის ძიების თავანვერბული ღლოვლა გამოატრებს.

მრავალგანზომალბინა მისთვის ცნება ადამიანისა და ამატომაც ეოველი მისი ქმნი- ლბა ცხოვრების უჩინარი სხაყებით სხვადა- სხვაფერად აელვარებულა პაროვნებას იმეო წინაგებებს წარმოატრებს. რომელითაც ნათელი უნდა მომღინონ მწერლის მაღალმოქალაქეობა- რავ კონცეფციას.

შესაძლოა, მან ეველაზე უფრო ღრმად და გულწრფელად წარმოადგინა ზნეობრივი და ეოაეროი საურდენების მორღვევის მოსალოდ- ნელი საშოზრება, რომელსაც, როგორც აუ- ცილებლობა, ერკვეულა წერვის მოდუნება და უბერსპექტივო არსებობის უაზრობა უნდა მომ- ეოლოდა.

უჩვეულოდ მძლავრი მხატვრული წარმოსა- ხვა ბუნებრივთა აუცილებლობით ხადებს თანა- განცდის მალად გრძნობას, რომლის მაცოცხ- ლებელი ტალღებოც ძალუმად ეფინება შეიბ- ელბის ცნობიერებას.

აღბათ, ისიც სიმტკომურია, რომ გურამ ჩჩეულიშვილის მხატვრული სამყაროს ერთ ეველაზე რომანტიკულ ფონს მთა წარმოად- გენს. ეს არ არის შემოწვევითი, რადგან მან, როგორც პაროვნებამ, სწორედ შთის პირველ- ქმნილ მშვენიერებას გაანდო და უწილადა სა- კუთხარი ადამიანური რსებიდან დაქრული ენებათაღწევა.

პროზულა ეოფიერებიდან შორს, ბუნების ამაღლებულ პოეტურ გარემოყუამი პოულობს იგი ზნეობრივ სრულყოფილებასთან მიხალო- ვების ერთ უშქლავრეს იმპულსსა და სულიერი სიძაბუნისაყენ გაწერტვებას.

ერყელი გაღერა გურამ ჩჩეულიშვილის მოთხრობათა გზარებისა ჩვეულებრივი ცხოვ- რებით ცხოვრობს. მათი ეოველდღერი არ- სებობა თითქოს არაფრითაა გამოჩრეული. ცხოვრობენ ისინი თბილისის ერთ ძველ უბან- ში უპირეტეწიოდ, ეველასაყენ შეუშჩნეველად, მაგრამ რაოდენი ფარული რომანტიკაა მათ განცდებში და სიყვარულით აღბეჭდილ ურთო- ერთობებში.

ახალგაზრდა სტუდენტის კოლორიტული ცხოვრების სტილი განსაკუთრებული, თუნდაც მოულოდნელი რეალიებით სულაც არ არის სა- ვსენ (მოთხრობა „ახლა მე ოცდაბუთა წლისა ვარ“), მაგრამ მინაც რადაც უჩვეულო ფსი- ქოლოგიური აქცენტებითაა იგი მნიშვნელო- ვანი.



უაღრესად მართალი წინაგანი წვდომა, პიროვნების სულიერი მოძრაობის შეუმჩნეველი დინების მხატვრული ფიქსირება მთელი რიგი მოთხრობების წარუვაღ ღირსებას წარმოადგენს. მწერლის მშვენიერი მოთხრობა — „სიკვდილი მიტეში“ უაღრესად საყურადღებო ფსიქოლოგიურ „აღმოჩენებს“ სთავაზობს მკითხველს.

ამ საინტერესო სტრუქტურის მქონე ნაწარმოებში წარმოჩენილია სინამდვილეში მომხდარი ტრაგიკული ფაქტი. ხევსურეთის მიიხრომანტიკით გაბრუნებული და ვულწარფელად ატაცებული გერმანელთა ოჯახი გრძნობს ამაღლებულ განცდებთან მიახლოებას. მაგრამ ხდება სრულიად მოულოდნელი რამ, შემთხვევით იღუპება ოჯახის დიასახლისი, მწერალ ალფრედ კურელას ცოლი — ელსიდე კურელაძე, როგორ ფიქსირდება ამ უმძიმესი განცდის გრძადაცა მრეუღლისა თუ ვაიშვილის ქცევებში.

„პირველი, რაც ალფრედ კურელამ შეაგრძნო, იყო საოცარი უმწირობა, დაშორებლობა ცხენი ღოღიანებზე მიხტობდა, ელსიდე მარცხენა ფეხით ეკიდა უწანგზე და ქვებს გლიქდახან მკერდით, ხან კეფით. გავლა ადგილზე გაქვავდა. გამოდევნება უშედეგო იყო, შეუძლებელი. პირველად სანახაობა უფრო უცნაურს მგავდა, ვიდრე შეწაწარს. საწარელი მერე შეიგრძნეს, მაშინ, როდესაც ცხენი თავისთავი გაჩერდა. არა, უფრო გვიან, როცა ქალის ფეხი გამოაჭერს უწანგთან...“

ჩაბოქალი კურელა მჯახს უსინჯავდა. მჯახარ სცემდა. მერე მკედარმა სხეულმა ამოქშინა და სისხლმა გამოყოფა ტუჩებზე, შემდეგ ყველაფერი შეწყდა.

მომხდარი ჭერ იხვე უცნაური და საშიში იყო. სტეფანე იქდა დედის თავთან უხოდ. ალფრედი იღგა. გარშემო მთება იყო აზადული. კიდე განიდან ღრუბელი მოდოდა და ბეობაში უწარმავალი ჩრდილები დაძრწოდენ. კურელამ დიდი დრო გაატარა მთებში, — მაინც უცხო იყო აქ ყველაფერი, უცხო და უცნაური; ხალხი უცნობი, მდინარე ცივი, ხმარაინი; ეს იყო უცხო მხარე. სადღაც ერთდებოდენ შეგრძნებაში სიმწუხარე და შეუცნობელი, არაშეშობილური. ყველაფერი ეს უფრო საოცარი იყო: ღოღიანებს შუა იწვა მისი მრეუღელი — მკედე მკვდარია. მრეუღელი, რომელიც ერთი საათის წინ ცოცხალი იყო, მიხარულად ღაპარაკობდა, და რომელთანაც ხუთი შვილი მკავდა. ერთი მათგანი თავთან უჭდა ცხედარს, აბუჭული იყო, საცოდავი, არც ტიროდა, არც ხმას იღებდა“.

— ესაა, უაღრესად ღამიჯარული, წედმეტი ენოციური ფერადოვნებისაგან გამწმენდილი სურათი, რომელმაც არ შეიძლება, მკითხველის ცნობიერება არ შესძრას.

ამ მოთხრობის სიუჟეტი სეკამოდ ვრცელია

და იგი სხვა საინტერესო პასუხებითაცაა მნიშვნელოვანი. მაგრამ, ჩემი აზრით, უაღრესად ეს დეტალი ახდენს ფსიქოლოგიურ მშვენიერებას შთაბეჭდილებას. მოთხრობის მოძრაი სიუჟეტი ჩვენს წარმოსახვაში სტრეკებს ცოცხალ ხასიათს მრეუღელ გარეგანს, რადგან თითქმის უოველ მათგანში არცაღილია მკერე ნაწილი ადამიანის არარეალიზებული არსისა. პერსონაჟთა სულიერ წუობასთან მკითხველის მიმართება, სუგესტიურია, რადგან თვით უვრელაზე უფრო პრაზულ ქცევათა მიღმა იმავე ადამიანის სუფთა ბუნების წიაღში დაუნჯებული ტყველი იხილება.

ველ-აკოის" (15). ზემოხსენებულ ავტორთა ეს მოსაზრებანი ვალუარებელი დარჩა, თუმცა ამ ხაყობებს ისინი სპეციალურად აქვეყნებდნენ. ამიტომაც ნახადურის სომხურად გააზრების, ეს რომ ოდნავ მაინც შეხადლებული უყოფილყო, სტატიის ავტორი ამ მკვლევარებს ვერ დაასწრებდა.

ა. შაიშველაშვილს ზგონია, რომ რაც კარგული ენის განმარტებით ლექსიკონში ნახილარის სინონიმად ნახიდური შეტანილი არ არის, ამიტომ ის „არავითარ კავშირში“ ზადთან არაა და, მაშასადამე, სომხურიც უნდა აიხსნას... მას დავიწყებია, რომ ზემოხსენებული ლექსიკონი „ხალხი სალიტერატურო კართული ენის განმარტებითი ლექსიკონია“, რომლის „დანიშნულებაა აღწეროს და განმარტოს უველი ზიტყვა, რაც კი არის და ამჟამად რბული არაა მათ და სიტყვაწმულ მწერლობაში, სამეცნიერო და პოლიტიკურ ლიტერატურაში, პრესაში“ (16. 907)... ესადა, ძველი ტომონი ნახიდური იქ ვერ მოხედებოდა.

ბ. ბერძენიშვილთან აგარანის გამო ასეთი გაყვარებული კამათის შემდეგ, სრულიად მოულოდნელია სტატიის V პარაგრაფის ბოლო აზრები: აქ ავტორი სამეფო საზამთრო (დური) და საზაზბულო (ნადარბაზევი) ციხე-დარბაზთა გვარდით, ასახელებს „დედოფალთა სასუფეველ ციხე-დარბაზს ტაბაქელაში“, იქვე ფრჩხილებში ჩაესვამს — „ოპარანს“... ბ. ბერძენიშვილი კი წერდა: „ოპარან მეთუ ვარდაიყვალა სომხითაჲ, აგარათა ციხეში (ანუ „აგარათა სომხითისათა“), რომელსაც „იმ დროს, ჩანს, ტაბაქელაჲ ეწოდებოდა. „ზემო ტაბაქელა“ ეს უნდა იოანე ბატონიშვილის გლოსა იყოს. მაინც და მაინც იოანე ბატონიშვილს კარგად სცოდნა, თუ აგარათა ციხე სად იყო. ამიტომაც განმარტებ მან „ტაბაქელა“ (ქველსა დგომასა შინა...) „ზემო ტაბაქელად“ (2. 825). როგორც ვხედავთ, აქ ერთი და იგივე დასკვნა მიღებული, მაგრამ სტატიის ავტორს, ტაბაქელაში აღბაჲ სხვა რაღაც ციხე-დარბაზი ეგულებდა.

სტატიის VI პარაგრაფში ავტორი ცდილობს განსაზღვროს ლაშა გიორგის ლაშქრის წყობა მონგოლთა შემოსევის დროს 1221 წ. ცნობილია, რომ მონგოლებთან პირველ შეტაკებებს სხვადასხვა ავტორები სხვადასხვაგვარად აგვიწერენ. ქართული და უცხოენოვანი წყაროების შეჭრებით ისტორიკოსებს ცდილობენ ერთიანი სურათის წარმოდგენას, რამაც „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ III ტომშიაც მოკვდა, ასახვა. ლაშა გიორგის მეფეობის სიტყვით, მონგოლებმა „მომართეს და დადგეს ბარდავის ქალაქი. შეიყარა ლაშქარი მისი (ლაშასი, დ. ბ.) და მოართა კარწუ-ქალაქისა ლაშქარნი, დადგა ლომთავარსა და აგარათა შუა და ვიდრე შედამისვლადმდე გაეცქნეს და გარდაიხუტუნეს; განვლეს დარუბანჯისა გზა“

(1. 870). ეპითაღწერლის სიტყვით, ქართველებს 30 ათასი კაცი გამოუყვანიოთ, რასაც ი. შაიშველაშვილი უუყვანაოთ „ქართველთა“ უმეტესად გრიგოლ ანდია ქართველს დასჯარაში 80 ათას კაცს ასახელებს (9. 285).

სტატიის ავტორი შემდეგ წერს: „წყაროები ადასტურებენ, რომ მონგოლები ბარდავის მხრიდან მტკვრის მარჯვენა ნაპირის ჭვებით მოიწვედნენ... ამ მიმართულების გადასაღობად გარდიგარდმო უნდა გახიდულიყო ქართული ლაშქრის პოზიცია, როგორც მდინარის გადაღობობა კაშხალი, ვანა ნორმალური იქნებოდა, რომ ასეთი კაშხალი მდინარის დინების ჩასწვრივ აეგოთ და არა გარდიგარდმო? სამწუხაროდ, სწორედ ისე აქვს წარმოდგენილი ლაშა-გიორგის ლაშქრის პოზიცია ნ. ბერძენიშვილს და ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ლაშა-გიორგის მხარდამხარ მოხსენიებული „აგარათა“-ც მას კოჭრის ციხესთან აქვს გაიგვიებული. ამიტომ ლაშა-გიორგის ლაშქარიც, ნ. ბერძენიშვილმა კოჭრ-მარნეულს შორის განლაგებულად წარმოადგინა. თანაც აღმოსავლეთისაკენ პარშოქცეული... დავიწყა, რომ მონგოლები ასობრავლად მოადვილდნენ სწორედ ამით მტკიცდება, რომ არც „აგარანი“ და არც „აგარათა ქალაქი“ არ შეიძლება მივიჩნიოთ კოჭრ-ტაბაქელაში არსებულად“ (გვ. 151).

ავტორს ან მხარი ექცა, ან თვითონ „დაივიწყა“, რომ ბარდავი, სადაც მონგოლები დადგნენ, კოჭრ-მარნეულიდან უფრო აღმოსავლეთითაა, ვიდრე სამხრეთით. რაც მთავარია, ი. შაიშველაშვილი არ ითვალისწინებს, რომ ეპითაღწერელისა და სომხური წყაროების მონაცემებით, ეს ომი მოხდა ძველანის წყლის დასველებით არსებულ ხუნანის ველზე (17. 155). ასე რომ, აგარან-ლომთავარის შორის ლაშას ლაშქრის „დადგომა“, რაზედაც მისი ისტორიკოსი მოკვივობობს, ხანმოკლე უნდა უყოფილიყო, ამასაც მისივე მონახობობი ადასტურებს: ქართველებს მონგოლთა ხანაქთან „ვიდრე შედამისვლადმდე“ მტერი გაეცქარა. ეს კარგად იცოდა ნ. ბერძენიშვილმა და იმიტომ აგარანსა და ლომთავარს შუა ლაშქრის დგომას, აგი არხად არ განიბილავს, როგორც მტრის აქ მომლოდინე, მოსაგვარიებელი პოზიციის დაყვებას. ეს მხოლოდ სტატიის ავტორს ზგონია და ამიტომაც აგებს აქ მტრის „გადასაღობად გარდიგარდმო გახიდული ქართული ლაშქრის პოზიციის, როგორც მდინარის გადაღობობა კაშხალს“.

ავტორი, სამხედრო ზელოცების მიხედვით, აუშრობებს ქართველთა პოზიციის და განაგრძობს: „ლომთავარსა და აგარათა შუა“ განლაგება არ ნიშნავს ამ ორ პუნქტს შორის ქარის ჩამწვევებს. ზოგადად ეს ნიშნავდა პოზიციის დაყვებას მდ. ალფეთსა და ქვიის შუა დაბა „შუა“, რაც მეფეობისას კარგად სცო-



დნია, რომ ნიშნავდა „რისამე ნაპირებიდან თანაბარი მანძილით დაშორებულს“ (ქველ, VII, 1982). რის ნაპირები იგულისხმება? ლომთა გარეთ მემატანე მიგვანიშნებს კლდოვანი ბორცვების გრძელ ქაჭვზე, რომელიც ზღა აღგეთის მარჯვენა ნაპირს გასდევდა... ბოლო „აგარა“...თი იგი აღნიშნავს მდ. კციის ქვემო წილზე— უკვე ხსენებულ „წყალთაშუას“. ბორცვების ამ ქაჭვსა და „წყალთაშუას“ შუა მდებარე, სამხრეთისაგან პარპოქტულად პოზიციაზე დაბანაყებულად მიიჩნევა სამხრეთიდან მონადღელთა შეშოსების მოზღოვიერ ღაშა-გორგის ღაშქარი. დაბ. ლომთა გორსა და აგარათა შუა, ე. ი. ქართლის დიდ ბუნებრივ კარში მის ათასიანი ქართული ღაშქარის ჩაუვრება, მიუხედავად მოსალოდნელი შებნის ბედისა, ყოველმხრივ გამართლებული იყო“ (გვ. 151).

ავტორი იშველებს სიტყვა „შუა“-ს განმარტებას ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან — „რისამე ნაპირებიდან თანაბარი მანძილით დაშორებულს“. აქ მას თვალში მოსდის სიტყვა „ნაპირებიდან“ და იტყვება, რომ ლექსიკონის აღგეთისა და კციის ნაპირებს გულისხმობს...

სტატიის ავტორის მომდევნო, ძალზე ბუნდოვანი წინადადებიდან ის აზრი უნდა გამოვიტანოთ, რომ ქართველთა ღაშქარი განლაგებულა მდ. აღგეთსა და კციას შორის, სამხრეთისაგან პარპოქტულად, სამხრეთიდან მონადღელთა შეშოსების მოზღოვიერ. ვაშლის, რომ ქართველების ბანაყი ამ მდინარეთა შორის, მათ პარალელურად, მდინარეთა დინების „ჩასწვრივ“ ჩამწკრივებულა. მაშინ როგორღა მივიღებთ მტრის „გადასაღობად გარდაგარდმო გზიბულ ქართული ღაშქარს პოზიციას“? მონადღელები ხომ ი. შანიშელაშვილის სიტყვითვე მტკვარის მარჯვენა ნაპირს მოხუცებთან ღა, მასხადაძემ, ქართველთა განლაგების მარცხენა ფრთას მოადგებიან. აშკარაა, რომ პატრივტულ ვენერალს მხარი ექცა: მის მიერ განლაგებული ღაშქარი მონადღელებს სამხრეთიდან მოეღოს, ისინი კი აღმოსავლეთიდან მოდიან. მაგრამ, როგორც წვეთი აღვნიშნე, ავტორის მიერ, მონადღელების წინააღმდეგ გამოუყენებულმა ამ ფანდებმა უქმად ჩააგრა, რადგან ბრძოლა სულ სხვაგან — ბუნანის ველზე მიბდა, მდ. ძეგამის დასავლეთით.

ი. შანიშელაშვილი აქაც, ისევე როგორც წვეთი, ახარბობედ გვასწავნებს, რომ წყალთაშუა და მისი მიწოდორი წარმოადგენდა ქართლის „დიდ ბუნებრივ კარს“ (ე. ი. სომხურად „დურა“-ს). უნდა გავიხსოვოთ, რომ არავითარი კარა წყალთაშუას ველზე არ შეინიშნება. წარმოუდგენელია ქართლის რაიმე კარის აქ ძიება, მით უფრო ერთიანი, ძლიერი საქართველოს სამეფოს ტერიტორიაში, როდესაც სამხრეთისა, თუ აღმოსავლეთის საზღვარი (პოლიტი-

კური, ეთნიკური) აქედან ძლიერ შორს იყო დაცილებული. მაგრამ რჩება შეთხვეტილებსა, რომ სტატიის ავტორი არც შეეცდებოდა დაკავშირებით აცნობს ქართულ-სომხურებს. თა ნაშრომებს და საქართველოს საზღვრები, უყოველთაის ისე შემცირებული წარმოუდგენა, როგორც შამ.აბას I-ის დროს.

წერილის ბოლოს, ავტორს სათაურით „სხვა შენიშვნები“, მოაქვს თავისი დაკვირვებები, რომლებითაც ცდილობს შეამაგროს მისეული აქამდე მიღებული დასკვნები. მისი აზრით, „ისტორიანთა და აზმათა“ ავტორი თამარის გარდაცვალების ადგილად „ხმელს“ რომ ახსენიებს, „არავითარი საფუძველი არ არსებობს ტახტმემლისთან მისი გაიფუტებისათვის“. ეს თურმე იმიტომ, რომ იგივე ისტორიკოსი მანაშელ ორჭერ ასახელებს ტახტმემლის და რაღა თამარის გარდაცვალებისა და დააწვადებულად მისი სახელით. როგორც ჩანს ი. შანიშელაშვილი არ ითვალისწინებს ძველ წყაროების დედნებადან მათი მრავალქერადი გადაწერის ფაქტებს, რომლის დროსაც შექმნილ სხვადასხვა ვარიანტებში გადაწერათა შეცდომების გამო ტექსტი ზოგან შეირყვნებოდა, ან შეიცვლებოდა სიტყვის დაწერლობა. აჯად. კ. ეველიძის აზრით, „თავდაპირველს დედანში იქნებოდა არა „ქმელსა დგომისა შინა“, არამედ „ტახტმემლის დგომისა შინა“. გამოთქმულ მოსახრებას ადასტურებს ფარსადან გორგჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ ტექსტთა, სადაც არის ასეთი სათაური: „სიკვდილი შეფთო შეფთისა და ქველწიფეთებში წაქების თამარის ტახტმემლის“ (12. 108). ანას თუ დავუშაბებო ე. ბერძენიშვილის შემოხუცავნილ მსჯელობას, იოანე ბატონიშვილის მიერ თამარის გარდაცვალების ადგილად წემო ტახტმემლის დასახელების გამო, აშკარა გახდება, რომ „ქმელის“ და ტახტმემლის გაიფუტებისათვის სრული საფუძველი არსებობს.

ამ შენიშვნის ბოლოს სტატიის ავტორი წერს: „ჩანს, რომ ტახტმელა იყო საკუთრივ თამარის, როგორც ქალისა და დედის, სადგურ-საცხოვრებელი. საგულისხმოა, რომ თამარმა ტახტმემლის სიხლოვეს დაარსა დედათა მონასტერი (კახენი)“ და აქვე დებდაღა ღაშა-გორგა (გვ. 152). საკვირველია, რომ ი. შანიშელაშვილი ამ შენიშვნის დასაწყის და ბოლო აზრებს შორის წინააღმდეგობას ვერ ხედავს. უკეთეს ტახტმელა „საკუთრივ თამარის“ სადგურ-საცხოვრებელი იყო, უფრო ბუნებრივია არ იქნება მისი გარდაცვალება აქ ვაგულისხმო? და მაშინ „ქმელისა“ და ტახტმემლის იგივეობა ვცნობ? მაგრამ ეს არ შეიძლება, რადგან ამ გზით საბოლოოდ კარგის ციხისა და აგარათა ციხის იგივეობამდე მივალთ, რასაც ავტორი ასე თავგანწილებით უარყოფს.

სტატიის ავტორის არც ის აზრია სწორი, თითქოს ტახტმელა მხოლოდ თამარის, „რო-



გორკ კალისა და დედის სადგურ-საქსოვრებელი“ უოფილიოს. ჭრ კიდევ სტეფანოს ორბელიანსა და ვარდან დიდს ჰქონდა აღნიშნული, რომ დემანს აწანუების დროს გიორგი III სხატეს იდგა. ამ ცნობაზე დურდონიანი ნ. ბერძენიშვილი გამოთქვამდა აზრს, რომ იგივე უნდა უოფილიო თამარის ტახაზე იდგა და ე. ი. სამეფო სადგომი გიორგის დროსვე (2. 280) [მდარ: ბერა ეგნატაშვილის I ტექსტში: „შოა თედეთისა, რომელი არს კერძოთა ტახაქმედეთისათა) (3. 850).

თამარის ისტორიკოსის ცნობები არ იძლევიან იმის საბუთს, რომ ტახაზელია საყუაროვ თამარის სადგომი იყო, ამ „ქალსა და დედას“ მეუღლე ჰყავდა, რომელაც ასევე მეფედ იწოდებოდა და არავითარი საფუძველი არ ჰქონდა ცოლისაგან ვანცალებზედ სადგომი ჰქონდა. ასე რომ, ტახაზელია იყო არა „დედოფლის სასუფრევლი“, როგორც მას სტატიის ავტორი უწოდებს (გვ. 150), არამედ სამეფო სადგომი. თამარის შემდეგაც იგი მეფეთა რეზიდენცია ჩანს ქართული წყაროების მიხედვით (3. 281, 816, 874).

ი. შიშველაშვილი იმრწმებს ბასილი ეზოს-მოდერნის სიტყვებს, რომ გარდაცემული თამარის „აღმოიყვანეს და მცირეთა დღეთა შინა მცხეთოდ დადევს“. შემდეგ განაგრძობს: „გასაგებია, რომ ტახაზელაში გარდაცემულია მეფის ნეშტს მცხეთაში ვერ „აღმოიყვანდნენ“, რადგან პირველ ჩანს მითი მალაღია მეორეზე. აქედანაც ვასაგები ხდება, რომ თამარის გარდაცვალება არა ტახაზელას, არამედ მცხეთაზე დასთა შედებარე პუნქტში „აგარათა“-ში (აგარათა კლავია), რომელიც მეფის სასამართლო სადგურ — „დურა“-თან შეიძლება გავავიყო“ (გვ. 158). ეს მსჯელობა, ღირსის გამო ზემოთ გამოართული კამათის არ იყო, მაშინ იქნებოდა სწორი, ტახაზელა-მცხეთის საბაგირო გზის რომ ვარაუდობდეს. მაგრამ ასეთი რაჟა მაშინ არ იყო, თამარი ჭრ თბილისს უნდა ჩაეყვანათ და შემდეგ მცხეთაში „აღმოიყვანათ“, ასეთი იყო მაშინ გზის მიმართულება ტახაზელიდან მცხეთამდე. მაშინდელი ისტორიკოსები „ზემოს“ და „ქვემოს“ ზღვის დროიდან ათეული სიმაღლეებით კი არ განსაზღვრავდნენ, არამედ მოავარი მდინარეების დინების მიმართულებით („დალა“, „აღმა“). ამ ისტორიკოსებს მწვერვალების სიმაღლეები კი არ აინტერესებდათ, არამედ ამ მწვერვალების ძირში მყოფი ქვეყნები, რომელთაც მოავარი მდინარეების დინების მიხედვით შეარქმევდნენ ზოლზე „ზემო“-ს, „შუა“-ს, „ქვემო“-ს. ამიტომ იყო შესაძლებელი შიდა ქართლს „ზემა სოფელი“ (ადრე), „ზემო ქართლი“ (გვიან) შეარქმეოდა, „ქვემა სოფლის“, „ქვემო ქართლის“ საპირისპიროდ, თუმცადა მამბუკარეების ქედის სიმაღლის მწვერვალები ამ „ზემა სოფელში“ შეიძლება არც უოფილიოს

სწორედ ამას ადასტურებს იმავე ბასილი ეზოსმოდერნის ერთი დეკლარაცია: „ნაპირებს ჩამოთვლი: **აგარათი** მწვერვატი იყო და ტაშირი... და ზემოთ ქავახეთა... ზედათ არტანი, სადა მესხნი მოწაპარობდნენ“ (3. 129). მწვერვალების მიხედვით, აქ ქავახეთის ახელია ეყვალზე მალაღ (880) 8). მაგრამ ისტორიკოსი ქავახეთის ზემოთ არტანს ასახელებს იმიტომ, რომ მტყვრის დინების მიხედვით, ის უფრო მაღლაა — აღმა. ამ კადე: მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი მწვერვალები დასავლეთ კავკასიონზეა, ისტორიულ წყაროებში ლიბონიეროს „ქვემო“, ამირს კი „ზემო“ ქვეყანა ჰქვია (18. 682).

ი. შიშველაშვილს ასეთი სურათი ეხატება: ავადმყოფი თამარ მეფე ნაპარმაგვიდან აზილის წამოიყვანეს. „ავარანის (ნადარბაზევი) საზაფხულო ციხე-დარბაზამდე შეგზავრობა (00.70 კმ) მომსაწყველი იქნებოდა. მაგრამ მტკიცე ხნით თბილისში შესვენების შემდეგ, მცხეთელი, მისივე (თამარის) ნებით გზა მაინც გაუგრძელებიათ დასოსკენ... თამარი ავარანის (ნადარბაზევი) საზაფხულო ციხე-დარბაზში უნდა აიყვანათ. აქ არა მარტო შეუდარებელი მეუღლეობა, სადი და გრილი ჰაერი, წყალუბვი ნაკადულები, უნიკალური წყალსადენი, საგანგებოდ აწყობილი სასაბისი მეურნეობა და მომსახურე პერსონალი იყო, იგი თვითონ იდგა ტყეში, ხოლო შორიაზლო, ბედნის მწვერვალის ფერდობზე — უღამაზესი ნაქვარა იყო შეფენილი, მძლავრი გაღავნი დაუძლ მის ხელდა ეზოში, ან უშუალო გარემოში, შეიძლება იკარებინა ვაშლი და დასოს კვლობაზე ცხოვრება ისე, რომ ფიქრადაც კი არ ექნებოდათ უამინდობა. შემტანიე აზობის, რომ ავადმყოფობის გაუარესების გამო, თამარი საზაფხულო სადგურიდან (დასოდან) უკან წამოიყვანათ და აგარათს, ან აგარათა ციხეში (საზაფხულო სადგურ დურაში) დაუბინავებინათ, სადაც გარდაცვლილი კიდევ, მხოლოდ აქედან შეეძლოთ „აღმოიყვანათ“ იგი მცხეთას“ (გვ. 158, 154).

ავტორის მიერ დახატული ნადარბაზევის იდილიური სურათი, ისტორიკოსს (ამ ადგილის მნახველს) ვერ დააწმუნებს ადრეული ფაქტის შესაძლებლობაში, პირიქით: კლომეტრებზე გამოყვანილი „უნიკალური წყალსადენი“ სწორედ იმიტომ დასპირდათ, რომ ნადარბაზევი „წყალუბვი ნაკადულები“ არ იყო (19. 815)... (და აი, სწორედ აქ უნდა სტატიის ავტორს, გამოზნოს დედამეში მილიონწამებო ლიტონა წყალი 80 ათასი ცენტონისისათვის, რომელსაც იგი აქ შეურას დემანს აწანუების დროს... იხ. წინ.). ავტორი თვლის, რომ არ არის საუარყოფი ავადმყოფი თამარ მეფის აყვანა კოჭორ-ტახაზელაში, რადგან ეს ამბავი ნიციბერ-დეკემბერი სტებოლიაო. თუ მართლა ასე იყო, მაშინ ნადარბაზევის უპირატესობა



რადღაც გამოვლინდებოდა, იგი ზომ, ავტორის სვე სიტყვით, ზღვის დონიდან ტანახმების სიმაღლეზეა. პირიქით, მისი ნაკლად ამ შემთხვევაში სრულიად ცხადია, რადგან თბილისის დაშორებულთა 70 კმ-ით კიდევ უფრო წარმოუდგენელია, რომ მუხე-ქალი, რომელსაც ავადმყოფობა გაუღვივრდა, ნადარბაზევიდან წყალთაშუა—ღურის „სადგომში“ გადაეყვანათ, თბილისიდან უფრო შორს, ვიდრე ნადარბაზევით... ამიტომაც სიმარტლესთან უფრო ახლოა ნ. ბერძენიშვილის აზრი: თამარი თბილისიდან „წაიყვანეს“ დასოს, იქიდან კი იქუაღად წარმოიყვანეს აგარათა ციხეს“. „არა გვერთაო — წერს იგი — შემთხვევითი იღონ ჩვენ მიერ ხაზგასმული ზონის ასეთ ფორმებში მოყვანა ისე გამოდის, რომ ავტორს აგარათა ციხე და დასო თბილისიდან ერთი მიმართულებით ეგულდება და ამავე დროს, აგარათა ციხე უფრო ახლოა თბილისიდან, ვიდრე დასო“ (მ. 824). მოტანილი მსჯელობა სრულიად გამორიცხავს ი. შაიშველაშვილის მიერ მოხაზული მარშრუტის სამკუთხედს: თბილისი-ნადარბაზევი-წყალთაშუა-თბილისი (შემდეგ მცხეთა).

სტატიის ავტორი ბოლო შენიშვნაში წერს, რომ ნ. ბერძენიშვილი ახვიადებს კოჭრის ციხის მნიშვნელობას, სიმტკიცეს, მოზერბებულ მდებარეობას. „ჩვენს საისტორიო წყაროებში ვერ ვპოვებ ამ დებულებათა დამადასტურებელი ცნობები“ (გვ. 154). ეს ხდება იმიტომ, რომ იგი წინასწარ აკეთებულ აზრით (აგარანი ნადარბაზევი), თანმიმდევრულად ცდილობს უარსონ. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებანი აგარან-კოჭრისციხის იგივეობის შესახებ. სამაგიეროდ, ქართულ და რუსულ წყაროებში არსებული ცნობები აგარანის ციხეზე ავტორს ისე უადგილოდ მიუყვებია ნადარბაზევისთვის, რომ ვადიდებდა წინააღმდეგობათა დასაძლევად, ახლა წყალთაშუაში დაუწვია აგარათა ციხის ძებნა: მართლაც, ნადარბაზევი — ეს საუფხულო რეზიდენცია ვერც სიმტკიცეს, ვერც მარჯვე მდებარეობას, ვერც დიდ მნიშვნელობას ვერ დაიჩემებდა.

ი. შაიშველაშვილისათვის აუხსნელია „ახლო-ღუბურთა უფურადღებობა კოჭრის ციხისადმი (ნ. ბერძენიშვილის აზრით — აგარანი), რაც გამოსკვევის ჩვენი აველაზე დიდი შტრების (ბუღა თურქა, მურვან ურუ, მონღოლები, შაჰ-ახანი) საქციელში. დამაყრებელი რამ არც ამის შესახებ მოიწინებება ხუნებულ წყაროებში, ვითომც მის ძირში გადიოდა საქვეურო საქარაფრო გზა. მაგრამ ამ საბუთ-საფუძვლების მოხსნითაც არაფერი ითქმება კოჭრის ციხისა და აგარანის იდენტურობის სასარგებლოდ“ (მ. 825-826).

საინტერესოა, სტატიის ავტორს ეს ჩვენი აველაზე დიდი შტრები“ რს ნიშნით ამოურჩევა, მაგრამ აქ მოთავსებულია მხოლოდ უმნიშვნელო ციხე უფიქრად დასახლებული მოხსენებულ შტრებს უფრადღებობა არ მიუკცევიათ. ავტორს, ჩანს, არ მოეხსენება, რომ კოჭრის ციხის დღემდე შემორჩენილი უძველესი ფენა შეიძლება IX საუკუნეზე ძველი არ იყოს, ასე რომ მურვან ურუს დროს იგი აღბათ არც არსებობდა. მონგოლების დროს ტახამბელის სამეფო სადგომი ახსენიება, მაგრამ ი. შაიშველაშვილს იგი აგარათა ციხესთან ვერ დაუკავშირებია. კოჭრის ციხის გვიანდელი ფენები XVI-XVII საუკუნეს ეკუთვნის და ის თუ წყაროებში არ მოიხსენიება, ეს შესაძლოა შემთხვევითი აიხსნას, რაც შეეხება გზას და გზაპირის კლდეში, ის მართლაც არსებობს ამ ციხის ძირას, რამეც ი. შაიშველაშვილაც დარწმუნდებოდა, კარგად რომ მოეცია იგი ადგილზე.

ამრიგად, ვრწმუნდებით, რომ განზოგადი წერილი თავიდან ბოლომდე სამწუხარო გაუგებრობებზეა აგებული, თუმცა კი კალო კატეგორიული აქვს. აქ, როგორც იტყვიან, ამბიციები შორს უსწრებენ ამწინიას და აი რატომ: ნაკლულია ფაქტობრივი ცოდნა ასეთი სპეციული კვლევითათვის რომა საქარო; უცნობია ძირითადი წყაროთმცოდნეობითი ბერბები, როგორცაა წყაროს გაგება და შეფასება, წერილობითი ცნობების შემოწმება სხვა ასეთივე, ან არაპირდაპირი ცნობებით, დადგენილი ფაქტის ინტერპრეტაცია, რაც შეეხება ეტიმოლოგებს — ისანი უადგილოდაა მოხსნილი. როგორც ჩანს, ასეთი საკითხების კვლევისას მხოლოდ სამხედრო თეორიისა და სამხედრო ბელოვნების ცოდნა არ კმარა.

გასაგებია, რომ ქართველი კაცობის საქართველოს ისტორია უფრო მეტია, ვიდრე ვთქვათ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებას რომელიმე დარგი. ამიტომაცაა ამ საკითხებზე ფიქრობენ და წერენ ექიმები თუ მათემატიკოსები, ინჟინერები თუ გლეხები. აქად ი. ვეპუაც თურმე საქართველოს ისტორიკოსობას ნატრობდა, რადგან მასში მეტად ხედავდა ეროვნული თვითგანმტკიცების გზას. ასეთ პირობებში საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხების კვლევა დაინტერესებულთა რიცხვი სულ იმატებს არაისტორიკოსთა შორის. ცხადია, უნებლედ შეცდომებისაგან დაზღვეული არც ისტორიკოსები არიან, მაგრამ მოუყარულების მიერ

ჩატარებული მეცნიერული კვლევისას, შეცდომა
მეზის შანსი გაცილებით მეტია. ეს უნდა გავი-

თვალისწინონ ასეთი ნაშრომების ავტორებიც
და მათმა გამოყენებულმა მასალებმა.

დასრულებული ლიტერატურა:

1. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ბელნიჭერის მიხედვით ს. ვახუშტის მიერ, ტ. 1, თბ., 1955 წ.
- 2 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები 1, თბ., 1964 წ.
- 3 ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959.
- 4 სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანისა“ ძველი ქართული თარგმანები, გამოც. ელ. ცაგარეიშვილისა, თბ., 1978.
- 5 ლ. მელიქსეთ-ბეგი, ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ენათბობა, თბ., 1928.
- 6 შ. მესხია, საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, „მომხილველი“, 2, თბ., 1951.
- 7 ირ. ციციშვილი და პ. ზაქარაია, ნადარბაზევი, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. 1, თბ., 1955.
- 8 ნ. თ. ემინის გამოკვლევები და სტატიები, მოსკოვ, 1896, (რუს. ენაზე).
- 9 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979.
- 10 გ. მისინაძე, ერთი სომხური წყარო დემნა უფლიშვილის აგანყების შესახებ, კრებ. „საქართველო რუსთაველის ზანაში“, თბ., 1966.
- 11 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, VI, თბ., 1983.
- 12 რ. ვიენაძე, ფარსადან გიორგიანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდელდანი“, თბ., 1979.
- 13 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941.
- 14 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973.
- 15 კ. პანი, კავკასიური გეოგრაფიული სახელების ახსნის კუთხით СМОДНИК, 1909, 40, VI, გვ. 9. რუს. ენაზე, ს. ტ. ერეშიანი, სომხეთი „სამარკუციის“ მიხედვით, ერევანი, 1963, გვ. 65 (სომხურ ენაზე); ლ. მელიქსეთ-ბეგი დავით უძველესი და დავით გარეჯელი, „საბუბილეო კრებული კ. ქაველიძეს“, თბ., 1959, გვ. 213.
- 16 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1, თბ., 1950.
- 17 დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, 1, თბ., 1977.
- 18 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975.
- 19 ი. გებელიშვილი, თეორიული რაიონის ნასოფლარები, საჭ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XV, № 5, თბ., 1954.

ხეთურ-ქართული მითოლოგიური პარალელები

(ი ი ა — ურთხული)

თელიფინეს მითში, ზეთურ კანონებში (5 50), მთელ რიგ ჩიტუალურ-მითოლოგიური შინაარსის ტექსტებსა და ლოკუშენტებში არაერთგვის მოხსენიებული ე ი ა ს ხის იდენტიფიკაციის საკითხი დიდი ხანია, რაც კამათისა და აზრთა კიდილის საგანს წარმოადგენს. სხვადასხვა დროს ამ საკითხის შესახებ მოსაზრებები გამოთქვენ: f. ფრიდრიხმა, k. გიუტერბოქმა, ე. ლაროშმა, ვ. შანშა, ს. ალფმა, კ. გირზალმა, ნ. ბენდლქიმემ, ვ. ივანოვმა, გ. გიორგაძემ, ვ. არძინაძემ და სხვებმა.

ერთი „ეიას“ ავივებენ „ნაძთან“, მეორე — „მუხასთან“, მესამე, ხის სახეობის დაუსტების გარეშე, „ეიას“ თარგმნიან როგორც „მარადმწვანე ხე“.

1864 წელს ეიას ხის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით ახალი თვალსაზრისი გამოითქვა თ. გამურელიძემ და ვ. ივანოვმა ზეთური წერილობითი წყაროების „ეიას ხე“ — ურთხულიან (Taxus-თან) გაიავტეს და „გი მსოფლიო ხედ გაიარეს!“ ამ თვალსაზრისს შემდეგი ძირითადი მონაცემები უდევს საფუძველად: 1. თ. გამურელიძისა და ვ. ივანოვის თანახმად, საერთოინდოევროპულად დონეზე „ურთხულის“ აღსანიშნავად ei/oi — ფორმა აღდგება, რომელიც ფონეტიკურად ეიას (ei-a-s) იდენტურია; 2. ზეთური წერილობითი წყაროების ეიასთან დაკავშირებული მითები და ჩიტუალები დიდ სემანტიკურ სიახლოვეს ავლენენ ინდოევროპულ (გერმანულ, ნორვეგიულ, საქსონურ, ძველ კელტურ) იმ ტრადიციებთან, ურთხულიან რომა დაკავშირებული კერძოდ, ირკვევა, რომ გერმანულ ტრადიციებში მარადმწვანე ურთხული სკვალდის შემდეგ აღორძინების სიმბოლოს წარმოადგენდა. ძველ სკანდინავურ ენაზე დაწერილ ერთ-ერთ პოეტურ ტექსტში ურთხულს უძღვრიან, როგორც ზამთარში ზეთა შორის ყველაზე მწვანეს. ან-

გლო.საქსები ურთხულს საფლავებთან რგავდენენ. აქ ეს ხე მარადიულ სიცოცხლესა და მკვლრეთით აღდგომას ასახეობდა. წმინდა ხედ მიიწვედნენ ურთხულს ძველი კელტებიც და ა. შ.2

ჭვემით შევეცდებით ურჩვეწოთ, რომ თ. გამურელიძისა და ვ. ივანოვის ამ ახალ მოსაზრებას ქართული ტრადიციაც უჭერს მხარს.

სანამ საკლდეი საკითხის ამ ასპექტს შევხებოდეთ, შევეცდებით ზეთური წერილობითი წყაროების ის მონაცემები მიმოვიხილოთ, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ შეტყაყები სიზუსტით აღვადგინოთ თვით ზეთების რწვენა-წარმოადგენები ამ ხესთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით დიდი ხანია უჭრადღებან იმსახურებს ერთი ზეთური ტექსტის ის ადგილი, სადაც ამ ხის მეტად ნიშანდობლივი და სასიათებია მოცემული. ზეთური ტექსტი, რომელიც კერძის დაღვმის ჩიტუალის აღწერას ეძღვნება, გვამცნობს, რომ, სხვა საგნებსა და მცენარეებთან ერთად, კერძასთან „ეიას ხეს ღვამენ და ასევე (ამბობენ): „(როგორც) ეიას ხე — (არის) მუდამ ამწვანებული და (მას) ფოთლები არ სცივია, და, მეფე და დედოფალიც ასევე „ამწვანებულნი“ იყვნენ და, მათი სიტყვა ასევე მარადიული იყოს!“ (CKHB, XXIX, 1, 4, 17—20)³.

მოტანილი ფრაგმენტიდან კარგად ჩანს, რომ ჩვენთვის საინტერესო ეია მარადმწვანე მცენარეა. ისიც ირკვევა, რომ ზეთების რწვენა-წარმოადგენებში ეია მარადიულობის სიმბოლოს ასახეობდა, ცხატარებული ზეთური ტექსტი კიდევ ერთ საგულისხმო მომენტს შეიცავს. რაც იმაში მდგომარეობს, რომ ეიას მაინცდა-მაინც კერძასთან ღვამენ.

სრულიად განსაკუთრებული როლი აქვს განკუთვნილი ეიას თელიფინეს მითში. აქ იგი ფიგურირებს მითის ფინალურ ნაწილში, სადაც

გაქცეული ღვთაების—თელეფინუს დაბრუნება ადწერალი. ხეთურ ტექსტში (KHB XII, 10; KHB XXXIII; 2) ნათქვამია: თელეფინუ დაბრუნდა და იწყო ზრუნვა კვეთნიერებაზე, ბოლოა დაუტევა ხარქმელი, ევამლა დაუტევა სახლი, ღმერთთვის სამხვერპლოები დაიღვა, კერა დაუტევა მხაროლაჟა მუგუნაღმა, თელეფინუმ ბაი ცხვრებით გაავსო, ბოსელში საქონელი შეტერა. შშობელი შევალზე ზრუნავს, ცხვარი — ბატანზე, ძროხა — ხბოებზე. თელეფინუ შეფე-დედოფალზე, მათ მომავალ ცხოვრებასა და სიკაცებზე ზრუნავს. თელეფინუმ კი მეფე ფიქრობდა. თელეფინუს წინ ეიას ხეს დგამენ. ამ ხეზე ცხვრის საწმისს ჭკიდებენ, იგი ცხვრის პოზიერების საწინდარია, მარცვლეულის სიხუვის, ნადირი სიხუვის, ღვინის სიხუვის დღეგრძელობისა და გამრავლებისა. იგი მოასწავებს ცხვრის სიკაცებზე, ზრდა-სიმრავლეს, სიმსუქნეს; მაშინ თელეფინუ მეფეს ცხვრის ტყავს მიართმევს და უველა სიკეთეს უხვად უბოძებს.⁴

ამრიგად, მოკვდავ აღორძინებად ღვთაებისთან — თელეფინუსთან დაკავშირებულ მიოთში ეიას ის წმინდა ხეა, რომელზეც საქრალურ საწმისს ჭკიდებენ. საწმისი ნაყოფიერების, გამრავლების, დღეგრძელობის, მეფე-დედოფლის განახლებისა და უველივე კეთილის საწინდარია.

ეიას ხის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე თელეფინუს მიოთში, ზემოაღნიშნულთან ერთად, ისიც ღვაპარაკობს, რომ იეროგრაფულ-ლუგურ დაწერლობაში საკუთარი სახელის „თელეფინუს“ აღსანიშნავად მაინცდამაინც ხის გამოსახულების ამსახველი ლოგოგრაჟა დასტურდება.⁵

ეიას ხეს განსხვავებულ კონტექსტებშიც ვხვდებით. ხეთური კანონების I ფირფიტის 9 მ-დან უვებულობთ, რომ, როდესაც ქ. არინაში XI თვე დადგებოდა, იმისი სახლი, ვის კოშკარზეც ეიას გამოჩნდებოდა, სახელმწიფო ბეგრის (ლუცის) მოხელისაგან თავისუფლდებოდა (სუქქე-მასხური, რომელიც ქ. ნერქეშია, ვინც ქალაქ ციფლანთაში ქურუშია, უველა (აქ) ქალაქში მათი სახლები თავისუფალია, ხოლო მათი შოწაღენა ღუცის ასრულებენ. როცა არინაში XI თვე დადგება, იმი (ს სახლი), რომლის კოშკარზე ეიას ხე ჩანს (თავისუფალია).⁶ ხეთური კანონების ეს მუხლი რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალს შეიცავს. უპირველეს უოვლისა, ცარჯად ჩანს, რომ ეიას თავისუფლების სიმბოლოს წარმოადგენდა. იმასაც ვგებულობთ, რომ ეს სიმბოლო განათავსებულია სახლის კოშკარზე თავსდებოდადლობის, როგორც ირკვევა, დადასტურებას პიკებს კერის დადგმის რიტუალისადაც მიძღვნილი ზემოთ მითითებული ტექსტის ის მნიშვნელოვანი ჩვენებაც, რომ ეიას მარადმწვანე

მცენარის აღმნიშვნელი სახელწოდება იყო. გ. გიორგაძემ უურადღება მიაკვირა იმ გაჩერობებს, რომ ამ საკანონმდებელ რედაქტორულ ღოგმენტში, ღუცისაგან განსხვავებულია და განათავისუფლების სიხლის კოშკარზე ამ აქტის შეწყვეტელი სიმბოლოს — ეიას გამოჩენის დროდ XI თვეა განსაზღვრული, რომელიც ჩვენი კალენდრის იანვარ-თებერვალზე მოდის.⁷ წლის ამ დროს კი სიმწვანე მხოლოდ მარადმწვანე მცენარეს შეიძლება ჰქონდეს შენარჩუნებული და არა რომელიმე ფოთლოვან ხეს (მუხის ჩათვლით).⁸

თავისუფლების სიმბოლოდ ვგველინება ეიას, KHB XIII, მ. I — 12. შეც, სადაც სახანისა და ღუცისაგან ახლადშექმნილი „ქვის სახლის“ განათავისუფლების შესახებაა საუბარი.⁹

უველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, იმ დასკვნაშიც მივდივართ, რომ ეიას მარადმწვანე ხე იყო. იგი მარადიულობას, უღვე სასიკაცებო ძალას, ნაყოფიერებას, გამრავლებას, მოკვდავ და აღორძინებად ბუნებას და თავისუფლებას ასახიერებდა.

როგორც აღინიშნა, ჩვენი ვარაუდით, თ. გაშურელიძისა და ვ. ივანოვის ახალ თვალსაზრისს, ურთხვლთან ხეთური წყაროების ეიას განავიხების შესახებ, ინდოევროპულ მიოლოგურ ტრადიციებთან ერთად, ქართულიც უჭერს მხარს.

ცნობილია, რომ საქრალურ ხესა და მასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს ქართველური ტომების მიოლოგიურ აზროვნებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. სამლოცველოებისა და ხატების გარშემო არსებული ტყეები წმინდა და შეფთავი იყო. სალოცავთან ხის დარგვისა და მის მოვლა-პატრონობას ისეთადვე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, როგორც მისთვის ცხოველის შეწირვას.¹⁰ რიგი გამოკვლევების შედეგად დადგინდია, რომ საქართველოს სხვადასხვა მხარეში წმინდა ხეებად ითვლებოდნენ მუხა, ცაცხვი, ვაზი, ტორაფი, იფნა, ალჯა და სხვ.

ჩვენს ხელთ არსებული მასალიდან ისიც ჩანს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან მცხოვრები ტომების რწმენა-წარმოდგენებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მარადმწვანე ხესაც. ამ მხრავ სანტიკრისონია, რომ მკვირე პლასტიკის ჩვენამდე მოღწეული უველაზე ადრეული ნიმუში — მქდომარე ქალის ქვის ქანდაკება შულავერისადაა, რომელიც ე. წ. ადრესამიწათომოქმედო კულტურის ძეგლების წრეს განეკუთვნება (ძვ. წ. VI-IV ათასწლ.) და უძველესი მიწათმოქმედი ტომების კოსმოგონიური შეხედულების ერთგვარი ილუსტრაციას წარმოადგენს, წიწვოვან ხეს, უღეთ კი მისი დებადების იდეას ასახიერებს.¹¹

გამორიკებული არ არის ვარაუდი, რომ მას



რადმწვანე (წიწვოვანი) ხის სიმბოლურ გამო-
სახულებას უკავშირდებოდეს, აგრეთვე ე. წ.
წიწვოვანი (ფხურა) ირწმუნებოდა, რომელიც
საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ე-
რამიკაზე უკვე ნეოლითის ხანიდან დასტურ-
დება. ხოლო მომდევნო ათასწლეულებში ფა-
რთოდ გამოიყენებოდა კრამიკასა, ბრინჯაოსა
და სხვა ლითონების ნაწარმის დეკორში. წი-
წვოვანი ხის მოტივი ზურტაკეტის, ხოვლებს
უკრძანებს კვებზე დატანილმა ნიშნებმაც შე-
მოგვანახა.¹²

ქართველურ ეთნოგრაფიულ სიმბოლოში მარად-
მწვანე (წიწვოვანი) ხეობა დაკავშირებული
არსებობს მარადმწვანეების შესახებ მეტად საგუ-
ლისხმო მონაცემებს გვაწვდის ქართული ეთ-
ნოგრაფიული ლიტერატურაც. ვ. ბარდავლი-
ძის მოწმობით, სვანეთში ფიჭვისა და ნაძვის
ბუციან წმინდად ითვლებოდა (წმ. კვიციანის
მონასტრის ფიჭვნარი, მულაბის წმინდა ნაძვი).
მათთვის შესაწირავი მიჰქონდათ, იქვე ლოცუ-
ლობდნენ. ამგვარ წმინდა ტყეებში ხის შიშველი
აურძლიანი აურ. 13 ისიც ცნობილია, რომ სვან-
ეთში ლიჩენისის დღესასწაულზე მისტან
დროშის ტარს, ღვატს არყისა და ფიჭვისაგან
ამზადებდნენ,¹⁴ ხოლო მურყავიბა — კვირ-
იანის დღესასწაულზე ნაძვისა და ხის შიშვის
აღმართვის რიტუალს ასრულებდნენ¹⁵ ფიჭვის
ხის მოტივს მიცვალებულის კულტთან დაკავ-
შირებულ სვანურ სწესს ვრათყავიშუც ვებუ-
ბით (ლიფანაღის დღესასწაულისაღმომადგენ-
ლი ნახატებში დიდი ხანია, რაც უფრადდება
მიიქცია საქარლურმა ფიჭვმა, რომელიც თე-
ნი ცემენ¹⁶ და სხვ.

აღნიშნულთან ერთად, ჩვენი აზრით, უფრ-
ადღესასწაულებს მიხედვით მარადმწვანე ხის
ფიჭვის შესახებ უნდა იყოს შემდეგი მოსაზრება,
„უფრანის პატრონისა“ აღმართვაზე რომ მოგ-
ვითხოვს. საკვლევე სკიობთან დაკავშირებით
ამ თქმულებაში უკლებლად მეტად საინტერესო
აღბთ ისაა, რომ ახალგაქრისტიანებულმა ქარ-
თველებმა ქრისტიანული ჭეჩის აღსამართავად
მონღელთაგან ისეთ ზეს ირჩევდნენ, რომელიც
უკლებლად წმინდად მარადმწვანე (დღესაც მარად-
მწვანეობს): „...და მარადმწვანე იგი და წა-
მოღვეს რტოფრთხი თხილი, და მთავრად ქა-
ლაქად. და შემოკრება ერთი ხილდა და
მწვანის ფერობასა მას ფურც-
ლიანობასა, ემსხვა სამთრისასა,
ოდეს სხუა უკვლად ზე ზემოდ იყო,
ხოლო ესე ფურცელად-დაუცვლელი,
სულადი და სხილვებულად შეუც-
ვრის. და უფრო კვეთი: „ესე მოქცეუთ ეს
მარტსა იცდას უფრსა, დღესა მარ-
ტასკვესა. და დაადგარა ზე იგი ეგ-
რეთ დღესა იცდაჩვიდმეტსა, და
არა შეცვალა ფერსა ფურცელ-
მან მისმან, ეთარცა ედგა ძირ-
ხავე ზედა მისსა, თავსა ზედა

წყაროსასა, ეოდრემდის ეოდრელ-
ნი ხენი მადნარისა ნუგაქრისა, ნუგაქრის
ფურცლითა და სხუაღმომწმუნეს“
გამომდებელია შემოქმედის უფრ-
ვილითა“.¹⁷

ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შედეგად სა-
ქართველოს სხვადასხვა კუთხეში მარადმწვანე
ურთხელის კულტის არსებობაც დასტურდება.
საქართველოში ეს ხე თითქმის უკლებლად
გვხვდება. რაჭაში, ლეჩხუმ-აჭარეთსა და გუ-
რიაში მას ურთხმელად ეწოდება, აჭარაში
— შადა, ურთხმელად და სატილორად.
ქვემო რაჭაში — წუთულო, ქართლში ურ-
თხელი, სამეგრელოში ურთხელი, სვანეთ-
ში ურთხელ, შარა, მთიულეთ-გუდამა-
ურაში ურთხელი, ფშავში ურთხვარი.¹⁸

ქართველური ტომებისათვის კარგად იყო
ცნობილი ხის ამ გიშის ძირითადი თვისებებებე-
ნი — გამძლეობა, ფიციანობა, ნელი წრდა-
განვითარება. ფშავური ეთნოგრაფიული მასა-
ლით, ურთხვარი აწვიათ ქაშად ითვლება. გამ-
ძლეობით „შვილითაშვილებს გადადის“, „წუ-
აღმწი უფრო მაგრდება, რყინასავით ხდება“. ურ-
თხელის ამ თვისებებზე სულხან-საბაო ვოუთა-
თებს: „ურთხელი ძაბო უღობიერობა. ხე, ურ-
თხვარი, საჭა“. მხარეების ტექსტში ეს ზე
„უღამაშადა“ წოდებული. არსებობს ურთხ-
ვარის სახელწოდების ხალხური ახსნაც: „არ
ითხოვების სიძვარის, სიძვარეულის გამო“, ან
„ისეთი ძვირადღირებულია, იმის ფასს ვერ
გადაიხდის“. ერთი გადმოცემის თანახმად, „თა-
მარ მიყვ ხის ამ ქაშს არავის აძლევდა და
ამიტომაც ეწოდა მას ურთხვარიო“ და სხვ.

რაცადაც ჩანს, ურთხელის ამ ბოტანიკური
თვისებების გამოც იყო, რომ იგი ურთხვარი
დროიდან თაყვანისცემის ობიექტს წარმოად-
გენდა, რაც ნათლად ვლინდება თიან სამე-
გრელოში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასა-
ლიდან. ამ მასალის ერთი ნაწილის მიხედ-
ვით,¹⁹ ურთხელთან დაკავშირებული დღესას-
წაული ურთხაობა — საგანუხულო დღე-
სასწაულს წარმოადგენდა. სარიტუალო ზედ
აათწლეული, მაღალ ურთხელს ირჩევდნენ. ზე-
სთან შესაწირავთ მიდიოდნენ და ლოცულობ-
დნენ. მას უფრეგვარა ხეობის შესახებდნენ.
ერთ-ერთი ამგვარი ლოცვა-ვედრებას ტექსტო
ანეთია: „ღმერთო ძლიერო, წმინდაო ხეო, ძა-
ლის მომცემო შენ მიეცი ჩვენს ხალხს გამარ-
ჯება, გამრავლება, აკვირსული ჩვენი ლოც-
ვა-ვედრება, გვიმრავლე საქონელი, უხვი მო-
სავალი, მოგვეცი ამ დღეს ზედნიერება და ნუ
დაგვიწუნებ ჩვენს შესაწირავს!“

ურთხაობას სრულდებოდა შემდეგი რიტუა-
ლი: ოქაბის წიგრები ურთხელის ხის ვარშეშო
დებოდნენ. ოქაბის უფროსი მამაკაცა ზეს
ძვენათ მიუახლოვდებოდა, მას ხის ძირში და-
დებდა და მოწიწებით ზეს ზედნიერებასა და
ოქაბის განმარტებლობას შესთხოვდა. შემდეგ



პატარა ტოტს მოსტყუდა, ხელში დაიჭერდა, ხეს სამჭერ ლოცვით ვარშემო შემოუფლიდა და ურთხელის ტოტს ოჯახის ყველა წევრს სამ-სამჭერ შემოჭრავდა; თან ხეს ევადრებოდა ავი თვალისაგან ოჯახის დაყვას. ამ რიტუალის შესრულების შემდეგ ოჯახი სახლში ბრუნდებო-და. ეზოში პირველი კვლე ოჯახის უფროსი შევიდოდა და კიშვარზე დაჟაღებდა ურთხელის ტოტს, რომელსაც წინასწარ ნახშირს წაუსვამ-და. დასასრულს ოჯახის წევრები სახლში შე-ვიდოდნენ და სადღესასწაულო სუფრას მიუ-ხედობდნენ. ურთხელის მეორე დღეს, ადრია-ნად, შინს ამოსვლამდე, ოჯახის უფროსი უშ-ძრახავდ გავიდოდა სახლიდან, კვლავ მივიდოდა ურთხელის ზესთან, რამდენიმე პატარა ტოტს მოსტყუდა, ნახშირს წაუსვამდა. ამ ტოტებიდან იქვე გამოსჭრება პატარა ქვრებს და ხაღში, ენაში, უნახსა და ზოსტანში კარებზე ჩამო-კიდებდა.

ერთი წლის შემდეგ ურთხელის ქვრები ახ-ლით უნდა შეცვლილიყო. ძველ ტოტს და მის-გან დაყვნილ წიწვებს შეაგროვებდნენ და აქ-ვე, კიშვართან დამარხავდნენ.

ურთხელის ტოტი სახალწლო დღესასწაუ-ლების ციკლშიც ფიგურირებდა. სწამდათ, რომ სახლის კიშვარზე ან კარზე ხაზალწლოდ და-შვარტული ურთხელის ტოტი პარაქანა და ბე-დნიერებას მოუტანდა ოჯახს. ტოტს, როგორც წესი, ოჯახის უფროსი ჭკიდებდა. ზოგა ამ ტოტს მეორე ახალ წლამდე ზელს არ ახლებ-და, ზოგად ერთი თვის მეტი ჩამოსწამდა და იქვე, კიშვართან დამარხავდა. ურთხელის ტო-ტის გადავდება აკრძალული იყო. ისიც ირყ-ვევა, რომ გლეხები ახალ წელს ადგილობრივ მებატონეებს ურთხელის ტოტით უღოცავდნენ. ტოტს მებატონის კიშვარზე ან სახლის კარზე ჭკიდებდნენ.

ურთხელთან, როგორც საქრალურ ზესთან, სხვა რწმენა-წარმოდგენებაც იყო დაკავშირე-ბული. ასე, მაგალითად, მითან სამეგრელოში ურთხელს შეილებიან გამარჯვება-გამარჯლებას შესთხოვდნენ. ამ რიტუალის მოთახ მოქმედ პარს ქალი (დედა) წარმოადგენდა. ურთხელთან მისასვლელად მლოცველი ქალები თადარიგს წინასწარ, დამო იჭერდნენ. რტულური კვი-რების გამოსაცხობად მკადის ფქვალითა და დერდილისაგან მოამზადებდნენ ცომს, რომე-ლისაც ურთხელის წიწვს ურევდნენ. ცაზე მოვა-რის გამოჩენისთანავე წმინდა ხინა და შეილის ამ შეილებიან საბელზე გამოაცხობდნენ კვი-რებს, ზესთან მივიდოდნენ, ძირში მის კუთვ-ნილ კვირს დაუდებდნენ და ღაილოცებოდნენ: „ზეო ძლიერო, ჩემო წმინდა ზეო, შენთან მო-ვედი, რომ შეგთხოვო ჩემი შეილებიან ბედნიე-რება და განმრთილება“. ლოცვა-ვედრების შე-სრულების შემდეგ, თუ ქალს შეილა თან ახ-ლდა, მანინ იგი ხელს ნახშირით გაიშავებდა, ქერ ხეს, ხოლო შემდეგ შეილს შუბლზე წაუ-

სვამდა და მის სახელზე გამოცხვარ კვირს შე-აბმევდა. იმ შემთხვევაში თუ ქრესტე მუშაქყო-ფობის გამო დაუძღვრებულნი გამოქრეს მუშაქყო-ლის ძალა არ შესწევდა, დედა ურთხელის ტოტს სახლში მიიტანდა და ავადმყოფი ბავშ-ვის ოთახის კარზე დაამარჯებდა. ერთი კვირის შემდეგ, ადრიანად, შინს ამოსვლამდე, უმჩრა-ხად მივიდოდა ზესთან, დაუჭრებდა და შეს-თხოვდა: „დმერთო ძლიერო, ზეო მაცოცხლე-ბელო, ურთხელის ძლიერო და უკვლისშემძლე ზეო, მიიდე ჩემი ვედრება ჩემი ბავშვის განჩა-თელობისთვის“. ამ სატყუებს მლოცველი სამ-ჭერ გაიმორებდა და დამოქალი ხეს სამჭერ გარს შემოუფლიდა. შემდეგ ნახშირთან ხელით ხეს ქვარს დაუსვამდა და მას შუბლს იხე ში-ადებდა, რომ ქვარის გამოსახულება შუბლზე გადასულიყო. ქალი სახლში უმჩრახად დაბრუ-ნებოდა, შეილთან მივიდოდა და შუბლს შუბ-ლზე იხე ძლიერად მიაჭერდა, რომ ქვარის გა-მოსახულება ახლა შეილის შუბლზე აღბეჭდი-ლიყო.

საქონლის სიმრავლება და ნადირობაში გა-მარჯვებას შესთხოვდნენ ურთხელის ზეს ე.ს. ქვედას ლოცვისას.²⁰ ესქედას ლოცვა ტარ-დებოდა გაზაფხულობით. ამ ლოცვამდე ახალ ზმომარგებელ ძროხებს არ წველიდნენ და ზმო-ებს ისე აწოკებდნენ.

თოფებით შეიარაღებული მამაკაცები შეიჯ-რახებოდნენ ესქედას გორაზე (ქალები ლოც-ვაში მონაწილეობას არ იღებდნენ), სადაც დი-დი ურთხელები იდგა. ლოცვა ყველათა და კვირებით ზებოდა: „ესქედა ზორცალი, ჩე-მი საქონელი შენ ამოშენე, ჩემს საქონელს უკ-ველეგარი მანვე სული და ზიანი შენ ამორე, უკველ ნადირობაზე შენ გამამარჯვებინე“. ლო-ცვის შემდეგ მთელი დღე ტარდებოდა თოფის წამწა სროლა.

გამარჯვებასა და განმრთილებას შესთხო-ვდნენ ურთხელის ზეს „პერტობის დღესასწაუ-ლის“ დროსაც, რომელიც ივნისში იმართებო-და. ეს დღესასწაული ტარდებოდა წიშთან, რომელიც დიდი, მაღალი, ათასწლოვანი ურთ-ხელის ხის ქვეშ იყო. სახლში დაბრუნებისას მლოცველები თან ურთხელის ტოტს წამოი-ხედდნენ. სანამ სადღესასწაულო სუფრას გა-შლიდნენ, ურთხელის ტოტს საქალბო ქვევრს თაუზე სამჭერ მოუსვამდნენ და დაილოცებო-დნენ: „დღეის პერტობას მოგვეცი ძალა და გამარჯვებაო“. ქვევრის ახლა ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ზებოდა.

მითან სამეგრელოში ურთხელის ზეს შეელა-ხა და შემწეობას არასოდესასწაულო დღეებ-შიც შესთხოვდნენ. მივიდოდნენ ურთხელის ზე-სთან, შესაწირავიო, შესაწირავის ზელის ხდე-ბა აკრძალული იყო. მლოცველი ხელში მჩქს აიღებდა, ხეს სამჭერ შემოუფლიდა და მიმარ-თავდა: „დიდო ძალაო, შენ მოგვიხსე მტერი და მოღალატე შენ გავამარჯვე და გავაზა-



რე. მოგვეთა ძალა და ღონე შენი მფარველობა სდევდეს მუდამ ჩემს ოქახსა და ნაამაგარს“. აღწერილი რიტუალი საიდუმლოდ სრულდებოდა.

ურთხედის — უთხოვრის კულტის ნაკვალევს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიულ უოფაშიც ვხვდებით. ფშავში ეს ზე წმინდად იყო მიჩნეული. თავხევისბერის მითითებით, მას ხალხი ცავს რვავედენ. ხატის შესაწირავს (ხატკანს, ცხვარს), როგორც წესი, ურთხედის ხისაგან დამზადებულ სპეციალურ ორკაბა (კირხბა) ჭოსზე ზიდებდნენ.

ურთხედი (ურთხოვარი) მიცვალეულის კულტთანაც ჩანს დაკავშირებული. მთავარი როლი მას განკუთვნილი ჰქონდა უფრო-უკველად დაჯარგულის დაჯრძადის რიტუაში. ფშავში ვაჭრებზე უფრო ჩვეულებრივია. კნობათის გამართვისას, მოსპირადენ უფრო-უკველად დაჯარგული აღმინის სიმაღლის ურთხედის ტოტს, შემოსავდნენ და, რიტუალით გათვალისწინებული უკვლა წების დაცვით, დაკრძალვდნენ.

ურთხედის ხის საკრალისწავისათვის ხელი უნდა შეეწყო იმასაც, რომ მასზე ფშავში საკმაოდ მკაცრი აკრძალვები არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ფშავლები კარგად იცნობენ ამ ხის საუკეთესო სამურწინო თვისებებს, სოკოებს უკველდღიურ უოფაში მის გამოყენებას დაბეჭიბებით ერიდებოდნენ.

ამგვარად, მოტანილი მასალიდან საკმაოდ ნათლად იკვებება ქართველურ ტომებში ურთხედთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების სიძველე და ძირითადი მითოლოგიური

მოტივები. კერძოდ, ირკვევა, რომ ეს ძლიერების, უოკლისშემძლეობის, სიძველესი და მისა და სიწმინდის სიმბოლოა. ურთხედი დაინახეთ, რომ ლოცვა-ვედრების ტექსტებში მზირად შეირდება ფრაზები: „წმინდა ხეო, ძალის მომცემო“, „ხეო, მაიცხლებელი, ძლიერო და უოკლისშემძლო“, ხეო, დღეო ძალაო“. ლოცვა-ვედრების ტექსტებშიდან და რიტუალებში ამხატველი მასალიდან იხივ კარგად ჩანს, რომ ურთხედისაგან ოქახის ეთილდღეობას, შეიღების სიმაღლეს, განმართულობასა და გამარჯვებას, საქონლის გამარჯვებას, უზე მოსავალს, მარაქას, მღვინერებას, საიცოცხლის განხატება-აღორძინებას, მკურნალო აღდგომას, მტრისა და მოღალატის ძლევას, ავი თვალისაგან დაცვას ელოდნენ. ურთხედთან დაკავშირებულ ზნე რიტუაში ხაზგასმული იყო ურთხედის ტოტისა და მისი წიწვის საკრალური მნიშვნელობა. ტოტს, როგორც წესი, ეწოს კიშვარზე, ხატლის ან სემურწინო ნაკვეთების ღობეების კარზე რებდნენ.

ახლა, თუ, ერთა მზრიო, ხეთური წერალობითი წყაროების ეიას ხესთან, ხილო, მეორე მზრიო, ურთხედთან დაკავშირებულ ინტერკალულ და ქართულ ტრადიციებს თუ ერთმანეთს შევედრებთ, დავინახეთ, რომ ისინი აშკარა ხემინტიურ სიახლოვეს ავლენენ ერთმანეთისადაში, რაც იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ მარადმწვანე ურთხედთან ხეთური წერალობითი წყაროების ეიას ხის იდენტაფიცირებას საკმაოდ ხერიოზული საფუძველი გაჩნდა.

განმარტებულ რიტუალებში:

1. В. Т. Гамкрелидзе, В. В. Иванов, Индоевропентский язык и индоевропентцы, II, Т6, 1984, с. 628—631.

2 იქვე, გვ. 630.

3 ი. ტატიშვილი, კერის დადგმის ხეთური რიტუალი (KUB XXI, I, III, —37, —IX, 29), არქეოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1958, გვ. 142-151.

4 მტანილი ტექსტის ქართული თარგმანი 5. ბენდუქიძეს კულტურის (იხ. კარმანიო, თბ. 1982).

5. E. Laroche, des Hieroglyphes Hittite, Paris, 1952, № 151.

6. გ. გიორგაძე, ხეთური „სამინეიტეტო სიგელები“, „მეცნე“ (ისტორიის სერია), 1976, № 4, გვ. 41.

7. T. Friedrich A. Kammenhubee, Hethitisches Wörterbuch, Hr. 4, Heidberg, 1979, გვ. 320.

8. შდრ. V. Haas, Bemerkungor Zu CIS eja önn — AF, Berlin, 1977, გვ. 270.

* Г. Гиоргадзе, Очерки по социаль-

но-экономической истории Хеттского государства, Т6., ст. 30—32.

10 ვ. ლომი-აბარდველიძე, ხის კულტისათვის საქართველოში, საქართველოს მეზღუდის მოამბე, 1927, ტ. 3, გვ. 164-178; გ. ნიქტაი, სიციტხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, ენაშენის მოამბე, 1941, X, გვ. 301-320; В. В. Бардавелидзе, Древние религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Т6., 1957, ст. 55.

თ. ონიანტი, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967, გვ. 102 და შმდ.; ყ. რუხაძე, ერთი რელიგიური დღესამწინდის შესახებ სენეთში, აქველს მეგობარი, 1980, № 55; მ. ხიდაშელი, ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება აღრეულ რუკის ხანაში (ბრინჯაოს გრაფიკებელი სარტყლები), თბ., 1982, გვ. 96 და შმდ.; ი. სერგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლოა, თბ., 1986, გვ. 146 და შმდ.

11. ვ. ჯავახიშვილი, უძველეს ანთროპომორფულ ფიგურები საქართველოს ტერიტორიაზე, „საბჭოთა ხელოვნება“, 1979, 10 გვ., 41-47 (იქვე, მითითება სპეციალურ ლიტერატურაზე); მ. ხიდაშელი, დასაბ. ნაშრომი, გვ. 99-100.

12. თ. ჯავახიძე, შენიშვნები ზურტაყეტის ურდანების ნიშნაინი ქვების შესახებ, „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბ. 1956, გვ. 12-25; თ. მიქელაძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, თბ. 1975, ტაბ. 4.6 და სხვ.

13. Л. Г. Жорджинашвили Э. М. Гогодзе, Памятники Триаleti эпохи ранней и средней бронзы, Тб., 1974, ტაბ. 53, 56, 62, 68, 69 და სხვ.; И. И. Цвалариа, Поселение Гуандра (новый памятник энеолита и ранней бронзы в Абхазии), Тб., 1978.

14. ვ. ლომიძე-ბარდაველიძე, დასაბ. ნაშრ., გვ. 168.

15. ჯ. რუხაძე, დასაბ. ნაშრომი, გვ. 37.

16. ჯ. ონიანი, კამარაი, „ძველეს მეგობარი“, 1980, № 55, გვ. 32.

17. ვ. ჩიტიაი, დასაბ. ნაშრომი, გვ. 313-314; В. В. Вардавелидзе, Древние религиозные верования и обрядовое графическое искусство груз. племен, стр. 149-150.

18. ქართლის ცხოვრება, თბ., 1955, გვ. 119-120.

19. თ. ცაგარევილი, ცოცხალი ბუნების ძე-

გლები, ეთნოგრაფი, „ძველი საქართველო“ № 88, გვ. 5-8.

ხიდაშელი

19. მთიანი სამეგრელოს სავსე ეთნოგრაფიული მასალების დაზუსტებაში გაწეული დახმარებისათვის, ავტორები მადლობით მოიხსენიებენ თსუ ისტორიის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტს ვ. კეკელიას.

20. ა. ჭინტურია, ეთნოგრაფიული ჩანაწერები, მეგრული რწმენა-წარმოდგენები და ზნე-ჩვეულებანი, თსუ შრომები, ტ. 227, თბ., 1982.

21. „ურთხაობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით ერთი სავსელისში მომენტი იმსახურებს ყურადღებას. სამეგრელოს მთაში გავრცელებული ამ დღესასწაულს ზუსტ შესატყვისად სპ. მეგრელოს ბარში „ტირიფობა“ გვევლინება ამ თვალსაზრისით საინტერესო ისაა, რომ ინდოევროპულ დიალექტებში, რომელთა გავრცელების არეალში ურთხელი აღარ წარმოადგენდა ტიპურ მარადმწვანე ხეს, საერთო ინდოევროპულიდან მომდინარე მისი აღმნიშვნელი სიტყვა სხვა მცენარეებზე და, მათ შორის, ტირიფზე უკნა გადატანილი. ასე მოხდა, აერძოდ, რუსულში, სერბულ-ხორვატულში, ნაწილობრივ ძველ ჩეხურში, სადაც საერთო ინდოევროპული ei (ურთხელი) ტირიფის (ubas-) ნიშნავს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ინდოევროპულ ტრადიციაში „მარადმწვანე ურთხელის“ ადგილს „მარადმწვანე ნაძვი იკავებს (მღრ. გერ. Tannenbaum ან ინგ. Christmas tree — საშობაო ხე). იბ. Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов, დასაბ. ნაშრომი, გვ. 630-631.



„განგებამ გამოაჩინა დიდი ასე მუშაკი“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობამ გამოაქვეყნა დიდი ივანე ჯავახიშვილის უახლოესი თანამოსაზრის, ქართული ენათმეცნიერების პარტიკული, აკადემიის დამფუძნებლის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ძალზე საინტერესო მონოგრაფია, რომლის ავტორებია კორნელი დანელია და ზურაბ სარჩველაძე. პირველასვე განუყოფილებს „ცხოვრების გზა“ ეპიგრაფად წამოღვარებული აქვს გიორგი მცირის ცნობილი სიტყვები: „განგებამ გამოაჩინა დიდი ესე მუშაკი“.

პირველ ნაწილში — ცხოვრების გზა (გვ. 4-74), საუბარია მეცნიერის შრომით სოფელზე, ქუთაისის გიმნაზიისა და პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდზე, სამეცნიერო მივლინებებზე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ვიკატუშკელასთან შეხვედრებზე, პეტერბურგიდან თბილისის უნივერსიტეტში დაბრუნებაზე, დიდ სამეცნიერო და სასწავლო მოღვაწეობაზე — სახელმძღვანელოების შექმნა, სამეცნიერო მუშაობის გაშლა, ქართულ შრიფტებზე ზრუნვა, ზრუნვა სამეცნიერო ქართულის ნორმალიზაციისათვის.

როგორც ითქვამს, თითოეულ ქვეთავს ეპიგრაფად უძღვის ძველი ქართული მწერლობის ცნობილი მოღვაწეების, ბიბლიური პერსონაჟების, გამოჩენილი მეცნიერების ისეთი გამოწვევა, რომლებიც ზუსტად ესადაგება აკადემიის მეცნიერულ, მამულიშვილურ და პიროვნულ ღირსებებს, სანამეზოდ მოეცა მხოლოდ ქვეთავის („სასწავლებლად ქუთაისში“) ეპიგრაფს — გიორგი მერულეს სიტყვებს გრიგოლ მანათელისადმი მიმართულს: „ხოლო გელისმეორებაჲ სწავლისაჲ განსაკრებელ იყო ფრიად, რამეთუ... ქართულსა ენასა შინა ყოველი დასწავლა და მწიგნობრობაჲცა ისწავლა მრავალთა ენათაჲ“. მეტყვე საუბრენში ნათქვამი ეს სიტყვები, თითქოსა ზუსტად ესადაგება აკადემიის ურჩობისა და ქაბუკობის პერიოდს. გიმნაზიაში, სასწავლოდ, ქართული ენა და სიტყვიერება არ ისწავლებოდა, „რომლის შესწავლისა და მოვლის საქმეჲნი მსიაჲ აკადემიის შინაჲ იქნა“.

1908 წლის 8 იანვარს აკადემიის წევრთელი მოუწვევით ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მოსწავლეებს დაუშვადებით აკადემიაში მისართმეად პორტრეტი „გზა — აკადემია“. სურათი დაუხატავს მე-8 კლასის მოსწავლეს დავით

აკაბაძეს (მემდევნი სახელგანთქმულ მხატვარს), სურათის უკანა გვერდზე ეწერა მე-8 კლასის მოსწავლეს აკადემიის ლექსი, იბოლარისადმი მიძღვნილი: ჩაფქრებული მგოსანი, შავი ფქრებით მიცული, თვალწინ ვხატვის სამშობლო მტერთაგან გარემოცული... გარეშე მტერი რას იზამს, თუ შიგნით ყველა მზად არი, დაიცვას თავის სამშობლო, ტურფა ედემის საღარი (გვ. 14).

აკადემიის საიუბილეო პროგრამაში ორი მოხსენება ყოფილა გათვალისწინებული, ერთ-ერთი ა. შანიძისა, რომელშიაც საუბარი იყო მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის განვითარების გზებზე და ა. წერეთლის ისტორიულ პოემებში რომანტიკული ნაკადს მიზეზებზე. „ა. შანიძის მოხსენებაში მსებუქად ყოფილა გამოთქმული უმჯობესილება მეფის კოლონური პოემების გამო, რასაც დამწერეთა უმრავლესობა ტანით გამოხმადრება და ამდენად, ცარიზმის პოლიტიკის დაფიქსირება აშკარად დემონსტრაციული ხასიათი მიუღია. როცა მოხსენება დამთავრებულა და ფარდა ჩამოეშვა, სცენაზე აღდგებელი ავარდნილა გიმნაზიის დირექტორი მ. გულშაკოვი და მწერალად მიუმართავს შანიძისათვის: «Вид нас подвезли» (14). გიმნაზიის ერთ-ერთ მოსწავლეს ა. შანიძე სკოლიდან გარიცხვას გადაურჩენია.

სარეცენზო მონოგრაფიის ავტორები სამართლიანად მიუთითებენ, რომ „აქვეყნოეროვნული სამსახურის რწმუნით გამოსცემული ახალგაზრდა აკადემიის იყო არა თუ ოქროს, არამედ ვერცხლის შედარლაც შეღოდა, და თუ საქმე მოითხოვდა, ორივეზე ძვირფასი კი დაეთმო“ (იქვე).

დაბეჭივებით შეიძლება დიქვას, რომ სარეცენზო მონოგრაფიაში შესასერი ტაქტიკა და მიმეგრებითა სიმბოლორებული დიდი ქართული მეცნიერის პატრიოტული და სამეცნიერო მოღვაწეობის ყველა ძირითადი ასპექტი.

მონოგრაფიის პირველი ნაწილის მე-5 ქვეთავს („პეტერბურგიდან თბილისის უნივერსიტეტში“) ეპიგრაფად წამოღვარებული აქვს იოსებ ყიფიანის (უნივერსიტეტის დამაარსებელი ან ერთ-ერთი მწიგნობარი) შემდეგი სიტყვები: „გვრავინ ჩვენთაგანი, თვით უკიდურესი ოპტიმისტიც კი ვერ წარმოიდგენდა, რომ ტფილისი ასე მალე ედირსებოდა უნივერსიტეტს და ისიც ქართულ უნივერსიტეტს“ (30).

სწორედ აქ დაიწყო და გაიშალა ა. შანიძის დაუღვარო, უაღრესად პირობუქოული სამეც-

კორნელი დანელია, ზურაბ სარჩველაძე. ცხოვრების გზა.



ნიერ მოღვაწეობა. ამაზე დაწერილებითი საუბარი რეცენზიაში ძალზე ძნელია. კარგადაა ნახვევები, რომ ა. შანიძის სამეცნიერო მუშაობის თავიდანვე სწორად წარმართვა ბუნებრივ ტალანტსა, მიზანსწრაფვასა და რუდუნებასთან ერთად იმ ფაქტმა განაპირობა, რომ მისი მასწავლებლები მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერები იყვნენ, მაგრამ „ა. შანიძის მეცნიერული და მოქალაქეობრივი მრწამსის ჩამოყალიბებაში ცხოველყოფილი გავლენა ყველაზე მეტად ორმა პიროვნებამ მოახდინა — ნიკო მარმა და ივანე ჯავახიშვილმა. პირველმა — მეცნიერებისადმი ფანტიკური სიყვარულითა და გატაცებითი სამსახურით, მეორემ — დიდ მეცნიერებასთან შეხვედრელი მხერვალე მამულიშვილობითა და ადამიანური სრულყოფილებით“ (47).

მერჯე ქვეთაიის („ალიარება და დღესაება“) ეპიგრაფი („ჩემთვის დღესათვის არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“) ნათლად მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ ბ-წა აჯაკიმ, რომელმაც ასმეერთე წელს მწნედ და ამყავდ ჩახედა თვალეში, სიკოტლეშივე მოიმა ის დიდი სიყვარული, შთამომავლობის ერთობლივი აღიარება, რაც, მითოლოგიური თქმულების მიხედვით, ნაწილიანი გმირის ხედრისა და ამდნად, ლეთაებრიობის დამოთ აღბუჭილიც.

მონოგრაფიის მეორე ნაწილი ეძღვნება აჯაკი შანიძის სამეცნიერო მოღვაწეობას. ამ ქვეთაეებად გამოყოფილია ახალი ქართული ენა, ძველი ქართული ენა, ძველი ქართული წერილობითი ძეგლების გამოცემა, ქართული ენის ისტორიის საკითხები, ქართული დიალექტოლოგია, ქართული ეპიგრაფია, რუსთველოლოგია, ეტიმოლოგია, ლექსიკოლოგიის საკითხები, აღმართოლოგია-არამენოლოგია, მეგრულ-ქანურისკანურია. ავტორებს ცალკე არა აქვთ გამოყოფილი ა. შანიძის ფოლკლორისტული მოღვაწეობა. თუმცა, წიგნში ამ საკითხზე ვრცელადაა საუბარი. აჯაკი შანიძე ქართული ფოლკლორის, როგორც თეორიული ისე ტექსტოლოგიური საკითხების ერთ-ერთი კლასიკოსია. ამის დასტურია უნიკალური „ქართული ხალხური პოეზია, I, ხვესურელი“, რომელიც ავტორმა 1931 წელს, ახლგაზრდობის პერიოდში გამოაქვეყნა და მისი შრომების 12 ტომეულის I ტომი, რომელიც ხანდაზმულობის დროს დაიბეჭდა (1984 წ.).

სარეცენზიო წიგნში ხაზგასმითაა მითითებული, რომ „ქართული ხალხური პოეზიის რეკონსტრუქციის“ ა. შანიძის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომია. იგი ავტორის ხანგრძლივი, რუდუნებითი მუშაობის ნაყოფია. თავდაპირველად განზრახული იყო, აღმოსავლეთ საქართველოს მთის ხალხური პოეზია ოთხ ტომად გამოცემულიყო, მაგრამ „ეთოდურესი გადატვირთვების გამო შანიძემ მხოლოდ I ტომის გამოქვეყნება შეძლო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ა. შანიძის ეს წიგნი დღემდე რჩება როგორც დიალექტოლოგიური, ისე ფოლკლორულ (განსაკუთრებით ფოლკლორულ) ტექსტთა გამოცემის გეგმის“ (253).

ჩვენ საკვებით ვიზიარებთ სარეცენზიო წიგნის ავტორების დებულებას იმის თაობაზე, რომ ა. შანიძემ გამოქვეყნებულ ტექსტებს დავით ვრცელი „შენიშვნები და ვარიანტები“ (გვ. 298-648), სადაც წარმოდგენილია უაღრესად საჭირო ცნობები ამ ტომში დაბეჭდილი ტექსტების ისტორიის, მათი ვარიანტებისა და გავრცელების არეალის შესახებ. ეს ნაწილი აჯაკი შანიძეს წარმოაჩენს ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების უბადლო მკოდნედ“ (253). ხანდაზმულობის ეამს გამოქვეყნებულ მრავალწერკოვანი და მრავალრიცხოვანი ზეპირსიტყვიერების ნიმუშების მნიშვნელობაზე ჩვენ სპეციალური წერილი გამოაქვეყნეთ („ლიტერატურული საქართველო“, 23 ნომბერი, 1984 წ.) და ამ სიტყვას არ გავაგრძელებთ.

კორნელი დანელიასა და ზურაბ სარჯველასის მონოგრაფია — „აჯაკი შანიძე (ცხოვრება და მოღვაწეობა)“ ძალზე ვრცელი, უაღრესად კომპეტენტური და, თითქმის, ამომწურავი ხასიათის ნაშრომია „განგებში მიერ გამოჩენილი დიდი მუშაის“, განუმეორებელი ფილოლოგიის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. მკითხე რეცენზიაში ამ წიგნის უოველმზროვ შეფასება ძალზე ძნელია. ჩვენ მხოლოდ ცალკეულ ასპექტებზე გავამახვილეთ ყურადღება. დაინტერესებულ მკითხველი კმაყოფილი დარჩება ამ საყურადღებო, დიდი რუდუნებით შედგენილი წიგნის გაცნობით და მისი ავტორების მიზართ, უსათუოდ, კეთილი სურვილებითა და მადლიერების გრძნობით განიშქველება.

აპოლონ ტანაშა

რედაქციის მხამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.
ტელეფონები: რედაქციის — 98-55-11, მთ. კ/მე მღვინის — 98-55-13, და განყოფილებების — 98-55-15; 98-55-17. 98-55-20.

გადაცემა ასწეობად 17. XII. 87 წ. ზელოწერილია და ასამბეჭდა 10. II. 88 წ. ასწეობის ზომი 7 1/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური წაბეჭდილი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15.5. სააღრ.-სავამომცემლო თაბაბი 16.58.
უე 09219. ტირაჟი 30.000. შეჯგ. 2926. საქართველოს კვ ც-ის ვამომცემლობის სტამბა.

6 192.
3360 80 333.



ბეჭდვის
ცენტრალი
ზინკაიროვის

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ